


# საბჭოთა ბელოჯეცია

ISSN 0132-1307

საბჭოთა  
ბელოჯეცია

4

1982



# საბჭოთა სელოვნიკა

4/1982

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ქვეყნულთვიური ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
ნოღარ გურაბანიძე

სარიდაქციო კოლეგია:

ბაკაი ბაქრაძე,  
ვახტანგ ზარიძე,  
ნოღარ გურაბანიძე,  
ჯუშუბარ თითთეირი  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
ვასილ კიანაძე,  
ნოღარ მგალოვლიშვილი,  
ჯურაბ ნიშარაძე,  
გივი ორჯონიძე,  
ნათელა ურუშაძე,  
რევაზ ჩხეიძე,  
ანტონ ფულუკიძე,  
ნიკო შავვაშაძე,  
თამაზ ჰილაძე,  
ნოღარ ჯანაბარიძე.

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
მორეოგრაფია  
თელევიზია

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5  
ტელ. 95-10-24, 95-13-24.

შეტურული რედაქტორი ბებეა შავჩინეო

საქართველოს კა ცენტრალური  
კომიტეტის გამოცემლობა,  
თბილისი, 1982.

180  
1982



ოთარ ევაძე — ლენინური ეპოქის ღვრად რუსთაველის მოედნის მომავალი	10
ნანა დვინევაძე — ბი ახალი თეატრი!	14
ვლენტინა დიკოვა — ახალი მიჯნებისავე	25
ფარნაოზ ლაქიაშვილი — ღმრწამის მნახე	31
გია დვინევაძე, დემურ ელოშვილი — ტრაქედია და არქიტექტურა	34
გივი ორჭონიძე — საბჭოთა მუსიკის ჰუმანური პათოსი	43
მანანა ახმეტელი — „მართი მუსიკის უნივერსალური თეატრი“	50
ანტონ წულუკიძე — ღივი მიტეხულვა	59
იგორ სვეტლოვი — ბაბაღული აზრი, ზოგჯერ მისი სილაგა	71
ირინე თუმანიშვილი — მუღამ კიბაში	82
რევაზ სირაძე — სახისმეტყველება	89
ინა ბარსოვა — ბია შანელის გეოთხე სიმფონია	100
ფედერიკო ფელინი — თქვენი ბახოვით ტოტო?	107
ნოდარ გურაბანიძე — „რინდი უმნიკლო და უმნიკარი“ პერიკოლური ლაპარაკობა	115 121
მიხეილ თუმანიშვილი — რეჟისორი თეატრიდან წავიდა	127
ანტონ ჩეხოვი — ალუბლის ბაღი	134
ჭრონიკა	157

---

გარეკანის პირველ გვერდზე: „სხოვნის ტაძარი“ სოფელ მუხრანში.  
 გარეკანის მესამე გვერდზე: საქართველოს სსრ სახალხო არტისტ, სერჯო-  
 შორისო კონკურსების ლაურეატი ლიანა ისაკაძე.  
 გარეკანის მეოთხე გვერდზე: ფელიქს ჭერეინსკის ძეგლი თბილისში, ლოქა-  
 დაკე ო. მელიქიშვილი.

---

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის  
 გამომცემლობის სტამბა.  
 თბილისი, ლენინის ქუჩა № 14, ტელ. 93-94-59.



ზურაბ ლევია

ლენინური გზით



17163

# ლენინური ეპოქის ღარად

ოთარ ევაძე

პატრიარქის განვითარების ისტორია უიმედო კითხვა-პასუხის ისტორიად რჩებოდა, რაკი არავინ იძულოდა სწორ სოციალურ-მეცნიერულ ახსნას. რატომ იყო, რომ ვინაო ეკონომიკური ინტერესებით ბოჭავდა ადამიანების კლასობრივი ზღუდეების გადალახვას, ერთმანეთს აჯახებდა ერების მიზანს, ურთიერთობებით ასუსტებდა სახელმწიფოებს, გამუდმებულ ტყვეობაში ამყოფებდა დამარცხებულებს, მაგრამ არც გამარჯვებულებს აძლევდა სტაბილურ პერსპექტივებს.

მარქსი და ენგელსი იქცნენ პირველ გოლიათ მოაზროვნე ადამიანებად, ვინც „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შექმნით ნათელი პასუხი გასცეს სოციალურად მთრგუნავი ტყვეობის ფსიქოლოგით დასმულ კითხვა-პრობლემებს — რა არის საზოგადოებრივი ფორმაცია, რა წარმართავს მას, რა მიზანს ისახავს, რა გზით ახორციელებს.

ვ. ი. ლენინმა პირველმა შესძლო შემოქმედებითად განეგრძო მარქსიზმის მოძღვრება, პირველმა დაამყნო თეორიული მანიფესტი პრაქტიკის ნიადაგს და შექმნა ისეთი ახალი, მანამდე უხილავი ეპოქა, როცა ადამიანების მიერ დაყენებულ ყველა მწვავე სოციალურ-ეროვნულ მღელვარე პრობლემას სრული სიცხადე — გაბედულებით განუმარტა:

- რა სჭირდება ადამიანს? — სიცოცხლე!
- რისთვის? — სიცოცხლისათვის!
- როგორი უნდა იყოს სიცოცხლე? — ადამიანისათვის ბედნიერების მომტანი!

აი, ამ საერთო საზოგადოებრივი განვითარების დიადი მიზნის ჯაჭვის მთავარ რგოლს ჩასჭიდა ძლიერი ხელი გოლიათმა მოაზროვნე ლენინმა და მთელი არსებით მოითხოვა ძველი სოციალური ურთიერთობების შეცვლა.

ამან მიიყვანა ვ. ი. ლენინი პრაქტიკულ კითხვამდე — „რა ვაკეთოთ?“ და მეცნიერული დასაბუთებით მოითხოვა რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების რადიკალურად გარდაქმნა.

კ. ში... საბ. საქ. სსრ  
სახ... რესპუბლიკა  
ბი... მოთმვა

ამანვე მიიყვანა ვ. ი. ლენინი მეორე კითხვამდე — „რით დაიწყეთ?“ და კვლავ მკაფიოდ მოითხოვა — რევოლუციონერთა ძლიერი პარტიის შექმნა.

ეს ორი კითხვა-პასუხი იქცა კაცობრიობის ბედის ძირფესვიანად შემოტრიალების საწყისად, რუსეთში მარქსიზმის მოძღვრების გამარჯვების ქვაკუთხედად, შემდგომ კი მრავალ ქვეყანაში სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობის სისტემის გამამარჯვებელ მეთოდად, რომელიც ბრძოლით აიტაცეს მილიონებმა და ხორცი შეასხეს.

აი, ამიტომ იქცა ლენინი ახალი ეპოქის ფუძემდებლად, რომლის კვალშიც მტკიცედ ჩადგებიან მომდევნო ეპოქებიც, რამეთუ ისინი ახალ-ახალი სიძნელეების გამოჩენა-დაძლევის საფუძველზე მტკიცდებიან, ძველზე ახლის გამარჯვების შეუწყვეტლად განგრძობით მრავლდებიან ისეთი სოციალური საზოგადოების დასამკვიდრებლად, სადაც ადამიანებში საბოლოოდ წაიშლება „ჩემი — შენიანობით“ წარმოშობილი ბნელი ინსტიქტები, ფიზიკური და სულიერი განვითარების მიჯნები ერთმანეთს შეენაცვლებიან და შრომა-დასვენება იქცევა პარმონიული ადამიანის სუნთქვად.

ამ მიზანს წინ უძღოდა მსოფლიო-ისტორიული ვითარება, რუსეთის სოციალურ-კლასობრივი ბრძოლების ციკლი, რომელიც თავის მხრივ გაპირობებული იყო საერთო-საკაცობრიო კლასობრივი ბრძოლის დაუსრულებლობით. ასეთმა ეპოქამ წარმოშვა რუსეთში ყველაზე პროგრესული, დემოკრატიული და მტკიცე ორგანიზაცია, რომელმაც გადაატრიალა ძველი ბნელი სამყარო და შექმნა ადამიანთა ურთიერთობის ახალი, პროგრესული წესწყობილება.

ვ. ი. ლენინი იყო ასეთ რევოლუციონერთა ორგანიზაციის სულისჩამდგმელი და გამამარჯვებელი. მას ჯერ კიდევ სიჭაბუკეში სჯეროდა, რომ მხოლოდ მტკიცედ დარაზმული რევოლუციური ორგანიზაციით დაანგრევდა დამყაყებულ მონარქიულ წყობილებას და მოწინააღმდეგეთა ნიჰილიზმს, რომ თითქოსდა, ცარიზმის ციხე-სიმაგრის კედლის განგრევა შეუძლებელიაო.

— დიახ, კედელია, მაგრამ დამპალი. ხელი ჰკარი და დაინგრევა! — პასუხობდა ლენინი.

ბევრი ფიქრი და ბრძოლა, სისხლი და ცრემლი მოითხოვა რევოლუციის გამარჯვებამ. და, თუ მაინც შესაძლებელი აღმოჩნდა ძველი კედლის დანგრევა, უფრო ძნელი გამოდგა რევოლუციის კედლის აშენება, მოპოვებული საბჭოთა სახელმწიფოს შენარჩუნება, გამარჯვების დამაგრება, განმტკიცება, გარეშე და შინაური მტრებისაგან მისი დაცვა.

ამ რთულსა და გიგანტურ საქმეს შეაღია ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი ცხოვრება. მან შთაგონებით დაიწყო ბრძოლა რუსეთის დაქსაქსული მარქსისტული ორგანიზაციების გასაერთიანებლად საერთო-რუსული გაზეთ „ისკრატი“ და არ ანელებდა შემართებას ეკონომიკის ეკონომიკურად წასამართავად. იგი თავგადადებით იღვწოდა ცარისტულ რუსეთში მცხოვრები ყველა ეროვნების მშრომელი ადამიანების თავისუფლების მოსაპოვებლად და ერთნაირად ზრუნავდა საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის კავშირის გასამტკიცებლად, ქვეყნიერების ყველა კუთხეში მშვიდობის დასამკვიდრებლად. ლენინი გლობალური, სოციალური ჰუმანური პროგრამით აზროვნებდა და მოღვაწეობდა, რასაც ახლა მის მიერ

შექმნილი ლენინური პარტია შემოქმედებითად ანვითარებს ლენინური საქმის ერთგული გამგრძობის ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით.

მარქსიზმის მოძღვრების თეორიული დოკუმენტის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სულისჩამდგმელები არიან ვ. მარქსი და ფ. ენგელსი. მარქსიზმის მოძღვრების განხორციელების სულისჩამდგმელია ვ. ი. ლენინი, კომუნისტური პარტია. მარქსიზმის მოძღვრების ცხოვრებაში პირველი დამამკვიდრებელი იყო ლენინისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებული ოქტომბრის დიდი რევოლუცია.

მარქსიზმის პრაქტიკული განხორციელების შედეგს წარმოადგენს ლენინის იდეით 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა.

სსრკ იქცა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა ერთიან საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ, რომელიც 60 წლის მანძილზე წლიდან წლამდე ამტკიცებს მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველყოფილობას. ვ. ი. ლენინის მიერ საბჭოთა კავშირის შექმნა დიდი ოქტომბრის საქმის განგრძობა-განმტკიცებაა, საბჭოთა ხალხების ნებისა და სურვილის დემოკრატიული პრინციპებით ცოცხალი განხორციელებაა, მშრომელი ადამიანების მანამდე საოცნებო მიზნის ახდომაა. „ჩვენ გვსურს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი — ერების ნებაყოფლობითი კავშირი, ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნება სრულ ნდობაზე, ძმური ურთიერთობის მკაფიო შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობით თანამშობაზე“.

ვ. ი. ლენინის მიერ ერთიანი საკავშირო საბჭოთა სახელმწიფოს შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, პირველმა მრავალეროვანმა საბჭოურმა სახელმწიფომ, რომლის გარშემო ნებაყოფლობით შეკავშირდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკა. ასეთმა ურთიერთშეკავშირებამ განამტკიცა ყველა რესპუბლიკის თანასწორუფლებიანობის პრინციპი, დაახლოვა ხალხები, უზრუნველყო მათი სოციალურ, ეროვნული განვითარების მატერიალურ-კულტურული ბაზის შექმნა. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მრავალეროვანი რესპუბლიკების შეკავშირებულ სახელმწიფოდ, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ამაღლებენ, შემდგომი განვითარების პირობებს უმრავლესებენ. ლენინის მოძღვრება-მოღვაწეობამ მსოფლიოს დაუმტკიცა, თუ რაოდენ სასიკეთოა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ ქვაკუთხედური მოწოდება — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ასეთ შეერთებაშია დღეს საბჭოთა ხალხის ძალა და დიდება. ასეთმა შეერთებამ განაპირობა ჩვენი ხალხების სულიერი და მატერიალური ძლიერება, საბჭოთა კავშირის გადაქცევა მსოფლიოში მშვიდობის მოქადაგედ და პრაქტიკულად მებრძოლ დიად ფაქტორად, რომელსაც ანგარიშს უწევენ, ადვილად ვეღარ ელობებიან სოციალიზმის განვითარების გზებზე შემდგარ სხვა ხალხებსაც, წინანდებურად მბრძანებლურად ვეღარ პარაპოზობენ ნაკლებად განვითარებულ და ნახევრადკოლონიალურ ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირი განმტკიცდა იმით, რომ ჩვენი ქვეყანა სრულად ახორციელებს ლენინურ მოძღვრებას. ამ მოძღვრება-რწმენის სიმტკიცეს საფუძვლად უდევს ხალხთა სრული ურთიერთნდობა, ნებაყოფლობითი თანხმობა, ერთა ურთიერთობაში ყოველგვარი ფორმის უთანასწორობის წა-

მორიციხვა, ეროვნული პრობლემების გადაჭრაში ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის პრინციპული და თანმიმდევრული პრძოლის გაშლა. მხოლოდ ლენინმა და მისი ანდერძის გამგრძელებელმა კომუნისტურმა პარტიამ შესძლეს ერთ უძლეველ საერთაშორისო სახელმწიფოდ ექციათ წარსულში კლასობრივად დათრგუნული და დაქუცმაცებული ეროვნებანი დიდი სოციალური, სულიერი და კულტურული რევოლუციის გასამარჯვებლად.

ამით აიხსნება, რომ დღეს მსოფლიოში არ არსებობს იდეურად და ორგანიზაციულად ისე მტკიცე და მონოლითური სახელმწიფო, როგორც საბჭოთა კავშირია, როგორც ჩვენი დიადი სამშობლოა.

— რა იყო ძველი რუსეთის წილი მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში? — არც მეტი და არც ნაკლები — ერთი პროცენტი, თუმცა ტერიტორიით დედამიწის ერთ მეექვსედზე გაშლილიყო.

— როგორია ახლა, სსრკ წმ წლისთავზე ჩვენი ქვეყნის სამრეწველო წარმოების წილი მსოფლიოში? — ოც პროცენტამდე, თუმცა ტერიტორია არ გაზრდილა, სხვისი მიწის ერთი გოჯიც არ მოგვიმატებია.

ახლა ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი გახდა მომწიფებული სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება-განმტკიცება. ძირითადადში უკვე გათანაბრდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონე, უზრუნველყოფილია ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობა. ეს მკაფიოდ დაადასტურა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებამ. ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა საბჭოთა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა, რასაც ლენინური რუდუნებითა და სიმტკიცით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით, მისი ერთ-ერთი საიმედო ავანგარდი — საქართველოს კომუნისტური პარტია ე. ა. შვეარდნაძის მეთაურობით.

ამის შედეგია, რომ საბჭოთა საქართველომ მეცხრეჯერ ზედიზედ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მალალი შედეგების მიღწევისათვის. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის 15 რესპუბლიკიდან — უზბეკეთთან, აზერბაიჯანთან, ტაჯიკეთთან და სომხეთთან ერთად საქართველოც დაჯილდოვდა. და განა ეს დიდი მიღწევა არაა, განა ეს ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული სიამაყის გვირგვინი არაა, რამაც კიდევ უფრო მეტი რწმენა მოგვცა ჩვენს წინსვლაში, ხვალინდელი წარმატების კიდევ უფრო დაჯერებით, თანმიმდევრულად, რიტმულად მოპოვებაში?

„საქართველოში საქმეები კარგად მიდის“, — თქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საქართველოს წმ წლის ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში და ამან კიდევ უფრო ალანთო ქართველი ხალხი მალალი მიჯნების დასაძლევად, მეცხრეჯერადი წარმატების გასამარავლებლად.

„ცხრა“ და „მეცხრეს“ თქმა ყოველთვის იყო ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების თანამგზავრი. გამრჯე ქართველი კაცი იტყოდა —

„ცხრა ოფლი დავღვარეო“, შეუდრეკი კაცი იტყოდა, — „ცხარე მთა გადავლახეო“, მებრძოლი ქართველი ვაჟკაცი არ ინუნუნებდა — „ცხრა ბრძოლა გადამხდაო“. თავმდაბალი ქართველი კაცი არ დამალავდა — „სიხარულით მეცხრე ცას ვენიეო“. მთელი საქართველო „ცხრა ძმის ძალაში“ ხედავდა ყველას გამარჯვებას, „ცხრა ძმა ხერხეულიძის“ სახელით ზომავდა სამშობლოსათვის თავდადების მზადყოფნის ძალას, ქართველი ფალავანი, მშვილდოსანი, თუ ფეხბურთელი — „ცხრიანში“ ისრის მორტყმას და ბურთის შეგდებას ახერხებდა, „ცხრა წელს“ მიღწეული ბიჭი შედის სიჭაბუკეში, „ცხრა მზეზე იფიცებს“ დედა შეიღებ, „ცხრა წყაროზე“ იკლავს წყურვილს ქართველი კაცი, ცხრა და-ძმის მოიმედება საქართველო.

ქართველი ხალხის თაყვანისცემა „ცხრისადმი“ ახლო მომავალში თანამედროვე კალენდრის სათვალავით შეიცვლება „ათიანით“, „ასია-ნით“, „ათასიანით“. მეათეჯერაც მივიღებთ მეთერთმეტე ხუთწლეულს და მეთერთმეტეჯერაც მიყოლებით, თუ ისევე კარგად იღვანა ჩვენმა რესპუბლიკამ, როგორც დღემდე და კიდევ უფრო მეტადაც. დიახ, არც ესაა ოცნება. ამისი თავდებია ერის და პარტიის ერთობლივი მიზნით მოქმედება, საერთო საკავშირო ინტერნაციონალური დროშით აღმავალი სვლა, რამაც მეათეჯერაც უნდა მოგვაპოვებინოს დროშა, რომელიც სიმბოლურად ადასტურებს ლ. ი. ბრეჟნევის ნათქვამის მარადიულობას, რომ საქართველოს საქმე კვლავაც კარგად წავა, რაკი იგი ლენინური შემოქმედების გზას მტკიცედ და თაოსნურად ადგას, თვითმყოფადობითა და ნოვატორობით მიემართება, ეკონომიკაში აბაშელ კოლმეურნეთა მაგალითს უსწორდება, ხელოვნებაში კი რუსთაველელთა ნოვაციურობის მსგავსად ირჯება ჩვენს ლალ ქვეყანაში თავგამოსარჩევად.

ჩვენ მატერიალური და სულიერი დოვლათის მთესველ-მომკველი ერი ვიყავით, ვართ და ვიქნებით, რაკი ასეთი გორისანი ვართ და არც როდის მოგვბროდეს მუხლი. დღე ერთია და გამარჯვება მრავალი, რესპუბლიკის ეკონომიკურმა წარმატებამ დიდად აამალა მოსახლეობის კულტურა. ხალხი თანმიმდევრულად ავინროებს ნეგატიურ კუნჭულ-ხვრელებს და დაჯერებით ამრავლებს სულიერ საზრდოს, სარჩო-საბადაბელს. მარტო შარშან საქართველოში შეიქმნა იმდენი თეატრალური და მუსიკალური კერა, რამდენიც არ გააჩნია დღეს ზოგიერთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყანას. დიდი კმაყოფილებით მიიღო ხალხმა ცნობა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრული მეცადინეობით ბოლო ნახევარ წელში გაიხსნა — ნორჩი თაობისათვის ესოდენ გულგასახარი ორი თეატრი — რუსთავსა და ბათუმში, სოხუმის ქართულ თეატრს ახლახან, მარტში გადაეცა ახლად კეთილმოწყობილი შენობა, ჩვენს დედაქალაქში ჭეშმარიტად სახალხო ზეიმად იქცა „თბილისობა“, რომელიც თანმიმდევრულად აჩენს გამორჩეულ თბილისელებს, ყველასათვის სამაგალითო ცხოვრებისა და შრომის მისაბამ ეტალონებად რომ დგებიან ეროვნულ და პოლიტიკურ კვარცხლბეკზე. ქართული სპორტი ბუნებრივად შეერწყა ხალხის სულიერი აღზრდის საერთო დინებას. ზამთარს ვაზაფხული მოჰყვება და საქართველო უქმად მსხდომებს ნირს უფუჭებს, კარგს დიდებას გვირგვინს ადგამს, უქნარას კი არცხვენს. მრავალმა ადამიანმა მიიღო ამ ბოლო წლებში შრომის დამფასებელი საპატიო ჯილდო და წოდება, — ინჟინერია იგი თუ აგრონომი, ეკონომისტი თუ სპორტსმენი. ამ მხრივ

ხელოვნების მოღვაწენიც ამაღლდნენ საერთო-ეროვნულისა და საერთო-საკავშიროს დონეზე. კინოფილმ „დათა თუთაშხიას“ დამდგმელი ჯგუფი დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით. რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილსა და მსახიობ რამაზ ჩხიკვაძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება. პირველად საბჭოთა აფხაზეთში გაჩნდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდებით პატივნიცემი ორი მსახიობი — აფხაზთა შორის თეატრის პიონერ-ვეტერანი შარახ ფაჩალია და აფხაზეთში ქართული თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენელი მიხეილ ჩუბინიძე.

წელიწადი არ გავა, რომ ქართველ რეჟისორებს არ ინვევდნენ მოძმე რესპუბლიკებში სპექტაკლების დასადგმელად, ამისათვის დიმიტრი ალექსიძის მაგალითიც კმარა. არ გავა თვე თუ წელი, ქართველ კომპოზიტორსა და ანსამბლს არ ინვევდნენ საბჭოთა კავშირის ქალაქებში. ამის მაგალითად კმარა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებაც, საქართველოს სიმებიანი კვარტეტის პოპულარობა, საქართველოს ცეკვა-სიმღერების ანსამბლების მაღალი შემოქმედებითი და მხატვრული ავტორიტეტი.

ახლა ამოცანა ისაა, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ შემოქმედებითა დისციპლინა და მხატვრული დონე ხელოვნების ყველა რეგიონში. ეს ამოცანა განსაკუთრებით მწვავედ დგას პერიფერიული თეატრების სისტემაში, რომლის მდგომარეობაზე ყურადღება გაამახვილა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ საგანგებო დადგენილებით. ამ დადგენილების ხორცშესხმაში ძირითადია კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების მუშაობის გარდაქმნა, და რაც მალე მოხდება ეს, მით უფრო ოპერატიულად და სავსებით განხორციელდება ამხ. ე. ა. შუვარდნაძის მართებული მოთხოვნა: „ავამაღლოთ რაიონის თეატრების მუშაობა სატახტო ქალაქის თეატრების დონემდე“. ეს ამოცანა ძნელია და მაშასადამე, მით უფრო საჭიროა ერთობლივი ძალების მობილიზება.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ითხოვს თბილისის ოპერის თეატრის მდგომარეობის გამოსწორება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღება არც ამ დარგს აკლია, მაგრამ ახლა საჭიროა თვით თეატრის მხატვრული ხელმძღვანელობის მუშაობის სტილის შეცვლა ახალი ამოცანების შესაბამისად. აქაც საჭიროა კონტროლისა და დახმარების გაზრდა, კულტურის სამინისტროს, კომპოზიტორთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების საქმიანობის ერთი მიზნით წარმართვა.

როგორც ვხედავთ, გაკეთებული ბევრია, მაგრამ გასაკეთებელიც ცოტა როდი რჩება. საბჭოთა კავშირის 61 წლისთავი და ვ. ი. ლენინის დაბადების საზეიმო თარიღი ახალ შემოქმედებით ძალა-რწმუნას გვმატებს, რათა ბევრად შევამციროთ ხარვეზების წილი ჩვენი რესპუბლიკის კულტურის სფეროში და მალლა ავაკიფოთ სულიერი წარმატებების შუქურები თბილისსა თუ რაიონებშიც, რამეთუ საქართველო და მისი დედაქალაქი ყოველთვის იყო და რჩება საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ვიზუალურ საზომად საერთო-საკავშირო წინსვლაში.

რესპუბლიკაში კვლავ ბევრია გასაკეთებელი, რაც ასე მკაფიოდ ითქვა საქართველოს კომპარტიის წერილში, რომელიც მიმართულია საბჭოთა საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის

დადგენილების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით. გასული ათწლეული საბჭოთა საქართველოს კულტურის არნახული ხანა იყო. „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ესმის, — ნათქვამია წერილში, — რომ ჩვენთან ზნეობრივ-ეთიკურ ატმოსფეროში უკეთესობისაკენ მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები უდიდეს წილად შესაძლებელი გახდა რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის მეცადინეობით. მეორე მხრივ, საბჭოთა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების უეჭველი წარმატებები განუხრელად არის დაკავშირებული იმ სწორ ტონთან, რომელსაც შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან მუშაობაში მიაგნო რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი მნიშვნელობისაა ჩვენი წარმატებები, მხატვრული შემოქმედების სფეროში ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, რათა მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები, კომპოზიტორები, კინოს მოღვაწენი გახდნენ მშრომელთა ფიქრებისა და მისწრაფებების გამგებლნი და გამომატველნი, რათა მასებში შექონდეთ პარტიის იდეები და ხალხისაგან სწავლობდნენ ამ იდეების განხორციელებაში სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას“.

მხოლოდ ასეთი კურსით გახდება შესაძლებელი კვლავაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდეს საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომლის ნაღვანი ალაფრთოვანებს რესპუბლიკის მშრომელებს, სიამაყის გრძნობას უმრავლესს თითოეულ ოჯახს, კოლექტივს, ორგანიზაციას.

განველილი ათწლეული იყო ის პერიოდი, როცა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ გაამახვილა ყურადღება ახალგაზრდობის პრობლემებზე. ქართული ხელოვნების მოღვაწენი ამ მამულიშვილურ კურსსაც კვალდაკვალ მისდევენ, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ მეტის გაკეთებაა საჭირო ახალგაზრდობის პრობლემების საპასუხოდ, ახალგაზრდა შემოქმედთა დასაწინაურებლად, მეტი ნდობის გამოსავლენად, როლების და სადებიუტო სპექტაკლების გაბედულად მისაცემად, დუბლიორთა სისტემის დასამკვიდრებლად, სპეციალური აფიშების გამოკვერითაც კი, რაკი, თუ ვინმეს სჭირდება მხარდაჭერა და ნახალისება, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა ნიჭიერ თაობას, მუსიკოსი იქნება იგი თუ მომღერალი, მხატვარი თუ დრამის მსახიობი, კომპოზიტორი თუ მოცეკვავე, კინოსა და არქიტექტურის, მწერლობისა თუ ზნეობრივი აღზრდის რა მხატვრულ სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი.

თქმა არ უნდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კვლავინდებური მზრუნველობით რესპუბლიკის სახალხო ინტელიგენცია დაუცხრომლად იზრუნებს, რათა დღენიადაგ იზრდებოდეს საბჭოთა საქართველოს წვლილი ადამიანთა დიადი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში.

ამ გზით ვიაროთ კვლავაც, ამითვე გავიხაროთ და გავახაროთ ხალხის გული.

თბილისში, რუსთაველის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს უბანი მთლიანად იცვლის სახეს. ურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველებს, ფართო საზოგადოებას აინტერესებს თუ რა კეთდება აქ, როგორი იქნება იგი მომავალში. ამ საკითხზე ჩვენი ურნალის თანაშრომელი კ. მიქაძე ესაუბრა პროექტის საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელს, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის დამსახურებულ არქიტექტორს ოთარ კანანდარიშვილს.

ვბეჭდავთ ამ საუბარს.

# რუსთაველის


# მოედნის

# მოგაპალი

დღითიღღე იერს იცვლის ჩვენი დედაქალაქი. ბოლო წლებში მრავალი არქიტექტურული ნაგებობა აშენდა მის ცენტრში, მაგრამ დღეისათვის ქალაქს არა აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოედანი, სადაც შესაძლებელი იქნება სახალხო დღესასწაულების, ზეიმების, დემონსტრაციების, სამხედრო და სპორტული აღლუმების მოწყობა, ქალაქის ყველა ძველი მოედანი სატრანსპორტო კვანძად გადაიქცა.

ჯერ კიდევ 1952 წელს „ქალაქპროექტმა“ დაამუშავა პროექტი, რომელიც, ასე თუ ისე,

წყვეტდა ამ პრობლემას. მაშინაც ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორთაგანი გახლდით მე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დრომ დაადასტურა ამ პროექტის განხორციელების აუცილებლობა და კვლავ დღის წესრიგში დააყენა ეს საკითხი. საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების მასალების გაანალიზების შედეგად, პროექტის ავტორთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ საკითხის გადასაწყვეტად ყველაზე შესაფერის ზონად ითვლებოდა რუსთაველის მოედნის, სასტუმრო „ივერიისა“ და რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 37 სახ-



რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი

ლის მეზობელი ტერიტორია. აქ აგებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დასანგრევი გახდებოდა, შედარებით ცოტა იყო. ბუნებრივი რელიეფი გამოყენების თვალსაზრისით ძალზე მომგებიანია, ეს უბანი, ჭალაქის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით, ტრადიციულია. აქ თავს იყრის ყველა მაგისტრალური სატრანსპორტო მიმართულება.

მომავალი მოედანი მკვიდრად ჩაეწერება მთაწმინდის მეტყველ სილუეტში. ამ უბანში უკვე დისლოცირებულია ისეთი ობიექტები, როგორცაა სასტუმ-

რო „ივერია“, ცენტრალური ტელეგრაფი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობა, მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველი“. მომავალი მოედანი ერთი გრძივი მხრით გაიხსნება, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსკენ და მეტად ცხოველშატულს და თბილისურს ვახდის ამ უბანს.

სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ VII არქიტექტურულმა სახელოსნომ აღადგინა ძველი მასალა, განიხილა პროექტი, გაანალიზა იგი დროის თვალსაზრისით და შეიტანა კორექტივები. პროექტზე მუშაობის დროს გა-

მოიკვება, რომ რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის ლოკალური ამოცანა საკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქის სატრანსპორტო სქემის ერთიან სისტემასთან და თხოულობს სასწრაფო გადაწყვეტას. ამიტომ, რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტთან ერთად დამუშავდა სატრანსპორტო სქემაც, კერძოდ, დამუშავდა ძნელადი ქუჩისა და ელბაძის დღმართის დამაკავშირებელი ტრანშეა, დიხახა ძნელადი ქუჩის გაგანიერება, რამაც მოგვცა საშუალება ლენინის მოედნიდან ვაკე-საბურთალოსაკენ მიმავალი ტრანსპორტი ნაწილობრივ გადამოგვეყვანა ძნელადი ქუჩაზე. რუსთაველის პროსპექტზე დატოვებულია ძირითადად საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

მანქანების სადგომები განლაგდება ძნელადი ქუჩის ორივე მხარეს — ყოფილი სამხედრო ყაზარმის ეზოში, კულტურის სამინისტროს შენობის უკან და სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. სადგომების საერთო ფართი გათვალისწინებულია 1000-ზე მეტი მანქანისთვის.

ძნელადი ქუჩის საშოლიანი გაბარიტები საათში გაატარებს 2600 მანქანას.

მიმავალი მოედნის გაბარიტებს განსაზღვრავს აქ არსებულ შენობათა მასშტაბი და ურთიერთგანლაგება, ადგილმდებარეობის გეოლოგიური დახასიათება და კონსტრუქციული შესაძლებლობანი, რუსთაველის გამზირზე მდებარე სახლის (№ 37) არქიტექტურა და მისი დამოკიდებულება მიმავალი მოედნის სივრცის მართ, პერსპექტიული ნაგებობის

დანიშნულება, მოედნის ქვეშ განლაგებული კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრის ტევადობა და ხასიათი.

დასახულ საზღვრებში იქმნება სივრცე (220X70), რომელიც თავისი ზომებით სავსებით შეესაბამება ქალაქის მნიშვნელოვანი მოედნის მოთხოვნებს: იგი ფეხბურთის ორ სტადიონს უდრის. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ აქ შესაძლებელი იქნება ყველა სახის მასობრივი ღონისძიების ჩატარება. მოედნის დასავლეთით, ქიაჩელისა და პეროვსკაის ქუჩებზე, განლაგებულია 2-3 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, მათი ნაწილი ისტორიული ღირებულებიანაა (შ. ნუტუბიძის, დ. არაყიშვილის, ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმები და სხვ.), პროექტით ეს უბანი ხელუხლებელი რჩება.

როგორ შეერწყმება მიმავალი მოედანი ლენინის ქუჩის სივრცეს?


სახლი № 37 შენარჩუნებული იქნება მთლიანად. მის უკანა ფასადს გაუქვოდება რეკონსტრუქცია და დიფარება პოლაროიდით (ფერადი ამრეკლავი შუშა). რუსთაველის მოედანი და ლენინის ქუჩა შეერთდება მიწისქვეშა გადასასვლელით, პლასტიკური მოხაზულობის მონაკვეთი ორგანულად შეერწყმება უბნის საერთო ხასიათს: აქვე შენდება სატრანსპორტო კვანძი ორ დონეზე, რომელიც განმუხტავს რუსთაველის პროსპექტზე არსებულ რთულ სატრანსპორტო კვანძს.

„სამაიას ბაღი“ შესულია საერთო სივრცობრივ კომპოზიციაში. მოედნის ქვეშ განლაგდება კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი, მაღაზიებით, კინოთეატრით,

სატრანსპორტო საშუალებათა სა-  
ლაროებით, ავტომატური სატე-  
ლეფონო სადგურით, საგამოფენო  
დარბაზებით, დასვენების ობიექ-  
ტებით და სხვ. კულტურულ-სა-  
ზოგადოებრივი ცენტრი მიწისქვე-  
შა გადასასვლელებით დაუკავშირ-  
დება მეტროპოლიტენის პერსპექ-  
ტიულ მეორე ამოსასვლელს, მე-  
ცნიერებათა აკადემიის პრეზიდი-  
უმის შენობას, სასტუმრო „ივერი-  
ს“ და ცენტრალურ ტელეგრაფს.  
თვით მოედანზე განლაგდება  
სატრიბუნო კორპუსი, შადრევნე-  
ზის სისტემა შუქისა და მუსიკის  
ჩართვით. მოედანი მოიკირწყლე-  
ბა გრანიტის კუბებით. ღამით  
განათება შერწყმული იქნება მხა-  
ტვრული ლამპიონების სისტემას-

თან, რომელთა არქიტექტურამ  
უნდა შექმნას მოედნის ჩრდილო  
ნაწილის სივრცობრივი ჯებრი.  
რუსთაველის მოედნის რეკონს-  
ტრუქციის პროექტის ავტორები  
არიან აგრეთვე რესპუბლიკის და-  
შსახურებელი არქიტექტორი გ.  
ფიცხიშვილი, არქიტექტორები  
„მოსეშვილი, ლ. გიორგობიანი,  
მ. ზალარჯიშვილი, პროექტის მთა-  
ვარი კონსტრუქტორია საკავშირო  
მინისტრთა საბჭოს პრემიის ლა-  
ურეატი თ. ჭანჭალეიშვილი. საინ-  
ჟინრო ნაწილს მეურვეობს სახე-  
ლმწიფო და სსრკ მინისტრთა საბ-  
ჭოს პრემიების ლაურეატი, რე-  
სპუბლიკის დამსახურებული ინ-  
ჟინერი გ. ჩუბინიშვილი.

სატრიბუნო კორპუსი რუსთაველის მოედანზე



...ზოგნი საოცნებო საგანზე სიტყვაპრაველობენ და სინამდვილედ ველარ აქცევენ!..

...ზოგნი მეტს ფიქრობენ და სიტყვაძუნწობენ, — ასეთი საქმე განამდილებულა კიდეც! მათ შორის გახლავთ ის კაციც, ვინც ჩაუთქვა თავის გულს ახალი თეატრის დაფუძნება, ვინც თავისი ფიქრი და გატაცება თანამოაზრეთ გაუზიარა და გადასდო. ამ საქმის ხორცშესხმას წლები და ნებისყოფა დასჭირდა. შემოქმედი უნებისყოფოდ განწირულია!

ლერი პაქსაშვილი ნებისყოფიანი შემოქმედი! ეს ნებისყოფა თავდაპირველად მაშინ გამომქლავნდა, როდესაც ახალკურსდამთავრებული მეტალურგი უარს ამბობს თავის პროფესიაზე და თეატრის სიყვარულით კვლავ პირველკურსელი ხდება — 1958 წელს იგი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს და თავიდანვე მიიქცევს აღმზრდელთა ყურადღებას მხატვრული ალლოთი, ჭარბი ჰაბუკური ენერჯითა და რომანტიკულობით.

ნიშანდობლივია, რომ მისი პირველი თეატრალური ნათლობა ქართული კლასიკური მწერლობის, კლასიკური დრამატურგიის ნიმუშებით იწყება: დავით კლდიაშვილი და ვაჟა-ფშაველა! „უბედურება“ და „ბახტრიონი“! ასე აიღო გეზი ლერი პაქსაშვილმა სასცენო ხელოვნების სივრცეში. მისი თეატრალური ბიოგრაფია 1964 წლიდან იწყება — ჯერ მახარაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორია, შემდეგ თელავისა (1967-68) და სოხუმის ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის

# აი ახალი

# თეატრიც!

ნანა ლვინეფაძე

ქართული დასისა (1968-71 წწ.), მისი რეჟისორული წარმატებები ცნობილი ხდება დედაქალაქისთვის, მისი სპექტაკლები, რომლებშიც იგრძნობოდა ქართული თეატრისათვის ნიშნული გმირულ-რომანტიკული შემართება, მაყურებელმა შეიყვარა და დაიმასხოვრა. 1971 წელს ლერი პაქსაშვილს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა იმ მოღვაწეობისათვის, რაც მან გასწია საქართველოს თეატრებში. იმავე წელს დედაქალაქში გადმოიყვანეს ჯერ ა. გრიბოედოვის სახელობის



სცენა სპექტაკლიდან „ობტოვისტური ტრაგედია“.

რუსული დრამატული თეატრის დამდგმელ რეჟისორად, შემდეგ კი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოღვაწეობდა, სადაც პირველი დადგმა ოთარ შამფორიას „იეთიმ გურჯი“ იყო. დღევანდელი გამოდგა ეს სპექტაკლი. სეზონიდან სეზონში გადადიოდა და ირაკლი უჩანეიშვილმა ორასორმოცდაათჯერ გაიარა იეთიმ გურჯის ეკლიანი გზა, ორასორმცდაათჯერ იმღერა იეთიმ გურჯის დარდი.

რეჟისორის უპირველესი ღირსება — ნებისყოფა უკვე ვახსენეთ. — ახლა ისიც უნდა დავუმა-

ტოთ, რომ ლერი პაქსაშვილი ტემპერამენტიანი ხელოვანია. რეჟისორის ეს თვისება და შემოქმედებითი მრწამსი უფრო ნათლად გამომქლავნდა ვარსია ლორკას „სისხლიან ქორწილში“ — დრამატუზმით აღსავსე, კომპოზიციურად ბრწყინვალედ გააზრებულ ესპანურ ბალადაში, რომლის პლასტიკური ენა საოცრად მეტყველი, კოლორიტული და ამავ დროს ქართული სულით იყო დამუხტული. ამას დაუმატეთ თეატრალური მეტაფორების სიუხვე და ხატოვანება! თუმცაღა, ეს სპექტაკლი, როგორც მხატვრული ფენო-



სცენა სპექტაკლიდან „ოპტიმისტური ტრაგედია“. მეთაური — ან. ტაიძე, კომისარი — ვ. პაქსაშვილი.

მენი, ბევრად აღმატებოდა მის წინამორბედს, მისი სიცოცხლე შედარებით ხანმოკლე გამოდგა — გულახდილად უნდა ვთქვათ, მარჯანიშვილელთა დასში ლერი პაქსაშვილს წინააღმდეგობები შეხვდა. ამის გამო მის შემოქმედებაში უჩვეულო პაუზა გაჩნდა.

შემოქმედებითი შიმშილი მისთვის ძალზე მძიმე და დაუმსახურებელი ხვედრი იყო; მაგრამ ისევ და ისევ ნებისყოფა! ლერი პაქსაშვილი იმათთაგანია, ვისაც სწამს, რომ თეატრი ყველგან თეატრია! გულითადად მიიღო ცხინვალელთა, ახალციხელთა, თელაველთა მიწვევა და საინტერესო სპექტაკლებიც შემატა ამ თეატრების რეპერტუარს.

სიახლე, სიახლისე, სამხრეთული ფერები შეიტანა რეჟისორის სპექტაკლებმა სევასტოპოლისა თუ ბარნაულის ალტაის სახმარეო თეატრებში, სადაც მან დადგა მარიკა ბარათაშვილის „კრიკინა“ და ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ორთვე პიესა ისეთი ხელოვნებით განაზორციელა, ისეთი კოლორიტი შექმნა, მსახიობებში ისეთი უშუალოებით გადახერგვა ქართული ხასიათები,

თავი ქართულ თეატრში გვეგონებოდათ.

მხატვრული ზომიერება და უშუალობაც ლერი პაქსაშვილის ორგანული თვისებებია!

ახლა ძიებები და მიგნებები?

ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა ის თეატრალიზებული სახალხო დღესასწაულები, ტრადიციად რომ დამკვიდრდა საგარეჯოს რაიონში და „გარეჯობა“ დაერქვა. ხალხური თეატრალური საწყისების და საერთოდ პოეტური და მუსიკალური ფოლკლორის თამამი გამოყენების თვალსაზრისით, მათი გათანადროლოებით რეჟისორმა ფრიად დიდ ეფექტს მიაღწია. ამ მასშტაბურ სახალხო საჩხაობაზე გააზრებაში გამოვლინდა ლერი პაქსაშვილის მრავალმხრიობა. მდიდარი ფანტაზია, ხალხური შემოქმედებით გამდიდრებული ხელოვანის სილამფე. მინდა ვიწინასწარმეტყველო, რომ უთუოდ მოწამენი ვიქნებით ლერი პაქსაშვილის მიერ ღია ცის ქვეშ გამართული დიდი ქართული თეატრონისა, ანუ ქართულ ხალხურ საუნჯეზე და თეატრალურ სანახაობებზე დაფუძნებული სასახიობო ხელოვნებისა,

17163

რომელშიც გამოლიანდება სხვადასხვა დროს წარმოდგენილი მიხეული სადღესასწაულო სცენები. მაშ ასე, — წარსულის რომანტიკული კვრეტა, თანამედროვეობის მძაფრი პოეტური შეგრძნება და ოცნება საკუთარ თეატრზე, რომელსაც ჯერ ფიქრში, მალე კი სინამდვილეშიც გამოუძებნა ადგილსამყოფელი თბილისის ახლად გაშენებულ და მზარდ რაიონში — გლდანის დასახლებაში — დედაქალაქის ახალი სახელმწიფო დრამატული თეატრი!

დევიზი: ჩვენი თეატრი უნდა იყოს პოეტური, გმირულ-რომანტიკული, ზემოთაოცებული!

ეს აზრი გაანდო რეჟისორმა/ კორესპონდენტებს თავისი პოეტური ინტერვიუში, ეს დევიზი დაეხმება ამოცანად დასს, რომელიც 1979 წლის მიწურულისთვის ჩამოაყალიბა.

მაყურებლისთვის ეს თეატრი 1981 წლის 11 ნოემბერს დაიბადა სპექტაკლით „ობტიმისტური ტრაგედია“, მაგრამ დასი იქამდეც ხომ დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა, ეძებდა თავის ავტორს, კომპოზიტორს, მხატვარს. ამ თეატრის შემოქმედთა ერთუზიანობაში გადაედოთ ცნობილ მწერალსა და დრამატურგს ოტია იოსელიანს, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს. ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვაჟა აზარაშვილს (მუსიკალური ნაწილის გამგე), საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს აივინგო ჰელიძეს (მთავარი მხატვარი). ასე იწამეს მათაც, რომ ეს თეატრი უნდა იყოს პოეტური, გმირულ-რომანტიკული, ზემოთაოცებული!

ეს სიტყვები რომ ლიტონი არ არის. ვთქვოთ, ამაში თანდათან დარწმუნდება ყველა, ჯერ კი მინდა ვთქვა ის, თუ რა დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ლერი პაჭიაშვილს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან. რომ ის ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა პარტიისა და მთავრობის თანადგომას, ხელოსნებისა, რის შედეგადაც საჩემი სასიკეთოდ დაგვირგვინდა. მინდა აღვნიშნო ისიც, თუ რაოდენი სიხარულით მიეგება ამ ახალი კულტურის კერის დაარსებას და გახსნას ქართული საზოგადოებრიობა, ინტელიგენცია, მუშათა კლასი თუ ახალგაზრდობა, რომლისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მანძილს, თუმცა, ახალ თეატრს საკუთრივ თავისი რაიონის ახალგაზრდობაც ეყოფოდა მაყურებლად!

ღიახ, ყველამ, ვინც კი ქართუ-

სცენა სპექტაკლიდან „ობტიმისტური ტრაგედია“



„საბჭოთა ხელოვნება“ № 4, 1982

ქ. მ. ... სა. ს. ს. ...

ლი კულტურის მოკეთეა, გულთან ახლოს მიიტანა დედაქალაქის უდიდეს მუშათა რაიონში თეატრის შექმნა, რომელსაც ამ არემარეზე წინამორბედიც კი ჰყავდა საუკეთესო ტრადიციებით ცნობილი „ავკვალის აუდიტორიის“ სახით.

ასე რომ, თეატრალური ტრადიციები გრძელდება! თავიდათავი საფიქრალი სარეპერტუარო პოლიტიკა არის და არჩევანი ვაჟაფშაველასზე, კერძოდ, მის ორ პოემაზე „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელზე“ შეჩერდა, რომლის ინსცენირებაც დრამატურგ ვიორგი ხუხაშვილს ეკუთვნის. პარალელურად იქმნებოდა ოტია იოსელიანის პიესები „ყრუ ღმერთები“ და „გამოქვაბული“, მოიხაზა უახლოეაი სარეპერტუარო გეგმაც: ვსევოლოდ ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, იონა ვაკელის სატირული კომე-

დია „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, ვალერიან კანდელაკის პიესა — „დრო — 24 საათი“ (რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი დავით ხინიკაძე დგამს), ამავე თეატრში განახორციელებს თავის სადიპლომო დადგმას — ბერნარდ შოუს ორ ვოდვილს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტი ლევან ყუფარაძე. თვით მთავარი რეჟისორის ფიქრები ისევე გარსია ლორკასა და, ამავე დროს, შექსპირის შემოქმედებას უტრიალებს. საგანგებოდ ახალი დრამატული თეატრისათვის დაწერა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ პიესა „სოლომონი“, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავისადმი მიძღვნილი, მთავარი რეჟისორი თანაშემოქმედებას ეწევა როგორც ო. იოსელიანთან, ასევე ო. ჩხეიძესთან. სარეპერტუარო გეგმის ჩა-

სკენა სპექტაკლიდან „მთანი შალაღი“



მოყალიბებაში დიდია წვლილი თეატრმცოდნე ქეთევან ხუციშვილისა, მთავარი რეჟისორის თანაშემწისა ლიტერატურულ ნაწილში.

დასში ოცდასამი მსახიობია, მათგან რვა ახალგაზრდის სცენური ბიოგრაფია ამ თეატრიდან იწყება: ირაკლი ნიჭარაძე, მიხეილ სეთურიძე, ელენე ქუთათელაძე, ირინა გაბუევა, ვაჟა ციცილაშვილი, მზია ტალიაშვილი, ვასილ შიბაშვილი, შალვა ბახტაძე — პირდაპირ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტიდან მივიდნენ ახალ თეატრში, ასე რომ, დამფუძნებელთა შორის ისინიც არიან, პირველი სიძნელეები, ჰაპანწვეტა, პირველი სიხარული მათაც განიცადეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შოთა ხაჭალიას, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის ამი-

რან ტაყიძის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის დავით დვალის, მსახიობთა ვიოლეტა პაქაშვილის, ალავედის, ნუგზარ ყურაშვილის, ნუგზარ ხიდურელის, მარინე ხარჩილავას, ნელი ბადალაშვილის, ირაკლი ალუღაურის, ჭემალ ბერიძის, კონცერტმასტერი ნანა ყურაშვილის, რეჟისორის თანაშემწეების მანანა კიკნაძისა და ვალერიან ნიკოლაიშვილის გვერდით. ამ დასში მიიღეს თეატრალური ნათლობა დამწყებმა (შტატგარეშე) მსახიობებმა ნუკრი ფაცურიამ, მერაბ ფაილოძემ და მეველუდ კუპატაძემ, რომლებიც მალე დასშიც ჩაირიცხნენ. დასის გამგეა ჭულიეტა შირინვა, თეატრის დირექტორ-განმკარგულბეული თეიმურაზ ხიდუშელი, დირექტორი თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის კულტურის იმ სახლისა, რომელმაც ახალი შენობის აგებამდე შეიკვალა თეატრი. შენობას, ცხელია, რეკონსტრუქცია დასჭირდა, რეკონსტრუქციას — დრო. მერე კი გაჩაღდა ნამდვილი თეატრალური ცხოვრება, რომლის ნაყოფიც ამ თეატრის ბედით დაინტერესებულნი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ ფარდის ოფიციალურ გახსნამდე იგემა.

ეს იყო შეხვედრა ვაჟა-ფშაველას გმირებთან, რასაც გადამწყვიტი მნიშვნელობა ჰქონდა ლერი პაქაშვილის მცნების გაცხადებისათვის. ვაჟას პოეტური სამყარო, მისი მსოფლმხედველობა, ჰუმანიზმი მას თავიდანვე იტაცებდა. გმირებიდან კი ალუღა ჰყავდა განზორჩეული. თანამედროვე დრამატურგიაშიც მსგავსი გმირის მოიხებელია. ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით შექმნილი კომპოზიცია „მთანი შალალნი“ ხელოვანმა სოხუმშიც დადგა, მაგრამ ახლანდელი დადგმა განმეორება როლია. თვით ინსცენირებაშია არსე-

ნა სპექტაკლიდან „მთანი შალალნი“



ბითა ცვლილება — ალუდა ქეთელაურში გრძელდება ზვიადურის ცხოვრება, ანუ მთავარი გმირი ალუდა ქეთელაურია (თავდაპირველად ასეც ერქვა ინსცენირებას). ესე იგი, ღერი პაქაშვილისათვის უმთავრესია კაი ყმის თემა!

თავდაპირველად ალუდასა და ზვიადურის გაიგივებამ პირადად მე დამაეჭვა, თუმცა ორთავ სახელოვანი ვაჟაკია, ორივე მამულის ღირსებას იცავს, პირნათელია ხალხის წინაშე, მაგრამ, ალუდა ხომ მაინც განსხვავებულია, უფრო გაბედულიც და ტრაგიკულიც: ძველი ადამიანის უარყოფა (მოკლული მტრის დანდობა, სანაქებო ვაჟაკისთვის მარჯვენის მოუჭრელობა) მას

თემთან დაპირისპირებს და მისივე მოკვების მიზეზად იქცევა — („ვთა ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა“). უმძიმეს წუთებშიც თავის სიტყვაზე დგას ალუდა (ა. ალაიძე):

რად უნდა ჰკლავდეს ურთიერთს  
ადამიანის შვილია.  
როცა ყოველი არსება  
ღვთისაგან გაჩენილია?

აი, კაი ყმის საფიქრალი და სატკივარი!.. სცენა ახალ სიცოცხლეს ანიჭებს ლიტერატურულ ქმნილებას, თავისებურად გარდაქმნის და წარმოაჩენს მას. ის, რაც პირველად საეპოქოდ მომეჩვენა ამ სპექტაკლში (განსაკუთრებით პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ფინალის გაწირვა) და საკვამათოც მეგონა, ხელახალი ნახ-

სცენა სპექტაკლიდან „მთანი მალანი“





სცენა სპექტაკლიდან „ურუ ღმერთები“. ნანო — ვ. პაქსაშვილი, სალირი — შ. ხაჯალია, ანგი — ამ. ტაყიძე.

ვის შემდეგ განელდა. თითქმის გაქარწყლდა. ვეცადე უცხო თვალთაც დამენახა ყოველივე და, მართლაც, ვინც არ იცის ეს ორი პოემა (ვგულისხმობ არაქართველ მაყურებელსაც), მისთვის ალუდაა და ზვიადაურის გაიგივება ბუნებრივი იქნება — ანუ ერთ მთლიან, მონოლითურ, უკომპრომისო და უანგარო გმირად წარმოუდგება. კომპოზიციურად კარგად შეკრული ეს სპექტაკლი ძარღვიანი და ნათელია. მსახიობები ლალად გრძნობენ თავს კლდის ფერდობისებურ დანადგარზე (მხატვარი ა. ჭელიძე), სადაც გაჩაღებულია ცეკვა-თამაში, მუსიკობა და კაფიობა. კომპოზიტორ ი. კეჭაყმაძის მუსიკაც მშვენივრად მიესადაგა ვაჟას პოეტურ სამყაროს, ხოლო სიმღერა — „რა გინდა ბედმა მიმტყუნოს“, — თეატრის ჰიმნადაც კი იქცა!

სპექტაკლის დინამიკურობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირველი ნაწილიდან მეორეზე უშუალო გადასვლამ, რაკი ზვიადაურის თავგადასავალი ალუდას ცხოვრების ნაწილი ხდება.

ალუდა — ალექო ალავიძე, ჯოყოლა — ნუგზარ ყურაშვილი, ხევისბერი — ნუგზარ ხიდურელი, მოხუცი — შოთა ხაჯალია, — სცენური სიმართლის გრძნობით არიან მომადლებული და ღრმა

შთაბეჭდილებებსაც ტოვებენ სიტყვა-პასუხით, მოქმედებით, არტისტული ტაქტითა და ქართულობით, რაც თვით სპექტაკლის სტილიდან, ანუ რეჟისორის ხელწერიდანაც გამომდინარეობს.

ვაჟასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საამო არის საცქერლად“ დიაცთა დასი, განსაკუთრებით კი ნელი ბადალაშვილის ლელა და ვიოლეტა პაქსაშვილის ალაზა, ორივე დიდი სიყვარულით წარმოგვიდგენს მთიელ ქალთა მომხიბვლელ სახეებს, ორივენი მხარს უმშვენებენ ვაჟაკებს. აქ ვაგისენებ ფიცხელ ვაჟთა შორის ცერებზე შემღვარ ლელას, ცეკვა-თამაშით, ღიმილით, თვალთა ნაპერწკლებით ცეცხლს რომ ანთებს სცენაზე.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი სტუმარ-მასპინძლობის სცენა (II ნაწილში), — ტაბლასთან მსხდომ ალუდასა და ჯოყოლას საუბრის დროს ბანზე ღრუბელივით რომ მოჯარდება შავნაბღიანი ქისტების ჯგუფი (მათ მტერი შეიცნეს ალუდაში). ამ ორპლანიან სცენაში ერთმანეთს ხელს არ უშლის დაბლა ალუდასა და ჯოყოლას პურ-მარილობა და მალა აბობოქრებული ქისტების დიალოგი, პირიქით, მოქმედება უფრო დაძაბება, რასაც მოჰყვება მუსას „შემოსწრება“, რათა დაზ-

ვეროს ჯოჲოლას სტუმარი. სამი მამაკაცა უფრო გამხიარულდება, სადღეგრძელოებს სიმღერაც მოჰყვება — „რა გინდა ბედმა მიმტყუნოს“ — „რა გინდა ბედმა მიმტყუნოს“ მიუმღერებს მათ მუსა — ამირან ტაკიძე და ხან ეროს შესცინებს, ხან მეორეს, — ავის მაუწყებელია ეს ცბიერი სიცილი. სიმღერას ალუდასა და ჯოჲოლას მძაღმფიცივის რიტუალი მოსდევს და მთელი ეს ეპიზოდი სამეულისა ბალადურ იერს იღებს.

ასევე ორიგინალური, ამადღებული და ვაჟაური ხასიათისა დასასრული — სამარის „ქარის გახსნა“. ალუდას, ალაზასა და ჯოჲოლას გაცოცხლება, მხრებით საფლავის ქვების აწევა, ერთმანეთთან გაბაასება და ქება ვაჟაკობისა, მძობისა, ერთმანეთის დანდობისა ანუ სულგრძელობისა („დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“). სიმბოლურია ცეცხლის დასანთებად ალაზასათვის თოფების მიწოდება, რაც ისევ და ისევ საყოველთაო მშვიდობისა და მძობის მეტაფორული გამოხატულებაა.

ასე განივრცო კაი ყმობის, მშვიდობიანობის თემა ლერი პაქსაშვილის სპექტაკლში „მთანი მადალი“. აქვე უნდა დავუმატოთ ფერწერული მეტაფორის ძალაც — სასაფლავს სცენაში თეთრი და შავი ნაბდების ალეგორია, რაც სიმბოლოა ბრალიანად და უბრალოდ დაღუპული ვაჟაკებისა. ფერის მეტაფორა ერთერთი ძირითადი ელემენტია ხოლმე ლერი პაქსაშვილის დადგმებში. საამისოდ „სისხლიანი ქორწილის“ გახსენებაც კმარა, — სადაც შავისა და წითლის მკვეთრი შეპირისპირება მთელი სპექტაკლის ლიტმოტივად იქცა — დაფერებულ დანადგარზე განფენილი შავ-წითელი პანო გმირთა ძნელი,



სცენა სპექტაკლიდან „ყრუ ღმერთები“

სისხლიანი გზის გამომხატველი იყო...

...ახალი თეატრის დაბადების დღედ 11 ნოემბერი ითვლება. ამ დღეს დასმა ვსევოლოდ ვიშნევსკის ცნობილი „ოპტიმისტური ტრაგედია“ წარმოადგინა (თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა). აქ ლერი პაქსაშვილს, — სპექტაკლის დამდგმელსა და, ამავე დროს, მუსიკალურ გამფორმებელს, — მხარში კვლავ მხატვარი აივენგო ქელიძე და ქორეოგრაფი ბექარ მონავარდისაშვილი (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი) ამოუდგნენ. სპექტაკლში დაკავებულია მთელი დასი და იგი გა-

დაწყვეტილია მეტად ორიგინალურად, ახლებურად — ნაცვლად წარსულიდან დაბრუნებული მეზღვაურებისა, თავდაპირველად სცენაზე ჩვენი თანამედროვე გოგონები გამოჩნდებიან, სცენა კი გემბანად ქცეულა, უკვე დაძველებულ და სამუზეუმო გემად. ამ გემზე მათ გამირული წარსულის ტრაგიკული განცდა დაეუფლებათ. და აი, ისევ დაღუპულ გამირთა გაცოცხლების მისტიკა! მისტიკა ამ სიტყვის კარგი, ჭანსალი, თეატრალური ცხოვრების გაგებით. ცოცხლებიან ვაინონენი — ა. ალაიძე, ჩოფურა — ჯ. ბერიძე, ალექსეი — ნ. ყურაშვილი, წინამძღოლი — დ. დვალისვილი, მეთაური — ა. ტაკიძე, ხრინწა — შ. ხაჯალია, ბოცმანი — ნ. ხიდურელი, მეზღვაურები და ოფიცრები — ვ. ციცილაშვილი, ნ. დუგლაძე, ნ. ფაცურია და ბალტიის ფლოტში პარტიის მიერ გაგზავნილი კომისარი ქალი — ვ. პაქსაშვილი. მეზღვაურთა შორის ამ შვენიერი, მტკიცე ნების ქალის მოულო-

დნელ გამოჩენას, მიუხედავად ბულ ცხოვრებას და ზვედრს უთვალთვალეს ქალთა ქორო (ნ. ბადალაშვილი, ირ. გაბუევა, მ. ტალიაშვილი, მ. ხარჩილავა, ლ. ქუთათელაძე), რომელიც ერთგვარად კომენტარსაც უკეთებს გამირთა მოქმედებას. სპექტაკლის ამგვარმა ფორმამ კიდევ უფრო გაუსვა ხაზი პიესის დრამატისმს, უფრო გაარომანტიულა რევოლუციური წარსული, წლები, როცა არადაპიანური წინააღმდეგობების დაძლევა უხდებოდათ იმისათვის, რათა ნათელი ცხოვრება დაემკვიდრებინათ მომავალი თაობებისათვის. და აი, თეატრში ზის შთამომავლობა, რომელიც დიდი ტრაგედის, თავგანწირვის მოწმე ხდება. გაბედული კომისარი ქალი ანარქისტ მეზღვაურთა პირისპირ! რომელთან უნდა გამოძებნოს საერთო ენა, რომელი უნდა მოტეხოს! დგას კომისარი ქალი ჩოფურას, წინამძღოლისა და ხრინწას წინაშე და არც დრკება, თუმცა, ყოველი მათგანი ბელადად

სცენა სპექტაკლიდან „ყრუ ღმერთები“



თვლის თავს და სიტყვით თუ საქმით ავ ზრახვებს ამქლავნებს. და მინც იპოვნის თანამგზრობით კომისარი ქალი, უპირველესად კი კომუნისტ ვინონენის სახით და რეჟისორმა განსაკუთრებული ღირებებით ააქდრა ვ. პაქსაშვილისა და ა. ალავეძის დუეტი — რომელშიც გამოავლინა გაუმხელელი გრძნობების სითბო და დრამატიზმი. კომისარი ქალი დიდი შინაგანი ძალისა და რწმენის წყალობით ახერხებს თავისი რთული მისიის აღსრულებას, — მისი მომხრეების რიცხვი იზრდება, თუმცა თავად გაბოროტებული წინამძღოლისა და ხრინწას მსხვერპლი ხდება. მეზღვაურთა მებრძოლი პოლკი მინც ჩამოყალიბდა და იგი ვადამწყვეტ ბრძოლაში მიდის — სევდა, პეროკა, რომანტიკა, ახლავს ამ საბედისწერო საბრძოლო სამზადისს და ის გმირული სული, ოპტიმიზმი, რაც ავტორმა სათაურწივე ჩააქსოვა.

ორივე სპექტაკლში მკვეთრად იგრძნობა ახალი თეატრის ხელწერა, თავისებური ხედვა, რთული სასცენო მოედნის თამამად ათვისების უნარი, ფრაზის პოეტური გააზრება, პლასტიკური წრთობა. — თუ მსახიობი ცერებზე ვერ დადგება, ჩემს თეატრში არ გამოდგებაო — ეს ლერი პაქსაშვილის სიტყვებია და ერთ-ერთი პრინციპი აქტიორის გამოზრდისა.

ასე დაიბადა თეატრი!

...თანამედროვეობის გარეშე თეატრი შორს ვერ წავა და, როგორც ვთქვით, ამაზე მთავარმა რეჟისორმა ადრევე იზრუნა, ადრევე მიმართა ჩვენს ცნობილ მწერალს ოტია იოსელიანს, რომელიც დიდი გულისყურით მოეკიდა საქმეს, რადგან მტკიცედ სწამს, რომ თეატრი დედაენის ციხე-სიმაგრეა, სიტყვის — ენის ზეიმი, რომ აქედან საქვეყნოდ ეღერს „ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი“ — რო-

გორც ამბობდა აკაკი წერეთელი. მწერალმა ხორცი შესახა თეატრის სურვილს, — შექმნილიყო პისა, რომელიც მთავარი გმირი იქნებოდა მუშა ხალხი. სცენაზე მართლაც შემოდიან მუშები გვარამი, საღირა, კახა, გურამი, ეუტუ, რომელთაც ანსახიერებენ. ხიდურელი, შ. ხაჯალია. (მათ ძველი მუშების სახეები შექმნეს), ი. ნიყრამე, ვ. ციცილაშვილი, მ. სეთურიძე. მათან ერთად არის ინიცირი ანგი — ა. ტაკიძე. შემოდიან, მაგრამ სცენაზე არც ქარხნის სამაქროა, არც დირექტორის კაბინეტი, სცენაზე ტაძარია! ამ ძველ და მოხატულ ტაძარში (მხატვარი ა. კელიძე) მათ დედაბერი დახედებათ (მზია ტაღლიაშვილი). ის, ვინც ყოველი ქვისა და ჩუქურთმის ფასი იცის და თვლის ჩინივით უფრთხილდება წინაპართა მიერ დატოვებულ საუნჯეს.

პიესაში არის კიდევ ერთი ქალი — ნანო, რომელსაც ვიოლეტა პაქსაშვილი ანსახიერებს. ნანო არქიტექტორია, ხელოვნებათმცოდნე და ამ ტაძრის აღმდგენელი. სწორედ მის აქ ყოფნაში ჩამოვიდა ამ ტაძრის აღსადგენად მამამისის ქარხნიდან (მამა კი ახალი დაღუპულია) ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ანგი (ა. ტაკიძე). მაგრამ საქმე არც ისე ადვილად წავა, როგორც ფიქრობდნენ. წამოიჭრება ზნეობის, პატიოსნების, შეუბღალავი სინდისის პრობლემა. ანუ საკითხი ასე დადგება: დიდი საქმე, საერთო საქმე შელახული სინდისითა და უსუფთაო ხელეობით ვერ აღსრულდება! ნუთუ ვინმე ბრალშია? ნუთუ რომელიმე მათგანი დამნაშავეა და ინიღბება? იწყება განსჯა, მსჯელობა. ზოგჯერ ბრალდებები. ბრალმდებელი კი ძირითადად ნანოა. ვიოლეტა პაქსაშვილმა შეძლო გადმოეცა დარდით შეძრული ახალგაზრდა ქალის გულისსტკივილი, მის აფორიაქებულ

სულში აღძრული ეპქები.  
რის გამოც იგი წინააღმდეგია  
რომელიმე მათგანმა ხელი შეა-  
ხოს ტაძრის წმინდა კედლებს,  
ვიდრე არ დარწმუნდება მათ სი-  
მართლესში. ეპქი კი მაშის სიკვ-  
დილთან არის დაკავშირებული,  
თავ საამქროში მომხდარი უბე-  
დური შემთხვევის შედეგია. აქ  
მორალური ბრალდებებია. — საქ-  
მისადმი მეტი გულისყურის, წინ-  
დახედულობის გამოჩენის, ერთ-  
მანეთის გაფრთხილებისა და  
ურთიერთსიყვარულის ქადაგებაა.  
პიესაში მოქმედებას მსჯელობა  
ჰარბობს, ამიტომ იგი რამდენად-  
მე რიტორიკული ხასიათისაა და  
ამანაც განაპირობა, ალბათ, სექ-  
ტაკლის მონოტონურობა. მაგრამ  
თავად ჩანაფიქრი დრამატული ნა-  
წარმოებისა და, ამდენად, სცენუ-  
რისაც, იშითაა საინტერესო, რომ  
აქ უნებლიე დანაშაულზეა კამა-  
თი, იურიდიული საბაბი აქ არ  
არსებობს, ამიტომაც გამოძიებე-  
ლი თავისი ტრაფარეტული საგა-  
მომძიებლო „სისტემით“ ირო-  
ნიზირებულადაც კი წარმოსახა  
დ. დვალისეილმა.

ასე რომ, აქ დღევანდელი კაი  
ყმის თემა წამოიჭრა! თუმცა, ეს  
თემა დიდი ხანია თან სდევს ლე-  
რი პაქსაშვილს. მას სურს დღე-  
ვანდელ დრამატურგიაში ჰპოვოს  
ვაჟასეული ალუდას ორეული!

რაკი ერთ დიდ ნატვრას და  
საერთო საქმეს თავი დაადგა, ალ-  
ბათ, წადილსაც აიხდენს, — მის  
გვერდით ხომ ქართული მწერლო-  
ბის გამოჩენილი ოსტატები ოტია  
იოსელიანი, ოთარ ჩხეიძე, რევაზ  
რანიშვილი დგანან. სხვებიც აუ-  
ბაჰენ მზარს და უნდა ვიფიქროთ,  
რომ თბილისის ახალ სახელმწი-  
ფო დრამატული თეატრის სცენა-  
ზე ხშირად შევხვდებით ჩვენი  
თანამედროვეობის ღირსეულ გმი-  
რებს, დღევანდელ ქეთელაურებს!

რაიონული და საქალაქო თეატრები  
რანსუბლიკის წამყვანი კოლექტივების  
დონეზე.

## ახალი

## მიჯნეზისაკენ

ვალენტინა დიკოვა

აფხაზეთის ს. ჰანბას სახელობის სახელ-  
მწიფო დრამატულ თეატრს ერთ-ერთი წამყ-  
ვანი ადგილი უჭირავს ჩვენი რესპუბლიკის  
თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

აფხაზეთი დრამატული თეატრის მხატვ-  
რულ პოზიციასა და შემოქმედებით კონცეპ-  
ციას განაპირობებს დაძაბული და მუყაითი



სცენა სპექტაკლიდან „ალორძინება“ სმელიანსკაია — ს. აგუმა, ავტორი — ა. ერმოლოვი

ყოველდღიური შრომა. ჩანაფიქრის მასშტაბურობა, სცენური ფანტაზიის დაუოკებელი სწრაფვა ამ შემოქმედებით კოლექტივს უბიძგებს სცენური გამომსახველობის საკუთარი ეროვნულ-თვითმყოფადი ფორმების კიდევ უფრო ინტენსიური ძიებისაკენ. ამით აიხსნება სწორედ რეპერტუარის დაფიქრებული, გულმოდგინე შერჩევა, მისი ღრმა სცენური გააზრება. თეატრი მუდამ ერთგული რჩება შემოქმედებელი, ინდივიდუალური მხატვრული კრიტიციუმი, რაც გამოირიცხავს მის შემოქმედებაში ერთდღიანი დადგმების შესაძლებლობას.

რჩება რა ეროვნული გამორულ-რომანტიკული და კომედიური თეატრის ტრადიციების ერთგული, აფხაზური თეატრი სულ უფრო აფართოებს თავისი ინტერესების სფეროს, ღრმად იკვლევს ადამიანის ფსიქიკას, მის სულიერ სამყაროს. ამოუწურავი, ყოვლისმომცველია თეატრისათვის ადამიანის — პიროვნების სულის შემეცნება, სურვილი — ესაუბროს მაყურებელს პიროვნებას საზოგადოებასთან ურთიერთობის სერიოზულ ასპექტებზე. ამ მიზნით მიმართავს როგორც კლასიკის ნიმუშებს, ისე თანამედროვე დრამატურგთა ნაწარმოებებს, ფილოსოფიურ გამოკვლევებს.

ადამიანზე ფიქრი, ადამიანზე ზრუნვა განაპირობებს თეატრის ძიებებს სხვადასხვა ენისა და სტილურ მანერაში. ამიტომ გასა-

გები ხდება, რატომ აირჩია თეატრმა სწორედ ის ნაწარმოებები, 50-წლიანი იუბილეს შემდეგ რომ უკვე გამოჩნდა თეატრის აფიშაზე, ანდა რომელზეც თეატრი ახლა მუშაობს. შ. ჭკადუას „თოჯინა“ და ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ე. სიმ-სიმის „შორეული შხის სხივები“ და მ. გორკის „უკანასკნელი“, ლ. ბრეჟენის „ალორძინება“ და შექსპირის „მაკბეტი“, ა. არგუნის „მთები ზღვას გადასცქერიან“ და ფ. დიურენმატის „მილიონერი ქალის ვიზიტი“ — აი, თეატრის დღევანდელი დღე, თავისი მღელვარებით, წარმატებებითა და მოულოდნელობებით.

როგორც ყოველი ეროვნული კოლექტივი, აფხაზური თეატრი თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ეროვნულ დრამატურგიას.

თანამედროვე აფხაზური დრამატურგია მჭიდროდ უკავშირდება ხალხის ცხოვრებას. იგი მოიცავს საზოგადოებრივი ყოფის საკმაოდ ფართო წრეს. გვიჩვენებს ცხოვრების გარდაქმნას ქალაქად და სოფლად, დაგვიანებს ადამიანთა ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებებს წარმოებასა და ყოფაში, თამამად აყენებს პოლიტიკურ, სოციალურ და მორალურ საკითხებს, ვგესაუბრება მოქალაქეობრივ მოვალეობაზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, ხალხთა მეგობრობაზე. აფხაზური დრამატურგია ქაბუჯობის ხანას განიცდის ადგილობრივი ლიტერატორები ყოველთვის



ვერ ართმევენ თავს ამ სირთულეებს, ყოველთვის ვერ სძლევენ „თეატრის სპეციფიკის“, „ცხოვრების ხედვას“ დაუფლების აულოფენებას. თავისი აზრების, გრძნობების გადმოსაცემად უფრო ხშირად მიმართავენ პროზის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. ამიტომ თეატრი ხშირად მეტ-ნაკლებად თანამედროვე დრამატურგიული მასალიდან თავად ჩამოქნის სცენურ ნაწარმოებს, ამასთან, იშვიათი სიფაქიზით ინახავს პირველწყაროს ფასეულ მარცვალს, რითაც ეხმარება ავტორებს, განამტკიცებს ლიტერატორებთან მეგობრობას.

ასეთი თანამეგობრობა, ურთიერთგაგება აკავშირებს თეატრს ადგილობრივ ავტორებთან: ბ. შინკუბასა და ნ. თარბასთან, შ. აჩინჯალთან და ა. აგრბასთან, ა. მუქბასთან და შ. ფაჩალიასთან, ა. არგუნთან და რ. ჯობუასთან.

ცნობილი აფხაზი მწერლის შ. ჭკადუას შემოქმედება, რომელთანაც თეატრს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს, გამსჭვალულია ღრმა მოქალაქეობრივი პათოსით. იგი აქტიურად ეხმარება თანამედროვე საზოგადოების ეთიკისა და მორალის მღელვარე საკითხებს, თეატრის მხატვრულ მსწრაფეობებს. მწერლის პოზიცია ყოველთვის ნათე-

ლია — იგი აქტიურად ერევა ცხოვრებისეულ საკითხებში, გმობს ზოგიერთ უფუძველვამოცილო ჩვევასა და წესს. სატირის მოშველიებით ამხელს უმეცრებას, ფარისევლობას, ძველის გადმონაშთის ყოველგვარ გამოვლინებას.

ყოველივე ეს და ოჯახის, ქორწინებისა და სიყვარულის დაუწერელი კანონების უკიდურესობა დაედო საფუძვლად შ. ჭკადუას ახალ პიესას „თოჯინა“. მას „ნაღვლიანი კომედია“ უწოდა თავად ავტორმა. თბრობის სიმბუნისა და სქემატურობის მიუხედავად პიესა ჩაგვაფიქრებს ადამიანთა ბედზე. თეატრის მთავარი რეჟისორი დ. კორტავა ამ სქემატურობაზე დაყრდნობით შეეცადა ფორმალურ-თეატრალური სიუჟეტის პიესისათვის მიენიჭებინა თეატრალურობა, ფილოსოფიურობაც კი ირონიასა და სარკაზმში შეზავებული. სპექტაკლის ასეთი გადაწყვეტა რეჟისორს უკარნახა, ჯერ ერთი, პიესაში დაყენებული პრობლემის სიმწვავემ და, მეორეც, წვრილთემიანობით გატაცების საშიშროებამ, რაც შეიძლებოდა გამოეწვია პიესის ზერელე წაკითხვას.

რეჟისურას ორგანულად შეერწყა პიესის ე. კოტლიაროვისეული მხატვრობა. მხატვარმა ზედმიწევნით რეალისტურად, უწვ-

სცენა სპექტაკლიდან „ალორძინება“



რილმანესი ყოფითი დეტალებით დაგვიატა: სცენაზე სოფლის ორსართულიანი ჯვართო, მყუდრო სახლი, სადაც მამაპაპურად დაბუდებულან მისი ბატონები. ამით ე. კოტილაროვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი სიტუაცია ჩვეულებრივია ჩვენს სოფლებში.

პიესაში მოთბობილია დედა-შვილის ამბავი. დედის ერთადერთი სანუკვარი ოცნებაა შვილის დაქორწინება. მაგრამ რაოდენ დამულეველია ხშირად მშობლების ჩარევა შვილების ბედ-იღბალში, მათ სულიერ სამყაროში. ოჯახური ბედნიერების პრინციპების გაუქვლმართების, უაზრო ეროვნული ცრურწმენებისადმი ბრმა მორჩილების, „მამებისა და შვილების“ სამარადისო პრობლემაა წამოჭრილი აფხაზური თეატრის ამ ახალ სპექტაკლში.

უსვამს რა ხაზს კონტრასტს შესაძლებელსა და ნამდვილს შორის, დამობის ღირსსა და წასახალისებელს შორის, რევისორი უფრო მკვეთრად გამოთქვამს პროტესტს ძველის გადმონაშთებისადმი.

რევისორის ჩანაფიქრს სწორად განაბორციელებს მსახიობთა ანსამბლი, რომლის ცოცხალ მოქმედებაზეც გადააქვს მას მხატვრული მამხილებლობის მთელი სიმძიმე. ყველა ერთად და თვითველი ცალ-ცალკე ინდივიდუალურია. სცენური სახეები, თითქოს შექმნილი ფსიქოლოგიზმისა და საციროკო კარიკატურის შერწყმის გზით. თავს არ გა-

ბეზრებენ, ისე გიწვევენ გულახდილობისკენ, ჩაგაფიქრებენ, ერთი წუთით, მაგრამ უშინდ მიგახედებენ უკან, განვლილი გზისკენ. საკუთარი ცხოვრებისკენ და, იქნებ, ეჭვსაც შეგატანინებენ საკუთარი პრინციპებისა და პოზიციების სისწორეში.

მართალია, თითქმის შეუძლებელია დაიჯერო კაფანსაირი მოსიყვარულე, დესპოტემოციურად და ფსიქოლოგიურად შეზღულული ქალის, დედის რეალურობა, ამისკენ არც სპექტაკლის ავტორები გვიბიძგებენ. კაფა, საქართველოსა და აფხაზეთის დამახტრებული არტისტის ს. აგუმასა შესრულებით გარკვეულ ვითარებაში დამაჯერებლობის ძალით აღჭურვილი პირობითი ტიპია. სცენური უშუალობისა და გამომსახველობის ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი ამ როლში გაოცებს აქტიორულ ფერთა უჩვეულობითა და სიახლით.

ს. აგუმა — კაფა აგრესიულია ჯერ პირველი რძლის — უსიტყვო, გულისხმიერი დამთმობი აღანას (ტ. ავიძბა) მიმართ, შემდეგ კი ამაყი და „უზომოდ“ ემანსიპირებული ტიტას (ი. კოლონია), ავრეთვე, მორცხვი სოფლის მასწავლებლის მიმოზას (ი. კაპარავა), მონჩუბარი ჟოზეფინას (მ. გერია) მიმართაც. საბოლოოდ თვითონ ხდება მათი თავდასხმების ობიექტი და სთხოვს შვილ მოიყვანოს ისევე ის ცოლი, „სადილებს რომ ხარშავდა“, მაგრამ ეს ნაბიჯი კაფას ხასიათის

სცენა სპექტაკლიდან „ალორძინება“



ევოლუციის შედეგი როდია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს რა დაკარგა ალანის სახით. ეს მხოლოდ მომდევნო რძლისგან თავდასაცავ სკლაა.

კაფას სახე მოკლებულია ყოველგვარ ადამიანურობას. ხანდახან გამოკრთება ხოლმე მასში უკიდურესი ეგოცენტრიზმი და სწორედ ამით და არა ქალური, დედური სიკეთით აიხსნება ის, რომ კაფა ბოლოს ეგუება უკანასკნელი რძლის მიერ თავსმოხვეულ „ყოვლად კმაყოფილი“ დედამთილის მდგობარობას. რა ქნას, ასეთია ცხოვრება — აი, ავლუა-კაფას რკინისებური ლოგიკა სპექტაკლის ბოლოს.

მისი ყველაზე ახლობელი მეზობელი ვუდინანიც კი (საქართველოს და აფხაზეთის სახ. არტ. მ. ფაჩალია) საბოლოოდ ამოიციბოს რა კაფას უსულგულობას, აღარ უთანაგრძნობს, მიიქტურად აფასებს საქმის ვითარებას.

სპექტაკლის ყველაზე მოულოდნელ, ცოტა უცნაურ პერსონაჟად გამოიყურება ბაჩა — ზ. ამქვაბი. მის პირველ გამოჩენას სცენაზე შეცდომაში შეყავს მაყურებელი და სპექტაკლის მონაწილენიც კი. სულელური ხითხითი, ოდნავ მამაკაცური, უხეში მოძრაობები. აკვიატებული აზრი, გათხოვდეს, რა-დაც არ უნდა დაუჯდეს, შემდეგ მოთაჯედო დამოკიდებულება „ახლადგამოცხვარ“ ქმართან და დედამთილთან... მაგრამ ეს ყველაფერი დასაწყისშია.

ფრთხილად, თანდათანობით ხსნის ზ. ამქვაბი თავისი გმირის ხასიათის მომზიბელებლობას. მოჩვენებითი გაუთლებლობის იქით ავლენს იგი ვაჟკაცობასა და ნებისყოფას, რწმენას იმისა, რომ მისი ქმარი ჭკვიანი, კეთილი და სხვათაგან გამორჩეულია. ბაჩას სახე სპექტაკლში სიკეთის სიმბოლოდ იქცევა იმათთვის, ვინც ერთხელ გამოსცადა სიმწარე ცხოვრებაში.

არდონბეიმ (აფხაზეთის დამს. არტ. ა. ტონია) კი მართლაც გამოსცადა სიმწარე, ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე, ვერ დაიკვა საკუთარი ბედნიერება „დედა — ძუ მეგლისაგან“ ტონიას არდონბეი პასიური, უმოქმედო არსებაა, თოჯინა. დედამისის მითითებებით ცხოვრობს, არ აქვს საკუთარი აზრი და ხმა. ამიტომ სავესებით კანონზომიერია, რომ მან ვერ გამოხაზა თავის თავში ძალა უხეში რუტინის წინააღმდეგ საბრძოლველად და დაეშვა ძირს, ღვინოს მიეძალა, ამით ცდილობს

საკუთარი უძლურების ჩახშობას. მოიხრება და აღწევს თავს ალკოჰოლიზმის სენს, ვინაშენ მოთ მისი ცხოვრების ოპტიმისტური მიმართულება? ამაზე პასუხს დრამატურგიული მასალა არ იძლევა.

აფხაზური თეატრი მუდამ ისწრაფვის სპექტაკლებში აღბეჭდოს თანამედროვეობის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რითაც ასე მდიდარია ჩვენი დღევანდელი ცხოვრება. სკკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით თეატრმა გადაწყვიტა თავის სცენაზე ეჩვენებინა ი: უდიდესი როლი, რასაც ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტია ასრულებს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში და ბუნებრივია, რომ თავისი არჩევანი ლ. ი. ბრეჟნევის წიგნზე „ალორძინება“ შეაჩერა.

„ალორძინება“ ღრმა პარტიულობით, გასაოცარი ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლით აღწერს ომის შემდგომი წლების გმირულ ყოველდღიურობას, როდესაც ხეთ-წლიანი ომით, შიმშილით, უძილობით მოქანი (ოლი საბჭოთა ხალხი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, არაადამიანური შემართებით აღადგენდა სახალხო მეურნეობას.

„ალორძინების“ დაბადებას ეროვნულ სცენაზე (ინსცენირება ეკუთვნის ცნობილ მწერალს ნ. შიროშინიენოს) მოუთმენლად ელოდნენ არა მარტო თეატრალური მოღვაწენი, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

აფხაზური თეატრის „ალორძინება“ საბჭოთა ხალხისა და პარტიის ჰიმნად, ჩვენი დღეების მრავალხმიან ორატორიად აღედრდა. მასშტაბურად, დამაჯერებლად წარმოსახა მან გამარჯვებული საბჭოთა ხალხის შრომითი მიღწევები.

უკრაინის სახალხო არტისტმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ტერენტიევმა აფხაზურ სცენაზე შექმნა უჩვეულოდ მაღალი დედური, ფილოსოფიური და პარტიულ-პოლიტიკური პორტენციის შემცველი ნაწარმოები. მაღალი ზნეობრიობის, ვაჟკაცობის და სტოიციზმის პრობლემები, სიკეთის, თავდადების, თავგანწირვის და კომუნისტური უკომპრომისობის იდეალები, ჰუმანიზმის პოზიციების, ინტერნაციონალიზმის ბრძნული პარტიულობის პრინციპების დამკვიდრება, რითაც ხასიათდება ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი, ახლებურად წარმოჩინდა

კონკრეტულ სცენურ ხასიათებსა და დრამატულ კოლიზიებში.

ვ. ტერენტევი პროფესიულად, მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილების ოსტატური გამოყენებით პოულობს სცენური წონასწორობის მრავალფეროვან წახნაგებს, რომელთა საშუალებით შთამბეჭდავი სცენური ერთ ამეტყველებს მოგონებების წიგნის პუბლიცისტიკას, დოკუმენტალიზმს, ქმნის მკვეთრ მხატვრულ სახეებს.

მაყურებელი სპექტაკლის, სცენაზე გათამაშებული მოვლენების უშუალო მონაწილეა. ხიდი (მხატვარი სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. კრივოშინი), გადებული ავანსცენიდან მაყურებელთა დარბაზის ცენტრში, სიმბოლურია, იგი, ასე ვთქვათ, აფართოება სცენის პერსპექტივას, და ამაიღ დროს ისახება იმ გზად, რომელიც დარბაზში მსხდომთ წარსულს აგონებს.

...როგორც კი შეწყდა ზარბაზნების გუგუნი, ხალხმა დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრების მშენებლობანი. პირველი მათგანი იყო „ზაპოროჟშენი“.

მაღალი ემოციური დატვირთვით გვიჩვენებს თეატრი თუ როგორ მინიმალურ ვადებში აღდგებოდა დანგრეული, განადგურებული. შთამბეჭდავია სპექტაკლში ეპიზოდი — მშენებლობაზე ჩამოვარდნილი ამწეს აღმართვა. კოლექტივიზმის რა მაღალი გრძნობა, სოლიდარობა ამოძრავებს ადამიანებს, როცა მექანიკის გარეშე ნახევარ საათში ასრულებენ ექვსი საათის სამუშაოს, მაყურებელს შეძრავს ნახევრადმთიერი ადამიანების შრომითი შემართება — გააკეთონ თითქმის შეუძლებელი. ეს სცენა იკითხება, როგორც სიმბოლური ასოციაცია მთელი ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი პერიოდის აღორძინებისა.

სპექტაკლში ბევრია საინტერესო, ძალზე თავისებურად აწყობილი მასობრივი სცენა, რომლებიც სპექტაკლს ეპიკური თხრობის ხასიათს ანიჭებენ და გამსჭვალული არიან დროის მაჟისცემით, ცხოვრებისეული სიმართლით.

ძნელია, თეატრალური კრიტიკის ერთაც კი ძნელია იმის ახსნა, თუ რა გზით მიღწია შემოქმედებითმა კოლექტივმა მრავალსახა ცოცხალი ბრბოდან, სცენას რომ ავსებს, წარმოეჩინა ინდივიდუალური სახეები, ინდივიდუალური ხასიათები.

ძნელია ყველა იმ საინტერესო სახის წამოთვლა, „აღორძინების“ სცენა რომ არის დასახლებული. ყველა, ეპიკურად მოთავარ როლს თამაშობს, ერთნაირად ძლიერია, სცენაზე ყველა ანსახიერებს ეპოპეას, სადაც არ არიან მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, არის მხოლოდ პარტია და ხალხი, და მათი ურღვევი ერთიანობა — დიდი, ნაყოფიერი და ქმედითი.

ამ ერთიანობის მიღწევა, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური როლის — ავტორის — შემსრულებლის დამსახურებაა. დიდი პარტიული და პოლიტიკური ხელმძღვანელი (აფხაზეთის დამს. არტ. ა. ერმოლოვი) უბრალო მთხრობელის როლში როდი გამოდის, ა. ერმოლოვი არამარტო ახედებს მაყურებელს წარსულში, იგი ჩააფიქრებს კიდევ მას დღევანდელ დღეზე, გონივრულად შეფასებინებს თანამედროვეობას. დღევანდელია ეს ხომ ომისშემდგომი აღორძინების ბუნებრივი გაგრძელებაა, აღორძინებისა, ასე ლამაზად, ასე შთამბეჭდავად რომ წარმოგვიდგინა თეატრმა სცენაზე. ა. ერმოლოვმა პირველ რიგში ჩაზო გაუსვა თავისი გმირის პირუთვნელ მასშტაბურობას, გვიჩვენა მნიშვნელოვანი, გამორჩეული ხასიათი. ერმოლოვის მიერ წარმოსახული გმირის ძალა მაყურებელთან სიახლოვესა და მის გამგებანიობაშია.

ბევრი ღირსება აქვს მთლიანად სპექტაკლ „აღორძინებას“ — იდეურ-ესთეტიკური მრავალბლანიანობა და დადგმის მწვევა პრობლემატურობა, ღრმა მოქალაქეობრივი პათოსი, მთელი რიგი თემატური და მხატვრული საკითხების აშკარა, საბძოლო აქტუალობა, თეატრმა სცენურად ამ მეტად საინტერესო ნაწარმოებში შეუცდომლად გაამახვილა საპირო აქცენტები, აგიტაციურობის გარკვეული კომპლექსიც კი გამოიყენა. და კოლექტივის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თავი აარიდა მშრალ პლაკატურობას და ილუსტრაციულობას. ამიტომ მივიღეთ ღრმად თანამედროვე, აქტუალური სპექტაკლი, რომელიც მაყურებელს ვრცელ მასალას აწვდის განსჯისთვის.

„აღორძინება“ ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელია არა მარტო მიმდინარე სეზონისა, არამედ მთლიანად თანამედროვე აფხაზეთური თეატრალური ხელოვნების ისტორიისა და ახალი დიდი გზის დასაწყისის მოასწავებს. ამ გზის მნიშვნელოვანი რგოლი, ეროვნუ-

ლი დრამატურგიის ათვისებასა და კემპარტი-  
ტად ხალხური, უაქტიურესი ელერადობის  
სცენური ნაწარმოებების შექმნასთან ერთად,  
აირის აგრეთვე კლასიკური მემკვიდრეობის  
ურიცხვი სიმდიდრის შინაარსიანი სცენური  
გაზრება. კლასიკის სცენური ინტერპრეტა-  
ციისას თეატრი გულმოდგინედ იცავს პირ-  
ველწყაროს და გამოიცხავს ყოველგვარ  
„გათანამედროვეობას“, კლასიკის ექსპერი-  
მენტულ წაყიბვას. თეატრი ცდილობს კლა-  
სიკური ნაწარმოების ახლებურ ელერადობას  
მიაღწიოს იმ ნაკლებად ცნობილი კუთხეების,  
წახანაგების წარმოჩენით, რომლებიც თანა-  
მედროვეობის სულიერ მოთხოვნებს პასუ-  
ხობს და რომლებიც კლასიკური ხელოვნების  
ნიმუშების მუდმივი სიჭაბუქის საიდუმლოე-  
ბას შეადგენს.

თუმცა კლასიკური ნაწარმოებისადმი ასეთი  
დამოკიდებულება სრულიადაც არ ნიშნავს  
დამდგმელების მიერ სცენური გამომსახვე-  
ლობის მეთოდებისა და აკადემიური  
ერთფეროვნების გამოყენებას. როგორც  
ყველა ცოცხალი და საინტერესოდ მოაზ-  
როვნე თეატრალური კოლექტივი, აფხა-  
ზური თეატრიც კლასიკის განხორციელები-  
სას აქტიურად ეძებს არაორდინარულ,  
შთამბეჭდავ სცენურ გადაწყვეტას, ავტო-  
რისეული აზრის სიღრმეებში წვდომის ხალ-  
მკვეთრ და გამომსახველ საშუალებებს.  
დაე, ეს ძიება ყოველთვის წარმატებას ნუ  
მოიტანს, მხედველობაში გვაქვს ერთი ბო-  
ლოდროინდელი ნამუშევარი თეატრისა, გრი-  
ბოედოვის „ვაი ქუქისაგან“ (რეჟისორი ვ.  
კოვე), სადაც გარეგნული ფორმითა და დაღ-  
ვლარკნილი სცენური ეფექტებით გატა-  
ყება:მ ჩრდილი მიაყენა ამ გენიალურ ნა-  
წარმოებს, მაგრამ ეს ძიება ყოველ-  
თვის წინსვლაა, შემოქმედების ინდივიდუა-  
ლობის გამოვლენა.

შემოქმედებითი ხელწერის თავისებურება,  
გამოკვეთილი აქტიორული ნამუშევრები,  
ცალკეული დადგმების მასშტაბურობა და  
მხატვრული დამაჯერებლობა უფლებას გვაძ-  
ლევს ვიმსჯელოთ აფხაზური თეატრის  
მსოფლშეგარკნების სიფართოვეზე. აფხაზურ  
თეატრს თავდაუზოგავი შრომით თავისი  
წვლილი შეაქვს მრავალეროვანი საბჭოთა  
ელტურის განვითარების საქმეში.

# ფერწერის ენაზე

ფარნაოზ ლაბიაშვილი

ბშრამ ქშთათელაქმ ჩემი მომდევნო  
თაობის მხატვარია, მაგრამ ცხოვრებისეული  
და შემოქმედებითი ხასიათის წუხილითა და  
სიხარულით ერთობ მახლობელი და გასაგე-  
ბი. მოგვწონდა მისი ნატურისათვის დამახასი-  
ათებელი შინაგანი დაუკმაყოფილებლობა  
და მხატვრული ძიების ვნებიანი ჟინი, რის  
გამოც მისი შემოქმედების ხვალისდელი  
დღე მრავალ მოულოდნელობასა და მხატვ-  
რულ მიგნებას გვპირდებოდა. ეს კი მას  
ჩვენს წრეში — აკადემიის პედაგოგ მხატვ-  
რებში მაღალ რეპუტაციას უქმნიდა.

როგორც კემპარტი კაცურ-კაცის სჩვევია,  
ის ვერ იტანდა უსამართლობას და გაუბო-  
და ყალბ სიტუაციებს. ჰქონდა ძალუმად გა-  
მოხატული სიმპატიები, ანტიპატიყბა: და  
მოჭარბებული ემოციების გამო ადვილად

კარგავდა წონასწორობას კამათსა თუ დავაში.

არასოდეს არ მინახავს იგი თვითმკაყოფილი ნებიერი კაცის პოზით. მხატვრის სახეზე გამოხატული თვითმკაყოფილება გონებრივი შეზღუდულობის ნიშნად მიაჩნდა, რის გამო უარყოფით რეაქციას ასეთი ადამიანის მიმართ უმალ ავლენდა.

მხატვრობაზე, კერძოდ ფერწერაზე, უზომოდ შეყვარებული, უდიდეს მოკრძალებას იჩენდა საკუთარი შემოქმედების მიმართ და თავისი თავისადმი მალალი მომთხოვნელობის გამო გამოფენაზე ძალიან ცოტა ნამუშევარი გამოჰქონდა, თანაც იშვიათად.

მისი პიროვნების ზნეობრივი-ფსიქიკური ხასიათის ეს ბრწყინვალე ნიშნები ბევრს ლაპარაკობს მხატვარზე.

ბევრი ვიცოდით და მისგან ბევრ კარგსაც ველოდით, მაგრამ პერსონალურმა გამოფენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... და რა გულდასწყვეტია, რომ ამ მალალი ესთეტიკური აზრის მატარებელი ნამუშევრების გამოფენა-გამომხურობაში მონაწილეობა არ მიიღეს ისეთი მალალი რეპუტაციის მქონე მხატვრებმა, როგორც მისი სიყრმის მეგობრები არიან, რომლებიც მტკიცე კონცეფციის მქონე ექსპოზიციით, ვფიქრობ, ღირსეულად წარმოსახავდნენ მის სურათებში მატერიალიზებული სულის განუმეორებელ კეთილშობილებას და ამისათვის არ დასჭირდებოდათ სხვა დამხმარე საილუსტრაციო მასალა, რადგან გურამ ქუთათელაძე იმ დონის მხატვარია, რომლის შესაცნობად მისი სხივანათელი სურათებია არსებითი და ამომწურავი, ფერწერის პროგრესული ტენდენციებით, ღრმად სპეციფიკური პრობლემეტიკითა და მხატვრული დირებულებით ჩვეულებრივ მასშტაბებს რომ აღემატება.


ფერის საკითხთან დაკავშირებით მხატვრები განიყოფებიან კოლორისტებად და არაკოლორისტებად. გურამ ქუთათელაძე ბრწყინვალე კოლორისტია. მის ნამუშევრებში იკითხება ფერით აზროვნების მწყობრი სისტემა, სადაც უღამაზეს ფენომენს — ფერს ეძლევა გაორკეცებული ფუნქცია და ფერის მაქსიმალური დატვირთვითა და პრინციპული აქტივიზაციით იძერწება სურათის გამომსახველობითი ეფექტიცა და მხატვრული მთლიანობაც.

სწორად ურევენ ცნება „გამას“ კოლორისტის ცნებაში, ჩემი აზრით: გამა ფერწერაში საშუალო და დაბალი რეგისტრის მქონე მონათესავე ტონების პასიური ჩანაცვლებით ერთი მთლიანის შესადგენად და არ მოითხოვს კოლორისტულ ნიქს; იგი კომპრომისული ხასიათის ხელოვნებაა. კოლორტი — დაპირისპირებული პლასტების დრამატული ერთიანობა, მრავალფეროვნების ერთიანობაა უპირატესად, ჭეშმარიტი ფერწერა და სუფთა ხელოვნებაა, რომელსაც ბრწყინვალე სუბიექტური მონაცემები სჭირდება. — სპეციფიკაში ფართო აზროვნების უნარი, სიღრმისეული და მახვილი, ყოვლისმომცველი ხედვა, ვნებიანი და ემოციური ნატურა და მდიდარი, ორგანიულად მორგებული ვირტუოზული ტექნიკა. ყველა ამას კი ადამიანის ერთი სიცოცხლე არ ყოფნის, ამის დადასტურებაა აწ გარდაცვლილი გურამ ქუთათელაძის ცხოვრება და შემოქმედება, რომელიც ნამდვილი მარტივობაა, — შემოქმედებისათვის და ფერწერისათვის რაინდული თავგანწირვაა. ასე ბოლომდე ფერს მიდევნებელი ხელზვანი იშვიათია ქვეყანაზე.

დავით კაკაბაძის ვაბეღული ძიებების შემდეგ არავის გაუშვებია ფერწერა დამხმარე კომპონენტებიდან და ტრადიციული ანტირაყიდან ისეთი ტაქტით, დამაჯერებლობითა და მხატვრული მიგნებებით, როგორც ეს მხატვარმა გურამ ქუთათელაძემ შეძლო.

თუ მხატვრობა საერთოდ აზრისა და განცდის, ფიქრებისა და ემოციების უშუალოდ მასალაში განსაკუთრებული გამოხატვის ღვთაებრივი უნარია, გურამ ქუთათელაძის შემოქმედება ფერში განკვეთილი სათქმელის სპეციფიკური განცდა და მისი ფერშივე ფიქსირება, ფერში წარმოჩენაა. მისთვის ფერწერა განცდის ხელოვნებაა უპირატესად: განცდა არა მარტო იმისა, რასაც ეხება, არამედ იმისიც, რითიც და როგორც ეხება. ამ ორი ფაქტორის განცდის ერთობლობა განაპირობებს ავსა და კარგს ფერწერაში საერთოდ და მხატვარ გურამ ქუთათელაძის შემოქმედებაში კერძოდ.

მხატვრობისა და, კერძოდ, ფერწერის გაგების ასეთმა ასპექტმა იხსნა მსოფლიო მხატვრობა ჯერ ადრე, იტალიური მანერიზმიდან — კარავაჯოს სკოლის გადაყვითლებული ინფექციიდან, პოლანდიური სკოლის მხოხავი ნატურალიზმიდან, შემდეგ ფრან-



კ. ქობულაძე



ՄԱՍԻՍԻ ԳՐԻՆ

ՄԱՍԻՍԻ ԳՐԻՆ



ՄԱՍԻՍԻ ԳՐԻՆ

პარიზის ქუთხე



მხატვრის სახელოსნოში




პეიზაჟი





ეროვნული

ბიბლიოთეკა



მედი სანტროლი





Յգոճոց



Կարմիր

Ներքին


ს ა ბ ე რ ა მ ა რ 2 0 0 0

ს ა ბ ე რ ა მ ა რ 2 0 0 0



3 2 0 4 2 0 0





მკვანის შემოღობვა

გული კლასიციზმის წამლეკავი ნიაღვრები-  
დან; ეს პოზიცია გვეფარავს დღესაც მოდერ-  
ნისტურ, მხატვრობის თავგასული უმეცრე-  
ბიდან და ავანტიურებიდან მხატვრობაში.

იყო დრო, როცა მხატვრობის მესვეურნი  
ვიწრო გაგებას იჩენდნენ მხატვრობის არსის  
და დანიშნულების გარკვევისას, უგულებელ-  
ყოფდნენ მხატვრობის სპეციფიკურ, პროგრე-  
სულ პრაბლემატიკას, ხელოვნურად ზღუდა-  
ვდნენ რეალიზმის არსის ფართო გაგებას და  
მხატვრობაში უზენაეს და ერთადერთ ესთე-  
ტიკურ კოორდინატად სინამდვილის პასიურ,  
ილუზიურ მოდელს აცხადებდნენ.

ჭეიმ-თ იფრებოდა ფოტოგრაფიული ყაი-  
ლის, ილუზიური მხატვრობის ბანალური  
ნიმუშები, ხოლო გამოკრედილი შემოქმედე-  
ლთი ინდივიდუალობის განმსახვრელი  
მხატვრული ძიებები ბოროტებად ცხადე-  
ბოდა. ეს იყო მაშინ, როცა ჩემი თაობა პრო-  
ფესიონალ მხატვრებად ყალიბდებოდა.

მდგომარეობა დღეს არსებითად შეიცვა-  
ლა. პირველ რიგში გაფართოვდა მხატვრის  
ხედვისა და აზროვნების ჰორიზონტი და წინ  
წამოიწია სპეციფიკის ემოციურმა განცდამ.  
ეს კი არსებითი რამ არის წინსვლისა და  
პროგრესისათვის მხატვრობაში. ამ ასპექტ-  
ში განიხილება მხატვარ გურამ ქუთათელა-  
ძის შემოქმედება, რომელიც დღეს ყველაზე  
მომგებიან და მომხიბლავ პოზიციაში გამო-  
იყურება ჩვენში, რადგან ერთობ პირდაპირ,  
უაღრესი პრინციპულობით, სუფთა ფერწე-  
რისათვის განკუთვნილი არქიტექტონიკური  
სიმარტივიდან და სისადავიდან მთელი სი-  
ხადით გველაპარაკება მხოლოდ და მხოლოდ  
ფერწერისათვის განკუთვნილი ენითა და  
სპეციფიკური სტილით.

თუ მთელი რიგი მხატვრების შემოქმედ-  
ებაში ფერი მინიმალურად არის დასაქმბუ-  
ლი ავტორის განცდისა და ნაფიქრალის გად-  
მოსაცემად და ფერწერის სხვა დამხმარე  
კომპონენტები განსაკუთრებით აქტიურობენ  
— მათი საშუალებით იქმნება სურათის გა-  
მომსახველობითი ეფექტი და შემოქმედები-  
თი პოტენცია ავტორისა საღებავებით ხატ-  
ვას ხმარდება, გურამ ქუთათელაძის შემოქ-  
მედებაში სურათის ემოციური მხარე გაზრ-  
დილია ფერის მაქსიმალური აქტივიზაციით  
და დაპირისპირებული პლასტიკების საშუა-  
ებით იძერწება ავტორის აზრისა და განცდის  
შინაგანი სტრუქტურა. ეს არის არსებითი

და მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი მისი შე-  
მოქმედებითი ინდივიდუალობისა, რომლის  
ბადალი ჩვენში ძნელად თუ მოეძებნება.  
მის შემოქმედებაში სურათის გამომსახვე-  
ლობითი მხარე უპირატესად ფერის ხარჯზე  
ყალიბდება. ამიტომ შემოქმედებითი პოტენ-  
ცია მხატვრისა მთლიანად ფერის ორგანიზა-  
ციას ხმარდება და მუშაობის პროცესი თავ-  
ვისებურად რთული, სპეციფიკური მეურნე-  
ობით და ტექნიკით არის გაპირობებული.  
რომელიც მხატვარს საშუალებას აძლევს  
გახსნილად, თავისუფლად და რიტმულად  
იშოქმედოს. ამ პროცესს აქვს თავისი ექს-  
პოზიციური ნაწილი — დაწყება, გართულე-  
ბა-განვითარება და კულმინაცია, ფრთხილ  
მოსინჯვას კონკრეტული მისამართებით წარ-  
მოებულად გასროლები, ენერგიული სვლების  
დინამიკა მოსდევს. და ეს ყველაფერი ძალი-  
ან ხშირად მიზანში ბედნიერი მოხვედრით  
გვირგვინდება. სურათზე მუშაობის პროცესი  
მისთვის მაღალი შემოქმედებითი აქტია,  
რომელიც ტილოზე გახსნილი სვლებით  
ფიქსირდება. აქ დაფარული და საიდუმლოე-  
ბით მოცული ტექნიკური პროცესები, რო-  
გორც ეს ადრინდელ პლასტიკურ სურათებ-  
ში გვხვდება, არ არის. თვით ტექნიკა მისთ-  
ვის უდიდესი ემოციური აქტი და შემოქმე-  
დების ორგანული ნაწილია.

აქ, ამ სურათებში რადიკალური ლაპარა-  
კა იმ მშვენიერებაზე, რომელიც მხოლოდ  
ფერწერისათვის არის მისაწვდომი, მხოლოდ  
ფერწერის სპეციფიკურ ენაზე შეიძლება  
ამტყვევლდეს და მხატვრობის ყველა სხვა  
დარგისათვის მიუწვდომელია.

ამ ნამუშევრების არსებითი ღირსება ისაა,  
რომ აქ ბოლომდე ხაზგასმულია ფერწე-  
რის, როგორც ენის, ფენომენალური განსა-  
კუთრებულობა მშვენიერების წარმოჩენაში,  
რითაც განსხვავდება და რითაც არა ჰგავს  
ფერწერა მხატვრობის სხვა დარგებს.

დაბოლოს, უზომო გულისტკივილსა და სი-  
ნანულს იწვევს ის, რომ ქუთათელაძეს არ  
დასცალდა უკეთესზე უკეთესი ნამუშევრე-  
ბის შექმნა, ქართული ფერწერის ეროვნული  
საგანძურის კიდევ უფრო გამდიდრება.

# ტრადიციისა და არქიტექტურის

გია დავითაშვილი, დემურ ელოშვილი

ტრადიციისა და არქიტექტურის ურთიერთკავშირის საკითხი რამდენიმე კუთხით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: არქიტექტურის, როგორც ხელოვნების დარგის, შემოქმედებითი მოღვაწეობის როლი ტრადიციის დამკვიდრებასა და აღმოფხვრაში, ე. ი. არქიტექტურის მიერ შექმნილი ხელოვნური, „არტიფიკტული“ გარემოს როლი ადამიანის აღზრდისა და ფორმირების პროცესში; თვით არქიტექტორთა შემოქმედებითი ტრადიციები, პროექტირების ხერხებსა და მეთოდებში რომელიც ვლინდება; ხალხური არქიტექტურული ტრადიცია, დამყარებული ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებაზე; ტრადიცია საკულტო ხუროთმოძღვრების შენებისა, რომელმაც ჩვენში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და მრავალი სხვა.

ურთიერთდაკავშირებული ყველა ეს საკითხი საყურადღებოა, მაგრამ დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია არქიტექტურული გარემოსა და ადამიანის დამოკიდებულება, მისი შემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები ყოფაში, ცხოვრების წესში, ქცევებში, ურთიერთობებში.

ყოველ ეპოქას ჰქონდა თავისი, შედარებით გამოკვეთილი ტრადიციები, მაგრამ არსებობს ტრადიციები, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოდის. არის ქვეყნები, სადაც ტრადიციებს დღესაც დიდი ძალა გააჩნიათ, რაც, შესაძლებელია, ნაწილობრივ კიდევაც ამუხრუჭებდეს ზოგიერთი ყოფითი პროცესის განსაღად წარმართვას (რელიგიური წარმოდგენები, ჩვეულებები და სხვ.), ჩვენში კი, როგორც ყოველი ზედნაშენური მოვლენა, მანანდსახულ ხასიათს უნდა ატარებდეს. ე. ი. მეცნიერული კვლევის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს გარკვეული საზოგადოებრივი აზრი.

შეიძლება თუ არა არქიტექტურამ შეასრულოს ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანი როლი? შეიძლება, რაკი არქიტექტურა საერთოდ დაკავშირებულია ადამიანის ფორმირების პროცესთან.

## არქიტექტურაც აღზრდის საშუალებბა!

არქიტექტურა, როგორც ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა ორგანიზების საშუალება, თავის მხრივ ქმნის და აყალიბებს

ამ მოთხოვნილებებს და ამით იჯრუშუალოდ ერთვის ადამიანის აღზრდის, ფორმირების პროცესს. ე. ი. არქიტექტურა არ არის მხოლოდ შენობის გარეგანი, ფორმალური მორთულობა და მხოლოდ ამით გამოწვეული ემოციები.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დიდი ცვლილებები გამოიწვია ადამიანის ცხოვრებაში. მანქანურმა წარმოებამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე არქიტექტურის ფორმაწარმოქმნის პრინციპებს, ჩამოყალიბებულნი ესთეტიკური დასეულობანი შეიცვალა ახალი ფასეულობებით.

ინდუსტრიული მოთხოვნებით განპირობებულ ნაგებობათა და სამრეწველო ნაკეთობათა კონსტრუქციების ტიპიზაცია, უნიფიკაცია, სტანდარტიზაცია იწვევს თუ არა ადამიანთა სულიერ გაღარიბებას?

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე არქიტექტურას შეეღახა ავტორიტეტი. უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს მოხდა ტიპიური პროექტებით განხორციელებული უსახო დასახლებათა მშენებლობის გამო.

თავისთავად ცხადია, რომ ნებისმიერი მატერიალური გარემო, ავად თუ კარგად, მაინც ზემოქმედებს ადამიანთა ფორმირების პროცესზე. არქიტექტურა ხომ ხელოვნების დარგია და მასაც, ცხადია, აქვს აღმზრდელითი ფუნქცია, რაც მუდამ თან ახლდა განვითარების ყოველ საფეხურზე.

რა ხერხებით და საშუალებებით მოქმედებს არქიტექტურა ადამიანზე, მის ქცევაზე, მოქმედებებზე?

ქანდაკების მსგავსად, ქსუროთმოდგრებას აქვს გამოსახველობითი ზეგავლენის უნარი, იგი სივრცის ორგანიზაციის საშუალებ-

ბაა, არქიტექტურული ფორმა ინფორმაციის მატარებელია, იგი ერთგვარი სიმბოლაა, ნიშანია. ეს ერთი მხარეა, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება არქიტექტურის როლი.

დღეს არქიტექტურულ პრაქტიკაში არსებულ შეცდომებს სპეციალისტები ასეთნაირად ხსნიან: „არქიტექტურა—მიზანია, მშენებლობა—საშუალებაა. ჩვენ იბულებული ვართ მიზანი დავექვემდებაროთ საშუალებას“. აქ იგულისხმება ჯერ კიდევ არსებული ორგანიზაციული წინააღმდეგობანი არქიტექტორსა და მშენებელს შორის. ამ აზრს თითქმის მთელი საზოგადოება იზიარებს. ვავალრმავოთ ეს აზრი და დროებით დავეშვათ, რომ არქიტექტურაც და მშენებლობაც საშუალებაა, მთავარი, საბოლოო მიზანი კი ადამიანთა ურთიერთობებია, მაშინ არქიტექტურის სოციალური ფუნქცია შემდგომში უნდა მდგომარეობდეს: შეძლებს თუ ვერ შეძლებს იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ურთიერთობათა სისტემის მოწესრიგებას? ეს უნდა იყოს და რეალურად არის კიდევ **არქიტექტურული შემოქმედების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი.**

რა ურთიერთობათა სისტემა იგულისხმება ამ შემთხვევაში? მხედველობაში გვაქვს ფუნქციონალური პროცესი თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური და, რაც მთავარია, ესთეტიკური ასპექტებით. ყოველივე ეს ხშირად მშრალი მექანიკური მოძრაობის გრაფიკამდეა დაყვანილი, ადამიანის ფსიქოლოგია კი საერთოდაა იგნორირებული. ტრადიცია კი, როგორც აღინიშნა, ყოფაცქვეის ნორმები, შეხედულებებია, რომლებიც გამოიკვეთება, ვლინდება ადა-



ტრადიციული ხალხური საცხოვრებელი

მიანთა ქვევებში, მოქმედებებში, კონკრეტულ არქიტექტურულ გარემოში.

მაგალითად, თუ ვაპროექტებთ საბანკეტო დარბაზს საცხოვრებელ სახლში, საქორწილო თუ სამკლოვიარო თავშეყრისათვის, იგი უნდა იყოს წინასწარი სოციო-ფსიქოლოგიური კვლევის შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას მოულოდნელი და არასასურველი მომენტები. თუ სწორად ვაგეგმარებთ ლუდის დემონსტრირების დარბაზს, იგი არ უნდა გადაიქცეს ღრეობისა და ანტიანიტარის ბუდედ. ალბათ, ამასაც ესპირობა მეცნიერული მიდგომა.

ჩვენს არქიტექტურულ პრაქტიკაში დამკვიდრებულია გარკვეული ტრადიციები, რაც გამოიხატება არქიტექტურული სწავლების მეთოდებში, პროექტირების ორგანიზაციის ფორმებში, პროექტის განხორციელების პროცესში, ქალაქგეგმარების საკითხებში და, საბოლოო ჯამში, ფორმალური

პრინციპებში, რომლებიც ხშირად უკვე აღარ აკმაყოფილებენ დღევანდელი დღის მოთხოვნებს და მოითხოვენ ახლებურ მიდგომას.

საბჭოთა არქიტექტურაში ზემეტობებზე უარის თქმა გამოწვეული იყო არა მარტო ეკონომიური მიზეზებით, არამედ მთავარი ის არის, რომ მან დაგმო ძველი მიდგომა და დაადგა ახალ გზას, რომელიც ეყრდნობა ფორმალური მისი თანამედროვე, ჯანსაღ პრინციპებს. მეორე საკითხია თუ როგორ გამოვლინდა ყოველივე ეს ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევაში.

დღეს ხომ არქიტექტურის მრავალი კარგი ნიმუშები გავაჩნია, რომლებსაც საფუძვლად ზემოთქმული პრინციპები უდევს. მაგალითისათვის გამოდგება ბალტიისპირეთისა და უკანასკნელი პერიოდის მოსკოვის ნაგებობანი და სხვა.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე არქიტექტურა დღეს მაინც ვერ პოულობს მხარდაჭერას, ვინაიდან



ოციანი წლების ქართული ქალაქური არქიტექტურა

საზოგადოებას უჭირს ძველ ესთეტიკასთან გამოთხოვება, ახალი ესთეტიკური კრიტერიუმები კი ჭერვერ არის დამკვიდრებული. ამ ესთეტიკას საფუძვლად უდევს ინდუსტრიული, მასობრივი და, თუ გნებავთ, ტიპურიც.

ჩემი ავტორი ირეი გოჩარი წერდა, რომ არავის მოუვა აზრად მისცეს რჩევა ქიორუგს თუ როგორ ჩაატაროს რთული ოპერაცია, ან ფიზიკოსს ბირთვულ რეაქციაში, არქიტექტორს კი ყველა აწვდის თავის აზრს.

მართლაც, პროფესიაში, რომელიც უხსოვარი დროიდან მოდის, ყველას სურს და აუცილებლად მოაჩინა მიიღოს მონაწილეობა. ხშირად ობიექტული აცალკევებს ორ მომენტს, გეგმარების საკითხებს თვითონ წყვეტს, ხოლო არქიტექტორს შეიძლება მიმართოს კონსულტაციისათვის მხოლოდ გარეგანი, ფორმალური მხარეების დასახუტებლად. ვთქვათ, როგორი უნდა იყოს ფასადი ან ინტერიერში კედლების ფერი თუ გადაწყვე-

ტა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ობიექტელის როლში გვევლინება არა ცალკეული პიროვნება, არამედ რომელიმე ორგანიზაციის „კომპეტენტური“ ხელმძღვანელობა, რომელიც აქტიური ჩარევით, თითქმის დასრულებული სახით იძლევა ამა თუ იმ არქიტექტურული გარემოს გეგმარებითი გადაწყვეტის რეცეპტს.

### ბრადიციული ხალხური საცხოვრებელი

ხალხური შემოქმედებისადმი და, განსაკუთრებით, ზუროთმოძღვრებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება. ჩვენი საცხოვრებლების ნიმუშები გამოირჩევა მრავალფეროვნებით და ბუნებასთან მჭიდრო კავშირით, ფუნქციური მიზანშეწონილობით და გააზრებული კონსტრუქციული გადაწყვეტით, ფორმათა სისადავით და კომპოზიციური მთლიანობით. ხალხურ საცხოვრებელში მქლავნდება მასალის თავისებურებათა ცოდნა და სწორი შერჩევა, სამეურნეო თუ

ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა გათვალისწინება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ამ რაციონალურ, ხალხურ ფორმებში უნდა იყოს ჩასახული თანამედროვე მხატვრული კონსტრუირების (დიზაინის) პრინციპები.

ასეთი საცხოვრებლის ინტერიერში არ არსებობდა პარადული, გამოუყენებელი საგნები, ყოველ ნივთს ან უტილიტარული, ზოგიერთ შემთხვევაში კი სემიოტიკური მნიშვნელობა გააჩნდა. საცხოვრებელი ფართი რაციონალურად იყო გამოყენებული. მთელ რიგ რევიონებში გვაქვს ნიმუშები ჩაშენებული ავეჯია, ზოგჯერ კი სივრცის ტრანსფორმაციისაც.

ხალხურმა ტრადიციებმა დიდი როლი ითამაშა საცხოვრებელთა სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში. ყველა გარეშე ფაქტორთან ერთად, ტრადიციულმა მიდგომამ ფორმარმოქმნისადმი განაპირობა ქართული ხალხური ბუროთმოძღვრების მკაფიო თვითმყოფალობა.

ცალკეულ კუთხეებში იხვეწებოდა ოპტიმალური ვარიანტი საცხოვრებლისა, რომელიც შემდეგ მეორდებოდა. განსხვავება იყო პარამეტრებში და არა პრინციპულ სქემებში. ყოველივე ეს სრულდებოდა რელიეფისა და კონკრეტული პირობების შესაბამისად.

ტიპიური ნაგებობებია — ქართლის დარბაზი და ოდა, სევანური ქოხი და კალოიანი სახლი. ეს შედეგია ხალხური ტრადიციებისა, რომლებიც ემპირიულად გამოიკვეთა მშენებლობის ტრადიციულ ხერხებსა და საშუალებებში. ამ შემთხვევაში ტიპიურობა არაერთვის არ იყო შემაწუხებელი, რადგანაც ნაგებობებში გასაოცარი სიზუსტით იყო ასახული ის სოციალური პროცესი, რომელიც იქ მიმდინარეობდა. ურთიერთობათა ჩამოყალიბებული სისტემა, შესა-



საცხოვრებელი სახლის დღევანდელი არქიტექტურული ტრადიცია

ბამისი მეურნეობრივი თავისებურებებით, კარნახობდა ამა თუ იმ ფორმას.

ხარვეზები თანამედროვე არქიტექტურაში არ შეიძლება მხოლოდ ტიპიურ დაგვემარებას დაბრალდეს, ალბათ, საქმე მაინც ფორმარმოქმნის ხარისხში და ყველა საჭირო ფაქტორის გათვალისწინებაშია, რაც ელინდება ფორმისა და სოციალური პროცესის შესაბამისობაში.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე მოხდა ტრადიციული ხალხური საცხოვრებლის დაშლა-გადაკეთება და გაჩნდა სრულიად ახალი, ჩვენ-



თვის უცხო და ჩვენი ესთეტიკური კრიტერიუმებისათვის მიუღებელი სახლები, რომელთა მშენებლობა დღეს მასობრივ ხასიათს ატარებს. მთელს საქართველოს მოედო ორსართულიანი ქვითკირის ტიპური სახლები, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, გარდამავალ ზოლში და, ზოგიერთ შემთხვევაში, მთაშიც. ამ საცხოვრებელში სათაესებს, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნიათ დანიშნულება, ან თუ აქვთ, მათ შორის ფუნქციური კავშირი გაურკვეველია, შესაბამისად არც მისი პროპორციები ახარებს თვალს. საცხოვრებელს უკეთდება ყალბი დეკორი, რომე-

ლსაც არა აქვს არავითარი კავშირი შენობის სტრუქტურასთან. უარყენულში სამწუხაროდ, ჩვენში არსებობს ისეთი სახლები, სადაც მხოლოდ პირველი სართული ფუნქციონირებს. ზედა სართული კი ძვირფასი ნივთებისა და ავეჯის დემონსტრირების ადგილს წარმოადგენს. ყოველივე ეს აქცევს სახლს ერთგვარი პრესტიჟულობისა და სოციალური ძლიერების გამომხატველ სიმბოლოდ.

საცხოვრებელი, რომელშიაც გეგმარების ანბანური საკითხებიც კი არ არის გადაწყვეტილი, ხოლო ყოველივე ტრადიციული დაიწყებულია, ხელს უწყობს კერძო-მეცხოვეთული ტენდენციების განვითარებას, საგნების ფეტიშიზმს, რაც თავისთავად ამუხრუჭებს ახალგაზრდა თაობის ფორმირებას და პარმონიულ განვითარებას. ისევ და ისევ გვიხდება არქიტექტურული გარემოს აღმზრდლობით ფუნქციებზე ლაპარაკი. ზემოთხსენებული სახლების მშენებლობამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მიიღო სწორედ იმ პერიოდში, რომელიც ხასიათდებოდა რესპუბლიკაში სოციალისტური ყოფაცხოვრების ნორმების დარღვევით. თავისთავად ცხადია, რომ ეს მანე ფესვებზე, მანე „ტრადიციებზე“ აღმოცენებული არქიტექტურაა. ტერმინი ტრადიცია შესაძლებელია მიუღებელიც იყოს ამ შემთხვევაში, ვინაიდან ფუფუნების დაგროვების ტრადიცია არასოდეს ყოფილა ჩვენში.

დღეს ხალხურ არქიტექტურულ ტრადიციებში უნდა ვიგულისხმოთ არა ფორმების ბრმა კოპირება, რომელიც ტრადიციული მასალისა თუ დეკორის გამოყენებაში ვლინდება ხოლმე, არამედ იმ ძირითადი, მთავარი პრინციპების ერთგულება, რომლებიც საფუძვლად ედო ჩვენი ადამიანის ცხოვრების წესს და, აქედან გამომდინ-

ნი წლების არქიტექტურული ტრადიცია



ნარე, საცხოვრებლის გეგმარებით სტრუქტურასაც.

### ტრადიციული პროექტირება, მასობრივი საცხოვრებელი და დიზაინი

თუ დღეს ჩვენ ვაპირებთ თანამედროვე ტიპურ საცხოვრებელს, ეს იმას ნიშნავს, რომ იკავს სრულად ვერ ასახავს მიმდინარე სოციალურ პროცესს. არავინ არ იწუნებს კარგ, ახალ, ტიპურ, მასობრივ ავტომობილს, ან ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მოხმარების რიგ საგნებს. უნდა ვიგულისხმობთ, რომ მასობრივი საცხოვრებელი ყველაზე ცუდი ავტომობილის დონეზეც არ დგას.

აქ ძალაუფლებურად ხდება ტრადიციული არქიტექტურისა და დიზაინის საკითხების ურთიერთშეხება.

არქიტექტორი ისევე, როგორც მისი წინაპარი შუა საუკუნეებიდან, ინტუიციით ავეგმარებს. მას სურს შექმნას მუდმივი, სტაციონარული მატერიალური გარემო, რომელიც გაუძლებს საუკუნეებს; სურს ხუროთმოძღვრებაში გამოხატოს თავისი ინდივიდუალობა, ყოველგვარ საშუალებას იყენებს, რათა დადგას „ძეგლი“.

დიზაინერს არა აქვს პრეტენზია მუდმივი მატერიალური გარემოს შენარჩუნებაზე და არც „ძეგლის“ დადგმა სურს. იგი ცდილობს შექმნას მეცნიერულად დასაბუთებული, თანამედროვე ეპოქის შესაბამისი მატერიალური გარემო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტორისაგან განსხვავებით დიზაინერი უკვე სწავლის პროცესში ეუფლება მეცნიერული კვლევის მეთოდებს. ე. ი. ისეთ დისციპლინებს, რომლებიც სრულიად არ აწყენდა არქიტექტორსაც. მაგალითად, პროპედევტაეკური კურსები არქიტექტორისა და კომმინატორიკაში, სიანიერო ფსიქოლოგია და სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძვლები.

სამწუხაროდ, დღეს არქიტექტურა და დიზაინი მიდიან სრულიად დამოუკიდებელი გზებით. რომელთაც შეხების წერტილებიც კი სრულიად შემთხვევითი აქვთ. მაგალითად, თუ არქიტექტორები ავეგმარებენ საცხოვრებელ ბინებს, მათ არა აქვთ წარმოდგენა იმ ნაკეთობებსა და ავეჯზე, რომელითაც უნდა შეივსოს ეს გარემო. ის დიზაინერი კი, რომელიც ქმნის საგნებს, აგრეთვე არ არის სრულად ინფორმირებული იმ გარემოზე, თუ სად უნდა განთავსდეს ესა თუ ის საგანი. ამდენად, კომპლექსური პროექტირება იდეის დონეზეც კი ვერ ხორციელდება, მაშინ, როდესაც საექსპლოატაციო სისტემების დიზაინი უკვე რეალობაა.

თვით დიზაინის საფუძველი არქიტექტორებმა ჩაუყარეს. იმ არქიტექტორებმა, რომლებიც თანამედროვე არქიტექტურის პიონერებად ითვლებიან: პეტერ ბერენსი, ადოლფ ლოსი, ვალტერ გრი-პიუსი და სხვები. დღესაც ძირითადი ბირთვი თანამედროვე დიზაინერებისა პროფესიით არქიტექტორები არიან.

მასობრივი საცხოვრებელი თანდათანობით ექცევა დიზაინის სფეროში და მას უკვე ვეღარ დავაქსრებთ ძეგლის ფუნქციას. ამდენად, გარემოს პროექტირებისადმი არქიტექტორისა და დიზაინერის დამოკიდებულება საგანგებო ყურადღებასა და კვლევას მოითხოვს.

### ტრადიციული დიზაინი და ანტიდიზაინი

არქიტექტურული გარემო მთელი საგნობრივ-ნაკეთობრივი კომპლექსით, რომელიც უშუალოდ დიზაინერის მოღვაწეობის სფეროა, შემოქმედს აქისრებს გაიზაროს ყოველივე ეს, პირველ რიგში, აღმზრდელობითი თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა

მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ადამიანმა თავისი „მე“, თავისი ინდივიდუალობა გამობატოს არა სხვადასხვა სახის ქონების დაგროვებით, არამედ შემოქმედებითა მოღვაწეობის პროცესში, ჯანსაღ ურთიერთობებში. სწორედ ასეთი იყო ღიზანერთა მოსკოვის X საერთაშორისო კონგრესის გენერალური ხაზი.

დღეს ყალბი, ფალსიფიკირებული ნივთების წარმოებამ დასავლეთში დიდი მასშტაბები მიიღო. ძველი ფორმების იმიტაციამ ახალ მასალებში მასობრივი ხასიათი შეიძინა. ამ პროცესმა ჩვენშიაც იჩინა თავი უფრო დამახინჯებული ფორმით და საკომისიო მალაზიები იქცა აშკარა ფალსიფიკაციების გამოფენებად. გემოვნებას მოკლევადილი და ზოგჯერ შეცდომაში შეყვანილი ხალხი იძენს კუსტარულა წესით ახლად დამზადებულ ჭაღსა თუ სარკეს და ასეთი ნივთებით ქმნის თავის მიკრო-სამყაროს. ეხელს უწყობს ე. წ. „კიჩ-კულტურის“ დამკვიდრებას. ამან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ახალგაზრდა თაობაზე.


ზოგჯერ კარგი ნაკეთობების ნაკლებობის გამოც ჩნდება ზემოთქმული ფარული „ანტიდიზაინის“ ინდუსტრია, რომელსაც ზიანი მოაქვს აგრეთვე ჩვენი სოციალისტური ეკონომიკისათვის.

თვით საგნებს კი ძველ „სტილში“ აკეთებენ, რათა გაადვილდეს შემოქმედებითი პროცესი, დაიფაროს ფორმაწარმოქმნის ნაკლოვანებები. „წარსულის კოპირება — წერდა ლე კორბუზიე — ნიჰნავს თავი მოიტყუო, სიცრუე გადააქციო პრინციპად, ვინაიდან მუშაობის იმდროინდელი პირობები არ შეიძლება იყოს აღდგენილი, თანამედროვე ტექნიკის დაკავშირება დრომოკმულ იდეალთან მხოლოდ წარსული ცხოვრების უაზრო მიმბაძველობამდე მიგვიყვანს“.



გარემოს პლანინჯაციის ახალი საშუალება

საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერის დიზაინერული გადაწყვეტა



საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერი



## „ბარემოს“ ჰუმანიზაციის ორი გზა

შეუძლია თუ არა კონკრეტულ არქიტექტურულ გარემოს სწორად წარმართოს ადამიანთა ქცევები, მოქმედებები? შეუძლია, თუ ამ გარემოში ადამიანთა ურთიერთობების ყველა მომენტი გათვალისწინებული და დაპროექტებულია. აქ წინასაპროექტო სოციოლოგიურ გამოკვლევას ვადამწვავეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მხედველობაშია პროექტი-პროგრამა, რომელსაც სოციოლოგი ვერ შეასრულებს, ვინაიდან მან არ იცის საპროექტო მუშაობის სპეციფიკა. ეს არც არქიტექტორს შეუძლია, რადგანაც არ ფლობს სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს.

დღეს, როდესაც ლაპარაკია არქიტექტურული გარემოს ზემოქმედებაზე, იბრძობადად მხედველობაში აქვთ მისი გარეგანი გამომსახველობა, რომელსაც ცდილობენ მიაღწიონ გაფორმებით, დეკორით, „ხელოვნების სინთეზით“. ეს „სინთეზი“, რომელიც დღეს იქცა ბუნდოვან მცნებად, სერიოზულ თეორიულ ანალიზს მოითხოვს.

არქიტექტურასთან დაკავშირებული შინაარსიანი კომპოზიციები აღზრდის მძლავრ საშუალებად მიგვაჩნია. მეორეს მხრივ, ამ ბოლო დროს მომრავლდა შედარებით განუზოგადებული, დეკორატიული მოტივები, რომლებსაც ზოგიერთი ავტორი „გარემოს ჰუმანიზაციას“ უწოდებს. უდავოდ, ეს მხარე არქიტექტურაში მუდამ გარკვეულ როლს თამაშობდა. ჯერ კიდევ ვიტრუვიუსს დეკორის არსებობა შენობაზე აუცილებელ პირობად მიაჩნდა. დღესაც იგი გარკვეულ როლს ასრულებს „თეატრალიზებული“ არქიტექტურული გარემოს შექმნაში. მაგრამ ყოველი გარემო ხომ არ შეიძლება იყოს თეატრალიზებული.

მიჩნეულია, რომ დღეს არქიტექტურას მონუმენტურ ხელოვნე-

ბასთან კავშირით, გაფორმებით ენიჭება აღმზრდელი ფუნქცია.

თვით არქიტექტურული ფორმის ინფორმაციულობა, მისი განხილვა, როგორც რალაც სისტემის ნიშნისა, ჩვენში არ ყოფილა კვლევის საგანი. ბოლო დროს დაიწყო არქიტექტურულ-გამომსახველობითი ენისა და მისი სემანტიკის შესწავლა. ამ მხრივ, როგორც არქიტექტურული ფორმა, ასევე დეკორი, გარკვეულ როლს თამაშობს ნიშნისა სისტემაში, მაგრამ დეკორი სრულიად ახალი მნიშვნელობისაა. ახალ გამომსახველობით საშუალებებს დეკორი თვისობრივად ახალ საფეხურზე აპყავს, მას გააჩნია კონკრეტული მიზანდასახელობა, რომელიც აგრეთვე მეცნიერული დაკვირვების შედეგი ხდება. ამით იგი თავისთავად ექცევა გრაფიკული დიზაინის სფეროში.

არქიტექტურული ფორმა ქმნის გარკვეულ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც შემდგომში კვლავ მოქმედებს ფორმაზე. ე. ი. **ფუნქციონარულ გეგმარებითი სტრუქტურა, რომელიც ადამიანს მიუთითებს თუ როგორ იმოქმედოს გარემოში, იყო და არის განმსაზღვრელი აღზრდისა და ფორმირების პროცესში**, ისევე როგორც საგანი არა მარტო მზერის, არამედ ძირითადად მოხმარების პროცესში ზრდის ადამიანს.

მრავალი არქიტექტურული პრობლემიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო ტრადიციებთან, ჩვენ შევხვებთ მხოლოდ რამდენიმეს. მიდგომა ამ საკითხებისადმი, შესაძლოა, პოლემიკური იყოს, მაგრამ ყოველივე ამაზე საჭიროდ მიგვაჩნია შეიქმნას უფრო ჩამოყალიბებული აზრი, რაც შეუწყობს ხელს ჩვენი არქიტექტურის წინსვლასა და მისი თეორიული საფუძვლების გაღრმავებას.

# საბჭოთა მუსიკის ჰუმანური პათოსი\*

გივი ორჯონიკიძე

ბამონსბზის პათოსი მხოლოდ სურვილზე არ დაიყვანება. ჰუმანისტური პათოსი თვით მუსიკალური მასალის თავისებურებებს, მუსიკალური აზროვნების პრინციპებს და ტექნოლოგიას ეურდნობა. ჩვენ დროის პათოსის გადმოცემა შეუძლებელია მოცარტის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ხერხებით. ჩვენ რომ საწინააღმდეგო დაგვეშვა სუბიექტივიზმისა და ანტიისტორიზმის ტუვეთაში აღმოჩნდებოდათ და მუსიკალური აზრის მოძრაობის რეალურ მიზეზებს ვერ დავადგენდით. მას მხოლოდ სუბიექტურ ტენდენციებს მივაწერდით. სინამდვილეში კი მოძრაობას მიზეზი ადამიანზე შეხედულების გამოცვლა (ან ამ შეხედულების გაღრმავება), ახალი იდეური წინამძღვრება, ახალი ტექნოლოგია და ახალი სტილისტური მიმართულებანი კატეგორიულად არ წყვეტენ კავშირს წარსულთან, არსებითად ანახლებენ მას, რაც მისაღებია. ამრიგად, სიახლეში რეტროსპექტული მომენტები შემოდის.

საინტერესო ისაა, რომ რეტროსპექტული შეიძლება იყოს არა მარტო ტექნოლოგია, არამედ იდეო-შინაარსობრივი მხარეც. საზოგადოდ, ახალი ტექნოლოგია არ იძლევა შინაარსობრივ-იდეური გადახალისების გარანტიას. შეიძლება მუსიკის გადახალისება გარეგნულად მოხდეს და არ შეეხოს მის არსებას, შინაარსულ მხარეებს. ჩვენშიც უოფილა შემთხვევები, როცა კომპოზიტორი ტექნოლოგიური თვალსაზრისით საგრძობლად განახლებულა, შინაარსობრივად კი ნაკლებად შეცვლილა. ასეთ შემთხვევებში შესამჩნევია მელოდიური ტიპებისა და ჰარმონიის გართულება, საორკესტრო ოსტატობის ზრდა, სტრუქტურული განახლება, მასალის დამუშავების ხერხების გათანამედროვეება, მიუხედავად ამისა, გადახალისებ მანც ზედპირული ხასიათისაა, რადგან შინაარსობრივად უველაფერი თავის ადგილას რჩება. ნამდვილ განახლებას იძლევა მხოლოდ იდეო-შინაარსობრივი გადახალისება, რაც, უპირველეს ყოვლისა, ინტონაციურ გამომსახველობაში უნდა ვლინდებოდეს. განახლება, პირველ რიგში, კომპოზიტორის ინდივიდუალური წვლილია, რომელიც ტრადიციულსა და თანამედროვეს შორის ტოლობის ნიშანს არღვევს. განახლება „საა, რაც თვით კომპოზიტორისგან მომდინარეობს.“

ამიტომაც მუსიკის ჰუმანისტური პათოსისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომპოზიტორის შთაგონებასა და გამოგონებლობას. დიახ, გამოგონებლობას თავისი განუმეორებელი გზით სვლითა და ახალი ბგერადი ფორმების გამოგონების უნარს, ურთმლისოდაც არ არსებობს ახალი მუსიკა. დიახ, გარკვეული თვალსაზრისით მუსიკა უჩვეულოდ უნდა ელერდეს, უნდა შეიცავდეს მოულოდნელს. რ. ლალიძე მუშაობდა უველაზე მასობრივ ეანრში — სიმღერის ეანრში, რომელიც გამოირჩევა თავისი ფორმებისა და გამომსახველობითი ხერხების განსაკუთრებული მდგრადობით. სტერეოტიპი ისე შეარად არსად არ მეფობს (და მისი დამღვევა ისე ძნელი არსად არაა), როგორც სიმღერაში. მაგრამ ქემარტი ტალანტის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამ პირობებშიაც გამოახსივებს, თითქოს და „გაულისსმევ“ ფორმაში ისეთ ნაპერწყალს შემოიტანს, რომელიც მას სრულიად ახალ ელერაობას შესძენს. რ. ლალიძის სიმღერებს აი ეს განსაკუთრებულობა ახასიათებს და ეს არის მათი პოპულარობისა და მათი უყვადების საწინდარი. ს. ცინცაძემ თავისი საკვარტეტო მინიატურებისათვის უველასათვის კარგად ენობილი ხალხური სიმღერები შეარჩია, რაც თითქოს ართულებდა „ახლის ქნალობას“, მაგრამ სიახლე გამოქვანდა მათ კოლორირებასა და სრულიად ახლებურ ტემბრალურ გადაწყვეტაში. ესეც გამოგონებლობაა. ესეც სრულიად ახალი ნიმუშის შექმნაა, ესეც კულტურის ნამატია.

სიახლე გარკვეული თვალსაზრისით ექსპერიმენტია, რომლის წარმატება სათუა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ექსპერიმენტები (თანაც წარმატებული) გვაქვია. ახალი მუსიკა უხვად იწერება (საზოგადოდ ჩვენი დრო — ქარბი მუსიკის ხანაა). ექსპერიმენტებს ისიც მიმართავს, ვინც ტრადიციულად აზროვნებს. სამუხარო ისაა, რომ გარკვეული თვალსაზრისით დავარგეთ უნარი ახალზე ვიმსკელოთ არა ვიწრო — სპეციალური კუთხიდან, არამედ უფრო ფართო თვალსაზრისით — მთლიან კულტურული ვითარების გათვალისწინებით. ჰუმანისტური პათოსის ღირებულების დასადგენად კი მზედევლობაში მისაღებია საერთო-კულტურული კონტექსტი.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თვით სიახლე — რთული, დიალექტიკური ხასიათის კატეგორიაა. იგი არა მარტო შენაძენია, არამედ რაღაცის დათმობაცაა.

გაგრძელდება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 2, 3, 1982 წ.



სხე იყო ბახისა და მუსორგისკის ეპოქაში, იგივე კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე ჩვენს დროშიც. ღირებულება სიახლედკა და რალკის უარყოფაც. განახლებაცაა და გაუქმებაც. იგი გადამწვევდა ცვილილებას გულსხმობს, ე. ი. წინ აღუდგება არსებულ ღირებულებებს. რეიტრატულმა ოპერამ თავის დროს გასწა ახალი პორიონტები, მაგრამ გულახდილად რამ ითქვა, მისი თვითდაშვიდრება მოხდა ე. წ. კანტილენური ოპერის ხარჯზე. ოპერაში სიმფონიური საწყისის გაძლიერებამ გარკვეული თვალსაზრისით ზღინი მიაყენა წმინდა ვოკალურ საწყისს. საერთო კულტურულ პროცესში შესაძლებელია მონაპოვართა და დანაგრავთა შეფარდება. დღეს გულუბრყვილობა იქნებოდა საკითხი დაგვეცა შიონბერგის კომპოზიტორის შესახებ, საკვეთ არც მისი წვლილია თანამედროვე მუსიკალურ კულტურაში. მაგრამ არა მარტო შიონბერგის, არამედ სხვათა შემთხვევაშიც გასაანალიზებელია კომპოზიტორის რეალური წვლილის მასშტაბები და ხასიათი, შესასწავლია, თუ რის ხარჯზე განზორციელდა მისი ნოვატორობა. უნდა განვსაზღვროთ მის მიერ დაწერაგლი სიახლეების აბსოლუტური ღირებულება.

დღის წესრიგიდან ხელოვნების ღირებულების საკითხის მოხსნა მაშინაც დაუშვებელია, როდესაც საქმე ეხება არაზღაწრდა კომპოზიტორების შემოქმედებას. ნაწარმოების შესრულება არა მარტო მხატვრული, არამედ სოციალური მნიშვნელობის ფაქტია, იგი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოკლენაა და საზოგადოება არ დასთმობს მუსიკის განსჯის, მისი ღირებულება განსაზღვრის უფლებას. სულ სხვა საქმა, რომ იგი ვერ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას, რადგან ღირებულებათა გადაფასება განვითარების ცოცხალი პროცესის კანონია. ამიტომაც არ უნდა გვაკვირდეს, რომ ოდესღაც კრიტიკას და საზოგადოებასაც ძალიან დღივ ენთუზიაში გამოუჩენიათ ისეთი მუსიკის მიმართ, რომელიც დღეს არსებიათად აღარ არსებობს, აღარავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ჩვენ არ უნდა გავაკიცხოთ ისინი, ვინც თავის დროზე კარგად ვერ გარკვეულა ნაწარმოებთა რეალურ ღირსებებში. უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივი აღქმა დინამიკური პროცესია. იცვლება ჩვენი წარმოდგენები კარგისა და ცუდის შესახებ, კულტურის პირველი ნაბიჯები დღეს შეიძლება სათუოდ მივიჩნიოთ თუკი მათ მივუდგებით დღევანდელი საზოგადობით.

შეორე უკიდურესობაა, როდესაც ცდილობენ მისი გაღაწიწიკის, რამაც თავისი დრო მოჰამა. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ისტორიის კანონებისა და საზოგადოებრივი ესთეტიკური გემოვნების დინამიკის გაუთვალისწინებლობასთან, დაიბ, ხელოვნურად უკეთაღიერი შეიძლება მოხდეს: უსუსური ნაწარმოების ფირი ეთერში გავუშვათ, უინტერესო სცენური ნაწარმოები თეატრის დავუბრუნოთ, საკონცერტო ესტრადაზე ის ავაფლეროთ, რაც აღარ იმსახურებს ამ მაღალ პატივს. რა თქმა უნდა, უკეთა ეს ცდა ფუჭია, რადგან არანამდვილი განწირულია, იგი მივიწყებაში იმიტომ შთანთქ, რომ „განუშვებლობა“ არ გააჩნდა.

მუსიკის ჰუმანიზმი გულსხმობს კომპოზიტორის მიერ სინამდვილის კონკრეტული ნიშან-თვისებების, ადამიანის განუშვებელი ბედ-იბლის აღბეჭდვას.

თემის კონკრეტულობა კომპოზიტორის სტილის თვისებებების ხაშიდლო გარანტია. ამ შემთხვევაში კონკრეტორისადმი ერთგულება გააპართლებს მუსიკის ხერხის არჩევანს, თუნდაც იგი — როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე — ულტრათანამედროვე, მკეთერი და უჩვეულო იყოს. საქმე ისაა, რომ კონკრეტულობა რეალისტური განსოგადებისა და მხატვრული სანების საუვევლობის საწინდარია.

კონკრეტულობისადმი მისწრაფება, მისი მიღწევის უნარი განაპობებს ნებისმიერი ტექნოლოგიური ხერხისა და პრინციპის ინდივიდუალობას. ტექნოლოგიას რომ არ გააჩნდეს თავისი ინდივიდუალობა, ორგინალური სახეობანი, მაშინ საქმე გვაქნებოდა სტანდარტიზირებულ მოდელთან, რომლის შინაარსობრივი „მუხტი“ აღარავითარ ინტერესს არ გამოიწვევდა.

როდესაც ჩვენ შევიმეცნებთ გამომსახველობითი ხერხების ბუნებასა და მხატვრულ ღირებულებებს, მაშინ ამ სფეროზეც უნდა გავავრცელოთ ჰუმანიზმის აღბეჭდვის ზეგირთი საერთო პირობა. თუ ჰუმანიზმი არ არსებობს კონკრეტულ-ინდივიდუალურის გარეშე, მაშინ არ არსებობს ტექნოლოგიურიც თავისი ინდივიდუალური ხასის გარეშე.

XX საუკუნის მუსიკალური ხელოვნების განვითარება გამოირჩევა გამომსახველობითი ხერხების არჩევანის გამდიდრების უჩვეულო მასშტაბით. გამდიდრება განაპობებს მრავალჯერო ფაქტორი: გერეთი, მუსიკალური კულტურის ინტენსიური წრდა (საგულსხმობა ამ პროცესის თვით რაოდენობრივი მზარცე — ამჟამად, სამაგრ, ოთხგერ მეტი კომპოზიტორი მოღვაწეობს ვიდრე ამ 40-50 წლის წინ). საერთო საკაცობრიო გამოცდილებას უერთდება ადრე დაბშული, განვითარების მავისტრალურ ხაზს მოწყვეტილი რეგიონების ტრადიციები. კომუნიკაციების სრულყოფამ ხელი შეუწყო მუსიკალური კულტურის გავრცელებას. დიდმა კლვიციმა საშუალოდა დაგვიბრუნეს ადრეულ საუკუნეთა მუსიკალური საუნეკები, რომლებიც სდუმდნენ საუკუნების მანძილზე. მუსიკალურ-საგანმანათლებლო სკლების გაფართობის, საკონცერტო დონისმიებების მომარაგებისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო თანამედროვე მუსიკალური ინტელექტი უნივერსალური ხდება.

ყოველივე ეს მუსიკალური კულტურის თანამედროვე მღვდმარების დადებითი მზარეობა, მაგრამ ამ პროცესებს თავისი უარყოფითი მომენტებიც ახლავს. ეს გახლავთ უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სულ უფრო მზარდი ტენდენცია. ამ თვალათევიტ მუსიკალური შემოქმედება სულ უფრო მეტად ემსგავსება წარმოებას. ესა თუ ის მძლავრ მოქმედი საშუალება, რომელიც რაიმე კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელადაა გამოყენებული, წარმატების შემთხვევაში ავილიად იქცევა საერთო საკუთრებად, რადგან ის, რაც აღმოჩენილია და რაც მუსიკოსებს საინტერესო შედეგებს უქადის, განსაკუთრებულ მიზმიდელობას იძენს. ამ შემთხვევაში ძნელია ცთუნებას დალილი და წარმატებულ ხერხს თვალის აარიდო. ახლა დააკვირდეთ: ის, რაც „განსაკუთრებულის“ ფორმა იყო, ხშირი რეპროდუცირების პირობებში სტერეოტიპის ხასიათს იძენს. ცხადია, „განსაკუთრებული“, უპირველეს ყოვლისა, მოაზროვნე და სიახლეებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე მუსიკო-



სების უკრადლებას იპყრობს. მაგრამ დროთა განმავლობაში (ჩვენს ეპოქაში კი დრო გაცილებით სწრაფად გარბის, ვიდრე ოდესმე) „ხერხს“ სხვებიც უკებენ გემოს. და აი, მისი რეპროდუცირების შემთხვევები მატულობს, რაც არსებული „ასორტიმენტისადმი“ არაკრიტიკული დამოკიდებულებიდან და დაბალი კულტურის შედეგია. ბევრნი, ამ „სასუფარო“ ხერხს ეტანებიან მხოლოდ მისი პრესტიჟის გამო და თავს არ იწყებენ იმაზე ფიქრით, რომ სესხებასა და გამოკრებას არაფერი აქვს საერთო მხატვრობასთან. ხერხს თავისი აშკარა და „ფარული“ შესაძლებლობა აქვს. ამის არკოდნის შედეგად თვით უკლავზე თანამედროვე და მკვეთრი ხერხიც შესაძლებელია უსუსური ამოჩნდეს და არასასურველი შედეგებიც კი გამოიღოს.

ჩვენს დროში, მაგალითად, აღორძინდა ოსტინატოს პრინციპი, როგორც „ნერვული დამაბულობის“; აკვიტებული აზრის, ავტომატიზმის, გამომთავსებელი ზედაწოდების, ან რაიმე იდეის კონცენტრირებული გამოხატვის მძლავრი საშუალება. ამ მნიშვნელობით ოსტინატოს ხერხს წარმატებით იყენებენ სტრავენსკი, ბერგი, შოსტაკოვიჩი, პროკოფიევი, ბარტოკი. მაგრამ, როდესაც ოსტინატოს ხერხს შესაბამისი ფსიქოლოგიური მოტივების გარეშე იყენებენ, როგორც ჩვეულებრივ დამოუკიდებელ შემოქმედებს, როგორც თემატიკის უფრო გაუმრავლებული განვითარების ხერხს, მაშინ იგი სტერეოტიპია.

ასეთივე ბედი ეწია ტოკატურობის მომძალადებებს, მორატორი სენივით რომ ვაგრძელებ დასავლურებით პროკოფიევის ხელოვნების ზედაკენის წყალობით უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ლაშრავალი კომპოზიტორის შემოქმედებიდან გააძევა უანრული საწყისის რიტმული მრავალფეროვნება და სახასიათოს თავისთავადობა. კომპოზიტორები განურჩევლად იმისა, არსებობს თუ არა ამის მხატვრული აუცილებლობა, მიმართავენ ამ სწრაფვით რიტმულ პულსაციას, რის გამო მათი ნაწარმოებების შესაბამისი ფორცლები ტუპებს ემსგავსებიან. მსგავსი მაგალითების მოტანა შეიძლება ქართული მუსიკიდანაც, სადაც დიდია ტოკატური მუსიკის ზედრთი წონა იმ ეპოქაში, რომლებშიც ადრე ეანრულ-სახასიათო საწყისი დამკვიდრდებოდა.

იგივე ოთქის კლასტიკურზეც, რომლებიც ბგერათა ვიწრო განლაგების გამო ვერძალი ლაქის შთაბეჭდილებას სტოვებენ, რადგან მათში აღარ გამოიკვეთება არც შელოდიური და არც პარამონიული საწყისი კლასტერი ბგერების თავისებური მტკნარა და, ცხადია, მას გააჩნია თავისი გამომსახველობა, რომლითაც მარჯვედ სარგებლობენ ტემბრალური დრამატურგის ადლითი დაჭიდდობებული კომპოზიტორები. მაგრამ, როდესაც კლასტერი საერთო ადვანსის ხასიათს იძენს, როდესაც იგი აკორდების მაგივრობას სწევს ისეთ ქსოვილში, სადაც პარამონიული ფუნქციის მქონე ვერტიკალი უფრო შესაფერისი იქნებოდა, ვიდრე წინასწარგანზრახვითი ბგერადი ლაქები, მაშინ იგი უბრალოდ მოდისადმი ვალის მოხდა და თანაც იმის გაუთვალისწინებლობაა, რომ შეუთავსებადი ელემენტები მუსიკალურ ქსოვილს ხლებენ და მას გამომსახველობას აკარგვიენენ. სულწა-

სული „ნოვატორები“ ისეთ უცნაურ სიმბოლსაც არ ერიდებიან, როგორცაა თორმეტონიანი ბგერადი რაიი (ნასახთები შინაბგერის სისტემიდან) და სხვა ხური ელემენტების შერწყმა. ცხადია, ორივე კომპონენტი უბრალოდ მხვედრალია მოდისგან არ ჩამორჩნის სურველობა.

ზემოჩამოთვლილი „ნეგატიური“ ნიმუშები იმის დამადასტურებელია, რომ ტექნოლოგიური სისტემის გაუზრებელი, თვითმიზნური და ბრმა გამოყენება უპირისპირდება და თრგუნავს კიდევ კომპოზიტორის ინდივიდუალობას. ტექნოლოგია ამ შემთხვევაში ხელწერის უნიფიცირების მიწვევა. ნასესხები ტექნოლოგია, მისი ახლებურად გააზრების გარეშე, ჰუმანური პათოსის გამოხატვისათვის ცუდი მოკავშირეა. მას აღარ შეხვედრს უნარი „მხატვრის განსაკუთრებული ხედვა“ აღბეჭდოს. „განსაკუთრებული ხედვა“ კი აუცილებელი პირობაა ადამიანის დანახვისა, მისი განუმეორებლობის, მისი განსაკუთრებული ღირებულების გამოხატავად. ამიტომ ჩვენ მომზრენი ვართ არა მარტო ტექნოლოგიური პროცესისა, არამედ ტექნოლოგიური კონცეფციების ორიგინალობის, იდეურ-შინაარსობრივი იმპულსებისადმი მათი შესატყვისობისა.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იქ, სადაც საქმე ადამიანობის გამოხატვას ეხება, პრობლემის გადაწყვეტის უნარი აქვს იმ მუსიკას, რომელშიც ადამიანი უპირველეს ყოვლისა თვალსაჩინოდ მონაწილეობს თავისი დამახასიათებელი ინტონაციით და იმ ბგერადი ფორმებით, რომლებიც ასახავენ მის წარმოდგენებს სიმეტრიის, სრულყოფისა და დინამიკის, აზრის უწყვეტობისა და ა. შ. შესახებ. მუსიკალური ხელოვნება იკნობს სხვადასხვა რანგის მრავალ ნოვატორს, რომლებიც ბგერად მატერიას, მის ენას და ფორმებს ცვლიდნენ. მაგრამ ისტორიულ დისტანციას აშკარა ხდება, რომ მუსიკალური ხელოვნების უველა სახეცვლილებაში ურყევი რჩება ინტონაციური შინაარსის, სიმეტრიისა და კილოური წყობის, დაილექტიკური განვითარებისა და სტრუქტურების სახრულოების პრინციპები. ხოლო ამ თვისებების საერთო რეზულტატია მუსიკის ემოციური სისასვე, რომელშიც სინამდვილესთან მისი კავშირი და ადამიანის მიერ ცხოვრებისეული მოვლენების შეფასება შედევანდება. სწორედ ეს თავისებურებები ქმნიან მუსიკის ჰუმანისტური ხასიათის საძირკვეს.

მუსიკის განვითარების ყოველი ეტაპი წარმოქმნის პრობლემებს, რომლებიც შეეხება მის შინაარსსა და საზოგადოებაში მის ფუნქციონირებას. თვით მუსიკის დამოუკიდებლობა ამის შინაარსისა და ფორმების, ბგერადი მასალის ორგანიზაციისა და მუსიკალური ენის სპეციფიკურობის მიუხედავად — საკმაოდ პირობითია, რადგან მასზე საზოგადოებრივი ცხოვრება განუწყვეტლივ ახდენს გავლენას. საზოგადოებრივი „ფენომენი“ იჭრება მუსიკის სპეციფიკურ, მე ვიტყვოდი, მისი გამომსახველობის ინტიმურ სფეროებში და აქ რეალური ცხოვრების სუნთქვა შემოაქვს. არც ჩვენი საუკუნეა გამოწველის, პირაქით, იგი უფრო მეტს მოელის მუსიკისგან, უფრო მეტად მისწრაფვის დაუმორჩილოს მუსიკა თავის წინააღმდეგობრივ მისწრაფებებს.

მუსკის ზნეობრივ სათვის მსმენელი უშუალოდ სწვდება მხატვრული ნაწარმოების აღქმის პროცესში, თუ ბგერადი სახეები მსმენელში სათანადო ასოციაციებს არ იწვევს, თუ მსმენელი ვერა გრძნობს „საით უკირავს მუსიკას თვალში“, თუ იგი მუსიკას ისე არ განიცდის, როგორც საუთარო სულის თქმას, მაშინ საქმეს ვერაფერი გამოასწორებს, თვით ავტორიტეტული სპეცილისტების აზრით კი. მუსიკა ინდივიდუალურად განიცდება და შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების არცერთი სხვა დარგი არ აძლევს აღქმელს ისეთი თავისუფალი ფანტაზირების უნარს, როგორც მუსიკა. მუსიკის კონკრეტულ შინაარსზე დაუვანა ისე რთული და არასამოძღვაო, რომ საბაბს იძლევა (ეს საბაბი კი ესთეტიკოსებს არავითარსა და მხოუვენიზიათ) საზოგადოდ მუსიკის შინაარსი სათუოდ მიიჩნიათ.

ცხადია, ჩვენ ამ აზრს ვერ ვაგვიზარებთ. მუსიკას შინაარსი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა მისი ფორმების მრავალფეროვნება, სტილიზაცია და გამომსახველობითი ხერხების მონაცვლეობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალურ ასოციაციებს საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ვითარებაში დამკვიდრებული ბგერადი ფორმების სემანტიკა. სულ სხვა საქმა, რომ მუსიკის სიტყვიერი განმარტება რთულია. სიტყვიერი განმარტება ვერ იძლევა მუსიკალური შინაარსის სრულ სურათს. მაგრამ კაცმა რომ თქვას, სიტყვიერი განმარტებების ასეთი ნაკლი მხოლოდ მუსიკასთან მიმართებაში არ შედარდება. ასევე ძნელია იმის დახასიათება, რაც სახვითი ხელოვნების ნაწარმშია აღბეჭდილი. საზოგადოდ ნებისმიერი მოვლენა უფრო მდიდარია, ვიდრე მისი სიტყვიერი განმარტება. მკრებლობაში ნუ ჩამოშორებულ და ისიც კი ძნელი განსამარტავია და სრულყოფილად ვერ აღინიშნება, რაც თვით სიტყვიერ მასალაშია გამოსახული. პოეტურ ქმნილებაში იმდენი რამ იგულისხმება, რომ აღსების ისეთი მრავალფეროვნება ჩართული, თუ სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. აიღეთ ბარათაშვილის „სული ობოლი“ ორ სხვადასხვა ინტერპრეტაციაში და დარწმუნდებით თუ რაოდენ საძნელაო სიტყვიერი განმარტება თითქმის და ცხადი ცნებებისა.

ამის თქმა იმიტომ ვიხილება, რომ მუსიკოსებს ერთი საოცარი სენი სჭირთ: განსაკუთრებული საიდუმლოებით შემოსონ თავისი ხელოვნება. ხანდახან ისე გამოუდით, რომ თუ არა ხარ კომპოზიტორი და შემსრულებელი. მუსიკას ვერაფერს გაუგებ. ამ ლოკსას რომ გავუვთო. მუსიკაში გზა მხოლოდ მათ აქვს ხსენილი, დანარჩენები კი უფრო ფიზიოლოგიურ დონეზე განიცდიან მუსიკას, ვიდრე ინტელექტუალურად. ამ შემთხვევაში აზრსა კარგავს თუ რას ფიქრობენ მუსიკაზე თვით მუსიკოსები, რადგან სულერთია „ჩვეულებრივი მსმენლები“ ვერ მისწვდებიან მუსიკის ფარულ აზრს, რომელიც თურმე არც შეიძლება სიტყვიერად დახასიათებულ იქნას.

რატომღაც ასე არა თვლიდნენ შუმანი და ვაგნერი, ჩაიკოვსკი და შინდერბერი, პრაკოფიევი და შონბერგი, რომლებსაც არავითარს დაუწერიათ მუსიკის შესახებ და განუმარტავთ კიდევ მისი შინაარსი. მეტიც, მუსიკის შესახებ მწერალთა შორის ბევრია ისეთიც, რომელიც არც კომპოზიტორი იყო და არც შემსრულებელი და არ გამოირჩეოდა განსაკუთრებულ

ლი პროფესიონალიზმითაც (მათ შორის დავისხედილები სტენდალს, როლანს, თომას მანს და ბერს სხვა გამოჩენილ მოღვაწეს), რომლებიც ამფლუენდნენ მუსიკის არსში წვდომის უნარს და ბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკის განმარტების, მისი არსის გახსნის თვალსაზრისით განუყოფელია პროფესიონალი მუსიკისმცოდნეთა წვლილი. აქ უხერხულიცაა უოველი გამოჩენილი მუსიკისმცოდნის დასახელება, იმდენად მრავალრიცხოვანია რაში ამ მოღვაწეობისა, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია მუსიკის შესწავლაში.

დაიხ, მუსიკას სიტყვის დახმარება ესაჭიროება. სიტყვა მსმენელს უკეთესად გაარკვევს მუსიკალურ შთაბეჭდილებებში, უფრო ღრმად და უფრო ზუსტად გააცნობს მას მუსიკალური განსოგადოებების არსს. სიტყვას უნარი აქვს უფრო უშუალოდ დაუყავსიროს ერთმანეთს მუსიკალური შთაბეჭდილებები სინაღვილიოს რეალურ მოვლენებს, მსოფლმხედველობაშიც პრობლემებს, სიტყვას შეუძლია და იგი ვალდებულიცაა განმარტოს კერძოდ რაში იგომარეობს ნაწარმოების მუსიკალური სათოსი. ასეთ სიტყვას თავის დროზე ფლობდნენ შუმანი და ლისტე, ჩაიკოვსკი და ბერლიოზე, ვაგნერი, ასაფიევი, კარატიგინი, რიმანი, სოლერტინსკი, ჩვენს დროში კაბაღეცკი, მაზელი, ცუკერმანი, კონენი.

და მინც, უნდა ვაღიაროთ, რომ მუსიკა ამოუწერავია. იგი ვაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ამას სიტყვა აღნიშნავს. ჩვენ შშირად ვაღიარებთ მუსიკას და მის მნიშვნელობას ვაუფასურებთ, როდესაც აბსოლუტური ღირებულების მნიშვნელობას ვაჩიქებთ ამა თუ იმ სტილსა თუ გამომსახველობით საშუალებას. ამ შემთხვევაში ისტორიულობის გრძნობა გვეღაბრებს და არსებულის ფეტიშობობას ვუწვევთ. უარყოფთ მხატვრული ცნობიერების განუწვევებელი განვითარების კანონს, რომლის მიხედვითაც იგი არასოდეს არ იუიანდა ერთ წერტილზე და მუდამ განვითარებისა და სრულყოფისადმი მიისწრაფვის.

რასაკვირველია, თავში არავის მოუვა ჩვენი თეორიული მეცნიერების პიღწევათა უარყოფა, მაგრამ მას შშირად მოხვლია შეცდომები მელიდოგის, მარნიონის და სხვა გამომსახველობითი საშუალებების ღირებულებათა დადგენისას, როდესაც იგი მიუღწეველ მოზანს ისახავდა — დაედგინა უველა შემთხვევისათვის გამოსადეგი ღირებულებათა საერთო მნიშვნელი, რომლის პოვნა შეუძლებელი იყო. მღერადი თემა — ევროპული მელიდოგორი აზროვნების ერთ-ერთი უღედესი მონაწიერთაგანია, მაგრამ იგი სრულებითაც არაა დამახასიათებელი აღმოსავლეთის მთელი რიგი კულტურებისათვის, რომელშიც გამომსახველობის მთელი რიგი სხვა პრინციპები ბატონობს, ტერციული წყობის მელიდოგო ასევე დამახასიათებელია ევროპული აზროვნებისათვის, თანაც მხოლოდ გარკვეული ეპოქის თემატიზმისათვის, რომლის საწყისი და სასრული წერტილების დასახელებაც შეიძლება. იგი უცხოა არავეროპული კულტურებისათვის, ასეთი „შეფარდებითი“ პრინციპები მრავლადაა და დროის უქმი ფლანგვა იქნებოდა იმის დადგენის ცდა, რომელია მათ შორის უკეთესი და უფრო უნივერსალური.

კვლევის ერთადერთი ნაყოფიერი გზა მუსიკის ადამიანური შინაარსის და მისი გამოხატვის საშუა-



ლებების შესწავლა. მუსიკისმცოდნეობა და კრიტიკა საიოსხ უპირველეს ყოვლისა ასეთნაირად უნდა სვამდებ: რაში მდგომარეობს მუსიკის მემანაფერი პათოსი? ამის შესაბამისად უნდა გაირკვეს ამა თუ იმ საშუალებათა ღირებულება და მხატვრული მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში იმის დადგენაც მოხერხდება თუ რამდენად შეესაბამება ტექნიკოლოგიური შინაარსულს და შესწლო თუ არა კომპოზიტორმა სიახლეების დანერგვა. თუ კომპოზიტორი ჩვენს წარმოდგენებს არ ამდგრებს ადამიანისა და მისი ცხოვრებისეული მმართველების შესახებ, მაშინ მისი ზომიერება კეთილი თვისება კი არაა, არამედ მხოლოდ აზროვნების პასიურობას ადასტურებს და პირიქით: თუკი კომპოზიტორმა შეძლო ამ მთავარი და მე ვიტყოდი ერთადერთი ამოცანის გადაჭრა, მაშინ გამართლებულია ყველაზე მახვილი ხერხების გამოყენებით კი განურჩევლად იმისა, იღებს თუ არა ე. წ. ფართო მსწენელი მათ და კარგად ეთვისებიათ თუ არა ისინი მის კონსერვატულ გემოვნებასა და სმენას. დისკუსია იმის შესახებ, თუ რა არის ნებადართული ან აკრძალული, უსაგნოა — თუკი მხედველობაში არა გვაქვს კონკრეტული მხატვრული ქმნილება. იმიტომ, რომ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ირკვევა, რომ ყველაფერი გამართლებულია და ამრკად, ნებადართულიც, რაც კი სტრავინსკის გამოუქვეყნებია. ზოგიერთ უნიჭო კომპოზიტორს კი დღ-ნათრის ხმარებაც უნდა აეკრძალოს.

მუსიკისმცოდნეობა მხოლოდ მაშინ აღწევს რეალურ შედეგებს, როდესაც სიმართლეს თვალს უსწორებს და შემოქმედებისა და მუსიკალური ცხოვრების მოწინავე პოზიციებზე დგას. დიდი მოქალაქეობრივი დაინტერესების გარეშე არც კრიტიკა არსებობს და არც მემნიერება. სამწუხაროდ, ჩვენი მუსიკისმცოდნეობა ხშირად თავს არიდებს გამოვლენარის რთულ, სადისკუსიო მოვლენებს. იგი თავს იტყუებს, როდესაც ფიქრობს, რომ განუმემა უკეთესი რაღაცა: ან თავის არაკეთების საუკეთესო საშუალებაა. არსებობს რთული შემოქმედებითი ფიგურები. განვითარების ძველი გზით, არათანაბარი შედეგებით, უჩვეულო შემოქმედებით, რომლის ღირებულების გარკვევა არც თუ ისე ადვილია. იოლი გამოსავალია ასეთი ფიგურის შერისხვა, მასზე დაღის დასმა და იმის გადაწყვეტა, რომ ამ ხელოვანის ბედი ბოლომდე გარკვეულია. სინამდვილე უფრო რთულია და ხშირად იმის საწინააღმდეგოდ ვითარდება, ჩვენ რომ მოველით. გაიხედავ და მუსიკოსი, რომელიც თითქოს მართლაც და ძალიან ცალმხრივი, ძალიან რაციონალური და ძალიან გაუმეგობარი იყო, სრულიად სხვა თვისებებით წარმოგვიდგება და თანდათან საზოგადოებრივ უფრადლებას მიიზიდავს. თანაც საზოგადოებრივ აღქმასაც არ აკლია პარადოქსები. თითქოს გინაზე — ის, რაც აკრძალული ხლი იყო. მაინც და მაინც იმას მიეტანება. და აი, მწვევე წინააღმდეგობა: აღქმის ინერტია, შემრისხველთა ავტორიტეტი და ხელოვანის მზარდი პოპულარობა, რომელიც თითქოს და აუხსნელია. ჩემი მაგალითი საქმეად განყენებულია და ამაზე მეტად მას ვერ დავაკონტრეტებ, მაგრამ ერთი რამის აღნიშვნა კი საჭიროა: უპირატესად სწორად ასეთი მოვლენები მოითხოვს კრიტიკის აქტიურობას, მისგან მსჯავრს, დასაბუთებულ მსჯელობას.

მეორე უკიდურესობა — პრესტიჟთან და უბელოებთან დამოკიდებულება. ამა წარმოადგენს წარჩინებული კომპოზიტორი, რომელსაც მხედველად რუსს უკვედნ და ზოტბას ასხამენ. როგორღა გავოს სიმართლზე? რეალიზები სწორედ იმის გარანტიაა, რომ თუთ მწვევე კრიტიკაც კი ასეთი მუსიკოსის მდგომარეობას ვერ შეარყევს და მართალ სიტყვას კი შესაღოა მიხთვის სარეველობა მოეტანა. თავისი ნაელი (თუ ასეთი აქვს) დაენახა, საცოდავია ის, ვინც ვერ მოისმენს ამ მართალ სიტყვას, რომელიც მას შესაძლოა კიდევ უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე არის: ანაგა გაბრუებულს ცოცხალს ჰქვია, რათა შინაგანი მხურვალება გამოუნელოს.

ჩვენი მუსიკისმცოდნეობა სოციოლოგიურ კვლევებშიაც მოისუსტება. საზოგადოებრივი მოთხოვნისთვის, საზოგადოებრივი აღქმის, მუსიკალურ დაწესებულებათა საქმიანობის ფექტურების შესწავლა კი აუცილებელია მუსიკალური პოლიტიკის სწორი წარმართვისათვის. საქმარისი არაა მუსიკალური პოლიტიკის განხორციელებისას მხოლოდ ინტუიციით, გამოცდილებით და ამა თუ იმ დაწესებულებათა მუშაობის ინერციით ვებმძღვანელობდით. დაეგმარება თანამედროვე პოლიტიკის უნაშენელოვანსი მომენტია. და იგი დაფუძნებული უნდა იყოს ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებზე. მუსიკასაც ესაპირებუნიფერების ენ, ვართულები და განგარბემა. მუსიკა უნდა იცნობდეს თავის მომმარბდელს — მსმენელს. მის მოლოვნებს და დონეს, მისი აღზრდისა და დახვეწის მეთოდებს. ამისდა მიქედვით უნდა გამოუმუშავდეს მუსიკალურ დაწესებულებათა პროფილი. მათი მოლაწერობის ბტლი. კომპოზიტორთა კავშირი თავისი დაარსებიდან ამ წელს ითვლის. მაგრამ ამ ხნის მანძილზე არსებითად შეიცვალა ამ დაწესებულებების საქმიანობა, მისი ხასიათი და მასშტაბი, მისი ამოცანები და საზოგადოებრივი ავტორიტეტი. მისი ზეგავლენა მუსიკალურ ცხოვრებაზე. ამჟამად კომპოზიტორთა კავშირი ვერ დაემაოფილებდა კარჩაქეტილი გაერთიანების როლით, რომელიც მხოლოდ თავის წევრთა ნაწარმოებების ბედზე ზრუნავს და მათ პროპაგანდას ეწევა კუსტარული წესებით. დღეს კომპოზიტორთა კავშირის ცვალება ცხოველი მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან უბანზე. ჩაატაროს დიდი ღონისძიებები თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედების პროპაგანდისა და ფართო მსმენელის ესთეტიკური გემოვნების აღზრდის მიზნით, ხელი შეუწყოს თვითმოქმედების მუშაობას, დახმარება გაუწიოს ფელლორების მასალის შერგოვებასა და მის ფუნერულ შესწავლაში და სხვ. ცხადია, ყველა ამ მიზნის მისაღწევად კომპოზიტორთა კავშირი მოქმედებს მუსიკათაც და სიტყვითაც. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის რიგებში მყოფ მუსიკისმცოდნეთა შრომასაც.

ერთია ძველი ტიპის ფილარმონია, რომელიც არსებითად კომერციულ დაწესებულებას წარმოადგენდა და სულ სხვა ფილარმონია დღეს — თავისი მრავალთაიანი კოლექტივით, წამყვანი შემსრულებლებით, ორკესტრებით და საგუნდო კოლექტივებით, ანსამბლების მძლავრი გაერთიანებით, ფილარმონია განაგრბს რესპუბლიკის საკონცერტო ცხოვრებას, იგი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი საურდნია და ამი-



ტომაც მის მოღვაწეობაში სიტყვას დიდი როლი ენიჭება. მხატვრული შემოქმედების ავტოცისისათვის დიდი როლი ენიჭება ლექსთა-კონცერტებს, მუსიკის შესახებ პოპულარული ლიტერატურის გამოცემას თვით პროგრამებსაც, რომელშიც საკონცერტო მასალა ანოტირებული.

სოციალური შემოქმედება სიტყვას უპირველეს ყოვლისა იმისთვის სჭიროებს, რომ მსმენელისათვის მუსიკის აქმა შეძლებისდაგვარად გააადვილოს და სრულყოფილი გახადოს. რაგინდ დიდი არ უნდა იყოს მსმენელის კვალიფიკაცია, მუსიკის აქმა მისთვის არ მთავრდება მუსიკის მოსმენით. აღქმა და გაგება გააზრების მომენტსაც გულისხმობს, გულისხმობს ახალ-უსუსკალური შთაბეჭდილებების შეფარდებას საერთო კულტურულ გამოცდილებასთან, ინტელექტის აქტიურ მონაწილეობას ამ პროცესში. ისევე, როგორც მხატვრული ცნობიერების ნებისმიერი მხარე, მუსიკა მხოლოდ მაშინ იქნება თავის ქვეშაობილ მნიშვნელობას, როდესაც იგი აქტიურად ერთვის საერთო კულტურულ გამოცდილებას. როდესაც იგი აქტიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიაზე, მის ემოციურ სამყაროზე და მსოფლალქმეზე.

ამბობენ, რომ მუსიკა ადამიანს აუცილებლობას აძლევს არა მხოლოდ უბრალო აზრში, რომელიც ცხოვრების ამ სახელდაპირულ დაკვირვებებს ეყარება, მუსიკის არსია დანახული, ნაგრძნობია მისი დანიშნულება: მართლაც უა რა მიზანს უნდა ისახედეს მუსიკა თუ არა მსმენელის გაკეთილშობილებას. და განა შეიძლება ამ ამოცანის გადაჭრა მუსიკის გააზრების გარეშე? ამოცანაა, რომ მუსიკის აქმაში სიტყვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მუსიკალური პრიტიკის საზოგადოდ მუსიკისმცოდნეობის ღირებულად განიზომება მუსიკაში სიტყვის წვდომის იმ უნარით, რომელიც მსმენელს გზას უხსნის მუსიკის სამყაროში.

**შუამნიშობრივი კათოღოსი და მუსიკის ინტერნაციონალიზმი. ინტერნაციონალიზმის და პროგრესული თავისებურების დიდი მნიშვნელობა**

საბჭოთა მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, ალბათ, ინტერნაციონალური მეგობრობის იდეაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხების სულიერ ცხოვრებას მსხველავს და საბჭოთა მორალის მიმზიდველობასა და სიკანსაღეს, სოციალისტური წყობილების ძალას განაპირობებს. ინტერნაციონალური მეგობრობის თემა მთელი საბჭოთა ხელოვნების და კერძოდ მუსიკის რევოლუციური მონაპოვარია. ეს თემა ჩვენი ხელოვნების მუშაობის ტრადიციებშია ფესვგადგმული. ძნელია ამა თუ იმ ერის წარმოდგენა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მეგობრობის — როგორც თანარსებობის ანტილემბელ პირობებს, არ ეოცნებოს, გავისხენოთ თუდნად რუსოვანობა, „ყველხისტყაისანა“, რომელშიც ერთობა, კეთილი და წმინდა მეგობრობის ძალა ბოროტებისა და ქვეყნელის სიავისა სძლევს.

ინტერნაციონალური მეგობრობის იდეა განსაკუთრებულ სიმწვავესა და მნიშვნელობას ჩვენს ეპოქაში იძენს. ჩვენ ვცხოვრობთ კოლონიალური სისტემის რღვევის, რასობრივი ცრურწმენისაგან განთავისუფლების, პროგრესისა და თანასწორუფლებიანობის

დაშეკიდებისათვის ძალთა გაერთიანების ხანაში, ჩვენს ეპოქაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კურ ძალას იძენს, იგი ჩვენი იდეოლოგიის ყველა ფორმას მსხველავს, აღსავსეა კონკრეტული შინაარსით.

მუსიკის მუშაობრივი პათოსი დაკავშირებულია ინტერნაციონალიზმთან, მის ძალასთან გაერთიანოს სხვადასხვა ეროვნული აუდიტორიები, თავისი ხასიათით მუსიკა ინტერნაციონალურია, რადგან მისთვის არ არსებობს ენობრივი ბარიერი. ჩვენთვის, მუსიკისთვის არსებობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერნაციონალურის პრობლემა ეროვნულ თვითშეზღვევასთან დაილექტიკურ კავშირში. ჩვენ გვადევნებებს მუსიკალური კულტურის კონტაქტებულობის პრობლემა. ამავე დროს ჩვენ გვადევნებს მისი თვითშეზღვევადობის საკითხიც. ჩვენ გვადევნებს საბჭოთა მუსიკის მთლიანობის და მისი სტილისტური მრავალფეროვნების, მასში ეროვნული კულტურების ხასიათით ნიშნისებებების შენარჩუნების საკითხი. ჩვენ კარგად ვიცნობს, რომ ისეთი კომპოზიტორები, როგორცია თორმისი და ტერტერიანი, ცინცაიე და ბორის ჩაიკოვსკი, გრანოვსკი და ბურხანოვი (ეს დაწვრილება კი შეიძლება უსარსულოდ გაგრძელდეს) ღრმად ეროვნულად მოაზროვნე მუსიკოსები არიან. უკველ მათგანს თავისი საყარო და თავისი სტილი აქვს. ამითაა განპირობებული მათი ხელოვნების ესთეტიკური ღირებულება.

ამასთან ერთად, თითოეული მათგანი საბჭოთა კომპოზიტორია, მათ შემოქმედებაში რეალურებულია ხალხურობისა და რეალიზმის, ჩვენი საბჭოთა მუსიკის დამახასიათებელი იდეები. ყოველი მათგანის ხელოვნებაში აღბეჭდილია საბჭოთა მუსიკის პათოსი, ყოველი მათგანი თავისებურად ავითარებს საბჭოთა მუსიკის ტრადიციებს. ამის გარეშე უშუალებელი იქნებოდა საბჭოთა მუსიკის მთლიანობის საკითხის დასა.

ხელოვნებაში მუდამ ასე იყო. ეს კანონზომიერება ილხნაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას: მხატვრული სიახლე არასდროს არ რჩება მხოლოდ მისი აღმოჩენის საკუთრებად. მუსიკალური კულტურა აუცილებლად ითვალისწინებს სიახლეებს და ამიტომაც ქვეშაობრივი ზოგადკულტურულ მნიშვნელობას იძენს. პრიმიტიული იქნებოდა იმის მტკიცება თითქოს გამეორება კულტურის მთლიანობის წინაპირობაა, გაუგებარი იქნებოდა მისვალმებოდით სტერეოტიპებს. ეს უკვე მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა არ იქნებოდა, არამედ გამეორება და ეპოგონა. ქვეშაობრივი შემოქმედება კი მოძრაობაა, აღმოჩენაა, მოვლენების ახლებური ხედვაა. უდიდესი და აღუვსებელი დანაკლისი იქნებოდა, რომ მრავალიცხოვან კულტურებს, რომლებიც დღეს ახალ მთლიანობას — საბჭოთა ხელოვნების ქმნაან — თანდენან მოვლენოდით თვითშეზღვევადი ნიშნები და რომ მათ გეზი საერთო მნიშვნელობისაკენ აიღოთ. პირიქით, კულტურა მით უფრო საინტერესოა, რამდენადაც თვითშეზღვევადი. ქვეშაობრივი ინტერნაციონალიზმი არ უპირისპირდება თვითშეზღვევადობას, პირიქით, მისი ნამდვილი მეგობარია. საბჭოთა კულტურის მთლიანობა — თვითშეზღვევადი კულტურების მთლიანობაა, არ არსებობს ინტერნაციონალიზმი თვითშეზღვევადობის გარეშე, რადგან გა

ნიტრალბეული კულტურა — ანტიკულტურა, იგი ველარაიონარ განსაკუთრებულობას ვედარ დაიჩემებს და ცხადია ვერავითარ ინტერესს ვერ გამოიწვევს.

დღეს თვითმყოფადი კულტურები თავის ქვეშარბიტ დამცველს ინტერნაციონალიზმში პოულდობენ. მხოლოდ ინტერნაციონალიზმს პოზიციებიდან ჩანს მათი სასიცოცხლო ინტერესები. ავილოთ თუნდაც ჩვენი მუსიკალური კრიტიკის პოზიცია ამ პრობლემის მიმართ. საბჭოთა მუსიკალური კრიტიკა მუდამ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ცალკეული კულტურების, ცალკეულ კომპოზიტორთა თვითმყოფადობას. აცხადებდა მას მხატვრული ღირებულების მთავარ პირობად, ეროვნული სკოლების ჩამოყალიბებამ და კანფიტარებამ რამდენიმე ტკაპი განვლო და უკველი მოათვისათვის კანონზომიერი იყო ევროპული და უაღიარო რუსული მუსიკის გამოცდილებებს ათვი-სება, რაც ხელს უწყობდა კულტურული თვალსაწიერის გაფართობებს. ამდღირებდა ეროვნულ კულტურებს ახალი პრინციპებით, ფორმებით, ადამიანებს და ისტორიის ახალი ვაგებით. ეხმარებოდა მათ ინტერნაციონალური კავშირების დამყარებასა და განვითარებაში, ეთნოგრაფიული შევლუდულობისა და აზოლაციის დამტყავო.

მაგრამ არც თუ იშვიათად ეროვნული სკოლის ჩამოყალიბება ხდებოდა საკუთარი სპეციფიკის დორგუნვისა და სტილისტური კომპარატივის პირობებში. მხოლოდ სიმწიფესთან ერთად შემოდის ეროვნულ მხატვრული ცნობიერებაში სპეციფიკის ღირებულებისა და მისი შემოწახვის აუცილებლობის შეგრძნება. ჩვენ ვართ ეროვნული კულტურების ინტერნაციონალური კავშირების განმტკიცების მოწმენი, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლებს შვარდი წარბატებით ეუფლებოდნენ თანამედროვე მუსიკალურ გამოცდილებებს, მაგრამ, ამასთან ერთად სულ უფრო მეტი სიმკვეთრით ავლენდნენ თავის თვითმყოფადობას, თავის სპეციფიკას და საერთო საკაცობრიო კულტურულ გამოცდილებასთან მისი სინთეზის საინტერესო გზებს პოულდობდნენ.

მაგალითად, სტილისტური მრავალფეროვნების თვალსაზრისით ქართული მუსიკის განვითარების უადრესად საინტერესო პერიოდი 80-70-იანი წლები, ამ პერიოდში ქართული მუსიკა უკვე აღარ დაიყვანება ერთ რომელიმე ტექნიკოლოგიურ სახეობაზე. გაშლილი ფორნატი განიითარება, არც საფუძველს ქმნის შეჭიბრისა და შემოქმედებითი დისკუსიისათვის. ამა თუ იმ გამოწახებო ზერხთა სიცოცხლისუნარიანობის შესამოწმებლად. ამ შემთხვევაში ღირებულების კრიტიკიონობა ისევ და ისევ მუსიკის სახიერება რჩება, მისი ჰუმანისტური გამიზნულობა, ადამიანურის გამოვლენის უნარი და საზოგადოებრივი შემოქმედების ძალა. მაგრამ ამჯერად შემოქმედებითი წარმატების წინაპირობაა მუსიკის თვითმყოფადობა, რომელსაც ეროვნული მუსიკალური ცნობიერების ორიგინალობა განაპირობებს. მართლაც, ძნელია წარმოვიდგინოთ კომპოზიტორის ორიგინალობა თვით კულტურის თვითმყოფადობის გარეშე. კომპოზიტორი ამ თვითმყოფადობის გამოვლენაა, მისი გაინდივიდუალდება, ახალ ზარისხში მისი რეალისაციაა, მაგრამ თვით კომპოზიტორი არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს მისი უოფისათვის აუცილებელი გარემოცვა და

რამდენადაც ამ გარემოცვას გააჩნია თავისი საკუთარი შრომა, თავისი განსაკუთრებულობა. კომპოზიტორის თვითმყოფადობას საფუძველს უმაგრებს ხელოვნური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ფარები და ფორმები, ეროვნული სამეტყველო ენა, ინტონაციური მასალის აზოუწურავი კონტრეფუარი. ამ თვითმყოფადობის დასაყრდენია კომპოზიტორის ცხოვრებისეული გამოცდილება. მის მიერ ადამიანისა და მისი გაკვირებისა და სიხარულის ცნობა, ადამიანისულის ინდივიდუალური განცდა. მხოლოდ ასეთი მხატვრის მუსიკა ეროვნული შენაწილი და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას ინტერნაციონალურის მნიშვნელობაზე პრეტენზია განაცხადოს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მუსიკამ ადამიანის ზნეობრივ-ესთეტიკური პოტენციალის განხნის თვალსაზრისით თავისი სიტყვა თქვა. ცხადია, როდესაც ჩვენი მუსიკის ასეთ მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლის, მისი სიმალღებუნდა გვკონდნს მხედველობაში. მაგრამ თვით ამ სიმალღებუნს მუსიკის განვითარების საერთო გეზო, საზოგადოებრივი ინტერესები და საერთო შემოქმედებითი ატმოსფერო ქმნის. საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შემოქმედით ადამიანის სახის შექმნა, მისთვის დამახასიათებელი პათოსის აღბეჭდვა. დიმიტრი შოსტაკოვიჩი აღნიშნავდა, რომ თავისი წიმიფონიის გმირად იგი თანამედროვე პიროვნებას გულისხმობდა. მაგრამ საბჭოთა ადამიანს, მშრომელსა და საპარტილიანობისათვის მებრძოლ პიროვნებას ჩვენ ვგრძნობთ ყოველ მის პარტიკურაში, საბჭოთა მუსიკის ყველა ღირსეულ მოწარმეარში.

ჰუმანიზმი ძნელი წარმოსადგენია მკვეთრად სახასიათოს. სპეციფიკურად განუშეორებლის გარეშე, რადგან ჰუმანიზმი,—ეს, უპირველესად უკოლისა, თვით ადამიანია. ადამიანია კი პირველ რიგში პიროვნება და ინდივიდუალობაა. პიროვნება — ბედ-იბღობისა და ცხოვრებისეული პოზიციის, კულტურული ტრადიციის, ენისა და ტემპერამენტის თავისებურებაა. მუსიკა ამ ნიშან-თვისებებს რომ შეელოოს, იგი სახე და აქარაგას და აღარც ინტერნაციონალიზმის და აღარც ჰუმანიზმის პოზიციებიდან არ იქნება საინტერესო. ინტერნაციონალიზმი ეროვნულის დორტრუნვაში კი არ მდგომარეობს. არამედ, პირიქით, მისი საერთო პიროვნული საზრისის გამოვლენაში. ბლოუნი ზანგოტი მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი დედამიძია, იგი ამერიკელი ზანგების შემოქმედების ნაყოფია და გამოხატავს მათი სულიერი ცხოვრების რთულ ნიშან-თვისებებს. დღესაც ამ უნარისა და ფორმის უაყუარი გრძნობა, მის სასიათში იმპროვიზირების უნარია — უპირველეს ყოვლისა თვით ზანგი მუსიკოსების პრიროგატიაა. მაგრამ „ბლოუზური“ კულტურა თავის ეთილნაყოფიერ ზეგავლენას ახდენს საზოგადოდ ამერიკულ და არა მარტო ამერიკულ მუსიკაზე. ჩვენი საუფუნის დაახლოებით 20-იანი წლებიდან „ბლოუზი“ იკრება ეროვნულ ხელოვნებაშიც. ახალი ლირიკის ერთ-ერთი პოპულარული ფორმის მნიშვნელობას იძენს. ჩახტუშკა რუსული სასიმღერო კულტურის ტიპური მოვლენაა და ძნელია იგი წარმოვიდგინოთ რუსული სასიმღერო ტრადიციების მიღმა. მისი გადამუშავება და განვითარება რუსი კომპოზიტორების საქმეა და მათზე უკეთ ამ ამოცანას ვერავინ ვერ გადა-

ქრის. მაგრამ ის, რაც ჩანს კულტურაში დევს, ის, რაც მის თვითმყოფადობას და მისი შინაარსის თავისებურებას, მისი ფორმის განუმეორებლობას განაპირობებს (იუმორისა და ლირიკის, კადნიერებისა და უშუალოდობის, სილადისა და უდარდელიობის, თვალთმაქცობისა და არტიტიზმის შეწავება). ეს მიმზიდველია სხვა კულტურული ტრადიციების ადამიანებისათვის და უდავოდ ამდიდრებს მათ მხატვრულ გამოცდილებასაც. ამიტომაც ამ ფორმის ინტერნაციონალური მნიშვნელობაც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ამოსავლური მუსიკიტების ტრადიციები, კერძოდ იმპროვიზაციის ხელოვნება ჩვენ დრომდე შემოინახა მულამბა, რომელიც საგულსიხმოა შემოქმედებით პროცესის სპონტანურობით, მისი თავისუფლებით და ამავე დროს ფორმისა და ენის, სახეთა სემანტიკის მკაცრი განსაზღვრულობით. ამ ტრადიციების ცხოველყოფილობას ადასტურებს შესანიშნავი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უსეიბ პაჯიბეგოვის, მის მიმდევართა უ. ყარაევის, ფ. ამიროვისა და ნიაზის აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა თანამედროვე თაობათა მუსიკა. ამ ეროვნული სკოლის მიღწევები უშუალოდაა დაკავშირებული მულამბის ფორმის ათვისებას: და განვითარებასთან და ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მულამბის ფორმა წარსულის გადმონაშთად მივიჩნიოთ, დავთრგუნოთ, განვითარების გზა: ჩამოვაცალოთ, ამ ფორმის პერმეტიზაცია, მისი ხელოვნური იზოლაცია მოვახდინოთ, მოვწვევიოთ სხვა კულტურულ ტრადიციებს. არა, ამოცანა იმაშია, რომ მოვინახოთ მულამბისა და საერთო-საკაცობრიო მუსიკალური გამოცდილების სინთეზის გზები და ფორმები. დღეს ეროვნული ფორმების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საერთო-საკაცობრიო გამოცდილების ათვისებისა და შემოქმედებითი გამოყენების პირობებში, სხვა გზა არ არსებობს, რადგან ფორმების მრავალფეროვნებას სოციალურ-ფსიქოლოგიური, ესთეტიკური და ზნეობრივი ფაქტორების მრავალფეროვნება განაპირობებს. ხელოვნება ამ სიტუაციას უნდა ითვალისწინებდეს. ეროვნული ფორმა მხოლოდ მაშინ იღებს განვითარების სტიმულს, როდესაც იგი ამ მრავალფეროვნებას აახსოვს, როდესაც მას თავის თავში დაუშვებს. მოძრაობის ამოსავალი წერტილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ტრადიციული ფორმა, მაგრამ მათ შორის თვით უახლესიც „თანამედროვეობის აღლო“-ს უნდა ამეღავნებდეს. ამიტომაც, რომ კულტურის ერთ სფეროში ან რომელიმე ფენაში მიკვლეული საერთო კულტურულ კუთვნილებად იქცევა თუკი იგი საერთო-საკაცობრიო იდეითაა დამუხტული. ამიტომაც, რომ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის ერთ-ერთი ნამდვილი გზა — ფართო ინტერნაციონალური კავშირები, „ნივთიერებათა ცვლის“ ინტენსიურობა და ზნეობრივ-ესთეტიკური მნიშვნელობათა ერთიანობაა. უკუშარიტი ჰუმანიზმი ეროვნულობისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკაში, გახსნილ მხატვრულ ფორმებსა და მათი მხატვრულობის წოგად-საკაცობრიო მნიშვნელობაში მდგომარეობს.

(დასასრული იქნება)

# პრტი

# მუსიკოსის

# უნივერსალური

# თეატრი

მანანა ახმეტელი

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენი მუსიკალური საზოგადოება მოულოდნელი და საკვირველი მოვლენის მოწმე გახდა — გამოჩენილი მევიოლინე ლიანა ისაკაძე უძღვებოდა საქართველოს კამერულ ორკესტრს და ბრწყინვალედ დირიჟორობდა.

აღფრთოვანებულ მსმენელებს თავს დაატყდა მრავალი კითხვა — სად, როდის, როგორ დაეუფ-

ლა ლიანა ისაკაძე ორკესტრის მართვის ხელოვნებას? რაინორად გამოიმუშავა მან ასეთი ზუსტი და გამომსახველი სადირიჟორო ხელწერა, რომლის მისაღწევად ყოველდღიურად, მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძვიან თვით სკოლაგამოვლილი, გამოცდილი დირიჟორები?!

ამ კითხვებს ამოგვასხნევენებს თვით ლიანა ისაკაძის დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრება, მისი ფენომენალური ტალანტი, იმთავითვე რომ დაჰყვება, ადამიანთა მოზიდვის, აყოლიების, გატაცების ძალა, რომლის შემოქმედება განუცდია უკლებლივ ყველას, ვინც დასწრებიდა ლ. ისაკაძის თუნდაც ერთ კონცერტს, ვისაც მისი შესრულებით ერთი ნაწარმოები მაინც მოუსმენია.

ცხადია, აქ საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას მსმენელზე — ლ. ისაკაძის შემოქმედების ამ განუყრელ თანამონაწილზე, რადგან მისი თვითშეგრძნება, რეაგირება და რეაქციები დავეხმარებოდა ჩამოვავალიბოთ ის თვისებები, რომლებმაც ამ გამოჩენილ მევიოლინეში მოამწიფეს საშემსრულებლო ასპარეზის გაფართოების მოთხოვნილება, გამოწვრთნეს მასში ორკესტრის მართვის ნიჭი, ტექნიკა, კულტურა...

ამ თვისებებს შორის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს შემოქმედებითი კონტაქტის დამყარების უნარი, რომლის აქტივობასა თუ ინტენსიურობას შეუცდომლად გრძობს სწორედ მსმენელი. ამდენად, მსმენელია ის სწორი და მგრძობიარე ინსტრუმენტი, რომელიც დაგვაზუსტებინებს ისეთ ზოგადსა და ნაკლებად კონკრეტულ მცნებას, როგორცაა კონტაქტუ-



რობა, დაგვადგენინებს ლ. ისაკაძის კონტაქტურობისათვის დამახასიათებელ კატეგორიებს, მისი შემოქმედებითი ზეგავლენის მასშტაბებს, ხარისხსა და ხასიათს.

ლ. ისაკაძის თავყვანისმცემლები უთუოდ დამეთანხმებიან, რომ ეს შესანიშნავი მევიოლინე ესტრადაზე გამოჩენისთანავე, ხემის ერთი, უაღრესად მობილიზებული, არტისტული მოქნევით აღწევს არა მარტო აუდიტორიის მიმზრობას, მასში სრული ნდობისა და თანაგრძნობის გამოწვევას, არამედ მის ჩართვას მაღალი ძაბვის ატმოსფეროში, რაც ისე ერთბაშად და ძალდაუტანებლად ხდება, რომ მსმენელი ვერც კი გრძნობს თუ როდის დააღწია თავი ყოველდღიური ცხოვრებიდან შემოყოლილ შთაბეჭდილებებს, როგორ გაარღვია საკუთარი შეგრძნებების რკალი, რანაირად გადავიდა ასე შეუმჩნეველად, უყოყმანოდ, დაუბრკოლებლად მისთვის ჩვეული განწყობიდან არაჩვეულებრივში, ბუნებრივი სულისმიერი მდგომარეობიდან ზებუნებრივში.

დაახ. ლ. ისაკაძის კონტაქტურობას ახასიათებს ფსიქოლოგიური ბარიერის მოსპობისა და იდეენტური რეაქციების გამოწვევის ძალა, რისი წყალობითაც ნებისმიერი დონისა და კატეგორიის მსმენელები არა მარტო მასთან ამყარებენ ღრმა და ჭეშმარიტად შემოქმედებით კავშირს, არამედ ერთმანეთთანაც პოულობენ საერთო ენას, რაც იწვევს მათ დაახლოებასა და გაერთიანებას. ასე იქმნება უკიდურესად დამუხტული, ზეაწეული და პარამონიული ატმოსფერო, რომელიც სუფევს ლიანა ისაკაძის კონცერტებზე და რომელსაც მსმენელთა საზოგადოებისათვის მოაქვს ერთსულოვანი მღელვარების, ამაღლებისა და სიხარულის განცდა.

ასეთ ძლიერმოქმედ ზეგავლენას ახდენს ბუნებისგან მომადლებუ-

ლი უაღრესად კომუნიკაბელური არტისტიზმი, რომელსაც ლ. ისაკაძე შეუწყვეტელი ასხივების ხოლმე მუსიციურების პროცესში ჩართული მთელი თავისი არსებით.

შემოქმედებითი ფლუიდების გადაცემის ამ შინაგან ძალას ფრთები ეშლება განსაკუთრებით სიმფონიურ კონცერტებზე, როცა ლიანა ისაკაძე უკრავს კამერულსა თუ დიდ ორკესტრებთან ერთად, როცა მისი მხედველობის არეში კოლექტიური მუსიციურების სპეციფიკა შემოდის. ამ დროს კიდევ უფრო ცხადად ვლინდება ლიანა ისაკაძის კომუნიკაბელური არტისტიზმი, მისი შექმფინარი ტალანტიდან წარმომდგარი ენერჯია, კერძოდ კი, შემოქმედებითი ინიციატივის „ხელში ჩაგდება“, ორკესტრის „ხელში აყვანის“, მისი ნებაყოფლობითი დამორჩილების ძალა, რითაც იგი ფართულ კონკურენციას უწევს თვით სახელოვან დირიჟორებს, რომლებიც მასთან პარტნიორობის დროს, ნებისთი თუ უნებლიეთ, გადადიან მეორე პლანზე და მისი თანმხლები პირის როლში გამოდიან. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სოლისტ-მევიოლინის მომწესხველი ტემპერამენტის ტყვეობაში მოხვედრილია ორკესტრის მთელი შემადგენლობა, რომლის წევრები დაუყოვნებლივ ასრულებენ მას ყოველ სურვილს, ყოველ განკარგულებას.

როგორც აქედან ჩანს, ამ შესანიშნავ მუსიკოსში იმთავითვე მოქმედებდა წინამძღოლობის ინსტიტუტი, მორგანიზებელი ძალა, ის საკვირველი ნებისყოფა, ურომლისოდაც შეუძლებელია კოლექტიური მუსიციურების სათავეში დგომა, საკუთარი კონცეფციის გატარება, საკუთარი მსოფლშეგრძნების დამკვიდრება. ამის მიღწევა კი საკონცერტო ესტრადაზე შეიძლება მხოლოდ მაშინ,

როცა შემოქმედებით პროცესში სულთან ერთად ჩართულია მთელი სხეული, როცა სინკრონულად მუშაობენ ფსიქო-ბიოლოგიური და ფიზიკური მექანიზმები, რის საფუძველზე ზუსტდება, კონკრეტდება, იზიფრება მრავალგანზომილებიანი ესთეტიკური აზროვნების რთული სიღრმისეული არსი.

ამიტომაც ენითაუწერელ სიამოვნებას გვანიჭებს ხოლმე არა მარტო ლიანა ისაკაძის მოსმენა, არამედ მისი ყურება, მისი მოქცევა, რომელშიც გარეგნულ გამოხატულებას პოულობს შეუწყვეტელი შემოქმედებითი წვა და შეუჩერებელი ფსიქოლოგიური გარდაქმნები, პლასტიკურ ხორცშესხმას აღწევს სულისმიერი ცხოვრების პოეზია, ისაკაძისეული არტიტიზმი. ამაში უმაღვე დაგრწმუნდებით, როგორც კი გავიხსენებთ მთელ საკონცერტო რიტუალს — ესტრადაზე გამოსვლასა თუ ვიოლინოს მომარჯვებას, საიდანაც გამოსჭვივის სიმტკიცე და რწმენა, ღრმა შთაგონებით აღბეჭდილ სახის გამომეტყველებასა და თავდაპერას, გზნებითა და კდემამოსილებით სავესე მოძრაობას... და, ბოლოს, შეუძლებელია არ დაგვატყვევოს ვიოლინოსთან ლ. ისაკაძის საკრალურმა ურთიერთობამ, ხემის ვირტუოზულმა ფლობამ, დაკრის დინამიკურმა, იმპულსურმა მანერამ...

მთავარია მაინც ის, რომ შემოქმედებითი ცხოვრების გარეგნული გამოხატვის ეს უაღრესად დახვეწილი და სიცოცხლით სავესე ფორმები ამჟღავნებენ არა მარტო ამ უბადლო მუსიკოსის პიროვნებას, არამედ მხატვრულ სახეთა გრძობისმიერ სამყაროს, ნაწარმოებთა სტილს, მრავალხატოვან ბუნებას. ამიტომაც გვგონია ხოლმე, რომ მუსიკით სუნთქავს მთელი მისი არსება

და რომ მუსიკით იმუხტება მთელი გარემო.

მუსიკასთან შერწყმის, გამეფების ეს საკვირველი აქტივლინდება როგორც ვირტუოზულ შესრულებაში, ისე ლ. ისაკაძის უმდიდრესა და უნატიფეს მიმიკაშიც, სხეულის პლასტიკურ ინტონირებაშიც, რომელშიც ბგერების ალტკინებული ვიბრაცია, მხატვრულ სახეთა გულისცემა, ვნებათა დღვა ინერციით გრძელდება და ვითარდება. ანთებული გამოხედვა, მკვეთრი ყესტი თუ გრაციოზული მიზრა-მოხრა სიწრფელითა და ბუნებრიობით იმსკვალება, რაც აგრეთვე მუსიკალურ აზრთან და განცდასთან სრული შესაბამისობით აიხსნება. აქედან მოდის სიმართლისა და ზომიერების ის უტყუარი გრძობაც, რომლის მოქმედებას ვამჩნევთ მაშინაც, როცა მაქსიმალურ მხურვალებას აღწევს ხოლმე გადამდები ისაკაძისეული ტემპერამენტი და ემოციურობა, როცა სულისმიერი სიღრმეებიდან ამოხეთქილი გამოაგნებელი ისაკაძისეული ექსპრესია მაქსიმალურად იხაბება.

აქ, რა თქმა უნდა, განგებ შევაჩერე ყურადღება ლ. ისაკაძის მიმზიდველობით სავესე იერზე, გარეგნული გარდასახვის შეუწყვეტელ პროცესზე, რადგან სწორედ იგი ასრულებს იმ საკვირველ შემოქმედებითი კოდის როლს, რომლის მეშვეობითაც მისგან წამოსულ მრავალფეროვან იმპულსებს ორკესტრი იღებს და იქვე ანსაზიერებს. დიახ, ამ კოდის სიზუსტესა და ცხოველყოფილობაზეა დამოკიდებული მრავალრიცხოვანი შემოქმედებითი ორგანიზმის გამთლიანების, მართვისა და ხელმძღვანელობის მთელი პროცესი, კოლექტიური მუსიკირების მასშტაბები, დონე, ხარისხი.

და მაინც, ლ. ისაკაძის ყველა



ამ თვისებამ მთელი ძალით იფეთქა მაშინ, როცა იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კამერულ ორკესტრს და თავისი განუყრელი ვიოლინო ხელიდან გაუშვა. ეს არ იყო შემთხვევითი რამ. თუმცა თვით იგი ხაკლებად იცნობდა თავის დირიჟორულ მონაცემებს. ისაკაძე-დირიჟორი ზომ ფართულად მონაწილეობდა მევიოლინტ ისაკაძის შემოქმედებაში, მისი ბრწყინვალეების ჩრდილში იდგა, იქიდან მოქმედებდა და თან შეუმჩვენვალად, თავისთავად იწრთობოდა.

ამიტომაც, მევიოლინე ისაკაძეს ვერც კი წარმოედგინა ესტრადაზე ამ ახალ ამპლუაში გამოსვლა. ამიტომვე მოინათლა ეს ფაქტი მოულოდნელ, სენსაციურ მოვლენად. მაგრამ სწორედ იმ დღემ ახალი შუქი მოჰფინა ისაკაძის უნიკალურ ფენომენს, მთელი სიცხადით გამოააშკარავა სავიოლინო შემოქმედებით გასაიდუმლოებული მისი დირიჟორული ტალანტი და ამ მოვლენის კანონზომიერებაში დაგვარწმუნა.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ იმ დაუფიქვარ საღამოს, უბრწყინვალესი ქართველი დირიჟორი ქალის დაბადება რომ გვაუწყა. ცხადია, ეს ფაქტიც ქმნიდა სენსაციის საფუძველს.

საქმე ისაა, რომ საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია ქალთა შორის არ იცნობს არც ერთ გამოჩენილ დირიჟორს, ალბათ, იმიტომ, რომ ამ მშვენიერი მოდემის წარმომადგენლები მოკლებულნი არიან მუსიკალური ავტორიტატობის უნარს, შემოქმედებითი ბიოფსიქოლოგიების მძლავრი გამოსხივებისა და გადაცემის სასწაულმოქმედ ძალას. ეს მოსაზრება თითო-ორთა დირიჟორი ქალის უღიმღამო პრაქტიკითაც დასტურდება. დირიჟორის როლში გამოსულ ამ ქალებს ახსებოებდათ, ერთი საერთო და,

ჩემის აზრით, საშინელი სენი — ისინი სადირიჟორო ხელწერისა და ტექნიკის გამომუშავებას ცდილობდნენ მამაკაცი-დირიჟორების პლასტიკური მოდელის მიხედვით, მათი ექსტიუალაციის გადაღების საშუალებით და ამით თავისთავის უარყოფამდე, ქალური საწყისის განადგურებამდე მიდიოდნენ. ადვილი წარმოსადგენია ასეთი ყალბი და უგუნური რეპროდუცირების სავალალო, ანტიესთეტიკური შედეგები.

სრულიად სხვა სურათის მოწმენი გავხდით ლ. ისაკაძის კონცერტზე, რომელიც ცხოველყოფელი და მშვენიერი ქალური საწყისის კეშმარტ ზეიმად გადაიქცა. ამიტომაც იდგა იგი ასე მოხდენილად და თავისუფლად, ასე ბუნებრივად სადირიჟორო პულტთან, ამიტომაც მთელი საკონცერტო ატმოსფერო სიწრფელით, უშუალოდ, ჰარმონიულობით სუნთქავდა. მაგრამ, პირველ რიგში, ეს ითქმის ლ. ისაკაძის გრაციოზულ სადირიჟორო ხელწერაზე, საიდანაც შემოქმედებითი აღფრთოვანების განცდასთან ერთად დიდებული სილადე მოსჩქედდა, მთელ დარბაზს ეფინებოდა და იქ მყოფნი ლამის ექსტაზამდე მიჰყავდა. ორკესტრი მონუსხულივით შეჰყურებდა სათაყვანებელ „მაცტროს“, მსმენელნი კი ვერ მალავდნენ ალტაცების ცრემლებსა და სიხარულს.

ეს განცდა, რომელიც ამ კონცერტის საახალწლო-საზეიმო პროგრამიდან წარმოიქმნა, ემოციურ ლეიტონად გასდევდა მთელ საღამოს, თუმცა, ზოგჯერ, მუსიკასთან შესაბამის წუთებში, კერძოდ კი, მოცარტის კონტრადანსების, ბეთჰოვენის ვენური ცეკვებისა და განსაკუთრებით ი. შტრაუსის „საიმპერატორო ვალსის“ შესრულების დროს წინა



პლანზე იწვედა, მეტნაკლებად ძლიერდებოდა და იშლებოდა მთელი თავისი ამოუწურავი მრავალფეროვნებითა და სისავით. ამ წუთებში ლ. ისაკაძე ოპტიმისტური ენერგიით, პიკანტური სიხალისით, სიცოცხლის სუფთა, ქალწულებრივი სიყვარულით გვატყვევებდა.

მაგრამ ქალური კდემამოსილება არ სტოვებდა მას არა მარტო ფრთავაშლილი სიხარულისა თუ იდუმალი გარინდების მომენტში, არამედ აბობოქრების, გაშმაგების, დრამატული აფეთქების წუთებშიაც. ასე გეგონებოდათ, რომ ანგელოსური სიწმინდე და უმანკოება არ ღალატობს მას თვით დემონურ ძალისხმევამაც. ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა ამ კონცერტის გვირგვინმა — გლიუქის პანტომიმამ „ღონ ქუანი“, კერძოდ კი, მისი ფინალის უბრწყინვალესმა შესრულებამ.

ამიტომაც გვონია, რომ ფენომენალურ მუსიკალურ ტალანტთან შერწყმული მგრძობელობით სავსე, ეს უყეთილშობილესი, უზომოდ თბილი და პოეტური ქალურობა ასხივებს იმ საკვირველ ძალას, რომლითაც ლ. ისაკაძე ასე ერთბაშად იმორჩილებს ორკესტრსა და აუდიტორიას, ძალდაუტანებლად უნერგავს მათ თავის შემოქმედებით ნებასა და რწმენას, მუსიკალურ იდეებსა და მისწრაფებებს, თავის მაღალ ესთეტიკურ მრწამსს.

ღირიყორობის დროს ლ. ისაკაძე მხატვრულ ქმნილებას ჰგავს. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენს წარმოდგენაში დამკვიდრებული საღირიყორო სტილისა და ტრადიციებისაგან აბსოლუტურად განსხვავებული, ის სრულიად ახალი პლასტიკური მოდელი, რომელიც წარმოადგენს ისაკაძე-ღირიყორის მონაპოვარს და რომლისთვისაც უცხოა რო-

გორც მაღალფარდოვანი ხედ-მეტსტიკვაობა, ისე მრავალფეროვანი კატეგორიული, მბრძანებლური ტონიც. ამის ნაცვლად ლ. ისაკაძე ანეითარებს უაღრესად მღერად, ლაკონიურსა და ელასტიურ საღირიყორო სტილს, რომლის ცხადი, ძუნწი და მიზანმიმართული მოძრაობები უფრო შელოცვას, შეგონებას, ხელაპყრობილვედრებას მოგვაგონებს, ვიდრე საღირიყორო საკის ძალისმიერ მართვას. აღბათ, ამიტომაც დაგვეუფლა ისეთი გრძობა, რომ ჩვენს თვალწინ დიბადა მუსიკირების რაღაც ახალი რომანტიკული ენარი, რაღაც ახალი ფორმა.

საღირიყორო ხელწერის ამ უჩვეულო თავისთავადობას ქმნიან საეიოლინო შემოქმედებიდან შემოყოლილი საშემსრულებლო ჩვევებიც, თუმცა, აქ უფრო შერბილებულია მევიოლინე ისაკაძის ტემპერამენტული ესტის სიმკვეთრეც, დაკვრის შემტვევი, იმპულსური მანერაც, რაც შეიძლება აიხსნას საკონცერტო პროგრამაში შეტანილი ნაწარმოებების სტილისტური სპეციფიკითაც.

ასეა თუ ისე, ღირიყორობის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ვიოლინოზე დაკვრისაგან გავარჯიშებული და გაფაქიზებული მისი თითები, მეტყველი და მგრძობიარე თითის წვერებიც, რომელთა ზემოქმედებით საკვირველი მეტამორფოზა განიცადა საქართველოს კამერულმეორკესტრმა. იგი უკრავდა არა მარტო ისაკაძისეული შთაგონებით, შემოქმედებითი წვითა და არტისტიზმით, არამედ ცოცხალი, მფეთქავი ისაკაძისეული ინტონაციით, ნიუანსებით სავსე ძარღვიანი ფრაზირებით, მრავალფეროვანი, ღრმა და ინტენსიური ისაკაძისეული ტემბრითაც. ყოველივე ამან გარდაქმნა ამ გამოცდილი კოლექტივის

ბეგრწერა, საიდანაც კრისტალურ სიწმინდესთან ერთად, გამოსჭვიოდა აკვარელური სინაზე და ჰაეროვნება, ჩასაც დროდადრო ენაცვლებოდა ხან გრაფიკული სიმკვრივე და კუნთოვანება, ხან სისხლსავსე ექსპრესიული ფერწერა.

ასეთი მრავალხატოვნებით იყო აღბეჭდილი გლიუქის „დონ კუანი“ — საორკესტრო მინიატურების ეს შესანიშნავი ციკლი, რომელიც თბილისში პირველად შესრულდა და უბადლოდ იყო გააზრებული ტემბრული დრამატურგიის განვითარების თვალსაზრისით. თუმცა ტემბრალურ პალიტრასთან ერთად დეტალურად იყო დამუშავებული პარტიტურის პლასტიკური და დინამიკური კონცეფციაც. ამ საშუალებათა ზუსტი ურთიერთქმედებით ლ. ისაკაძე ხატავდა სხვადასხვა ხასიათის მუსიკალურ პორტრეტებს, კონტრასტულ მუსიკალურ სცენებს, აკონკრეტებდა გლიუქის მუსიკაში ჩასაიდუმლოებულ ეფემერულ ხატებებს.

სკრუპულოზური პერსონიფიკირების ბრწყინვალედ გადაწყვეტილმა ამოცანამ თვალშეშალ მინიატურას, ბეგრებში განფენილ მათ სიუჟეტურ ქარგას აფორისტული სისხარტე და სახოვანება შესძინა, რამაც შექმნა ამ ნაწარმოებში წარმოდგენილი გარემოს, სახეებისა თუ სიტუაციების დანახვის ილუზიაც და ამით ძალზე თავისებური მუსიკალური წარმოდგენის შთაბეჭდილებაც წარმოქმნა. მაგრამ სანახაობითმა ასოციაციამ მიგვიყვანა არა მარტო გარეგნულად დახვეწილ, არისტოკრატიული ფორმის თეატრთან, სადაც დაცულია და მხატვრულად განსახიერებელი ელემენტური ქცევების ეთიკა, არამედ გავგახსენა გამოჩენილი ოსტატების მიერ ფილიგრანული ოსტატობით გამოძერწილი გრა-

ვიურებიც, გამჭვივრავლად ფაიფურრიდან ჩამოსხმული გრაციოზული ქანრულ-ყოფითი კომპოზიციებიც, მოგვაგონა ნატიფი ხელგარჯილობით დასურათებული გობელენებიც.

ღიახ, ჩვენამდე აღწევდა ლ. ისაკაძის მიერ გამოეტურებული იმ შორეული ეპოქის სუნთქვა, იმდროინდელი რიტუალები-სა და ცერემონიების გულუბრყვილო პათეტიკის სხივი, იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების ხატოვანი ანარეკლები. ასეთ ასოციაციებს ჰქმნიდა ამ დიდებული ნაწარმოების საორკესტრო ფაქტურა და ფორმა, წარმოსახული ლ. ისაკაძის მიერ მუსიკალური სტილის უტყუარი შეგრძნებით.

მაგრამ დროის სიმბოლოდ ქცეული ამ ფაქიზი და მსუბუქი დეკორის მიღმა სჩქეფდა სიოცხლე, ცოცხლობდნენ ვნებებით სავსე გმირები, რომელთა ცხოველყოფელი ურთიერთობის ფონზე ლ. ისაკაძე ანვითარებდა ნდობისა და გაწირვის დრამას, გადაჭიმულს შუქმფინარი, მიაშიტი ლირიკიდან პირქუს ტრაგედიამდე.

ლ. ისაკაძემ მისთვის ჩვეული მღელვარებითა და შეურყეველი სიმტკიცით გაიარა ლირიკული ტრაგედიის განვითარების ვრცელი გზა. ამ გზაზე თანდათან იკრებდა ძალას, ღონივრად შლიდა იალქნებს ისაკაძისეული ინტენსიურობით, საკრალური გზნებითა და ორატორული პათოსით აღბეჭდილი მუსიკალური აზროვნება, საიდანაც წარმოიქმნა მინიატურული დრამატურგიული ფორმების მონუმენტური გააზრების შეგრძნება, ურომლისოდაც ლ. ისაკაძე ვერ მიაღწევდა, ვერ დაიპყრობდა ჰუმბარტი ტრაგედიის მწვერვალებს (გავიხსენოთ მონუმენტური ტრაგიკული ექსპრესიით შესრულებული ფინალი)

ამავე ამოცანას ემსახურებოდა



ტემბრალურ-აკუსტიკური ეფექტების უმდიდრესი სისტემა, რიტმულ-დინამიკური ნიუანსირების ვირტუოზული ტექნიკა, რათაც ლ. ისაკაძემ, ერთი მხრივ, მრავალწახნაგოვანი დრამატურგიული პროცესის მკვეთრ გამოხატვას მიიღწია, ხოლო, მეორეს მხრივ, სიცოცხლე შთაბერა მხატვრულ სახეებს და მათი სულის სიღრმეებში ჩაგვახედდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იგი ადამიანთა ხმებითა და ინტონაციებით ამღერებს, ალაპარაკებს ინსტრუმენტალურ კანტილენებს, რეპლიკებსა თუ რეჩიტატივებს, რომელთა შეპირისპირების საფუძველზე თანდათან ზრდიდა ბზარს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს შორის, თანდათან ამძაფრებდა და ამჟღავნებდა გმირთა განცდებისა და შეგრძნებების რკალს, საიდანაც ისმოდა დროის ფეთქავც და ფიქრში წასული ადამიანების გულისცემაც, რომლის რიტმი ნელ-ნელა ეშვებოდა უაღრესად დაძაბული, ხმამაღალი დარტყმებიდან აბსოლუტურ გაუჩინარებამდე, სრულ ჩაქრობამდე (გაეხსენოთ პიკიკატოების ეპიზოდის ვირტუოზული შესრულება)..

ერთი სიტყვით, ლ. ისაკაძემ ბრწყინვალედ გახსნა „ღონ ჟუანის“ მუსიკალურ სახეებში ხორც-შესხმული ფილოსოფიური იდეების არსი, ბრწყინვალედ ჩაატარა ამ იდეების შეპირისპირების, მხატვრულ სახეთა დრამატიზაციის პროცესი, რომლის განვითარების გზაზე არსად არ დაურღვევია კლასიციტური ესთეტიკის კანონები — ნატიფად გრავირებული მუსიკალური სტილისტიკის ჰარმონია და პროპორციები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ნაწარმოების ინტერპრეტაციაში მან თავის სულთან ერთად ჩააქსოვა იმდროინდელი ესთეტიკის თანამედროვე ხედვაც,

ურომლისოდაც ორსაუკუნოვანი ქმნილება დიდი გლოუისა ადგილზე გაქვედებოდა ვერ შეძლება ჩვენს შეძერას, აღფრთოვანებას...

დაახ, შეუძლებელია აღტაცების გარეშე ამ საკვირველი კონცერტის გახსენება, თუმცა კონცერტის მცნებაში ვგონებ აღარც ეტევა ლ. ისაკაძის შემოქმედების მრავალგანზომილებიანი არსი, შემოქმედებისა, რომელიც წარმოქმნის იმდენად მკვეთრად გამოხატულ ილუზიებსა და ასოციაციებს, რომ უმდიდრესი სმენითი შთაბეჭდილებები ხილვადლებიან, იძენენ მრავალფეროვან ცხოვრებისეულ კონტურებს, ვიზუალური სიცხადით იმსკვალეებიან. ამიტომაც ლ. ისაკაძის დაჯვრისა თუ ღირიყობის დროს ისეთი გრძნობა გვეუფლება, რომ ჩვენ არა მარტო ვისმენთ, არამედ ვხედავთ კიდევ მუსიკალურ მატერიაში გასაიდუმლოებულ ირეალურ, ეფემერულ, ილუზორულ ხატებებს. აი, სწორედ ამ უნიკალური თვისების გამო ლ. ისაკაძის შემოქმედებას შევარქმევდი „ერთი მუსიკოსის უნივერსალურ თეატრს“, რომლის სცენაზე ჩვენი დროის ეს გამოჩენილი არტისტი თვითონვე დგამს, თვითონვე ანსახიერებს უჩვეულო სპექტაკლებს, დაახ, წარმოსახვებით სავსე თავის თეატრში ლიანა ისაკაძე ერთდროულად მოღვაწეობს როგორც რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი თუ ხუროთმოძღვარი, რათა ამაღლებული მუსიკალური იდეების ქვეყანა ჩვენთვის უფრო მისაწვდომი, ახლობელი, ხელშესახები გახადოს, გვაზიაროს მარადიულ მშვენიერებას, ჰეშმარიტი კათარზისი განგვაცდევინოს...

და მე მჯერა, რომ ისაკაძე-ღირიყორი სწორედ ამ მაღალმა მისწრაფებებმა წარმოშვა და აღზარდა, კიდევ.

# დიღია მირსხულავა

გზა ოპერისა და ბალეტის თეატრში

ანტონ წულუკიძე

თეატრის ფოიეს ერთ კუთხეში შეჭვრულნი რაღაცაზე მსჯელობდნენ თუ კამათობდნენ. ერთი მათგანი, — ქერათმიანი ახალგაზრდა კაცი, სპორტულად შემართული და ელევანტური, რომელიც მუდამ ანთებული და დაჯერებული ამტიცებდა თავისას, მოტრიალდა, შეამჩნია შორიახლოს მოკრძალებით მდგარი გამზდარი ჰაბუკი, ოდნავ შეაჩერა მზერა, ანიშნა თანამოსაუბრეთ მასზე და მოულოდნელად განაცხადა: „აი, ეს ახალგაზრდა შემცელის მე... თუ, რა თქმა უნდა, რამდენიმე წლით განაგრძობს სწავლას ლენინგრადში ან მოსკოვში; თუ საზღვარგარეთ — ხომ კიდევ უკეთესი! მაგრამ თუ არსად წავიდა, — ისეთი მონაცემები აქვს, იმდენად ბეჭითია, რომ მაინც თვალსაჩინო დირიჟორი უნდა გახდეს!“ (ამ ეპიზოდის — საუბრის დამსწრე და მთხრობელი ჩვენი სახელოვანი, მაშინ ახალგაზრდა მომღერალი პეტრე ამირანაშვილი იყო).

...სულ მცირე ხანი იყო გასული მას შემდეგ, რომ ოპერის მოყვარული საზოგადოებრიობა საგანგებოდაც მოდიოდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში, რათა ეხილა პულტთან ახალგაზრდა დირიჟორი, რომელსაც ეს იყო დაემთავრებინა თბილისის კონსერვატორია. საერთო ინტერესს განსაკუთრებით ისიც აღვივებდა, რომ ხმა დაირხა — ეს ახალგაზრდა თავისი სადირიჟორო მანერით, ხელების ტექნიკითა და პლასტიკურობით საოცრად ჰგავს თავის მასწავლებელს, სრულიად მოულოდნელად და უდროოდ რომ გაქრა სადირიჟორო პულტიდან, თუმცა კი მოასწრო შორსგასული გამარჯვებების მოპოვება ეროვნული კულტურის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის მესაუკის როლში, მოასწრო საქართველოს მუსიკალური ცხოვრების მზიანი ამინდის დაყენებაც და უამრავი თაყვანისმცემლების შექმნაც... პოდა, ამ თაყვანისმცემელთა დიდი ნაწილი იმისთვისაც მოდიოდა, რომ ამ ახალგაზრდის, მისი „სადირიჟორო აპარატის“, ხელების ტექნიკის შეხედვით ვიზუალურად მაინც აღედგინა სხივმოსილი ხატება დროის მორევის მიერ უღვთოდ განწირული უნიკი-

რესი დირიჟორისა (ამ განწირვის მიზეზი კი არც არავინ იცოდა!)...

საოპერო თეატრის სადირიჟორო პულტთან ახლად მოსული ახალგაზრდა მართლაც ბაძადა თავისი მასწავლებლის სადირიჟორო პლასტიკას — დახვეწილს, ლამაზსა და მომხიბვლელს, ზომიერსა და ელევანტურს, ბაძადა თვით დეტალებშიც კი, ხოლო მყუჟრებელთაგან ბევრი თვალცრემლიანი შეჰყუჟრებდა ამ სურათს!.. მაგრამ ეს მიბაძვა —



ლიდია მირცხულავა

ლაზათიანი და ბუნებრივი იყო, მკაფიო და მეტყველი. ახალბედა დირიჟორის შემართული, დისციპლინირებული ბუნება სავსებით „ირგებდა“ მისი მასწავლებლის „სადირიჟორო აპარატის“ სტილს და აღწევდა თავის დანიშნულებას — უტყუარ ზეგავლენას ახდენდა იმათზე, ვისაც იგი მართავდა, — ორკესტრზე, გუნდზე, სცენაზე მოქმედ მომღიროლებზე. მას შემდეგ 40 წელზე მეტი გავადა. მასწავლებელი — ევგენი მიქელაძე იყო,

მოსწავლე — ლიდია მირცხულავა, რომელმაც, ქუთაისიდან ჩამოსულმა, თბილისის კონსერვატორიას მიაშურა და, ე. მიქელაძის ხელოვნებით მოხიბლულმა, სადირიჟორო დარგი აირჩია.

დასაწყისშივე აღწერილი საუბარი ქართული ხელოვნების I დეკადიდან დაბრუნების შემდეგ შედგა. ამას ისიც დაემთხვა, რომ ჭაბუკი, ჯერ კიდევ სტუდენტი დირიჟორი, თბილისის საოპერო თეატრის მთავარმა რეჟი-



სორმა ალ. წუწუნავამ შეამჩნია, როცა დ. მირცხულავა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს დირიჟორობდა. ღვაწლმოსილი რეჟისორი გამოესაუბრა მას, დაიბარა ოპერის თეატრში და წარუდგინა თეატრის მაშინდელ დირექტორს, ცნობილ ჟურნალისტს აკ. კეკელიძეს. იქვე, თეატრის დირექტორის კაბინეტში ე. მიქელაძემ დაახასიათა თავისი მოწაფე, ამასთან, განაცხადა, რომ უმზადებს მას პირობებს ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტურაში გასაგზავნად. ყოველ შემთხვევისათვის, მასწავლებელმა თავის მოწაფეს ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში სადებიუტოდ „დაისის“ მომზადება დაავალა, — იმ სპექტაკლისა, რომლითაც, სულ მცირე ხნით ადრე, მიქელაძის უბრწყინველესი დირიჟორობით სრული ტრიუმფით გაიხსნა მოსკოვში ქართული ხელოვნების I დეკადა. მოწაფის დებიუტი როცა შედგა, მასწავლებელი აღარ იყო...

ისე მოხდა, რომ დ. მირცხულავას აღარც მოსკოვში უსწავლია, აღარც ლენინგრადში. მხოლოდ მცირე ხნით, როგორც ასპირანტი, საკონსულტაციოდ თუ ჩაიდოდა. შემდეგ კი, საგასტროლოდ, არაერთგზის წაპყლია თეატრს დირიჟორად მოსკოვსა თუ ლენინგრადში, საბჭოეთის სხვა ქალაქებშიც, საზღვარგარეთაც (პოლონეთში). 1973 წელს დ. მირცხულავა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიიწვიეს — ქ. საარბრიუჟენის თეატრში „დაისის“ პირველი საზღვარგარეთული დადგმის განსახორციელებლად, მის მუსიკალურ ხელმძღვანელად. (ეს იყო დასავლეთ ევროპაში ქართული ოპერის პირველი დადგმა). წარმატება ყველგან უტყუარი იყო.

...თავს თვითონ იზღუდავდა. აშკარა წარმატებით დაწყებული სიმფონიური კონცერტების შემდეგ, რატომღაც შეწყვიტა თავისი საკონცერტო მოღვაწეობა (დროდადრო ეპიზოდურად გამოსულა ხოლმე და ჩაუწერია რადიო-ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრთან). დღემდე გამოცანად რჩება ამის მიზეზი. თვითონ დ. მირცხულავა კი ამ კითხვაზე დუმილით პასუხობს. ცხადია ფაქტი: თვითონ შემოიფარგლა თავისი თავი საოპერო-საბალეტო თეატრით, რის მიხედვითაც არაერთგზის დაუმტკიცებია, რომ არც სიმფონიური ხელოვნებაა მისთვის უცხო! ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში დ. მირცხულავას

ფრიად პრინციპული სპექტაკლები განუხორციელებია, რომლებითაც დიდხანს შელოვანი კვალი გაუვლია ამ თეატრის სპექტაკლებში. თუმცა, ამ რეპერტუარშიც, დროის მანძილთან შედარებით, შემოიფარგლა (მკითხველს ამთავითვე ვთხოვ სწორად გამოვსა). უკომპრომისობას თავიდანვე ამჟღავნებდა ეს თვისება დღემდე მოსდევს მას. ამის გამოც მისი საოპერო რეპერტუარი მინიმუმამდე დასულა. სხვები კაპრიზად უთვლიდნენ ამას. არაერთი შემთხვევა ჰქონია, რომ თავისივე სპექტაკლები, მისი დირიჟორობით წარმართული, შემდეგ დაუთმოა... ასე, ზ. ფალიაშვილის სახ. თეატრში მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური ნამუშევრის — ბოროდინის ოპერა „თავად იგორის“ დირიჟორობაზე სპექტაკლის აღდგენისას უარი უთქვამს: არავითარ დათმობაზე არ წასულა აღსადგენი რეპეტიციების რაოდენობის თაობაზე. გადაჭარბებულად მიიჩნიეს მისი ასეთი დაქინება (გამოგტყდებით: ამ სტრიქონების ავტორმა), რადგან ვენიზახეს დ. მირცხულავა მანინაც, როცა სხვადასხვა დროს, მოულოდნელად, სასწრაფოდ შეუცვლია სხვა დირიჟორი და ღირსეულად წარუმართავს ოპერა, რომელიც მანამდე არ უდირიჟორია (დავასახელებთ თუნდაც ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“, რომელსაც ჩინებულად, ამასთან, შეზღუდული პირობების მიუხედავად, თავისი ინტერპრეტაციით გაუძღვა).

1966 წელს, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა მზადდებოდა. ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა (დირექტორი იყო ცნობილი კომპოზიტორი არჩილ ჩიმაკაძე) გადაწყვიტა — უსათუოდ მირცხულავა უნდა იყოს მისი დირიჟორი, და გაიხსენა, თუ როგორ უდირიჟორა მან „აბესალომს“. კარგა ხნით ადრე, 40-იანი წლების ბოლოსკენ, მირცხულავას შემთხვევით შეუცვლია დირიჟორი „აბესალომის“ სპექტაკლზე, რომლის გამოც ფალიაშვილის დიდებული ქმნილების თვით ნაცადი შემსრულებლებიც აღტაცებაში მოსულან, თანაც, გაკვირვებულნი იმით, თუ როგორ მოახერხა ახალგაზრდა დირიჟორმა ასე ექსპრომტად „აბესალომის“ ელერადობის „მიქელაძისეული მასშტაბისა და ხარისხის აღდგენა“ ამას ხშირად იგონებდა დიდი ქართველი მომღერალი დავით ანდღულაძე.

...მაგრამ დაეუბრუნდეთ „აბესალომის“ ახალი დადგმის ამბავს. დგამდა მალაღნიჭიერი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი, — დგამდა პირველად. დიდხანს იყო იგი შეპყრობილი „აბესალომის“ დადგმის იდეით, ფრიად ორიგინალურ, პოეტურსა და ახლებურ ჩანაფიქრს უზიარებდა იგი თავის მეგობრებს, რაც მთავარია, უსაზღვროდ შეყვარებული იყო ზაქარია ფალიაშვილის ამ ლეგენდარულ კმნილებასი. ერთობ ორიგინალური, წარმტაცი და მასშტაბური იყო მხატვარ იოსებ სუმბათაშვილის ესკიზები. რეჟისორისა და მხატვრის განაცხადის წინასწარი განხილვისას დიდი პაექრობა გაიმართა თეატრში, იგი თვით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიაზე განხილვისა და დამტკიცების შემდეგაც გრძელდებოდა. ამის საბაზი იყო „აბესალომის“ გადაწყვეტის მოდერნიზაცია, მეტაფორული იდეები და ამასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები. მაინც უნდა დაეწყეთ მხადება. მაგრამ გამოჩნდა ახალი პრობლემა: მირცხულვა! მოვიყვან საქმის დასაწყისს:

**თეატრის დირექტორი:** „ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა თქვენ უხელმძღვანელოთ მუსიკალურად და უდირიჟოროთ „აბესალომის“ ამ საიუბილეო დადგმას. მოგხსენებთ ამის მნიშვნელობა. შევთანხმდეთ რეპეტიციების რაოდენობაზე. „აბესალომი“ ყოველწლიურად მიდის ჩვენთან და თეატრის დასამაც ზეპირად იცის იგი. მე მაინც გაძლევთ 6 წინასწარ, საორკესტრო კორექტურას, ალბათ დაკვირდებათ!“

**მირცხულვა:** „ახლა „აბესალომის“ მომზადება ასე... იცით, „აბესალომის“ ახალ დადგმას მთავარმა დირიჟორმა უნდა უხელმძღვანელოს“.

და საესეებით დარწმუნებული თავისი განცხადების დამაჯერებლობაში, მშვიდად დგება, გასვლას აპირებს დირექტორის კაბინეტიდან (მის ამ განცხადებაში ნიშნისმოგებისა არაფერი იყო, რადგან სწორედ იმ ხანებში მირცხულვამ ჭიუტად არ მიიღო ამ თანამდებობაზე შემოთავაზებული წინადადება)..

**დირექტორი:** „მოიცა, მოიცა, კაცო... 8 კორექტურას გაძლევ (მკითხველს შევახსენებთ

— მთავარი მუშაობა ამ კორექტურების შემდეგ იწყება)... პა, 12 იყოს“ (სიმწრის როლი ასკდებოდა. შევიდეთ მის მდგომარეობაზე თეატრს თავისი შემდგომი გეგმები აქვს, გეგმების შეუსრულებლობას კი...).

...თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ იქამად თეატრი ახალი დადგმების გეგმასაც გადაპარბებით ასრულებდა და პრინციპული სიახლეები მოჰქონდა.

**მირცხულვა:** „მე „დაისს“ ხომ ვდირიჟორობ, მომეცით რამდენიმე რეპეტიცია და საიუბილეოდ კარგად მოგიმზადებთ“ (მანამდეც კარგად ჰქონდა იგი მომზადებული მირცხულვასი!)...

დირექტორი წამოვირდა: „ადამიანო, მე „დაისზე“ კი არა, „აბესალომზე“ გელაპარაკები. ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, რა გინდა, მე შენ აქედან არ გაგიშვებ. რამდენი გინდა?“

**მირცხულვა:** „არ ვიცი, მუშაობის პროცესში გამოჩნდება“.. დირექტორს სამშვიდის მოკრების მეტი ადარაფერი დარჩენოდა: „გიმეორებთ, რამდენი გინდათ!“

**მირცხულვა:** „ასე, 20-მდე კორექტურა. აქ რომ უკრავენ „აბესალომს“, ნუ გგონიათ რომ იმას უკრავენ, რაც პარტიტურაში წერია“..

ყველა დამსწრემ ირწმუნა მოლაპარაკების კატასტროფული დასასრული... მაგრამ, —

**დირექტორი:** „კარგი, გაძლევთ“ და დასის გამგეს მიმართა: „დაიწყეთ!“

**მირცხულვა:** „სასურველია, რომ ამ საიუბილეო დადგმაში გუნდი გაძლიერდეს; I I მოქმედებაში დემატოს სახელმწიფო კაპელა, III მოქმედებაში კი ჩაერთოს თეატრის სოლისტების ჯგუფი, — ყველა ის, ვინც სპექტაკლისაგან თავისუფალია. გუნდმა უნდა იყლოს!“

**დირექტორი:** „სოლისტების ჯგუფს მოგცემთ, კაპელის მოწვევა ჩემს უფლებას აღემატება. ეს მხოლოდ კულტურის სამინისტროს შეუძლია“.



საქართველოს კულტურის მინისტრმა ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

დადგმაზე მუშაობის პროცესი საკმაოდ ნერვოზული იყო — რეჟისორისა და მხატვრის ჩანაფიქრის მიმართ თეატრში ოპოზიციის გრძელდებოდა. პაექრობაში მირცხულავს ჩაერთო — სხვებისაგან გასაკვირველად იგი მხარს უჭერდა რეჟისორს, მაგრამ დროდადრო შეედავებოდა, — ასე რომ განალაგებთ სოლისტებსა თუ გუნდს, აქედან მუსიკა არ იქნება. ა. ჩხარტიშვილი; რომელსაც თავისი გასაჭირი ჰქონდა, გულფიცხად აქეთ შეუთვქვდა — შენს 20 კორექტურას მიხედო! თურმე ნუ იტყვი, მირცხულავს, ასე რომ მოუხშირა სცენურ რეპეტიციებზე დასწრებას, თავისი საქმე ძირითადად უკვე მოგვარებული ჰქონდა, ამასთან, არც 20 და არც 12 კორექტურა დასჭირვებია: მან სწრაფად ააწყო მუშაობის პროცესის ყველა სტადია და მომზადების ნაყოფიც უკვე გამოჩნდა თვით სპექტაკლის გამოშვებამდეც. თეატრში გაზმურდა სენსაცია და დასიდან ბევრი საგანგებოდ ესწრებოდა მირცხულავს რეპეტიციებს — ჩვეულებრივად თუ გაერთიანებულ მეცადინეობებს (ესწრებოდა ამ წერილის ავტორიც, როგორც კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი). ყველაფერი ეღერდა მკაფიოდ, ხარისხიანად, ფუნდამენტური სიდიადით. თეატრის გუნდი, მზადებისას, გაძლიერებამდეც მტკიცედ აქვდა, გაძლიერებამ კი, რა თქმა უნდა, ვეებერთელა ეფექტი მისცა. მაგრამ ორკესტრი? იგი არ გაუძლიერებიათ, მაგრამ ამის გარეშეც არანაკლები ფუნდამენტურობით აქვდა და ამის მოულოდნელობამ კიდევ უფრო გაზარდა შთაბეჭდილების ეფექტი! საქმე ისაა, რომ არაერთი სერიოზული მუსიკოსი „აბესალომის“ გაორკესტრებაში გარკვეულ უხერხულ მომენტებს ხედავს. სახელდობრ, ე. მიქელაძეს მიაჩნდა, რომ საორკესტრო ჩვეულებების დუბლირება ზოგჯერ ხელს უშლიდა პარტიტურის ნორმალურ ეღერადობას, ან შობდა მომღერლებს. ამიტომ მან სპექტაკლში I დეკადის დროს, მთელ რიგ მომენტებში უმტკივნეულოდ განტვირთა პარტიტურა ამგვარი დუბლირებებისაგან. მას შემდეგ, სხვადასხვა დროს, ზოგიერთმა დირიჟორმა კიდევ მოახდინა ამდგვარივე ოპერაციები (ეს უკვე შემდეგ — „აბესალომის“ კიევში, ლენინგრადსა და პოლონეთის ქ. ლოდში

დადგმის დროს). ზოგიერთი ავტორიტეტული მუსიკოსი „გადაორკესტრებას“ მითხოვდა. დ. მირცხულავა დაქრუნებით უარყოფდა რაიმე „გადაორკესტრების“ საჭიროებას და ამტკიცებდა, რომ საცხებით საქმარისა დუბლირებისაგან ნაწილობრივი განტვირთვა, რაც მთავარია — მკაცრი დაცვა და შესრულება იმისა, რაც პარტიტურაშია. მუშაობის პროცესში ახუსტება ჩვეულებების შორის ხმოვანების თანაფარდობას. ამის ეფექტი კი მირცხულავს სპექტაკლში აშკარა გახდა! (ამის ცოცხალი დოკუმენტია — ფირფიტა, რომელიც მირცხულავს დირიჟორობით გამოვიდა ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით)

პრემიერაც შედგა. რეჟისორისა და მხატვრის ნიჭიერმა, ელვარე პოეტური ხილვებით სავე ჩანაფიქრმა (ამგვარი ხილვების გარეშე ხომ „აბესალომიც“ არ იქნებოდა!) ვერ პოვა სრული განსაზიერება. სცენის ტექნიკის, განათების აპარატურის მაშინდელმა, „ხანძრამდელმა“ დაბალმა დონემ ხელი შეუშალა რეჟისორსა და მხატვრის შექმნათ ფანტაზიურ თეატრში გახვეული, ლამაზი და მონუმენტური წარმოდგენა. რეჟისორის ამოსავალი იდეა იყო I მოქმედების ბოლოს, სიყვარულის ფიცის დროს, შემადლებული სცენური სივრცის სიღრმეში გადაშლილიყო ყაყაჩოების უსასრულო ველი და იგივე გამეორებულიყო ოპერის დასასრულს — „წამწამსა და წამწამს შუას“ კათარზისული იდილიის დროს, როგორც სიყვარულის ტრიუმფის მეტაფორა. ამისათვის (და საერთოდ — მთელი ჩანაფიქრისათვის) სინათლის სხივებს „უწონადობის“ ფანტაზიურ ბურუსში უნდა მოექცია ვეებერთელა სცენური დანადგარი და წაეშალა მისი „მეტერიალური მხარე!“ ეს კი აღარ მოხერხდა — არსებული სინათლის აპარატურა (საგანგებოდ კი გამოიწერია!) უმწეო აღმოჩნდა, ეფექტი არ მოხდა (შესაძლოა, ამ თეატრის რეკონსტრუირებული სცენის დღევანდელი ტექნიკის პირობებში სულ სხვა შედეგი გამოსულიყო).

მაგრამ გრანდიოზული წარმატება ხედავს. მირცხულავს. — მისი სპექტაკლი აღიბეჭდა შთამბავნებელი მონუმენტულობით, რასაც ხელი შეუწყო შესრულების უხადო ტექნიკურმა ხარისხმა. კეშმარიტად გამოიხატებოდა ეღერდა II და III აქტები — ქორწინებისა და განშორების სცენები. გან-



საკუთრებული ის იყო, რომ სიმფონიზმის მასშტაბით დ. მირცხულავამ ქორწინების სცენა წარმოაჩინა განშორების სცენის ტოლფასოვნად, რაც ძირითადად მიღწეული იყო ამ ეპიკურ-მონუმენტურ II აქტში შინაგანი სიმფონიზმისა და თანმიმდევრული დინამიკის განსაკუთრებული გამახვილებით (ამას არც თუ ხშირად ვხედავთ „აბესალომის“ სხვა დადგემებში).

დაიხ, მუსიკალური შესრულების მასშტაბების, ქერადობის ხარისხისა და სრულყოფის მხრივ დ. მირცხულავას ეს ნამუშევარი იყო მოვლენა თბილისის საოპერო თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში თუნდაც ამის შემდგომი ათეული წლების მანძილზე. მაგრამ ეს სპექტაკლი ძალიან მალე შეწყდა სცენური მხარის ტექნიკური უზერბულობის გამო. მას შემდეგ „აბესალომი“ თბილისში არაერთი ახალი დადგმით წვიდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ 15 წლის განმავლობაში თითქმის ყველა დირჟორი მიუშვეს „აბესალომის“ სადირიჟორო (მათ შორის, დამდგმელ დირიჟორებთან ერთად, სხვებიც იყვნენ). გარდა მირცხულავასი!! (ო. დომიტრაძე, რომელიც ადრე, მრავალი წლის მანძილზე მართავდა „აბესალომს“, ამ დროს თბილისში აღარ მუშაობდა და გასაგებია, რომ არც ის ყოფილა).

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: დ. მირცხულავას სპექტაკლები ხარისხის სტაბილურობის მხრივ ყველაზე გამორჩეულნი არიან ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარში ათეული წლების მანძილზე (კარგი დირიჟორი კი არაერთი ყოფილა ამ თეატრში). რა არის ამის უმთავრესი მიზეზი? ფუნდამენტურობა სამუშაო პროცესისა, ფუნდამენტურობა ჩვეულებრივი მეცადინეობის დროს. ამ დროს დ. მირცხულავა აღწევს სიმწყობრის ისეთ ხარისხს, საორკესტრო ფაქტურის, პარტიტურის ყოველი მომენტის გაშუქებისა და აქცენტების, ქერადული გამართლების ისეთ მკაფიოებასა და სიცხადეს, ყოველივე ამის ისეთ ფიქსირებას, რომ მის მიერ მომზადებული სპექტაკლები დიდხანს არ ინგრევა (ცხადია, ნამდვილი დირიჟორის ეს აუცილებელი თვისება მარტოდენ მირცხულავას საკუთრება როდია, ამასთან, ეს ელემენტარულ პროფესიულ წესრიგს განეკუთვნება თითქოს, მაგრამ დ. მირცხულავა თავისი ხელოვნების მყარ ნაყოფს აქედან

ყოველთვის იმკის). ელემენტარული სიზუსტის დაცვა მის რეპეტიციებში ერთგულად ვით თითქოს ზედმეტ, სკრუპულოზურ ცესშიც გადადის, მაგრამ საქმე კეთდება და ამის შედეგი შემდეგ ირკვევა.

გადაწყვეტილი ფაქტორი მირცხულავას დირიჟორობისა მისი მეტად მკაფიო და მეტყველი ხელებია, — მოხდენილი და პლასტიკური, მკაცრი და ზომიერი მოძრაობით. მიქელანჯილო სკოლასა და სტილს ერთვის მოძრაობის კორდინაციის უტყუარი უნარი, რაც უკვე ბუნებრივ, თანდაყოლილ თვისებას განეკუთვნება. ამას ემატება პულტთან მისი შემართება და წარმმართველის ურყევი უნარი. ცხოვრებაში მშვიდი და უწყინარი, პულტთან მკაცრი და დაუნდობელი...

მთელ ამ პროცესში დ. მირცხულავა არის უკომპრომისო მენეჯერი. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ თვით საკუთარი, საფუძვლიანად მომზადებულ რეპერტუარშიც უარი უთქვამს მორიგი წარმოდგენის დირიჟორობაზე იმის გამო, რომ მოულოდნელად, დროული გაფრთხილების გარეშე, შეუცვლიათ მისთვის ორკესტრის მუსიკოსი, რომელსაც სპექტაკლზე არ დაუკრავს და არც რეპეტიცია გაუვლია მასთან (იგულისხმება ინსტრუმენტალისტი, მნიშვნელოვანი ფუნქცია რომ აკისრია). ხშირად, თეატრში, მირცხულავას ამგვარი პროტესტი მისი არაელასტიური ხასიათით აღხსნა. ზოგჯერ ეს შეიძლება ასეც ყოფილიყო. მაგრამ არც თუ იშვიათად მის ასეთ უკომპრომისობას სრული საფუძველი ჰქონია: მისდა დაუკითხავად, აფიშაში გამოუცხადებდნენ ისეთ მომღერალს (თვით „დაისშიც“ კი!), რომლისაგანაც მირცხულავას პარტია არ მიუღია (!?), რის შედეგადაც დირიჟორს, სპექტაკლის მუსიკალურ ხელმძღვანელს უარი უთქვამს იმ, გამოცხადებული წარმოდგენების დირიჟორობაზე (ამ დროს „ყოჩაღი შემცვლელიც“ გამოჩენილა).

დ. მირცხულავას მოღვაწეობის დიდსა და ხანგრძლივ გზაზე მისი რეპერტუარი რაოდენობის მხრივ თითქოსდა მცირედ გამოიყურება. გარეგნული შეხედვით მის მიერ წარმართულ კმნილებებში თითქოსდა ინტერპრეტაციის რთულ და დახლართულ გზებს არც ვხედავთ. მირცხულავა ყოველთვის ირჩევს სადა და ლოგიკურ გადაწყვეტას, სიცხადე და სინათლე — მისი ინტერპრეტაციის ამოსავალია. მოჭადრაკის ენით რომ ვთქვათ,

— იგი „პოზიციური სტილით“ მუშაობს. მაგრამ სისადავისა და ლოგიკურობისაკენ მისი მისწრაფება არასოდეს აკადემიურ ასექტურობაში არ გადასულა. ინტუიცია და გემოვნება არასოდეს ღალატობს მირცხულავას. მიაგნოს მუსიკის პირველქმნილ წყაროს, მის სილამაზეს, ცოცხალ ნერვს, არაფერი დააკლოს მის მასშტაბებს. მის ცინცხალ არტისტულ ტემპერამენტს მუდამ თან სდევს ზომიერების გრძნობა. დიახ, სწორედ სისადავისა და ნათელი ლოგიკის გზით აღწევს, რომ ნაწარმოები შესაბამისი, უტყუარი მასშტაბით ააქლეროს. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის ქართულ ოპერაზე. ბალეტზე.

როცა უუკერძობით დ. მირცხულავას გზას, განსაკუთრებული მღლაერების გრძნობით ვიმსკვალენით მისი პროფესიული სინდისისა და ეთიკისადმი. მაგრამ, ამასთან, გვიპყრობს სინანულს გრძნობაც მისი შესაძლებლობების არასაკმაო გამოყენების გამო: იმ შესაძლებლობებისა, რომელთა შედარებით მაქსიმალური გამოყენება ყოველდღიური პროფესიული, შემოქმედებითი ცხოვრების უკეთეს ამინდს შეუქმნიდა ისევე ზაქარია ფალიაშვილის სახელობას თეატრს!

\* \* \*

დ. მირცხულავას რეპერტუარის რაოდენობას როცა ვეხებით, ვგულისხმობთ, რომ თვით თეატრის ინტერესებისათვის მეტი იყო საჭირო. სინამდვილეში ეს რაოდენობა არცთუ ისე უმნიშვნელოა. ასე, დასავლეთ-ევროპული ოპერებიდან ამ ხნის მანძილზე მის რეპერტუარში ვხედავდით ბოხეს „კარმენს“, — ეს შუშხუნა, ოპტიმისტური დრამა მთელის მჩქეფარებით და მუდამ ხარისხიანად ჟღერდა მირცხულავას მართვით 1948 წლიდან ვიდრე თეატრის ხანძრამდე (დღეს მას ჩამოართვეს ეს ოპერა. საკვირველაა, მაინცდამაინც მირცხულავას ართმევენ ოპერებს!), ასევე ვერდის „ტრუბადურს“, გუნოს „ფაუსტს“, როსინის „სევილიელ დალაქს“ — ეს უკვე თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში იყო; ბუნებრივია, რომ ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში ეს ფეიერვერკული კომიკური ოპერა უწყვეტლვ რეპერტუარშია, რადგან თეატრს ყოველთვის ჰყავდა მისი შემსრულებელი მაღალნიჭიერი მომღერალი ვირტუოზები. მაგრამ როსინის ქმნილებს

ელვარება ამ თეატრში კიდევ მეტი სიმართლით განსახიერდებოდა, რომ ამ ბრწყინვალე მომღერლებს მირცხულავას შემოქმედებული დირიჟორობა შემოიერთებოდა (ოდესმე მაინც ამ ხნის მანძილზე!).

რუსული საოპერო კლასიკიდან დირიჟორობდა ჩაიკოვსკის „მაზეპას“, ბოროდინის „თავად იგორს“, — ორივეს ახალი დადგმა მირცხულავას მუსიკალური ხელმძღვანელობით მომზადდა და ერთობ მნიშვნელოვან სპექტაკლებად იქნა აღიარებული... კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში მოამზადა და იდირიჟორა რახმანიოვის „ალეკო“, — უზადოდ, ძალდუტანებლად იყო გახსნილი მისი მუსიკის მომხიბველი სურნელები.

რაც შეეხება მის საბალეტო რეპერტუარს — იგი უკვე აშკარად უხვია. ამ ხნის მანძილზე, ქართული ბალეტების გადამწყვეტ უმრავლესობას დ. მირცხულავა მართავს. იგი დამდგმელი დირიჟორია დ. თორაძის ბალეტისა „გორდა“, — ყველაზე გამძლე რომ აღმოჩნდა ქართულ ბალეტებს შორის და მისი უწყვეტი არსებობა ამ თეატრის სცენაზე 30 წელზე მეტს ითვლის. დიდი ტემპერამენტით და რიტმული ენერგიით აღბეჭდილი, მელოდიურად უხვი მისი მუსიკა მირცხულავას მკაცრ, ორგანიზებულ მარწუხებში აქვს მოქცეული. დირიჟორობს ეროვნული ბალეტის დიდმნიშვნელოვან ქმნილებებს — ა. ბალანჩივაძის „მთების გულს“, გ. კილაძის „სინათლეს“, ა. შაჰავაიძის „ოკლიდოში“ ოპერატიულად შეუცვლია მისი დამდგმელი დირიჟორი ო. დიმიტრიადი და შემდეგაც პრავალჭერ წარუშართავს. ამ მაღალნიჭიერი მუსიკით, ელვარე სახიერებით მდიდარი პარტიტურის ესოდენ სწრაფი ათვისება დ. მირცხულავას „ოპერატიულ უნარსაც“ მოწმობდა (რის უქონლობასაც ხშირად იმიზეზებდა ამ დირიჟორის „პასიურობისათვის“ ზოგიერთი პასუხისმგებელი). დ. მირცხულავას მუსიკალური ხელმძღვანელობით აქლერდა ს. ცინცაძის „დემონი“ — თანამედროვე ტექნიკით დაწერილი, რიტმიკითა და მელოდია — პარმონით ნაირსახიერი, რთული პარტიტურა. რაც შეეხება იმ არაქართულ ბალეტებს, რომლებსაც საბალეტო სცენებზე თითქმის მუდმივი ადგილი უჭირავთ, თბილისის თეატრში მათ უმრავლესობასაც მირცხულავა დირიჟორობს. ეს ბალეტებია მინკუსის „ღონჯიხობი“, ადანის „ეიზელი“, კრენის „ლაუ-



რენსია". განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბრწყინვალედ წარმართული რაველის „ბოლერო“.

რიტმიკის საუცხოო შეგრძნება, სიზუსტე და მკაცრი ორგანიზებულობა საბალეტო დირიჟორის ის თვისებებია, რომლის გამოც დ. მირცხულავასადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ყოველთვის ზ. ფალიაშვილს სახელობის თეატრის საბალეტო დასი და აქტიურად აბამდა თავის მუშაობაში.

პირველი ინტერპრეტატორია ისეთი მნიშვნელოვანი ქართული საბჭოური ოპერებისაროგორიცაა ა. კერესელიძის „ბაში-ჩუკი“ და ა. ბუიას „დაუპატყებელი სტუმრები“ (ის შესანიშნავი საბავშვო ოპერა ფირფიტაზეც აქვს ჩაწერილი). დიდხანს იყო მის რეპერტუარში პირველი ქართული ოპერა — მ. ბალანჩივაძის „დარჯან ციხერი“ (როცა თბილისის სცენაზე მიდიოდა!), ეროვნული კლასიკური კომიკური ოპერა „ქეთო და კობი“ (ფირფიტაზეც ჩაწეა).

მანც მის „გენერალურ“ სარბებრტუარო ოპერად, „სადირიჟორო კრედოდ“ ზ. ფალიაშვილის „დაისი“ რჩება. თეატრში დებიუტის დღიდან (1938) დღემდე დირიჟორობს მას და ყოველი მისი განახლება-აღდგენის უცვლელი მუსიკალური ხელმძღვანელია (პსოლოდი გაზადაზა, შემთხვევის გამო შეუცვლიათ პულტზე). სწორედ „დაისში“ გამოიკვირეთათ მთელი ელვარებით დ. მირცხულავას პროფესიულ-შემოქმედებითი ფორმირების, ზრდისა და დავაჟაცების დიდი გზა, მისი არტისტიზმი და ტემპერამენტი. თავიდანვე „ხელი ჩაავლო“ ამ მრავალმხრივ მომხიბველელი, ჰუმორიტად სახალხო ქმნილების „მთავარ ნერვს“ და გარკვეული დროის მანძილზე მკაფიოდ, ოსტატურად გამოკვეთა ამ ოპერის მშვენების ამოსავალი თვისება — მჩქეფარება! „დაისის“ აქტერების ეს გეზი მან ესტაფეტად მიქელამისაგან მიიღო, და თუ პირველ ხანებში უყოყმანოდ, უფრო გარეგნულად ეყრდნობოდა თავისი მასწავლებლის ინტერპრეტაციას, მის მიერ დადგენილ ტემპებსა და ნიუანსებს, სიმწიფეში შესვლისას დაადგა ყოველივე ამის შინაგან გამართლებას, „გათვისებას“ და მკაფიოდ გამოხატა საკუთარი საშემსრულებლო კონცეფცია. „დაისს“ არაერთი ინტერპრეტორი ჰყოლია მიქელამემდეც (მისი პირველი დირიჟორის ივ. ფალიაშვილის სახით)

და შემდეგაც. საბჭოეთის არაერთ რესპუბლიკასა და ქალაქში დადგმულა ეს უცვლელი მისი სხვადასხვა თვისებაც წამოუწვევით კიდევ პირველ პლანზე. ამის საშუალებას მისი მუსიკა უხვად იძლევა.

მაგრამ სწორედ ეს მჩქეფარება და მისგან განუყოფელი სიმფონიზმის დინამიკა ჰკრავს, აერთიანებს, ადულაბებს „დაისში“ ლირიკულ ელევას, სიყვარულის დრამას, დრამატულ კონფლიქტსა და კატასტროფას, მოლხენა-ღრუბის თუ გლოვის, განგვისა თუ პატიოტულ-სალაშქრო აღზევების სახალხო სცენებს. თიახ, სწორედ ეს ამოსავალი თვისება — მჩქეფარება აერთიანებს ზ. ფალიაშვილის მუსიკის ფართოდ გაშლილი მელოდიების მომხიბველ სიუხვეს და სახალხო-ჩანრული სცენების მკვეთრ, ენერგიულ რიტმიკას, ფილოსოფიური კვრეტის — ჩაღრმავებისა და „ბახუსური აღტკინების“ მოკაშკაშე მელოდიურ კონტრასტებს. ამაღლებულ ქორალებსა და მძლავრ საგუნდო მასივებს. და ყოველივე ეს მოქცეულია ქმედითი აღზევების დინამიკაში. სწორედ ეს თვისებებია, რითაც „დაისში“, სიყვარულის სევედიანი ამბავისა და დრამატული კატასტროფის მიუხედავად, კაშკაშებს სიკოიხლის ენერჯია და განსალი ოპტიმიზმი (აღნიშნული თვისებები განსაკუთრებული, ორიგინალური თერების კატეგორიაში აყენებს „დაისს“ და ამაშია ამ უაღრესად ეროვნული ქმნილების „პირველივე მოზიდვის“ და პოპულარობის ძალაც საბჭოეთისა თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში წარმოჩენის დროს!).

თავისი მასწავლებლის კვალზე, მირცხულავა მკაფიო ხაზგასმულობით ამკვიდრებს მკვეთრი რიტმიკისა და სახელდობრ — სწრაფი რემპის დიდმნიშვნელოვან ფუნქციას „დაისში“. ზოგჯერ რიტმის მარწუხებში აქცევს თვით კანტილენურ მელოდიურ ტალღებსაც (თუნდაც, ოპერის სიმფონიურ შესავალში — სიყვარულის დრამატული თემის აქტერებისას). მაგრამ, მეორე მხრივ, ეს რიტმული დისციპლინა წინ აღუდგება „დაისის“ მშვენიერი ელევითი ლირიკის სანტიმენტალობაში გადაზრდის საფრთხეს (ეს საფრთხე კი, ზოგჯერ შესრულების გამო — რეალური ზღბა და გეზსაც კი უცვლის „დაისის“ ილამაზის მთავარ თვისებებს). ასევე „შებოკვით“ აქტერებს ორნამენტულ მელოდიებს და არ აძლევს „აღმოსავლურ იმპროვი-



ზაციებში“ გადასვლის საშუალებას (მაგ. „სული ბორბოს“ საორკესტრო პარტია), ამგვარ „შეზღუდვებს“ კი „დაისის“ მუსიკის წარმატატი პოეტურობისათვის არაფერი დაუშკია.

რიტმული ენერჯის ინტენსიფიკაცია განსაკუთრებული სახიერებით წარმოაჩენს I მოქმედების არსს. დიდი ოსტატობითა და ფიცხელი ტემპერამენტით ატარებს დ. მირხულავა ტემპების, დინამიკის თანმიმდევრული გაცხოველების, გააქტურების პროცესს შაირობიდან და ფერხულის სათავიდან დაწყებული ცეკვა „ქართულის“ ვირტუოზულ სიკაშკაშემდე და „ალი ფაშას“ მედგარ ენერჯიამდე (სწრაფი ტემპის, როგორც პარტატურის მნიშვნელოვანი „მოქმედი პირის“ წარმოჩენაში ვგულისხმობთ არა რაიმე მაქსიმალურ სიჩქარეს, არამედ ელერადობის ხაზგასმულ სიმკვეთრეს, თორემ ისიც ზღედა, რომ უფრო სწრაფ ტემპებსაც აიღებენ, მაგრამ შედეგი უფრო მოდუნებული გამოიყურება!).

სახიერების მკაფიო ეფექტს აღწევს დ. მირცხულავა მოტორული პასაჟების აუღერებისას (აღწინააღმდეგობა თუნდაც ცეკვა „ქართულში“ საყვირების ვირტუოზულ დამკოროულ პასაჟებს. ან კიდევ II მოქმედების მთიულურ ცეკვებში ფლეიტებისა და ფლეიტა-პიკოლოების „მხტუნავ ნაპერწკლებს“).

მასშტაბების სრული ფლობით წარმართავს II აქტის ვებერთელა ფინალურ სცენას, მსხვილი პლანის კონტრასტებით, ნაკადების მომძლავრებით, მწვერვალამდე მისული გრეხილებით... საერთოდ კი ამ მომხიბვლელი ოპერის ნაირსახიერ რელიეფს წარმოაჩენს მთლიანობის უტყუარი შეგრძნებით, ერთიანი „გაბმული სუნთქვით“.

„დაისით“ დაიწყო ქართული საოპერო თეატრის პირველი გამოსვლა საბჭოეთის დედაქალაქში. მას ეგვენი მიქელამე მართავდა. 32 წლის შემდეგ, 1969 წელს ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრი პირველად გავიდა საზღვარგარეთ, პოლონეთში, სადაც ლოძსა და ვარშავაში მისი გასტროლები „დაისით“ დაიწყო და დაგვირგინდა, — დ. მირცხულავას დირიჟორობით, 1973 წ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბიუენში „დაისი“ დაიდგა, — ეს იყო უცხოეთის თეატრის მიერ პირველად განხორციელებული

ქართული ოპერა. ქართველ მომღერლებთან ერთად, მის მოსამზადებელ დირიჟორულ ხელმძღვანელად და დირიჟორად დ. მირცხულავა მიიწვიეს. წარმატება ყველგან შთამაგონებელი, ქართული ოპერის მთლიანი პრესტიჟის დამამტკიცებელი იყო.

ღვაწლმოსილი, დიდი გზა გავლილი ხელოვანი სადირიჟორო პულტთან მუდამ უკომპრომისო და ახალგაზრდულად შემართული:

„აბესალომ და ეთერი“ ფირფიტაზე

დ. მირცხულავას მუსიკალური ხელმძღვანელობით წარმართული „აბესალომ და ეთერის“ ძირითადი თვისებები „დოკუმენტურად“ ფირფიტაზე აღიბეჭდა. მრავალმხრივი მნიშვნელოვანი გახდა ეს „დოკუმენტი“ და კიდევ კარგი, რომ იგი არსებობს, — არა მარტო დ. მირცხულავას პრესტიჟისათვის, არამედ ქართული ოპერის ამ უზენაესი ქმნილების ინტერესებისათვის, ყოველ შემთხვევაში მისი დღევანდელი „მდგომარეობის“ შექმნე (საკვირველია და სავალალო, რომ გვიხდება ამის თქმა!). ფირფიტა 1971 წელს გამოსცა საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ (ტირაჟების შემდგომი გამოკრებით) ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ჩაწერა განხორციელდა მოსკოვში ქართველი მომღერალ-სოლისტების, საკავშირო რადიოს დიდი გუნდისა და ორკესტრის მიერ. თავისთავად განსაკუთრებული ფაქტია ის, რომ მოსკოვურმა კაპელამ სსკრ სახალხო არტისტის კ. პტიცას ხელმძღვანელობით, რომლის რეპერტუარში მრავალი ქართული საგუნდო ქმნილებაა და ზოგიერთი მათგანი ქართულადაც კი შეუსრულებია, „აბესალომ და ეთერის“ ვებერთელა საგუნდო პარტია ქართულ ენაზე ჩაწერა.

ფირფიტამ დიდად შეუწყო ხელი „აბესალომით“ რეალურ დაინტერესებას საქართველო გარეთ, რასაც მოჰყვა მისი სცენური განხორციელება საბჭოეთის დიდმნიშვნელოვან საოპერო თეატრებში და საზღვარგარეთაც. არ ვიტყოდით იმას, რომ მირცხულავას საემემსრულებლო კონცეფციამ შემოფარგლა „აბესალომის“ ახალი, მათ შორის



არქართველი დირიჟორ-ინტერპრეტატორების თვალსაწიერი. პირიქით, მათ ეს უაღრესად თვითმყოფადი ქართული ქმნილება ახალი თვალით დანახეს და მისი სიდიადისა და მშვენიერების არაერთი მანამდე გაუხსნელი თვისებაც გამოავლინეს (ვგულისხმობთ ს. რორჩაქს — კიევი და კ. სიმეონოვს — ლენინგრადში, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს თანამემამულე ჯ. კახიძეზე, რომელიც იმჟამად პოლონეთში მუშაობდა და მისი ინიციატივით და თავდადებით ქ. ლოშში განხორციელდა „აბესალომის“ პირველი საზღვარგარეთული რეჟისა).

მთავარი მაინც ის არის, რომ ეს ფირფიტა სრულა სიკებათ, უტყუარი ხარისხითა და ფუნდამენტურობით გადმოგვცემს ამ ორმად პარმონიული ქმნილების მშვენიერებასა და სიდიადეს.

ზ. ფალიაშვილის ოპერება რომ თავიდან იქცა „დასახლდნენ“ ქართული ხალხის ყოფაში, ცნობილია. მათი დაუყოვნებლივ გახალსურების უპირველესი ხელისშემწყობნი — ქართველი მომღერლები იყვნენ, რომლებმაც გადამდები ძალით მიაწვდინეს მსმენელთა გულს ფალიაშვილის მუსიკის სახიერება და ემოციები. ამ მომღერლებს მხარში ედგა ამ ოპერების არსებითად პირველი ინტერპრეტატორი, მათი საშემსრულებლო დინამიკის პირველი დამდგენი და მწყობარში მოწყვანი — ივანე ფალიაშვილი. შემდეგ კი ემიქელაქემ ახალი პორიზონტები გაუხსნა „აბესალომსა“ და „დაისს“. გაიტანა ისინი საქართველოს გარეთ და მათი კომპოზიციურ-დრამატურგიული მთლიანობის მასშტაბური წარმოჩენით დიდად გაზარდა მათი მნიშვნელობის რეზონანსი. ამას მალე მოჰყვა ა. მელიქ-ფაშაევის დირიჟორობით განხორციელებული სსრკ დიდი თეატრის გრანდიოზული სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“ (დიდი თეატრის საეტაპო ნამუშევრად რომ იქნა აღიარებული). დრომ აშკარად პირველ პლანზე წამოსწია დირიჟორის გადამწყვეტი როლი ფალიაშვილის ოპერების სრულყოფილ წარმოჩენაში.

დ. მირცხულავას შესრულებით, ფირფიტის მიხედვით, „აბესალომ და ეთერი“, უწინარეს ყოვლისა, წარმოჩენილია, როგორც მთლიანი მონოლითი. რომ გმირების სიხარულსა და გლოვას ხალხის ხმა აიტაცებს და მათ განცდებს ვეებერთელა მასშტაბებში გადახ-

რდის, — ეს ოპერის არსებითი თვისება და მონოლითის საფუძველიც.

დ. მირცხულავა ბოლომდე მიხვედნისკენ არი სისადავის პრინციპს, შეგნებულად თავს არიდებს ნიუანსირების, სირთულეს და გარეგნულ ეფექტირებას, ტემპების გრადაციებში რაიმე აქტიურ კონტრასტულობას. ოპერა მიჰყავს ნელი ტემპის გაბატონებით. თვით პარტიტურის კონტრასტულ, მუსიკის „სწრაფ ზონებს“ ჩვეული ტემპები „ჩამოკლებული“ აქვთ და შეფარდებული არიან. ძირითად „მაგისტრალთან“ — ეპოსურ დინებასთან (ჩანაწერში ეს პრინციპი უფრო აშკარად გამოხატულია, ვიდრე 1966 წლის სპექტაკლში იყო). შეიძლება ვედავით კიდეც დირიჟორს ამის გამო, მაგრამ იმასაც ვიტყვით, რომ ნიველირება არსად ხდება — „რომეზგამოკლებული“ ეპიზოდები ყველგან ინარჩუნებს ალევროს დინამიკურ თუ დრამატულ ფუნქციებს ქლერადობის მკვეთრი ენერგიულობის გამო (ასეთია თუნდაც, აბესალომისა და მურმანის მეორე დუეტი „სამამადლო დამე“).

აქვე შევნიშნავთ: მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გათაყვეტა ორმად ზის ამ ოპერის ბუნებაში, მაინც არ ვიტყვით, თითქოს ეს ერთადერთი გზა იყოს „აბესალომს“ ინტერპრეტაციისა, — სწორედ ამ ბოლო წლებში მოგვისმენია ელვარე ნიუანსირებით, უფაქიზესი გრადაციებითა და ექსპრესიული აფეთქებებით აქლერებული „აბესალომის“ პარტიტურა (სახელდობრ ვგულისხმობთ ს. ტურჩაქის მალაღნიჭიერ დირიჟორობას კიევის სპექტაკლში). ეს კი იმაზე მეტყველებს, თუ შემოქმედებითი მიდგომისათვის რაოდენ მდიდარია „აბესალომს“ პარტიტურა.

ორდესაც მირცხულავას შესრულებაში თანმიმდევრულ ეპოსურ სიდიდეს, ნელი ტემპის გაბატონებასა და ნიუანსირების სისადავეს აღვნიშნავთ, ეს როდი ნიშნავს რაიმე „სწორხაზოვნებას“. არც მოულოდნელი გადახვევებისაგან არის დაზღვეული მირცხულავასეული წაკითხვა. ამ გადახვევებს — ნახტომებს ძუნწად მიმართავს დირიჟორი, მაგრამ კარგად მოზომილი აქვს, თავის „წერტილშიც“ ხვდება და ერთგვარი კატალიზატორის როლსაც ასრულებს ოპერის შინაგანი სიმფონიზმის, დინამიკის გახსნაში. ამის მკაფიო ნიმუშია — II მოქმედება. ასეთია აქტის დასაწყისში „აბიო მეფის“ მომდევნო სა-



ქორწილო სვლის საორკესტრო ეპიზოდი, — ვალტორნებისა და სურდინიანი საყვირების უჩუმარი, იმიტაციური გადაძაბილებით რომ იწყება. პარტიტურის მითითებისაგან (**Allergo festivo, marziale**) განსხვავებით, იგი ხანგრძლივად უფრო ნელ ტემპში მიჰყავს, რითაც ამ იმიტაციების ილუმინაციას აღნიშნავს; შემდეგ ელერადობის გამსხვილების, გაძლიერებისას კულმინაციაში (პარტ. 38), თავის მხრივ, მკვეთრად ააქტიურებს ტემპს და სახიერი ეფექტით გზას უხსნის საქორწილო ზეიმის ახალ სტადიას, ხალხური ლაშქრულის — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ — მოტივებზე რომ არის აგებული. ცნობილია, რომ ზ. ფალიაშვილმა ეს პოპულარული ხალხური ლაშქრული გარდაცვლილად დაამუშავა და რონდოსებურად განავითარა, დიდ მანძილზე გაშალა და მთელი საქორწილო სცენის სიმფონიურ-დინამიკური ღერძის ფუნქცია დააკისრა. მთელ ამ საქორწილო სვლაში რამდენჯერმე შემხვედრ, გადასასვლელ მომენტს, ყოველთვის „პარალელს“ შესვლას რომ უფროს წინ (სიმებიანებისა და ხის ჯგუფის ფორმლაგირანი ტრიოლები, აღმავალი სეკვენციებით), მარცხულავე ელასტიურად, სწავდასხვა ტემპში იღებს (ასევე თავისი სურვილით) და ამითაც საგრძნობლად აცხოველებს შინაგან მოძრაობას, საბოლოო ჯამში კი — II აქტის სიმფონიურ დინამიკას და მასშტაბებს. მკაფიოდ არის გამოსახული მთელი საქორწილო სცენის დინამიკური გრებილები და კულმინაცია.

შესრულების დიდოსტატური ხარისხითა და ვირტუოზულობით, დიდი მასშტაბის დინამიკით ბრწყინვალედ ქლერს მთელი ამ აქტის გვირგვინი, ზეიმის აპოთეოზი — „ჩაკრულო“. მისი ვირტუოზული, ეშხიანი შესრულება ადრეც და ხშირდაც მოგვისმენია. ტრადიციულად მას ერთი ამოსუნთქვით მღერაინ ხოლმე. მირცხულავამ აქ გამოკვეთა დინამიკური აღზევების სტადიები, თავისი მოძრავი ენერგიით, გზადაგზა მწვერვალებით და გენერალური კულმინაციით. ამით ხაზი გაესვა ამ თვითმყოფადი ეროვნული ხალხური ძირებიდან წამოსული მონუმენტური პლასტის სიმფონიურ ბუნებას (სიმფონიზმის ენერგია ხომ ბუდობს „ჩაკრულოს“ კატეგორიის — კახური დიდგორიანი „გრძელი სუფრულების“ ხალხურ ძი-

რებში. ვუწოდოთ ამას „ხალხური სიმფონიზმი“).  
უნდა აღინიშნოს, რომ „ჩაკრულოში“ დინამიკური სტადიების მკვეთრი გამოყოფის პრინციპს მიმართა კიევის საოპერო თეატრ-მაც და განსაკვიფრებელ ეფექტსაც მიაღწია. ეს უკვე ფირფიტის გამოსვლის შემდეგ მოხდა.

ამრიგად, მეორე აქტის ქლერადობაში მირცხულავას მკაფიოდ გამოვლენილი აქვს სიმფონიზმის ხაზი დინამიკური გრებილებით და გენერალური კულმინაციით. ამით მეორე და მესამე აქტები ტოლძალოვანი მასშტაბებით აქლერდნენ, როგორც სახალხო სიხარულისა და სახალხო გლოვის ორი ვეებერთელა გამოვლინება, ოპერის ორი „ორატორიული ცენტრი“. ისიც უნდა ითქვას, რომ სიმფონიურ-დინამიკური მასშტაბებითა და ხარისხით მესამე აქტის ღონეზე აქლერებული მეორე აქტი იშვიათად გვიხანავს „აბესალომის“ თბილისურ სპექტაკლებში. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მესამე აქტის დინამიკური ამპლიტუდა გარეგნულადაც მკვეთრი სწავლობითაა გამოხატული და ინტერპრეტაციის ამოცანაც სრულიად აშკარაა. მეორე აქტი კი თავიდანვე ჰინურ ატმოსფეროში იწყება და მისი დინამიკის სრული გაშუქება დირიჟორის მხრივ მუსიკის „შინაგანი დინების“ რეალური ფაქტორების წვდომაზე, მისი თანმიმდევრული ქმედითი ენერგიის გამოვლინებაზე დამოკიდებული.

ახლებურია მარიხის კანცონეტის („საყვარელო გულია“) გადაწყვეტა, რომელიც მოულოდნელი აღმოჩნდა და ვისთვის — სადაოც. პირდაპირ ვიტყვით, რომ ამ კანცონეტის კოპწია, სკერცოზული ხასიათი მხოლოდ თავისი მხიარულებით თუ შეეწყობა საქორწილო სცენის საერთო განწყობილებას. მაგრამ საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება „აბესალომის“ მონუმენტალიზმის მკაცრი სტილისტიკის ფონზე. ეს ეჭვი ადრეც აღძრულა და რგი გავრცელებულა IV აქტის კვარტეტზეც. მარიხი რომ იწყებს („მე პატარა გამომგზავნეს“), — რომ მის ასევე სკერცოზულ მუსიკას უცხო კონტრასტი შეაქვს ოპერის დასასრულის — სიყვარულის მიმწუარის სცენაში, გვირების სიკვდილის წინ (ამის გამოც აღნიშნული კვარტეტი კიევის, ლენინგრადისა და ლოდის დადგმაში გამოტოვებული იქნა). დ. მირცხულავამ მარიხის პარტიის



ორივე მომენტში მარტოოდენ ერთი კორექტივი შეიტანა: საგრანობლად გაანელა მათი ტემპი (რიტმიკის შენარჩუნებით). კანცონეტაში „კოლორატურული კაპრიზობის“ ნაცვლად (მართლაც უცნოსი „აბესალომის“ სიდიადისათვის) ვისმენთ მოსალბუნე, მოალერსე, ელეგიური ელფერის ლალ სიმღერას. ამ მოულოდნელობამ, რა თქმა უნდა, აქა-იქ უკმაყოფილებაც გამოიწვია („ეს ხომ ასე არ იყო!“ მაგრამ დირიჟორმა (მომღერალთან ერთად — ჩვეული დიდი ხელოვნებით მღერის მას ლამარა ჭყონია) ამ ტემპობრივი კორექტივით მხოლოდ და მხოლოდ უფრო დაუახლოვა ეს მომენტი „აბესალომის“ სიდიადეს. ამგვარი კორექტივის ხატოვანი ეფექტი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა IV მოქმედების კვარტეტში, — მის ერთობ ორიგინალურ გადაწყვეტაში. აქაც: სკერცოზული ვირტუოზულობისა და სიკვლეულის ნაცვლად (არც თუ იშვიათად, თოჯინურ იერს რომ აძლევდნენ) — ზომიერი, მოჩუხჩუხე მჩქეფარება პასტორალური ელფერით, ჩონგურისებური თანხლების ლირიკული სიტბოთი; ვირტუოზული ბრწყვიალება შეცვლილია ყოველი ხმის გულითადი გამღერებით და სახიერი აქცენტირებით (რა თქმა უნდა, რიტმის პულსირებით); მონაქროლი ნიავეით შემოესალბუნება მათ ორკესტრიდან სიმებიანთა და ხის საკრავთა ერთობლივი ამღერება (ოდნავე, ნაზი კრეშენდოთი). კვარტეტის ყოველი მოქმედი პირის ჩართვა მკაფიო და სახიერია. ამ იდილია-პასტორალის საწყისში ჩასახული სიტბო ღვივდება და ხურდება: თითქოდა სიხარულის ბოლო კოცონი ავიზგინდა აბესალომისა და ეთერის უკანასკნელი შეხვედრის, მათი სიკვდილისა და სიყვარულის ამაღლების წინ! ამგვარი აელერების ორიგინალობა მით უფრო მნიშვნელობას იძენს, რომ ეს, თავისთავად ენხიანი და ეფექტური — ვირტუოზული კვარტეტი თითქმის ყოველთვის „ჩართულ“ ეპიზოდად გამოიყურებოდა უკანასკნელი მოქმედების დრამატულ კონტექსტში.

მესამე აქტის დინამიკურ პლანს შესრულების საფუძვლიანი ტრადიცია გააჩნია და მისი სახიერი, ემოციური ზემოქმედების ძალა მეტნაკლები შთამავგონებლობით თითქმის ყოველთვის გამჟღავნებულია.

სახელდობრ, მისი „გარეგნული“ პლანი, მთელი აქტის წარმართველი საგუნდო პარ-

ტიის დინამიკა იმდენად ცხადად არის გამოხატული პარტიტურაში, რომ მისი შედეგად შესრულებაშიც კი ინტერპრეტაციის არსებითი განსხვავებაც არ არის. რეალურ განსხვავებას იძლევა ელერადობის ხარისხი, ამასთან დირიჟორის უტყუარი შინაგანი გაცნობა და ტემპერამენტით მიღწეული მონუმენტურობა. ერთ-ერთი გადამწყვეტია, რა თქმა უნდა, აბესალომის შემსრულებელი, რომელმაც მკაფიო ელფერი შეაქვს ამ გამოვლენებელი ტრადიციული აქტის ყოველსაკვანძო მომენტში.

თუ როგორ უფერდა მირცხულავას თავის სპექტაკლში სოლისტებით გამძლავრებული გუნდი და როგორი საბოლოო შედეგი გამოიღო ამან, ამის შესახებ უკვე აღვნიშნეთ, ამჯერადაც, ფირფიტაზე ჩასაწერად, საკვშირო რადიოს დიდმა გუნდმა საფუძვლიანი შრომა გასწია. ჩაწერის შედეგიც ჩინებულ აღმოჩნდა. დირიჟორმა მკაცრად მოზომა და დაადგინა დრამატული დინებისათვის საკვანძო საორკესტრო რეპლიკები, საორკესტრო ჯგუფების დუბლირებაში შეფარდებანი, აქტის გამოვლენებელ კულმინაციებში — ელერადობის სიმკვრივის ხარისხი და აქცენტირება, საკრავების, მათ შორის სასულეების შეფარდება გუნდის ხმოვანებასთან. ყოველივე ამან დიდებული ნაყოფი გამოიღო. ამას შეუერთდა ზურაბსოტკილავას (აბესალომი) ბრწყინვალე ხელოვნება (ამაზე ქვემოთ) და სოლისტთა ანსამბლის დიდოსტატური ფილიგრანულობა ამავე აქტში.

სოლისტთა ანსამბლის აღნიშნული თვისება ამ ჩანაწერის საფუძვლიანი ძალაა ოპერის ყოველ აქტში (მოქმედ პირთა ვარიაციებით) და განსაკუთრებული სხივმოსილებით არის აღბეჭდილი „წამწამსა და წამწამს შუას“ ამღერების დროს.

„აბესალომ და ეთერის“ მუსიკალურ დრამატურგიაში ორიგინალურადაა შეჯვარებული კლასიკური ოპერისა და ორატორიის თვისებანი. ისინი ფართო პლანებით არიან განლაგებულნი ოთხი მოქმედების მანძილზე.

„ორატორიული ცენტრი“ (II და III აქტები) შემორკალულია სავსებით „ოპერული“ I და IV მოქმედებებით. სიხარულისა და ურვის ვეებერთელა სახალხო სცენები მაღალი სიყვარულის პოეზიის ცისკრითა და მიმწუხრით არიან გარემოცულნი და განათებულნი.

ჩანაწერიც ამის მკაფიო შეგრძნებით არის

აღბეჭდილი. თუ — I აქტის პოეტური მუსიკის ელერადობა ოდნავ დამძიმებულად მოგვესმის (ამგვარი დამძიმება ეტყობა ოპერის საორკესტრო შესავლის — ქორალის ციურ ჰანგსაც, თუმცა, ეს უკვე ინტერპრეტაციის საკითხია), IV აქტის შესრულება გვიხიბლავს მუსიკის მშვენიერების წარმოჩენისა და ფილიგრანული ოსტატობის პარმონიულობით. უნდა ითქვას, რომ „აბესალომის“ სპექტაკლში უკანასკნელი აქტის წარმატება თითქმის ყოველთვის გარანტირებულია მომღერალთა მაღალი ხელოვნების გამო. ცხადია, ამ წარმატების კატეგორია კიდევ უფრო ამაღლებულა, როცა მომღერლებს დირიჟორის ოსტატობაც შეერთებია. სწორედ ასეთი პარმონია აღიბეჭდა ფირფიტაზეც: ტრაგედიის დასკვნითი აქტის წარმატი გადმოცემით — ეთერის ჰიმნით „ქალაი, ქვეყნის თვალა“ დაწყებული, განმწმენდი „სულთათანაი“ და ამაღლებული საორკესტრო აპოთეოზით დამთავრებული.

ფილიგრანული ოსტატობისა და პარმონიულობის მაღალი ნიშნითაა აღბეჭდილი, უწინარეს ყოვლისა, ანსამბლების ელერადობა.

ამის ელვარე ნიშნებია „წამწამსა და წამწამს შუას“ — ოპერის სილამაზის ჭეშმარიტი გვირგვინის — შესრულება, შესანიშნავია იგი მომღერლების დიდი ხელოვნებით, მათი შეხმატკბილებით.

ტრადიციული ტემპებისაგან განსხვავებით სრულდება აბესალომისა და მურმანის ორივე ურთიერთმომდევნო დუეტი, — სანელდორ, განელბულია მათი ტემპები. პირველში („მურმანო, მითხარ, მითხარ შენა მხესა“) მთლიანად „მეისტროს“ საზეიმო ელერადობაა აღებული და ორივე მხარის ინტონირებაში არა იმდენად კონტრასტებია გამახვილებული, რამდენადაც — სიამაყის ეერი და ზეაწეული, ჰიმნური სიდიადე (თითქმის ყოველი ფრაზის ოდნავი შინაგანი გაფართოებით). მეორე დუეტშიც („ამალამდელი დამეო“), — საოპერო ალევრო-დუეტის ამ ჭეშმარიტ შედევრში, — ჩამოკლებულია ჩვეული ტემპი, მაგრამ მძაფრად არის გამოხატული მისი დინამიკა და დრამატიზმი რიტმული ფაქტორის ენერგიული წარმოჩენის მეოხებით.

მთელი ჩანაწერი ბრწყინავს მომღერალთა მაღალი ხელოვნებით. მაღალნიჭიერი მომღერლის ზურაბ სოტკილავას დებიუტი აბე-

სალომის როლში სწორედ მიტყვევებს სპექტაკლში შედგა, 1966 წელს, გაველი წლები ზ. სოტკილავას შეუჩერებელი დასწავლოვნებით წარიმართა, რამაც იგი მოვლი საბჭოთა საოპერო ხელოვნების შესანიშნავი, მსოფლიო სარბიელზე გასულ ოსტატთა შორის მოაქცია. შესაძლოა, დღეს მისი აბესალომი კიდევ უფრო გაღრმავებული და სრულყოფილი ყოფილიყო, თვით ჩანაწერთან შედარებით, მაგრამ რასაც ვისმენთ, გამსჭვალულია მგზნებარებით, გულითადობით, ხმის საუცხოო ელერადობით. აბესალომს დიდებული მომღერლები ჰყოლია და ჰყავს, შექმნილია მისი შესრულების თვითმყოფადი, ღრმა და ფესვგამდგარი ტრადიციები, სწორედ ამ ტრადიციებზე შეიქმნა ქართული საოპერო ბელკანტო. ზ. სოტკილავას აქვს განსხვავებული მომენტები, რომლებიც განსაკუთრებული და გამორჩეულია მის შესრულებაში. ასეთია აბესალომის არიის დასაწყისი „ვექმბდი ბედსა“, რომელსაც მღერის ტრადიციისაგან განსხვავებული მანერით — კლასიკური საოპერო „ლამენტოს“ სტილში (ამავე სტილით მღერის აბესალომის საკვანძო რეპლიკებს III აქტში). ბელკანტოს ხელოვნების შედევრად შეგვიძლია მივიჩნიოთ ზ. სოტკილავას მიერ „წამწამსა და წამწამს შუას“ დაწყება, — სულიერი იდილიის მეტად ამაღლებული, „არამაქვეყნიური“ ელფერით.

მშვენივრად აღიბეჭდა ფირფიტაზე ცისანატატიშვილის სისხლსაცხე ხმის უზადო სილამაზე და დრამატიზმიც. ტრაგედიული ექსპრესიით გაისმის მისი სიმღერა უკანასკნელ, დატირების ეპიზოდში. — როგორც მელოდიის გულითად გამღერებაში, ასევე მომდევნო რეჩიტატივის ელერადობაში.

მათი სლოიდური პარტნიორია შოთა კიკნაძე, რომლის ხავერდოვანი სილამაზის ხმა, სიმღერის გულითადობა მშვენივრად აღიბეჭდა მურმანის პარტიის როგორც ლირიკულ, ასევე დრამატულ ეპიზოდებში, ანსამბლებში.

მარიხის პარტიის მთავარი მომენტების ორიგინალურ გადაწყვეტაზე ზემოთ ვწერდით. დირიჟორთან ერთად, აქ მნიშვნელოვანია ლამარა ჰყონიას ელევანტური ოსტატობა, მასში სიმსუბუქისა და ლირიკული ინტონირების ჩინებული შერწყმა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი შემართება „ჩაქრულოს“

მომღერალთა გმირულ პაექრობაში მამაკაცების ხმებთან შებმისას.

„ჩაკრულოს“ შესრულების შესახებაც უკვე აღინიშნა. სხვა ფაქტორებთან ერთად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მისი წამყვანი მომღერლების აბრეკ ფირცხალავას (თანდარუხი), ნუგზარ გელაშვილისა (მოძახილი) და ლამარა ჭყონიას როლი.

ბარაქიანად, ფრესკული მონუმენტურობით უქელერს აბიო მეფის პარტია ი. შუშანიას.

თავიანთი წვლილი მომღერალთა ამ მშვენიერ ანსამბლში შეაქვს აბესალომის დედის შემსრულებელს ლიანა ღვედაშვილს, რომლის მეცო-სოპრანო შთამბეჭდავად, ნათლად აღიბეჭდა ოპერის ერთ-ერთ ულამაზეს ეპიზოდში — ნათელასა და ეთერის დუეტში და ანსამბლებშიც. ვერცხლისებრი კრისტალურობითა და სხივმოსილებით ჟღერს ოლგა კუზნეცოვას (ნანა) ხმა დიდებულ ლირიკულ ჰიმნში „ქალია, ქვეყნის თვალა“. ანსამბლს უერთდება ნიკოლოზ კაპანაძის ხავერდოვანი ბარიტონი სახლთუხუცესის ეპიზოდურ პარტიაში — IV აქტში.

საფუძვლიანად აქვს დაყენებული და აღნიშნული დ. მირცხულავას ვოკალური და საორკესტრო პარტიების ფონიკური კონტაქტები, ორკესტრში ცალკეული ჯგუფის ფუნქციები და მათი გამახვილების მომენტები ქღერადობის გამკვერივების, საორკესტრო tutti-ს დროს, დინამიკური სახიერებით, ეფექტიანი „ამოზიდვით“ აქღერებს ცალკეულ საორკესტრო მომენტებს. ზოგიერთ მომენტში, სამივე ჯგუფის დუბლირების შემთხვევაში, ე. მიქელაძის პრინციპით, ნაწილობრივ განტვირთული აქვს პარტიტურა ერთ-ერთი ჯგუფისაგან.

ჩანაწერში ამოღებულია მარტოდენ ერთი ეპიზოდი — დედინაცვლის სცენა. ამ შემთხვევაში ე. მიქელაძის აღნიშნულმა კუბიურმა, მისმა უტყუარმა ინტუიციამ სრული გამართლება მიიღო: „აბესალომის“ უღრესად ჰარმონიულ და მონოლითურ მუსიკას უმტიკვენულოდ ჩამოშორდა სტილისტიკურად უცხო მომენტი და შემთხვევითი არ არის, რომ ეს ტრადიციადაც დაედო „აბესალომის“ დადგმების უმრავლესობას.

„აბესალომ და ეთერის“ მთელი ეს ჩანაწერიც აღბეჭდილია მონოლითურობისა და ჰარმონიული მშვენიერების უტყუარი გრძნობით.

## ბაბაული აზრი,

## სორცხესხმის

## სილაგაზა\*

იგორ სვეტლოვი

70-80-იანი წლების საბჭოთა ხელოვნებაში რთული და განსხვავებული პროცესები მიმდინარეობს. იზრდება მხატვართა პროფესიული ოსტატობა და, ამავე დროს, საკმაოდ თვალსაჩინოდ ავლენს თავს ხელოსნობა; შთამაგონებლობისაკენ ლტოლვას წინ ეღობება უსულგულო რაციონალიზმი. ტრადიციის მაღალი აზრის წედომის მაგალითები თანაარსებობს ეპიგონობის გვერდით. ამ პირობებში იზრდება მნიშვნელობა ნაწარმოებებისა, რომლებშიც ჩანაფიქრის თვითმყოფადობა, სახეობრივ-პლასტიკური კონცეპციის გააზრება ჭეშმარიტი ნოვატორობის ღირებულებას იძენს. დადგა დრო, როცა გაბედული მხატვრული აზრი, თანამედროვე სინამდვილესთან პრინციპული დამოკიდებულებით რომ არის შთაგონებული, მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხელოვნებას ახალი

\* სტატია დაწერილია ეფრანლ „საბჭოთა ხელოვნებისათვის“.

მიჯნების დაძლევაში. ინერციიდან და უკვე უმოქმედო პირობითობისაგან თავდაღწეულმა, მან ახალი სულიერი სიმაღლე და ემოციურობა, არტიტიზში უნდა შეიძინოს.

ვაშოსახეის ხერხების და საშუალებების უჩვეულობა, თავისთავად, შთაბეჭდილებას როდი ახდენს, მას უთუოდ ავტორისკულა კონცეპცია უნდა განაპირობებდეს. ამასთან, აუცილებელი ხდება მთლიანისა და ცალკეული ელემენტების მოქნილი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც თავისში შეიცავს შინაგანი განვითარების პერსპექტივას.


ეს ეხება მონუმენტური ფანრის ქმნილებებსაც — ძეგლებსა და მემორიალებს. 60-იან და, ნაწილობრივ, 70-იან წლებშიც, მემორიალური კომპლექსები, როგორც წესი, იგებოდა რამდენიმე, ერთიმეორის მონაცვლე, ან ერთმანეთის თანმიმდევარ პანორამაზე. ასეთ ეფექტს უთუოდ გააჩნია თავისი უპირატესობა — იგი მოულოდნელ ხეულებსა და დისონანსებს ქმნის თემის პოეტურ განვითარებაში. ის, რაც არქიტექტორებმა ვახტანგ დავითაიამ და შოთა ბოსტანაშვილმა შექმნეს ქუთაისსა და მუხრანში, მიუხედავად დინამიკურობისა, შთაბეჭდილებათა თანმიმდევრულ ცვლაზე როდია აგებული. აქ, პირველყოფისა, თავის როლს თამაშობს კონცენტრაცია, კომპლექსის პლასტიკური, სახეობრივი, აღქმითი სისასვე, რაც გამორიცხავს მთლიანისაგან დამოუკიდებლად ერთ რომელიმე ელემენტზე მნახველის ყურადღების გამახვილებას. ქუთაისის ასნამულში არქიტექტურული ჩარჩოებია სილუეტები ერთმანეთზეა „დადებული“. ქანდაკებებზე სხვადასხვა ფონზე აღიქმება, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და არქიტექტურულ გარემოსთან კონტრასტშია. იქმნება ცალკეული შემადგენელი ნაწილის მტკიცე, მრავალმხრივი კავშირი. ასეთი კონცენტრაცია პროცესუალობას როდი გამორიცხავს, თუმც კი ამ უკანასკნელს არ აქვს გადაწყვეტი ხასიათი. თემის განვითარება, როგორც მისი ნაირგვარი წახანაგების ერთდროული დემონსტრაცია, თავისი მნიშვნელობის მხრივ თანაბარი გამომსახველი სივრცობრივი ელემენტების ურთიერთზემოქმედებით ხდება.

მუხრანის „სსოვნის ტაძარი“ გამოყენებულია ფორმათა კონცენტრაციის, მათ სისასვის, სივრცეში მყარად დგომის პრინციპი. ოთხი პილონი ისეა განლაგებული, რომ

მიახლოვებისთანავე შეიგრძობა მათი ფორმული მთლიანობა. ამგვარ განლაგებასთან ერთად, მათი ფორმების სიკბადე და სიკბადე ემსახურება მონოლოთურობის, ერთიანობის თემის ხორცშესხმას. როცა მუხრანის მემორიალს შესცქერი, გაგონდება დუნეიკოვსკის მიერ წმ. ანას მთაზე აღმართული მემორიალი, კ. ბრინკუშის უკვდავი ნაწარმოებები ტიგურ-ვიუში. როცა ამ ნაგებობას ვაღარებთ ამა თუ იმ პარამეტრის მიხედვით, მნიშვნელოვანია მათი ხარისხობრივი დიფერენციაცია. მაგრამ ყველა შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველ არქიტექტორთა ნამუშევრები XX საუკუნის თვალსაჩინო მოვლენათა რიგშია, ევროპული მონუმენტალიზმის ნოვატორულ ხაზს უკავშირდება და ნაყოფიერი გადაწყვეტის ერთ-ერთ ნიმუშად გვევლინება.

ლაბარაკია არქიტექტურის ახალ როლზე, როგორც სიმბოლოზე და სივრცობრივ-პლასტიკურ კატეგორიაზე, ჩვენი ეპოქის დიდი იდეების ხორცშესხმის მის უნარზე. ნოვატორობა მუდამ ტრადიციის მასშტაბურ გაგებას, მის აქტუალიზაციას ეფუძნება. დავითაი და ბოსტანაშვილი ისწრაფოდნენ თანადროულად გააზრებინათ ტაძრის უძველესი ტრადიციები. ტაძარი მათ მიიჩნიეს საკმაოდ ტევადად საიმისოდ, რომ მასში განსხეულებულიყო ამაღლებული და, ამავე დროს, ღრმად პირადული გრძნობები, მიიჩნიეს კეთილშობილი თავშეკავებისა და ფორმათა ეკონომიური გამომსახველობისადმი სადღეისო მისწრაფებების შესაფერად. XX საუკუნის სხვა არქიტექტორთა და მოქანდაკეთა მსგავსად (მათ შორის დავასახელებთ ი. მეშტროვიჩსაც) იდეის ამგვარი ხორცშესხმა იმ სურვილითაც აიხსნება, რომ შექმნილიყო რაღაც განსხვავებული, რომელიც გამსჭვალული იქნებოდა სიწმინდის განსაკუთრებული შეგრძნებით.


არსებობს სხვა მიზეზებიც, რამაც სიცოცხლე დაუმკვიდრა მემორიალის არქიტექტურულ ტიპს, კერძოდ, განაპირობა სატაძრო ტრადიციის ახლებური გააზრება. საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელოვნებაში ცოტა როდია გაკეთებული თანამედროვე სახეობრივი სიმბოლიკის დამუშავებაში. ჯერ კიდევ მონუმენტური პროპაგანდის ლენინურმა გეგმამ მისცა ბიძგი ისეთი მხატვრების შემოქმედებით ძიებებს, როგორც



„ხსოვნის ტაძარი“ სოფელ მუხრანში

არიან ვ. მუხინა, ვ. კოროლიოვი, ნ. ანდრე-  
ევი, ი. შადრი. და უკვე საბჭოთა ქანდაკების  
განვითარების პირველ ეტაპზე ამ ძიებებმა  
ხელი შეუწყო სინამდვილის სახასიათო მზა-  
რეთა კრებითი გამოსახულების საფუძველზე  
სიმბოლური ფორმების შექმნას. ამ მხრივ  
ნაყოფიერი გამოდგა სხვა ეტაპიც — 60-70-  
იანი წლები. ამ პერიოდში შექმნილ ნაწარ-  
მოებთა შორის აღსანიშნავია გ. ია.ობუნისი  
— მგლოვიარე დედის ფიგურა ბაქრაიუნის-

ში, ვ. ალბერგის — ლატვიელ მსროლელთა  
ძეგლი რივაში, ტ. სადიკოვის კომპოზიცია  
„საბჭოთა ყირგიზეთი“ ფრუნზე, მ. ბერძე-  
ნიშვილის და ო. კალანდარიშვილის — გა-  
მარჯვების ძეგლი ქუთაისში... ამასთან ერ-  
თად გაჩნდა მრავალი სხვა გადაწყვეტა, სა-  
დაც სიმბოლურმა სახემ ნატურალისტური  
ყოველდღიურობისა და პლაკატის სწორხა-  
ზოვანი მომწოდებლობის იერი შეიძინა.  
გარკვეულ პერიოდში, კერძოდ, 60-იან წლე-



ბში, პლაკატურობაზე დომინირებულ აქცენტს ხელი შეუწყო სახვით და, კერძოდ, მონუმენტურ ხელოვნებაში გავრცელებულმა ე. წ. მკაცრმა სტილმა. ამჟამად პლაკატური გადაწყვეტა სულ უფრო ნაკლებ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან ამგვარი მიდგომა ვერ შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას ძეგლზე, როგორც აზრის, გრძნობის სიღრმესა და კონცენტრაციაზე.

მაგრამ ჩვენს შორს ვართ იმ თვალსაზრისიდან, რომ საერთოდ უარვყოთ პლაკატური გამომსახველობის მნიშვნელობა მონუმენტურ პლასტიკაში. ძეგლი — პლაკატის შესაძლებლობებზე საინტერესოდ წერდა ვ. მუხინა, რომელიც სამართლიანად მიიჩნევდა ამგვარი ხასიათის ძეგლს ქანდაკების ერთ-ერთ თანრად. სამუხაროდ, ამგვარი პლაკატური მიმართულება მეტისმეტად განვითარდა სხვაგვარ გადაწყვეტათა საზიანოდ, მონუმენტურ სახეთა გამდიდრების საზიანოდ. ძეგლის არქიტექტურული ტიპის შერჩევა რეაქციად მოგვევლინა ამ ტენდენციათა გაღრმავებაზე. ემოციური თავშეკავებისა და ფიქრისანი განსჯის ატმოსფეროს შექმნის

სურვილი იქცა აგრეთვე, ერთ-ერთ მომენტად, რომელმაც ხელი შეუწყო მემორიალის არქიტექტურული ტიპის პოპულარობას. ამაში, ჩანს, როლი ითამაშა ქეშმარიტი მონუმენტალობისაკენ სწრაფვამაც, რაშიც არქიტექტურულ გადაწყვეტას იქნებ მეტის მიღწევა შეეძლო, ვიდრე ზომით გაზრდილ ფიგურებს და ზოგჯერ არცთუ გამართლებულ — ფორმათა გამარტივებას, ქანდაკებას, ამასთან დიდი სივრცის დაპყრობა, გარემოში აქტიური ადგილის დაკავებაც ყოველთვის როდი ძალუძს. მთელ რიგ მონუმენტალისტთა აზრით, ძეგლის არქიტექტურული ტიპი განსაკუთრებულ შესაძლებლობებს შეიცავს ამგვარი პრობლემების გადაწყვეტაში. მაგრამ არქიტექტურული ძეგლის თანამედროვე ვარიანტის შემუშავება, მით უმეტეს, თუ მასში მონუმენტური სინთეზის ამოცანებიც წყდება, არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა ამას მოწმობს ის მცირერიცხოვანი პედაგოგები, რომლებიც დამოუკიდებელ და ფართო კონცეპციებს შეიცავენ. ერთ-ერთი ასეთია ზოინკუშის მიერ შექმნილი ნაწარმოები. ხალხურ ნაგებობათა და დეკორატიულ მორთულო-



ბათა ნიმუშების საფუძველზე მან შექმნა პლასტიკურად ორგანული, სისხლსავსე ფორმები, ფართოდ და კანონზომიერად ააგო კომპოზიცია, სივრცობრივი რიტმი, დიდი სითბოთი გამოძერწა მოცულობანი, და, ბოლოს, ცოცხალი მითროლვარების ისეთი შეგრძნებით ჩაწერა ეს ერთი შეხედვით უბრალო ნაგებობანი ვარემო ლანდშაფტში, რომ დღეს იგი წარმოგვიდგება როგორც ღრმად ფილოსოფიური, პოეტურად ასულდგმულეული ქმნილება.

წმ. ანას მთაზე აღმართულ კომპლექსში კ. ღუნიკოვსკის სხვა წყარო — ანტიკური ტაძრის, პირველყოვლისა, პართენონის, სახე შთააგონებდა. ბრინკუშისგან განსხვავებით მან ხეზე კვეთის ძველ-პოლონური ხელოვნების ტრადიციას მიმართა, არქიტექტურა მდიდრულად შეამკო პლასტიკური სხეულებით, ნიღბებით, კარიატიდებით. მექსიკელ მონუმენტალისტთა შემოქმედებით შთაგონებულმა, მხატვრებისა, რომლებიც ხშირად არქიტექტურულ ზედაპირს ფარავენ ხოლმე ხალიჩისებრი ნახატით, მან მძლავრი კედლების

სისქე გაჭრა ხალხის საბრძოლო სცენების ამსახველი კონტრელიეფებით.

უთუოდ სახასიათოა, რომ როგორც ბრინკუში, ისე ღუნიკოვსკი კონსტრუქციის, ძირითადი არქიტექტურული მოცულობის გამოვლენის ხერხს ეძებდა. ასე შეიქმნა წმ. ანას მთაზე მემორიალი — ტაძრისმავგარი ნაგებობა. აქ იჩინა თავი კონსტრუქციისტულმა ტენდენციამ, ეროვნული არქიტექტურიდან, სახვითი ხელოვნებიდან, დიზაინიდან და აგრეთვე თვით ღუნიკოვსკის 30-40 წლების პროექტებში წარმოჩენილი ძიებებიდან რომ მომდინარეობდა. ამ ორ მემორიალს შორის მსგავსება განსაკუთრებული პლასტიკური დატვირთვის მქონე არქიტექტურული ფორმების ლაკონიურ ქლერადობაშია.

დასახელებულ და რიგ სხვა ძეგლებში მემორიალურ მშენებლობაში ფორმათქმნალობის, მონუმენტური სინთეზის გაგების ძალზე მნიშვნელოვანი და ღრმად პერსპექტიული ტენდენცია მკვიდრდება.

სწორედ XX საუკუნის ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი და ეროვნული ხელოვნების


გამოცდილებით ვამდიდრებელი ტენდენციების შექმნე უნდა განვიხილოთ ვ. დავითიას და შ. ბოსტანაშვილის მიერ განხორციელებული მუხრანის „ხსოვნის ტაძარი“. აქაც ავტორებისათვის მთავარია არქიტექტურულ ფორმათა ზემოქმედება, მთლიანის მკაფიოდ გამოხატული კონსტრუქცია და კომპაქტურობა, და, ბოლოს, მასების წონადობის ეფექტი. ქუთაისის „შრომის დიდების“ კომპლექსისაგან განსხვავებით, სადაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს არქიტექტურულ ჩარჩოთა, ფორმათა სიმსუბუქე, მომრგვალებული ფორმების სიჭარბე სივრცითი შიდა კრილიებით, მუხრანში ყველაფერი ემსახურება მთლიანის მონოლითურობას, ძირითადი არქიტექტურული დომინანტების დაუნაწევრებლობას. ქუთაისში მკაფიოებული თეატრალური უჩვეულობით აღსავსე ცვალებად სამყაროში ზედება, მუხრანში კი პირიქით, ირგვლივ ყოველივე მონუმენტური, მყარი და ურღვევია. ძირითადი სილუეტის სისადავე, კომპოზიციის სიციხადე მთელისა და დეტალების შეფარდების გააზრებულობა და ლაპიდარულობა — ყოველივე ეს ქმნის ზეიმურობის, მარადიულობის შეგრძნებას. ამოცანები, რომლებსაც ავტორები ამ ნაწარმოებში წყვეტდნენ, ძალზე განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში ისინი განადიდებდნენ დაღუპულთა ხსოვნას, მეორეში — ზობას ასხამდნენ შრომას. ძალზე მწიფე ნეოლოგია, რომ არქიტექტორებმა ნათელყვეს აზრის აღმადრენა და შექმნეს პრინციპულად სხვადასხვა კონცეპცია თანამედროვეობის ორი მნიშვნელოვანი კატეგორიის ხორციელებად.

ორივე შემთხვევაში მხატვრული აზრი შორსაა რაღაც საშუალოსაგან. პირიქით, ისინი გვაოცებენ გაბედული ნოვატორობით. ამასთან, ავტორები არ ცდილან შეექმნათ რაღაც აქამდე სრულიად უცხო, ტრადიციისაგან გამიჯნული. პირიქით, ტრადიციასთან კავშირი ამკარადაა გამოხატული. მუხრანში, როგორც უკვე აღინიშნა, ტაძრის ტრადიციასთან სიახლოვე ვლინდება როგორც სულიერ-სიმბოლურ ასპექტში, ისე მთელს სივრცით პლასტიკურ კომპოზიციაში. ქუთაისში არქიტექტორთა ჩანაფიქრი პროგრამულადაა გამოხატული გეომეტრიული ფორმებით, როგორც გარკვეული სახეობრავ-პლასტიკური საწყისით. როცა ვუმზერთ სხვა-

დასხვა მდგომარეობაში მდგომ არქიტექტურულ ჩარჩოებს, რომელთა შიდა ნაგებობები ლიობებს ნაირნაირ ჰაეროვან მუხრანულ ბას ანიკებენ, არ შეიძლება არ ვსწავნივართ თეატრალური დეკორაციები, 20-იანი წლების გრაფიკა, რომელშიც წრიული ფორმა და სწორკუთხედი ხშირად წარმოადგენენ საერთო გაფორმების აქტიურ ნაწილს, მკაფიოდ გამოხატული კონსტრუქციული აქცენტით. იგი ვეაგონებს აგრეთვე რბ ფერმწერთა და გრაფიკოსთა ძიებებს. ამრიგად, ორივე კომპლექსში ვლინდება XX საუკუნის მხატვრული კულტურის დიდ პლასტთან კავშირი.

სივრცის პრობლემამ — ერთ-ერთმა ძირითადმა პრობლემამ, რომელზეც ფიქრობდნენ ქუთაისისა და მუხრანის მემორიალების ავტორები, მათ ძიებებში შემოქმედებითა გადაწყვეტის კიდევ ერთი ნაყოფიერი მსახილბლობა გახსნა. საქმე ეხება მემორიალისა და გარემოს კავშირს. უკანასკნელი დროის საბჭოთა მემორიალურ მშენებლობაში ანსამბლის ქალაქის განაშენიანებიდან გატანის ტრადიცია ჩამოყალიბდა. მათ შორის ბევრი იმ ადგილას იგება, სადაც დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა. როცა მემორიალი და გარემო ერთიან მხატვრულ მთლიანობად იქცევა — ამოცანა წარმატებითაა გადაწყვეტილი. ამ მხრივ, რაც მუხრანსა და ქუთაისშია გაკეთებული, იმ წარმატებათა ძიებებს მიეკუთვნება, რომელიც თანამედროველად ასაბუთებს თავის პერსპექტიულობას.

ქართველ არქიტექტორთა ნამუშევარში გამორჩეული თავისებურებანიც იქნეს თავს, შემადგენელ მემორიალის აგება მთლიანის ნათლად გააზრებულ სტრუქტურას, არქიტექტურული და პლასტიკური ფორმების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრას ითხოვს. ჩვენს მხატვრულ პრაქტიკაში ამის არცთუ მრავალი კარგი მაგალითია. მუხრანის მემორიალურ ნაგებობაში, რომელიც შორეული მანძილებიდან აღიქმება, მიღწეულია კომპაქტურობა და მონოლითურობა, შინაგანი სივრცის აქტიურობა. მაგრამ როცა ძეგლის-ტაძრის ტიპს ავითარებდნენ, ქართველმა არქიტექტორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პილონების შიდა მხარეების დინამიკურ მოდელირებას, რაც მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ძირითადი არქიტექტურული საყრდენებით გამოწვეული ერთ-



სკოლის დიდების მემორიალი ქუთაისში

ფეროვნების, სივრცის მონოტონურობის თავიდან აცილებას. დავითაია და ბოსტანა-შვილი მკვეთრად ავლენენ არქიტექტურული პილონების რელიეფთა სახეცვლილებას, რითაც იწვევენ დინამიკურ გადაადგილებათა შეგრძნებას და ასოციაციებს თანამედროვე სამყაროს კოლიზებთან. დაძაბულობა განსაკუთრებით საგრძნობია შიგნით, ინტერიერის სივრცეში — მის მეტყველ დანაწევრებულობას და სიმძიმეს უპირისპირდება თვით ტაძრის მასათა მონოლითურობა, რითაც იქმნება მძაფრი კონფლიქტი. მაგრამ ეს დაპირისპირება სრულიადაც არ არღვევს მთლიანობას, პირიქით, ფორმა ბევრად უფრო საინტერესო, თანადროული აღმოჩნდა, ვიდრე მსგავსების პრინციპზე დაფუძნებული გადაწყვეტა შეიძლება ყოფილიყო.

შიდა სივრცის შეკუმშულობამ, დაძაბუ-

ლობამ მნიშვნელოვნად განაპირობა მემორიალის პლასტიკის სიმძლავრე, რის გარეშეც იგი ვერ იქცეოდა მის ირგვლივ გაჩემოს დომინანტად. ტერაზაზე აღმართული, იგი აქტიურადაა ჩართული სტერეოფონიურ სივრცეში და ორგანულად იწერება ქართლის სახასიათო პეიზაჟში. მთავორიანი, ველმინდგრებიანი ბუნება ხაზს უსვამს ეკლარის ქვით მოპირკეთებული ნაგებობის სითეთრეს. ბეტონის ფაქტურა აქ უთუოდ უხეში იქნებოდა, მაგრამ მუხრანის მემორიალი, თავისი კონსტრუქციით, მასების ქედრადობით, მთლიანის სიმკვრივით სხვა ასპექტსაც შეიცავს — ეს გახლავთ მძლავრი აქტიურობა. სწორედ ადამიანურობისა და მკაცრი მონუმენტურობის, ჩანაფიქრის მასშტაბურობისა და ფაქტურის სითბოს შერწყმამი მდგო-



მარეობს მემორიალის ავტორების უმთავრესი წარმატება.

აზრის მასშტაბურობის მხრივ „ქეგლისა და გარემოს“ პრობლემის მეტად პრინციპული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტა მიღწეული ქუთაისის მემორიალშიც „დიდება შრომას“. აქაც, შინაგანი სივრცისათვის ნიშანდობლივია დინამიზმი, აქტიურობა, მრავალმნიშვნელობა. თუ მუხრანის მემორიალში დავითაია და ბოსტანაშვილი სიმკაცრისაკენ ისწრაფვოდნენ, ქუთაისის მონუმენტში ჭარბობს სირბილე, სიმსუბუქე. მაგრამ როგორც უკვე ითქვა, მთლიანი აქაც მეტად ენერგიულადაა გამოვლენილი — რიტმების, ფორმათა და ვერტიკალების და ჰორიზონტალების კარგად მოფიქრებული ერთობლიობის, არქიტექტურული ნაწილების ერთიანი სისტემის და, ბოლოს, სხვადასხვა სივრცეთა ხასიათის ურთიერთკავშირის წყალობით.

ქუთაისის ცენტრში ასეთი კომპლექსის წარმოქმნამ არაჩვეულებრივად მძლავრი, მაყორული, პოეტური ნოტა შეიტანა ქალაქის ანსამბლში. ავტორები აქ ქალაქების გაფორმებაში პროგრესულ წამოწყებათა პიონერებად მოგვევლინენ. თვით ტერმინი — გაფორმება — იქნებ არც იყოს ზუსტი, რამდენადაც იგი გულისხმობს ქალაქისა და მისი

ძირითადი არქიტექტურული კომპონენტების აღქმას, როგორც რაღაც უცვლელს, მარეობს როს თავისი სტრუქტურების დინამიზმი. ში. ამგვარ ინტერპრეტაციაში მხატვრის საქმიანობა არქიტექტურის პასიურ დამატებად წარმოგვიდგება. დღეს კი სრულიად სხვა პრობლემა დგას — მხატვრის, არქიტექტორის, მოქანდაკის, სოციოლოგებისა და სხვა პროფესიების ადამიანთა თანაშემოქმედება ქალაქში ისეთი კომპლექსის შესაქმნელად, რომელსაც ექნება თავისი კვანძები და აქცენტები, მხატვრულ გადაწყვეტათა გარკვეული ხასიათი, დაფუძნებული სოციალურ განსაკუთრებულობაზე, ეროვნულ ტრადიციებზე. სწორედ ამ მიმართულებით იხსნება ჰორიზონტები არქიტექტურული და მხატვრული აზრისათვის, კონცეპციის, ხერხების წარმოქმნისათვის, რომლებიც უპასუხებს თანამედროვე ქალაქის ესთეტიკას სოციალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებაში.

ქუთაისის კომპლექსის ჩანაფიქრსა და რეალიზაციაში ქართველი არქიტექტორები სწორედ ასეთი მისწრაფებით იყვნენ შთაგონებულნი. როგორც ცნობილია, თავდაპირველად დაკვეთა შრომის თემაზე ფართო სააგიტაციო მნიშვნელობის სტენდის შექმნას გულისხმობდა. მაგრამ დავითაიამ და ბოსტა-




შრომის დიდების მემორიალის ფრაგმენტები.

ნაწილში ამჯობინეს დღევანდელი შრომის გმირის სადიდებლად უფრო მნიშვნელოვანი რამ შეექმნათ და ქალაქის ხელმძღვანელობას მრავალფეროვანი არქიტექტურული და პლასტიკური ფორმების მქონე მემორიალი შესთავაზეს. არქიტექტორთა ამ ინიციატივამ მხარდაჭერა პპოვა. გარემომცველი შენობის მშვიდ რიტმთან საპირისპიროდ შეიქმნა რიტმების, პლასტიკური სისავსის მხრივ აქტიური, ამავე დროს, ნათლად ორგანიზებული ანსამბლი.

არქიტექტურისა და პლასტიკის კომპლექსური შერწყმის ხერხის გამოყენებით, დეკორატიული ელემენტების მასირებული შეხამებითა და ერთ თემაში გამთლიანებით ავტორებმა დააპროექტეს და განახორციელეს ისეთი მხატვრული ნაგებობა, რომელიც ქალაქის გარემოში მძლავრ მხატვრულ აქცენტს ქმნის და ამდიდრებს მას.

საბჭოთა შემოქმედებით პრაქტიკაში ცოტა როდია მაგალითი, როცა ძველი დომინანტად იქცევა ქალაქის განაშენიანებაში. ხშირად ასეთი ფუნქცია ეკისრება ერთეულ ნაწარმოებს — პორტრეტულ ან სიმბოლურ მონუმენტს. ასეთია მაგალითად ვ. ი. ლენინის ძეგლი ტაშკენტში, არქიტექტორ ტამანიანისა — ერევანში, ლატვიელ მსროლელთა — რიგაში და

სხვ. სკულპტურულ კომპოზიციათა შექმნის კომპლექსებს კი, როგორც წესად, ქალაქის ცხოვრებიდან გამოჩნულ საპარკო მანძილში აქცევენ ხოლმე. რა თქმა უნდა, ამგვარი ხერხიც შეიძლება აღმოჩნდეს ნაყოფიერი. თუმცა კი ბოლო წლებში, ამ საფუძველზე არ აღმოცენებულა ასე თუ ისე, პრინციპული იდეა. საკმაოდ არაადამაჯერებელია, მაგალითად, გმირ პანფილოველთა ძეგლი ალმა-ატაში. იგი სიმბოლოების ერთგვარი კრებულაა, მეტინამეტად უხეშ პლასტიკაში ხორც-შესხმული, მასშტაბის მხრივ განვიადებული სკულპტურული გამოსახულებებით. ქუთაისის მემორიალი — „დიდება შრომას“ კი პირიქით, — ჩაწერილია ქალაქის გარემოში. მასში არ არის არაფერი ხელოვნური, რაც მას ამ გარემოდან გამიჯნავდა. რა თქმა უნდა, მას აქვს თავისი ლოგიკა, როგორც დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებს. მას ვერ მიუმატებ და ვერც გამოაკლებ რაიმე არქიტექტურულ ფორმას, ისე, რომ ამან კომპლექსის მთლიანი სტრუქტურის საგრძნობი შეცვლა არ გამოიწვიოს. ამავე დროს, იგი ყოველი მხრიდან გახსნილია მნახველისთვის. დავითიამ და ბოსტანაშვილმა თავი აარიდეს ხაზგასმული მონუმენტალიზაციის გზას, მათ გაითვალისწინეს, რომ დღეს



ბევრი შემოქმედებითი წარმატება — როგორც საბჭოთა, ისე სოციალისტური ქვეყნების ხელოვნებაში — კანკარული ნაშუქებია, ადამიანურ ზომებთან გათანაბრებული, ამასთან, აქ რომ მუხრანის მემორიალის მსგავსი რამ ავგოთ, უთუოდ მხატვრულ დისონანსს შეიტანდა ქალაქის განაშენიანებაში. კომპლექსის თემიდან გამომდინარე, ზომების გაზრდა ყალბი პათოსის შთაბეჭდილებას დატოვებდა. ქუთაისის მემორიალის ავტორებს კი სურდად შეექმნათ ამაღლებულობის, უჩვეულობის, არტისტიკული მოხდენილობის ატმოსფერო.

ეს კომპლექსი პლასტიკური გადაწყვეტის დელიკატურობით, სასიამოვნო კოლორისტიკული ელერადობით ხასიათდება. რა ვიწროდ გვესმის ხანდახან მონუმენტური გამომსახველობა, როცა მერისმეტად ვამახვილებთ ყურადღებას ექსპრესიაზე და ფორმათა უკიდურესი დაძაბულობისაკენ ვიღვრებით. მაყურებელზე რთულსა და ღრმა შემოქმედებას ზოგჯერ ვანაცვალებთ ერთპლანოვან შემოქმედებას, რომელიც წუთიერი აღქმის სათვის არის გაანგარიშებული. გავისხენოთ, რომ მსოფლიო ხელოვნების აღიარებული ნიმუშები, აღორძინების, კლასიციზმისა და სხვა ეპოქებში აღმართული ძეგლები არ ხასიათდებიდნენ არც მოცულობათა ბრუტალურობით, არც გვიანტური ზომებით. მაგალითისთვის უამრავი ნიმუშის ჩამოთვლა შეიძლება. თვით მიქელანჯელო და ბერნინი, მონუმენტური ნამუშევრების შექმნისას, ფიქრობდნენ მის მოხდენილობასა და სიფაქიზზე. უდავოა, რომ ძეგლის, ნიმორალის პრობლემა სხვაგვარადაც შეიძლება გადაწყდეს, მონუმენტურობის საკიანხისადმი სხვა დამოკიდებულებაც არსებობს. მაგრამ უთუოდ საგულისხმოა ის შემოქმედებითი ხაზი, რომელმაც უკვე ნათელყო თავისი ნაყოფიერება, წარმატებითი ძიებანი სკულპტურულ კომპოზიციათა გადაწყვეტის დროს ზუსტი თანაფარდობის მიღწევაში. უნარი იმისა, რომ სილამაზე და მოხდენილობა მონუმენტური ჰარმონიის ღირსებად იქცეს.

ქუთაისის მემორიალი — ერთ-ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელიც არა მხოლოდ თვითმყოფადობით, ანსამბლის ვაგების კანონიკური შეზღუდულობისაგან გადახვევით ხასიათდება, არამედ მონუმენტური დაზგური და დეკორატიული საწყისების

შერწყმითაც. ავტორებმა არქიტექტურისა და ქანდაკების ურთიერთდამოკიდებულების თავიანთი გაგება გაამკლავნენ, შემოქმედება რამულად განვირდნენ ერთიან თემატურ კომპლექსში ქანდაკების უნიფიკაციაა. წინასწარ არც მოქანდაკეთა ძიებები იყო ამ პლანში დამოგრამებული. მათგან — არ მოითხოვდნენ გამოსახულების რომელიც ერთ-ერთი პრინციპის, ან სტილური მანერის უეკველ ერთგულებას. პირიქით, მთლიანობა არქიტექტურული კონსტრუქციებისა, რომელიც ფორმათა ერთი და იგივე ნაკრების ვარაიციას წარმოადგენს, ქანდაკების აქტიურ და მრავალფეროვან გამომსახველობას იხოვდა. მემორიალში „დიდება შრომას“ შეხვდებით დეკორატიულ-ორნამენტულ გადაწყვეტასაც (ე. ამაშუელი „დიდების გვირგვინი“), თავისი ხასიათით დაზგურ კომპოზიციასაც, რომელსაც ვაზნა ღირსებები საიმიხოდ, რომ არა მხოლოდ საგამოფენო დარბაზში გამოფინოს, არამედ გარეთაც, სიმწვანის გარემოცვაში, ქალაქის ნაგებობათა შორის (გ. კალაძის „ყურძნის მტევანი“). შეხვდებით სინთეტურად გააზრებულ სკულპტურულ ჯგუფსაც (რ. რამიშვილის „ვაშენოთ სიყვარული“).

ერთ კომპლექსში სხვადასხვა ყანრის ნაწარმოებთა გაერთიანება ჩვენს მხატვრულ პრაქტიკაში იშვიათი მოვლენაა. ჯერ კიდევ იგრძნობა აზროვნების გარკვეული სივიწროვე, სტილისტური და ყანრული ერთფეროვნების აუცილებელი პირობის დაცვისაკენ რომ იხებება. ცვლილებანი ამ მხრივ თითქოს ჰაერშია გამოკიდებული. რიგაში გამართულმა, ტრადიციად ქვეულმა სარესპუბლიკათაშორისო გამოფენებმა ხელი შეუწყო სხვადასხვა ყანრის ქანდაკების ერთობლივად არსებობის იდეის თანდათანობით განვითარებას არქიტექტორთა და მოქანდაკეთა ძიებებში. მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. არის ცალკეული საინტერესო გადაწყვეტა, მაგალითად, ტულის დრამატული თეატრის ახალ შენობაში ფასადის მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკება შეხამებულია პორტრეტულ მედალიონებთან, დარბაზსა და ფოიეში კამერულ პლასტიკასთან. კრასნოი-არსკის მუსიკალურ დრამატული თეატრის შენობის ფასადის დეკორში სიმბოლურ მონუმენტურ-დეკორატიულ გამოსახულებებს ერწყმის დაზგური კომპოზიციები და



პორტრეტული ჯგუფები, რომლებსაც რუსული და საბჭოთა თეატრის ისტორიის თემა აერთიანებს, მაგრამ ავტორებმა ვერ შექმნეს სხვადასხვა ეპარისა და სტილის შემცველი მოქნილი მხატვრული დრამატურგია. დავითაიას და ბოსტანაშვილის შემოქმედებითი გამარჯვება იმაშია, რომ მათ პროგრამულად დასახეს და ზორცი შეასხეს კიდევ ამგვარ მთლიანობას.

ავტორების წინაშე მთლიანობის პრობლემა იდგა ქუთაისის კომპლექსის შექმნის დროსაც. მათ მიაჩნდათ, რომ სტილური უნიფიკაცია ხელს შეუშლიდა კომპლექსის სივრცით-პლასტიკურ დინამიზმის შექმნას, რომელიც შემოქმედებით ჩანაფიქრში გამოიკვეთა და ესოდენ საინტერესოდ იქნა რეალიზებული.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ქანდაკებაა სასურველი ასეთ ანსამბლში, ექსპერიმენტულად წყდებოდა. არქიტექტორთა ჩანაფიქრის თანახმად, კომპლექსში მოთავსებული სკულპტურული კომპოზიციები ყოველ სამ წელიწადში უნდა შეიცვალოს. ეს ახალი, პროგრესული იდეა მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ ფსევდომონუმენტურობისა და გიგანტომანიის საპირისპიროდ. დემოკრატიზაციის ტენდენციის განსამტკიცებლად, რომელიც თვალსაჩინოა საბჭოთა მონუმენტურ ხელოვნებაში, ჩვენი ქვეყნისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხატვართა ნაწარმოებებში. თემატურ სკულპტურულ კომპლექსთა გაგების დაახლოებას ღია ციქვეშ გამოფენის მოწყობის იდეასთან არ შეიძლება ხელი არ შეეწყოს ეპარულ-სტილისტურ გადაწყვეტათა მრავალფეროვნებისთვის. ამასვე უწყობს ხელს მეორე მომენტიც — ამგვარი კომპლექსი აღიქმება როგორც სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა შემოქმედებითი ხელწერის მხატვართა უწყვეტი შეჯიბრი. არ შეიძლება აღტაცება არ გამოიწვიოს არქიტექტორთა ფანტაზიამ. მათ ძეგლის რეალურ ყოფაში გადმოიტანეს კონკურსის იდეა, იდეა პაექრობისა, რომლის ღირსება ასპექტის სიახლით, პლასტიკური აზროვნების კულტურით, ცხოვრების მკაფიო შეგრძნებით განისაზღვრება. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: პლასტიკის ცვლის პრინციპის საფუძველზე შეიქმნება ახალი, — „შრომის დიდებულ“ მუზეუმი.

ამრიგად, როგორი უნდა იყოს ქანდაკება

ასეთი ორიგინალური იერისა და დანიშნულების კომპლექსში? როგორც უკვე ვთქვამდებით, ბევრი რამ თვით ძიებისას განისაზღვრება. მაგრამ, ამავ დროს, არქიტექტორთა მხატვრულ აზროვნებაში რიგი პრინციპებისაც ჩამოყალიბდა. მათთვის ნათელი გახდა, რომ აქ არ გამოდგებოდა ნატურალისტურად აღმწერლობითი და რაციონალურად ხელოსნური, ემოციურად ნაკლებგამომსახველი ნამუშევრები. მხოლოდ პოეტური სახეები იქნებოდა კომპლექსის ჩანაფიქრისათვის შესატყვისი. დავითაიამ და ბოსტანაშვილმა გაბედულება და ტაქტი გამოაქვინეს მთავარი თემის — შრომის თემის ფართოდ აქცენტებს ამოცანის გადაწყვეტისას. სწორედ ამ თემის ფილოსოფიურმა-პოეტურმა აღქმამ წარმართა მოქანდაკეთა აზროვნება.

უდავოა, რომ ქუთაისის კომპლექსის პირველი ცვლის სკულპტურული ნაწარმოებები თანაბარი ღირებულების როდია. ზოგიერთ მთლიან გარკვეული სტატიკურობა ახასიათებს. ზოგიერთს — არცთუ დიდი დამოუკიდებლობა მაგრამ მთლიანობაში მათთვის სახასიათოა სათანადო პლასტიკური კულტურა დემოკრატიზმა. მაკროული ლირიკული ინტონაცია. საინტერესოა, მაიალითად, ს. ქობავას კომპოზიცია „ალორქანება“. სილუეტის კეთილშობილებით, სივრცეში უშუალო განფენითა და მკერვი მოზღვნილი ფორმების იგი მშვენიერად უპასუხებს ქუთაისის მეგორიალში გაბატონებულ პოეტურ ატმოსფეროს. ანსამბლში კარგად ჩაეწერა ზოგი ისეთი ნამუშევარიც, რომლებიც საბეჭოლურად ამ მეგორიალისათვის არ შექმნილა. მაგრამ სამყაროს ობტემისტური ხედვით, ადამიანის სილამაზით ტკობითაა გამსჭვალული. ასეთია გ. კალაძის კომპოზიცია, რომელიც მოცულობათა პლასტიკური სისავსითა და რაკურსების სიმდიდრით გამოირჩევა. არქიტექტორებმა შეიკარნეს ამ ქანდაკების თავისებური მონუმენტალიზმი, მეტად მოკრძალებულ ზომებში რომ არის გამქდავენებული.

საგულისხმოა, რომ მუხრანში აღმართულ მეგორიალში ქანდაკებისადმი მიდგომა ასევე შორსაა ოფიციოზისა და შტამპისაგან. ერთ-ერთი პილონის კედელზე მხატვარ გ. ბურჯანაძის მიერ შესრულებულ რელიეფურ ჩანართს მონოლითური არქიტექტურის მიერ შექმნილ დიდებულ და მკაცრ ატმოსფეროში ლირიკული, უშუალო ნოტა შეაქვს, იგი

სამყაროს სილამაზეს გვაზიარებს და მძიმე განსაცდელის ქაშს ცხოვრების გაუტეხლობას შეგვაგარბობინებს. ეს ქანდაკებაც ძალზე მოხდენილია, დელიკატური, ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო მეტი ზემოქმედების ძალა აქვს, ვიდრე საზგასმულ ექსპრესიას. არქიტექტორთა შემოქმედებითი შთანაფიქრის თანმიმდევრობა გამოვლინდა საერთო ანსამბლში ორნამენტულ-დეკორატიულ გადაწყვეტათა გახედულ ჩართვაშიც. ქუთაისის მემორიალში ეს გახლავთ ე. ამაშუელის მიერ შექმნილი „შრომის გვირგვინი“, მუხრანში — ქვის მდიდრული ჩუქურთმით დამშვენებული მემორიალური სვეტი, მოულოდნელად რომ გამოიყოფა მძლავრ არქიტექტურულ პილონთა შორის და შინაგანი სივრცის ცენტრად გვევლინება. არ არის შემთხვევითი, რომ ხერხების ინდივიდუალური სისტემის ბეჯითი ძიება სასურველ ნაყოფს იღებს.

არქიტექტურისა და ქანდაკების სინთეზის პრობლემებისადმი პრინციპულ მიდგომათა ძიებაში ვ. დავითიას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის. მოქანდაკებთან ერთობლივად აპროექტებს და აგებს იგი ძეგლებს — მემორიალებს. აფორმებს საზოგადოებრივ ნაგებობასა და ქალაქში შემოსასვლელებს. ამ თანაშემოქმედების ერთ-ერთ უმაღლეს მიღწევად იქცა გორში აღმართული გამარჯვების ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუელი). მემკვიდრეობის შემოქმედებითი გაზარებისა და ახლის რომანტიკული სულისკვეთების გადმოცემის უნარის, მონუმენტალიზმისა და გრანდიოზულობის შერწყმის, ქანდაკებისათვის სივრცითი კანონზომიერების მიანიჭების უნარი — ამ თვისებებმა განაპირობა ორი ნიჭიერი შემოქმედის ღრმა ურთიერთგაგება.

და მაინც, ქუთაისისა და მუხრანის მემორიალები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, უპირველეს ყოვლისა, მათი არქიტექტურული საწყისით. აქ ჩანს გაუმარტივებელი კომპლექსური მიდგომა, ერთმანეთს ერწყმიან სხვადასხვა კომპონენტები. ამ ნამუშევრებში ორივე არქიტექტორმა გაამყვანა თანამედროვე და აქტუალური იდეების გახსნისა და ხოცშესხმის, რთული მხატვრული პრობლემების პროგრამული განსჯის უნარი, ამიტომაც, სულ უფრო ფართო აღიარებას იმსახურებს მათი შემოქმედება.

მხატვართა იმ თაობის შემოქმედება, რომელსაც ლალი ზამბახიძე მიეკუთვნება, მნიშვნელობა ახალი ეტაპის დასაწყისად მივიჩნით ქართული გრაფიკის განვითარებაში. ფართო მხატვრული ინტერესებისა და დიპაზონის ახალგაზრდა ოსტატების ხელოვნება, აღბეჭდილი მკაფიო ინდივიდუალობითა და თვითმყოფადობით, მჭიდრო კავშირშია თანამედროვე ცხოვრებასთან, დაუცხრომლად ეძიებს სახვითი მეტყველების ენას დღევანდელი მახისცემისა და სულსკვეთების გადმოსაცემად. ყველა თაობას მოაქვს რაღაც თავისი, ნიშანდობლივად საკუთარი, ქართული მხატვრობის აღმავლობას რომ გვაუწყებს ხოლმე. ასეთად მოგვევლინა 70-იანი წლების თაობაც, ახალი ნაკადი, რომელმაც ეროვნულ სახვით ხელოვნებას მრავალი ნიჭიერი ოსტატი შესძინა დღეს ისინი უკვე ფართოდ აღიარებული შემოქმედნი არიან და ინტენსიურად არიან ჩაბმულნი მხატვრულ ცხოვრებაში.

როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მხატვრობით ლალის გატაცებაც სასკოლო ასაკიდან იწყება, — ქუთაისის საშუალო სკოლის მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს აქ გამართულ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენებზე. შემდგომში კი იგი წარმატებით სწავლობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე ლ. გრიგოლის, ვ. ქუთათელაძის, თ. ყუბანეიშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

აკადემიის დამთავრებისთანავე შემოქმედებითი შრომის ფართო გზა გადაეხსნა ახალგაზრდა გრაფიკოსს. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ ორი წლის მანძილზე მხატვრულ რედაქტორად მუშაობდა. ამ დრო-

# მულამ ძიებაში

ირინე თუმანიშვილი

იდან იგი ინტენსიურად ჩაება ქართული წიგნის მხატვრული გაფორმებისა და დასურათების საქმეში. შემოქმედებითაა წარმატებებმა მას მალე მოუპოვა ავტორიტეტი, ამასთან გააღრმავა მისი სწრაფვა ოსტატობის ამალღებისაკენ, ბიძგი მისცა უფრო ფართო და მრავალმხრივ ძიებებს. ამავე დროიდან ლალი ზამბახიძის ნამუშევრებს ფართო საზოგადოება ეცნობა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთის გამოყენებზე.

შემოქმედების პირველ წლებში, იდეურ-შინაარსობრივად მრავალფეროვანი წიგნების გაფორმების პარალელურად, მხატვარი გატაცებულია აკვარელით და ამ მასალით ახორციელებს რიგ ჟანრულ, პეიზაჟურ ნამუშევრებს, ნატურმორტებს („მზესუმზირები“, „კაკტუსი“, „ყაყაჩოები“, „ცირკი“), რომლებიც ხასიათდებიან მსუყე, თავისუფალი მონასმებით, მათში წამყვანია ლოკალური ფერები და ამ ფერთა სიკაშკაშეს ერწყმის, შემოსაზღვრავს მკაფიო კონტური, ხაზი.

შემდგომში მხატვარი უფრო

გრაფიკულ გამომხატვლობას აძლევს უპირატესობას. თუმცა, ამასთან, თავს არ დაუდევრავს ვითი ენის ზედმეტ ლაკონიურ სიმკაცრეს. შემოქმედის ლტოლვამ ფერწერული ცხოველხატულობისადმი განაპირობა გრაფიკული მასალის — ოფორტის შერჩევა, რომელსაც ხერხების უმდიდრესი არსენალი გააჩნია.

ოფორტიტაა განხორციელებული ადრინდელი ნამუშევარი „გზა ბახმაროსკენ“. ამ ნაწარმოების აზრობრივე-ემოციურ სისავსეს განსაზღვრავს კომპოზიციის მწყობრი, პლასტიკური გადაწყვეტა. ხეთა მუქ სილუეტებს შორის აქცენტებად გამოკრთის თეთრი სახლები, შეღმართს მწკრივად მიუყვებიან ტვირთაკიდებული სახედრები.

შინაგანი მეტყველი მხატვრული რიტმით გვხიბლავს აგრეთვე „რაჭის სოფელი“, „გლოლა“, „ქალაქური მოტივი“ და უფრო მოგვიანებით შესრულებული ოფორტი „ბაზრისაკენ“.

ამ გრაფიურებში ძალზე საინტერესოაა გადაწყვეტილი შუქ-ჩრდილის პრობლემა. გამოსახულების ზედაპირი თითქოს ციმციმებს, ვიბრაციას განიცდის, ცოცხალ ფორმათა მოძრაობას გვაგრძნობინებს. ამას მხატვარი აღწევს ოფორტის ტექნიკაში აკვატინტის მანერის შეტანით, რომელსაც ჰარმონიულ მთლიანობაში მოჰყავს ნახატი.

ხაზის, ნახატის პლასტიკის მისაღწევად ძიებათა ადრინდელ ეტაპზე მხატვარი სწავლობდა, აკვირდებოდა დიდი ოსტატების გამომსახველობით ხერხებს. ამიტომაც, არ არის შემთხვევითი, რომ ზემოთ მოხსენებულ დაზგურ ფურცლებში ვამჩნევთ ავტორის სურვილს — გრაფიურის სიბრტყე გადააქციოს თავისებურ ქსოვილად, რომელზეც გაიშდება ერთგან-

ზომილებიანი, პერსპექტივის გაულრმავებლად გადმოცემული სურათი.


თანდათან, გრაფიკოსის ნამუშევრებში სულ უფრო იკვეთება ხელწერის ინდივიდუალური თავისებურებანი. თანამედროვე სინამდვილით შთაგონებულ მის მრავალრიცხოვან ოფორტებში ჟღერს თემა ადამიანისა, სიცოცხლისა, სამყაროს სილამაზისა. ეს თემები გახსნილია ჟანრულ და პეიზაჟურ მოტივებში, ერთი შეხედვით უბრალო და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სურათებში. მაგრამ ეს სურათები დატვირთულია შინაგანი აზრით, პოეტურსა და ემოციურ ფორმაში რომ არის გადმოცემული. ოფორტების ციკლი ეძღვნება თემას „მხატვარი და ბუნება“, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელ მხატვრულ შინაბარსს შუიცავს.

გრაფიურაში „ზამთრის სურათი“ დიდ, შავ პლასტებად გამოჩანს დამდნარი თოვლით გაჟღენთილი მიწა. თოვლის სისპეტაკეს ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ შერჩენია მანათობული ძალა და გადათეთრებულ ბილიკზე მკაფიოდ გამოიკვეთება მიმავალი მხედრის სილუეტი. ოფორტში „გასეირნება“ გზა აქეთ-იქიდან გადმოშვერილი ხის ტოტების ნნულის ქვეშ მიდის. დინჯად, აუჩქარებლად მიჰყვება შარას ადამიანი და აქაც მისი ფიგურა ძირითად აზრობრივ აქცენტს ქმნის სიმშვიდით მოცული ბუნების გარემოცვაში.

მხატვრული სახე ერთგვარ მეტაფორად იქცევა გრაფიურაში „ქორნილი სოფლად“. თეატრალურ ფარდასავითაა გადახსნილი ტანწერნეტა ალვის ხეთა რტოები. მზის შუქი მუქნათელის ცხოველხატულ კონტრასტებს წარმოქმნის და ამ კონტრასტებში, მოზეიმე მაყრიო-

ნის მუქი ფიგურების ფონზე ნათლად გამოიყოფა თეთრებით მოსილი პატარძლის ფიგურა ნიავე რომ უფრიალებს კაპას და საქორნილო ლეჩაქს.

საერთო განწყობლების შექმნას ემსახურება გრაფიურის გრაფიკული ქსოვილი, რომელ-



შიც „მშრალი ნემსის“ მკვეთრი ხაზით მიღწეულია ნაირნაირი ფაქტურის გამომსახველობა.

ნიშანდობლივია, რომ კომპოზიციებისთვის მხატვარი ხშირად არჩევს კვადრატს, ან კვადრატთან მიახლოებულ ფორმას და მწყობრად, რიტმულად



ლ. ზამბახიძე  
კვარტეტი.  
„კაცია-ადამიანის“ დასურათება.  
მამაკაცის პორტრეტი.  
სტუდენტები.




აგებს კადრს. ამ სურათებში მტკვრელ ხორცშესხმის მიხედვით ლობს მხატვრის რომანტიკული სულისკვეთება, მახვილი თვალით დანახული თანამედროვე ყოფა, სულ უბრალო სიუჟეტურ მოტივში რომ ძალზე თბილ, მიმზიდველ ადამიანურ თუ პეიზაჟურ სახეებად ცოცხლდება. ჟანრულ სცენებში იგი მუქისა და ნათელის უფრო ფართო სიბრტყეებს იყენებს და კონტრასტებზე აგებს კომპოზიციას. ბუნების სურათების ასახვისას კი ფაქიზი შტრიხებით მცენარეთა თითოეული ფორმის მოძრაობას გადმოსცემს.

„კვარტეტი“ მაღალი ბეჭდვის გრაფიურითაა განხორციელებული და ზამბახიძის ესტამპთა სხვა ციკლებიდან ერთგვარად გამოცალკეებულია. ნაწარმოების ფორმას, მის სახვით პლასტიკას, ჩანს, საფუძვლად დაედო მუსიკალურ რიტმიკასთან ასოციაციის შექმნის მხატვრული ამოცანა. ამიტომაც მთელი კადრი აგებულია შავ-თეთრი ლაქების რიტმულ თამაშზე მუსიკოსთა მჯდომარე ფიგურებში ვიოლონჩელოებითა და ვიოლინოებით, მოძრაობაში აღბეჭდილი მათი კუთხოვანი სხეულები მკაფიოდ და ლამაზად იკითხება კედლის თეთრსა და იატაკის კვადრატულ-სწორკუთხედებით დაჩითულ ფონზე.

ლალი ზამბახიძე სამხატვრო გამოფენების აქტიური მონაწილეა. თემატურ გამოფენებზე ყურადღება მიიქცია მისი ნაწარმოებების ციკლებმა ომისა და მშვიდობის, მხატვრისა და გარემოს, ახალგაზრდობის შორის და სხვა თემებზე, აგრეთვე ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაფორმებამ და დასურათებმა.

სევდიანი ინტონაციითაა აღბეჭდილი ოფორტი „დაბადება“



ბაგრატის ტაძარი

სოფლის პეიზაჟი





ქორწილი სოფელად

ზამთრის სურათი



დღე“ — მშვიდობის დაცვისად-  
მი მიძღვნილი ციკლის ერთ-ერ-  
თი შთამბეჭდავი ფურცელი. იგი  
გვიხატავს მოხუც, მგლოვიარე  
დედას, რომელსაც უჩვეულოდ  
ღრმა სევდას გვრის ფოტოსუ-  
რათიდან მომზირალი დალუ-  
პული შვილის დაბადების დღე.  
გრავიურა შესრულებულია ფა-  
რთო, მოციანე, ნერვიული ხა-  
ზებით, ოფორტის ერთ-ერთი ზე-  
რხის — რეზერვაჟის გამოყენე-  
ბით. კომპაქტური და შეკრული  
კომპოზიცია, მუქი, რამდენადმე  
დანაწევრებული პლასტიკური  
მასები აძლიერებს ატმოსფეროს  
სიმძიმეს.

ამავე თემაზეა შესრულებუ-  
ლი, მაგრამ უფრო სხვა განწ-  
ყობილებას ბადებს „მარტონი  
დარჩენი მოხუცები“. თავიანთ  
ეზოში, გრძელ სკამზე ჩამომჯ-  
დარა სამი მოხუცი — ორი მ-  
მაკაცი და ქალი. სიმტიკიც და  
გულგაუტებლობა იკითხება  
მათ ფიგურებში, დინჯ პოზებ-  
ში. ისინი თითქოს მზად არიან  
— თუ საჭირო გახდა, თვითო-  
ნაც შეერკინონ მტერს სამშობ-  
ლო მიწის დასაცავად.

ოთხ ოფორტს შეიცავს სერია  
„სოფლის ახალგაზრდა მშრო-  
მელები“, ესკიზური თავისუფ-  
ლებით შესრულებული ეს ნახა-  
ტები, ამავე დროს, შინაგანი  
მონუმენტურობითაა გამსჭვა-  
ლული. ტექნიკურად ისინი გან-  
ხორციელებულია „მშრალი ნემ-  
სითა“ და აკვატინტით. ოფორ-  
ტების ეს სერია წარმოდგენილი  
იყო ახალგაზრდა მხატვართა  
საკავშირო გამოფენაზე 1978  
წელს და სსრკ კულტურის სამი-  
ნისტროს, საკავშირო ალკვ ცე-  
ნტრალური კომიტეტისა და  
სსრკ მხატვართა კავშირის დი-  
პლომით აღინიშნა.

თუმც კი მხატვარმა თავისი  
მონოდება ოფორტში ჰპოვა, იგი  
თავისუფლად ფლობს ნაირგვარ  
სხვა გრაფიკულ ხერხებსაც —

აკვარელს, ფანქარს, ნახშირს.  
სანგინას, ესტამპის დარგში —  
ლითოგრაფიას. ლ. ზამბახიძის  
ფანქრით შესრულებული ნამუ-  
შევრები ხშირად ყოფილა ექს-  
პონირებული ნახატის სპეცია-  
ლურ გამოფენებზე, ხოლო ფე-  
რად ლითოგრაფიაში განხორ-  
ციელებულ ნაწარმოებებს ში-  
რის განსაკუთრებით საინტერე-  
სო რამდენიმე ფანრული-ყოფი-  
თი სცენა, რომლებშიც შალა-  
ლი ფერწერული ეფექტია შალ-  
ნული.

მხატვრის ოფორტმა თემაზე  
„მხატვარი და ბუნება“ 1979  
წელს „წლის საუკეთესო ნამუ-  
შევრის“ პრემია მოიპოვა.

ლალი ზამბახიძე საინტერესო  
შემოქმედად გვევლინება წიგ-  
ნის გრაფიკაშიც. ი. ჭავჭავაძის  
„კაცია-ადამიანის“ მისეული  
დასურათება, რომელიც 1978  
წელს რესპუბლიკურ გამოფენა-  
ზე იყო წარმოდგენილი, ასევე  
პრემიით აღინიშნა. სადა თეთრ  
ფონზე ფართო შავ-თეთრი ლა-  
ქებით ნაძერწი ფიგურები სა-  
ტირული სიმბახილთაა დახა-  
სიათებული, მხატვარი ლაკონი-  
ური შტრიხებით ცოცხლად გვი-  
ხატავს მოთხრობის პერსონა-  
ჟებს.

ორიოდე წლის წინ ლალი ზა-  
მბახიძემ მშობლიურ ქუთაისში  
პერსონალური გამოფენა გამა-  
რთა, რომელმაც საზოგადოების  
დიდი ინტერესი დაიმსახურა,  
1981 წელს კი მას რესპუბლიკის  
დამსახურებული მხატვრის წო-  
დება მიენიჭა.

უკვე მრავალი წელია (1968  
წლიდან) ლალი ზამბახიძე წაყო-  
ფიერ პედაგოგიურ მოღვაწეო-  
ბას ეწევა მშობლიურ სამხატ-  
ვრო აკადემიაში. სამრეწველო  
გრაფიკის კათედრაზე. ამ საქმი-  
ანობას იგი წარმატებით უთავ-  
სებს შემოქმედებით შრომას.

# სახისმეცხეობა\*

რევაზ სირაძე

შუა საუკუნეების მსოფლიოსათვის

რომა შედევართ სვეტიცხოველში, ხელოვნების ერთ დიდ სამყაროში ვხვდებით. გრანდიოზული და მთლიანია სვეტიცხოველი. კედლებს კედლები და თაღებს თაღები ემშის და ყოველივე მალღებდა გუნჯათისაქენ. გუმბათია უველაფრის ცენტრი. თითქოს, მთელი ამხელა ტაძარი გუმბათისათვის აღუმართავთო. მაღალი გუმბათი ცაში იჭრება. მისი მოჩუქურთმებული სარკმელებიდან ზეციური ნათელი შემოდის ტაძარში და დაბლა ეშვება. სვეტიცხოველი დასავლეთიდან აღმო სავლეთისაქენ დგას, როგორც უველა იმდროინდელი ქართული ტაძარი. იმიტომ, რომ ნათელი აღმოსავლეთით მოგვეფინება. ტაძრები ისე დგას, რომ მათში შემსვლელი სინათლისაქენ მიდის.

ტაძრის შესასვლელთან მწუხრის ფერებიოა დახატული გოგობეთის კარიბჭე. აქვეა „განკითხვის დღის“ კომპოზიცია: სულედად ქვეული ადამიანები მიდიან ქრისტესთან. რათა შენდობა სთხოვონ.

ესა შუა საუკუნეების მხატვრული სამყარო. სიღრმეში ტაძრის სვეტთა რიგია და სვეტებზე გამოხატული არიან წმინდა მხედრები, ზოგი შუბით და ზოგიც მახვილით. უველანი გაწანასწორებული დგომით, წყნარი და შთაგონებული სახეებით შემოგვცქირიან.

ამგვარ ტაძრებში მარჯვენა კედელზე ხშირად ხატავენ ქრისტეს შობის სცენებს, ხოლო მარცხნივ გამოისახებიან ტაძრის მფარველი ფეოდალები ანუ ქტიტორები.

სიღრმეში დიდი ნათელი სივრცეა. იწყება საკურთხევის ფრესკათა რიგი. თორმეტი მოციქულით. რომელთა მალღა ჩანს ხოლმე ღვთისმშობელი ყრმით. ხოლო სულ მალღა. გუმბათში დახატულია ქრისტე. ხელში დიდი წიგნით. ესა ქრისტე-პანტოკრატორი ანუ ყოვლისმპყრობელი. წიგნი გვანიშნებს, რომ ღვთაება ქვეყანას განაგებს სიბრძნით, რომ უველაზე მაღალი ღირსება ამქვეყნად სიბრძნეა. ამიტომია, რომ თვით ყრმას ბავშვისთვის შეუფერებელი ნამდვილი

ბრძენკაცის შერა აქვს. ხელები უველას ზევით აღუპურია. ტანსაცმელქვეშ თითქმის არსად იგრძნობა სხეული. თვალები ისეთი შთაგონებით გვიცქერენ, თითქოს უველა პიროვნება სულად ქვეულა.

წარმართულ ტაძარში ღმერთი სხეულით ბატონობს. ზევსის ქანდაკება ისე გრანდიოზულია, გეგონება, რომ წამოდგეს. კერს ანგრევსო, აქ კი თვით „ყოვლისმპყრობელიც“ საღდაც მიყარგულია. იგი შორეულია და მიუწვდომელი. გუმბათი იმ შორეულ სიმაღლეზე მიგვანიშნებს. წარმართული ტაძრის ხილვა თვალს ახარებდა, ეს კი მხოლოდ სულს.

დაღდა ახალი ხანა ესთეტიკისა. ეს იყო შუა საუკუნეების ხანა. მან ახალი ესთეტიკური პრინციპები მოიტანა. შუა საუკუნეობრივი ესთეტიკის გარეშე ვერ გავიგებთ ამდროინდელ მწერლობას, ვერც დაჯივთ გარეგის თუ სვანეთის ფრესკებს, ვერც ანდრეი რუმელოვის ფერწერას. ვერც სომხურ და ვერც რუსულ ბუროთმოდურებას. ის კი არადა, უამისოდ ძნელა კარგად შევიცნოთ მიქელანჯელოს „შესაქმე“ ანუ „სამყაროს შექმნა“, რომლითაც მოხატულია სიქსტის კაპელის კერი, ბოლომდე გაუგებარი იქნება გოგო და რაფაელი, ლეონარდო და დე გრეკო და სხვა რენესანსისდროინდელი მხატვრები.

შუა საუკუნეები ერთი დიდი ეპოქაა ხელოვნებისა და ესთეტიკისა. იგი XV საუკუნეში იწყება და თითქმის მთელი ათი საუკუნე გრძელდება. საქართველოში ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები XVIII საუკუნემდე შემორჩა.

ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურას, ისევე როგორც მთელ ქართულ ხელოვნებას, განსაკუთრებით ემსგავსება შემდეგი მწერლობანი: ბიზანტიური, სომხური, ბულგარული და რუსული. ეს მწერლობანი ქმნიან ერთ მთლიანობას, რომელსაც საერთო ნიშნებისდა გამო უწოდებენ აღმოსავლურ-ქრისტეანულ მწერლობათა ჯგუფს. მათთვის უველაზე მეტად მონათესავეა დასავლურ-ევროპული მწერლობა. დასავლურ-ევროპული მწერლობა კი იყო ერთიანი მრავალი ქვეყნისათვის, როგორცია. ეთქვათ, იტალია; საფრანგეთი, ინგლისი ან გერმანია. უველასათვის საერთო იყო ლათინური ენა და უველა ქვეყანაში მხოლოდ ამ ენაზე წერდნენ.

\* ვაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 2, 1982 წ.



წარმოვიდგინოთ კულტურათა ამსახველი რუკა. ეს რუკა არ იქნებოდა დაყოფილი ფიზიკური ან პოლიტიკური ნიშნებით. ვთქვათ, მასზე ერთი ფერით აღვებეჭდეთ ერთნაირი ან მონათუხავი მწერლობანი. მანის ერთი ფერით გავრთიანდებოდა ლათინურ-ენოვანი დასავლეთის ქვეყნები. მათი მონათუხავი ფერით უნდა აღვგვენიშნა ე. წ. აღმოსავლეთ-ქრისტიანული მწერლობანი. მათგან განსხვავებული ფერით იქნებოდა აღმანი შინ აღმოსავლურ-ისლამური რეგიონი (ანუ მწერლობათა გავრცელების არე). მასში შევიდოდა არაბულ-სპარსული მწერლობანი. ასეთი იქნებოდა შუა საუკუნეების „ესთეტიკური რუკა“.

აი, ასეთ ფორმე ვითარდებოდა შუასაუკუნეობრივი ქართული ხელოვნება და ესთეტიკა.

ამდროინდელ ესთეტიკას თავისი კითხვები აქვს: რაღომ ხატავდნენ ასე შვირად ფრესკებზე ქრისტესა და ღვთისმშობელს? რატომაა განვითარებული სხუთლისხვანად ადამიანის ტანი? რატომ ფერმეტროაღდება ბუნების სილამაზე? ფრესკა მშვენიერია თუ ამალღებული? რატომ არ იზიადვთ წარმართული მითოსური სახეები? როგორ ესმოდათ ნათლის ესთეტიკა? რატომაა ყველაფერი სიმბოლური? როგორ ესმოდათ სახე და სახისმეტყველება?

ცხადია, ყველა კითხვას ამჭერად ერთნაირი სინარული ვერ ვუპასუხებთ. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველა ეს კითხვა მხოლოდ შუა საუკუნეებს როდღე ეკუთვნის. ბევრი მათგანი ყოველი დროის ესთეტიკის თანმხლებია.

შუა საუკუნეები ესაა ეპოქა ავგოგრაფიისა და მონუმენტური ფართადმწერლობისა, უფუმბათო ბაზილიკებისა (როგორცაა ბოლნისის სინი) და შემდგომ გუმბათოვანი დიდი ტაძრებისა (ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი...), ბრწყნავად ფრესკებისა და ხატებისა, ჰედურობისა და მინიატურებისა, დიდებული საგალობლებისა.

ნებისმიერი დროის ესთეტიკა ჩამორჩებოდა ხელოვნებას. ეს გასაგებია. მხატვრული შემოქმედება ცხოვრებასთან ერთად ვითარდებოდა, ხლო ესთეტიკური თეორიები ყოველთვის ვერ ახერხებდა ხელოვნების ახსნას. ასევეა შუა საუკუნეებშიც.

მაგრამ შუა საუკუნეებში შემუშვდა არაერთი საინტერესო ესთეტიკური მოსაზრება. მათი შინაარსის გასაგებად საჭიროა ცოდნა მათივე საფუძვლებებისა.

საფუძვლები კი შუა საუკუნეთა ხელოვნებისა და ესთეტიკის ბიბლიაშია მოცემული.

ბიბლია ძველთაძველი წიგნია. მისი პირველი ნაწილი ანუ „ძველი აღთქმა“ ძველ ებრაულად დაიწერა. მეორე ნაწილი ანუ „ახალი აღთქმა“ ბერძნულადაა დაწერილი გაცილებით გვიან, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ-მეორე საუკუნეებში. აქ მოთხრობილია ქრისტესა და მისი მოწაფეების ამბები. ბიბლიის ქართულად თარგმნა გერ კიდევ 11 საუკუნეში დაწებულა.

როგორ გაჩნდა ეს ქვეყანა? მჭტად თავისებური პასუხია გაცემული ამ კითხვავ „ძველი აღთქმის“ პირველთაძველი წიგნში, რომელსაც ქართულად „შესაქმეთა“ წიგნი ჰქვია.

თავდაპირველად თურმე არ იყო არაფერი. არც მიწა იყო, არც წყალი და არც ჰაერი. იყო მხოლოდ ღმერთი. როგორ არსებობდა ღმერთი, როცა არაფერი

არ იყო? ამ კითხვას ბიბლია აღარ უპასუხებენ. ეს ჩვენი თუნდა წარმოვიდგინოთ. რელიგიამისწინააღმდეგეა, რომ ასეთ ამბებს ის არ განმარტავს; ნინო და მტკიცებლად უნდა ვირწმინდოთ. რელიგია რწმენას ითხოვს, თვით დაუჭერბული ამბების რწმენასაც კი.

გავიდა დრო და ღმერთმა ინება ყოფილიყო ნათელი და შექმნა ნათელი. ეს იყო შესაქმის ანუ გაჩენის პირველ დღეს. ამ დღეს გაყოფილა ნათელი და ბნელი. ჩვენითვის ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გაიყო ნათელი და ბნელი, როცა არაფერი არ იყო, მაგრამ ბიბლია ითხოვს წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი. ერთი კია: ამგვარი წარმოადგენები მხატვრულ შექოქმედებას ენათესავება და ისინი ხელს უწყობდნენ ხელოვნების განვითარებას. მიუხედავად ფანტასტიკურობისა, აქ მაინც ჩამარხულია აზრი, რომ ნათელი მხოლოდ ბნელის გვერდითაა ნათელი. ძნელია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ნათელი ისე, რომ არსად არ იყოს სიბნელი ან ჩრდილი. ასეთი სინათლე სინათლე არცაა. ადამიანი უჩრდილო სინათლეში ვერაფერს ვერ ხედავს. ამგვარი სინათლე მას აბრმავებს. იგი მისთვის წყვედილია და სხვა არაფერი.

მეორე დღეს ღმერთმა შექმნა ზეცა და წყალი.

მესამე დღეს გაყო წყალი და ხმელეთი. მიწამ აღმოაცენა მწვანე ბალახი და ნაყოფიანი ხეები. მათ დამშვენეს ქვეყანა.

კიდევ უფრო ფანტასტიკურია შესაქმის მეოთხე დღე: ამ დღეს გაჩენილა მნათობები. ესე იგი, გერ სინათლე გაჩნდა და მერე მნათობები. ამ ფანტასტიკაშიც თავისებური აზრია, ბიბლია ითხოვს, რომ სინათლის წყარო ღმერთი იყოს და არა მნათობები. ამ მიზნით ყველა, რომ სინათლე მნათობებამდე გაჩნდა, ამის შემდეგ შექმნა ღმერთმა წყალში თევზი და ცაში ფრინველ, გამარჯალა და განავრცო ისინი. ეს იყო შესაქმის მქუთუთ დღე.

შექმეტ დღე დაიწყო ცხოველთა გაჩენით და, როცა ღმერთმა იხილა მათი სილამაზე, ინება ადამიანის შესაქმნა. და შექმნა კაცი „სახედ და ხატად თვისა“ და განაკანონა იგი ყველაფერის გამგებლად.

ამით ღმერთმა დაამთავრა თავისი შესაქმე. ყველაფერი დაიწყო დიდი ნაოლით და დამთავრდა ადამიანით. ასე აღწერს სამყაროს გაჩენას ბიბლიური მითოსი.

ამ მითოსსაც თავისებური შინაარსი აქვს.

თვით ამ ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბითაც ჩანს, რომ ქვეყნიერების გვირგვინი და მისი მშვენიება ადამიანია.

ღმერთმა რომ თავისი შემოქმედება ადამიანის შექმნით დაამთავრა, ამაშიც დიდი აზრია: ღმერთმა შემოქმედება შეწყვიტა, როცა შექმნა შემოქმედი. ამიერიდან შემოქმედება ადამიანმა უნდა განაგრძოს. ამით კი ადამიანის ყველაზე მაღალ მოწოდებად შემოქმედება ცხადდება.

ასე უახლოვდება თვით ბიბლიური მითოსი ესთეტიკას. ხელოვნება კი ბიბლიიდან ითვისებდა შემოქმედების პრინციპებს და არა მხოლოდ რელიგიურ იდეებს.

ამიტომ იყო, რომ ბიბლიური მითოსობები ასე ფართოდ გამოიყენა ხელოვნებამ. ფრესკებზე და საგალობელზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით რენესანსული ფერწერა და ქანდაკება გავისხენოთ: მიქელანჯელო



ლოს „სამყაროს შექმნა“ და „მოსე“, ლეონარდოსა და რათაელის მადონებზე და მრავალი სხვა. ბიბლიური მოთხრობანი აისახა „ვეფხისტყაოსან-შიც“. მოკლემით რუსთაველს: რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა, ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა, მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისიერითა“ რაოდენ ჰგავს ეს სიტყვები ყოველივე იმას, რაც ჩვენ ზემოთ ბიბლიური შესაქმიდან გავიხსენეთ.

**მომღვრება ადამიანზე**

ხელოვნებისა და ესთეტიკისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მოძღვრება ადამიანზე. ყოველ დროს თავისი შეხედულება აქვს ადამიანზე, როგორცაა ადამიანზე მოძღვრება, იმგვარივე ესთეტიკაც. შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა თავისებური ადამიანთმცოდნეობა. ამ მოძღვრების მიხედვით, ადამიანში ორი ბუნებაა: სულიერი და ხორციელი. სულით ადამიანი ღმერთს ენათესავება, ხორცი არაა ღვთაებრივი, ხორცი სულ სხვაა. ამიტომ სულსა და ხორცს შორის მუდმივი ბრძოლაა. სულია ის, რაც სიკეთისა და მშვენიერებისაკენ იწიღავს ადამიანს, ხორციელი ბუნება ცვალებადია და წარმავალი. ხორციელი მშვენიება მდებარეა სულთან შედარებით. ამით უარყოფილია ძველი წარმართული რწმენა, რომ ყველაფერში ღვთაებრივი სულიაო. უარყოფილია ხორციელი მშვენიერება. ამიტომ ვასაკება, რომ არასად ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნებაში, არც აგოგრაფიაში და არც ფრესკაზე. ადამიანის ხორციელი სილამაზე არ აისახება. აღარაინ იზიარებდა ცნობილ პრინციპს: „ჯანსაღი სული ჯანსაღ ხეულშიაო“.

ამ დროს ადამიანს მხოლოდ სულიერი ბუნებით აფასებდნენ და მის ხორციელ ბუნებას უგულვებელყოფდნენ.

ცხადია, კარგი იყო, რომ ადამიანი სულიერი ბუნებით ფასდებოდა. მაგრამ სულიერ ბუნებაში იგულისხმებოდა მხოლოდ ერთი რამ — ღმერთზე ფიქრი. ყველაზე დიდ სილამაზეს ადამიანს ღმერთზე ფიქრი ანიჭებდა. ღმერთი თვით ადამიანს უნდა წარმოედგინა თავისი ოცნებით და შემდეგ ის ტყვია თავისივე შემწედ. ამიტომ ღმერთზე ოცნება წარმოადგენდა ფიქრს საკუთარ ფიქრზე, რადგანაც ღმერთი არსებობდა თვით ადამიანის წარმოდგენაში, მის სულში.

ადამიანის ყველაზე დიდი ოცნება იყო შემსგავსებოდა ღმერთს. ამისათვის საჭირო იყო დაეძლია ყოველგვარი ცოდვა და უკეთობა. ცხადია, ადამიანი ღმერთად ვერ იქცევა. მაგრამ უნდა ცდილიყო დაუსრულებრივ წარმართულიყ მოსკენ.

რაოდენ უცხოოდ და შორეულად არ უნდა გვიჩვენოს ეს მოთხოვნა. მასში შეგვიძლია დავინახოთ მნიშვნელოვანი მხარეც. ესაა ადამიანის თვითსრულყოფა. ადამიანი მოწოდებულია თვითაღზრდისაკენ და მას არა აქვს ამაზე მაღალი მიზანი. თვითსრულყოფა, თავისი თავის გაკეთილშობილება, არის ყველაზე დიდი შემოქმედება. მართლაც, თუ ადამიანი გვიარგვინა და მშვენიება ქვეყნიერებისა, მაშინ მისი ბუნების სრულ-

ყოფა ქეშმარიტად დიდი შემოქმედებაა. იგი სრულყოფს თავის სახეს, სახეს, რომელიც ღმერთმა შექმნილია.

დავეუკირდეთ ერთ ფრაზად საინტერესო საკითხს: ადამიანი სახეაო ღვთისა, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისი ბუნებითვე ესთეტიკური რაობაა, რადგან იგი დიდ სრულყოფილებას განასხიერებს. ყოველი ადამიანი თავის თავში ატარებს რაღაც კიდევ უფრო მეტს, რაც თვითონაა. არ იქნება მართებული ადამიანზე მხოლოდ გარეგნულად ვიმსჯელოთ. ის რომ შევიცნოთ, უნდა მივწვდეთ მის სულს. მთელი მისი ცხოვრება იმ სულიერი ბუნების მხოლოდ გარეგნული ანარეკლია.

ადამიანის ესთეტიკური რაობა კიდევ უფრო გარამადდება, თუ გავითვალისწინებთ მისი ბუნების სართულს. როგორც უკვე ვთქვით, იმდროინდელი შეხედულებით, ყველაფერი შედგება ოთხი ელემენტისაგან: ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი. ამქვეყნად ბევრ რაიმეში მხოლოდ ერთი ან ორი მათგანია. ადამიანში კი ოთხივე ელემენტია: სხეულის სითბო — ცეცხლია, წყალი — სისხლი, მიწა — ხორცია, ხოლო ჰაერი მისი სულია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ. ეს ქვეყანა გაყოფილია ორად: ღვთაებრივ და მიწიერ საწყისად. ამქვეყნად მხოლოდ ადამიანშია ორივე საწყისი — ღვთაებრივიც და მიწიერიც. სხვა ყველაფერში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია, ბუნებაში მიწიერებაა და ღმერთში მხოლოდ სულიერება. ადამიანში კი მოცემულია სამყაროს მთელი შრავალფეროვნება.

აი, კიდევ ერთი, იმ დროისათვის დიდად გავრცელებული ესთეტიკური პრინციპი: ხორციელი ბუნება, ადამიანის სხეული, მისი გარეგნობა ვერ ავლენს მისსავე სულიერ ბუნებას. სხეულიდან მხოლოდ ხელები და თვალები მიანდათ სულის გამოამხატველად. ადამიანის ხელები ეტყუაბთ სულის მოძრაობა, ხოლო თვალები სულის სარკეაო. თვალებში ჩანს კაცის სიკეთე ან ბოროტება. ადამიანის სული თვალებით გამოანათებს სხეულიდან.

სულსა და თვალს ღმერთსა და მზეს ადარებდნენ. თვალი მზეს ემსგავსებოდა, ხოლო სული ღმერთს. თვალი სულის სარკმელიაო. სული კი ზეცას ეწერათვის. ამიტომ კეთილი თვალი მიყარობილია ზეცისკენ. ასე ხატავენ ფრესკას. კეთილი თვალი სიკეთეს ხედავს, სიკეთის დამნაშავე თვალი მშვენიერებასა ქვრეტს და თვითონაც მშვენიერდება.

სიკეთე ადამიანსა ყველაზე მეტად ფასობს, თვით ანგელოზზე მეტდაც კი, რადგან ამქვეყნად მხოლოდ ადამიანსა აქვს მინიჭებული ნების თავისუფლება. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია იყოს ან არ იყოს კეთილი. ანგელოზს არ შეუძლია იყოს ბოროტი. ისევე როგორც ბუნებას არ აქვს ნების თავისუფლება და ვერ ასხვავებს კეთილსა და ბოროტს, არ ძალუძს გარჩევა არც ერთისა და არც მეორესი. ბუნება თავისთავის მონაა. ადამიანი კი არის მონა მხოლოდ ღვთისა. ღმერთმა მას თავისუფლება უბოძა. ადამიანი თვით ირჩევს კეთილსა და ბოროტს.

არსებობს ადამიანის ოთხი უმოთარესი ღირსება: სიკეთე, სიბრძნე, სიყვარული და მშვენიერება (ქვემოთ მითხე საგანგებოდ ვისაუბრებთ). მათგან უმაღლესია სიკეთე. არაფერი არ ფასობს უმისოდ, არც სიბრძნე, არც სიყვარული და არც მშვენიერება. სიკეთეა ქველ-

მოქმედება საზღაურის გარეშე. ამ მხრივ არ არსებობს დიდი და მცირე სიკეთე. ვისაც რა ძალუმს, იმ სიკეთეს უნდა თესავდეს, ოღონდ უანგაროდ. ადამიანის უმაღლესი ღირსებაა თვითმიზნურად ესწრაფვოდეს სიკეთეს. ეს, მართლაც, რჩეულია ხვედრია. თუმცა ადამიანს უოველთვის როდი ძალუმს აკეთებდეს სიკეთეს და მას თითქოსდა აქვს თავის მართლების საფუძველიც, რადგან ცხოვრება ძალზე ზშირად ავიწყებს კაცს იფიქროს სიკეთეზე. მაგრამ როგორც კი იწყება დათმობა, იწყება ადამიანის დაცემა. ადამიანი ვერ პპოვებს ბედნიერებას ვერარჩივად, თუ არა

უბეველად ივლისსმება. ასევე, სადაც საუბარია მშვენიერებაზე. იქვე სიკეთეცაა საგულვეტივერეწული

ზეცისა და მიწის შემაერთებელი ზღაპრისმამამიანი რომ არ იყოს, ღმერთი ვერ ეზიარებოდა ქვეყნიერებას და ქვეყანა — ღვთიებას. არ იქნებოდა შეცნობილი მსოფლიო საიდუმლონი. ადამიანი რომ არ იყოს, დაუნახველი დარჩებოდა ამდენი სილამაზე ზეცისა და მიწისა.

ადამიანმა თვით ტანჯვაში სილამაზე დინახა. ბედნიერება ტანჯვის გზით, — ასეთია ამ სილამაზის საფუძველი. გააღმერთეს ტანჯული და დამცირებული,



ქრისტე პანტოკრატორი უბის მოხატულობა

სიკეთეში. სილამაზეც არ არსებობს სიკეთის გარეშე. მშვენიერების უპირველესი ნიშანი სიკეთეა. მშვენიერება სახეობრივად მოწოდებული სიკეთე. მაშინდელი შეხედულებით. სიკეთით აღბეჭდილი სახე უფრო დიდ მშვენიერებად ითვლება, ვიდრე კეკლუცი სილამაზე. სილამაზე თავისთავად სიკეთე კი არაა, სიკეთის შემცველი სილამაზეა მიზნიდელი.

ზემოთქმულიდან უკვე ჩანს, რომ შუა საუკუნეების ესთეტიკა მჭიდროდ უკავშირდება მოძღვრებას სიკეთეზე, ანუ ეთიკას. შეიძლება რომელიმე მწერალი ან ფილოსოფოსი არც კი საუბრობდეს მშვენიერებაზე და განიხილავდეს სიკეთეს. მაგრამ აქ უკვე მშვენიერება

ჭვარცმული ღმერთი. იდეალია ტანჯვასთან შერიგება. მეტად თავისებური იყო ფსიქოლოგია ამ შერიგებისა. უკლაფერი რომ ნათელი იყოს, გაიხსენოთ ცნობილი ანტიკური ქანდაკება „ლაოკონი“ და შევადაროთ იგი ქრისტიან ტანჯულთა სახეებს, მაგალითად, ტიცინის, წმ. სებასტიანეს ან ქრისტეს ჭვარცმებს. მათ შინაგანად გაწონასწორებული სახეები აქვთ. თითქოს, არც კი გრძნობენ სხეულის ტანჯვას, ისე გამსკვალულან სულიერი ბედნიერების იმდით. თითქოს, რაღაც დიდ საიდუმლოს, დიდ სიბრძნეს მიაგნეს. სახე მათი ავსილია ნათლით, სული გამარჯვებულია სხეულზე. ასეთია ქრისტიანული ტრაგიკონის ესთეტიკა. ანტიკურ ქანდაკებებზე („ლაოკონი“ იქნება ეს

თუ სხვა) ტანჯვასთან შეურიგებლობაა. ტანჯვი, აუტანლობას უფრო ამოვციითხავთ გმირთა სახეებზე. ვიდრე მასთან შერიგებას. ვხედავთ, თუ როგორ უჭირს კაცის სულს, როცა ხორცი იტანება, თანაც როცა იტანება სრულყოფილი, მშვენიერი სხეული. აქ სიკვდილთან შერიგება ხდება მისი გარდაუვალობის შეგნებით, ქრისტიანობაში კი ეს ხორციელდება მომავალი, იმქვეყნიური ცხოვრების იმედით. ასე დიდად სხვაობს ერთმანეთს ტრაგიზმის ანტიკური და ქრისტიანული გაგება.

რა კეშმარიტი ბედნიერება? ყოველი ეპოქა ამ კი-

ნო თავისი ნაკლოვანებანი, თავს ბედნიერად თვლიდა. ეს იყო საკმაოდ რთული გრძნობა. ერთმანეთს ერწყმოდა სინანული და სიხარული.

ასეთი ორმხრივი განწყობა ჩანს იმდროინდელი ფრესკების სახეებიდან. ეს კი ადამიანს სულიერ მშვენიებას ანიჭებდა.

დრომ თან წაიღო წარმართული თავისუფლება. შუა საუკუნეთა ადამიანმა ბევრი ახლებური აკრძალვა დაიწესა. ამ დროის იდეალა თავშეკავება და დათმობა სულიერი ცხოვრება შეუძლებელიაო ხორციელ ცხოვრებასთან ერთად. დაიკარგა რწმენა, რომ ყოველდღი-

პეტრიწონი. ბაქურიანისძეთა საძვალე. ლეთისმშობელი



თხვას თავისებურად კასუხობს. ხან ბრძოლაში ხედავენ ბედნიერებას და ხან სიმშვიდეში, ხან სიბრძნის სიყვარულში და ხანაც შრომაში. რომანტიზმის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ბედნიერებაა დაუსრულებელი სწრაფვა ბედნიერებისაკენ, რამეთუ არ არსებობს ერთი რომელიმე მიზანი, რომლის მიღწევა ადამიანს საბოლოო ბედნიერებას მოუტანს...

შუა საუკუნეებში უმაღლეს ამქვეყნურ ბედნიერებად ითვლებოდა საკუთარი ადამიანური ნაკლისა და ცოდვათა შეგნება, სინანული საკუთარ ნაკლოვანებათა გამო. ასეთი იყო გზა თვითსრულყოფისა, თვითგანვითარებისა. ეს კი გულისხმობდა მორალურ ამაღლებას. ვინც იგრძნობდა, რომ მან კეშმარიტად შეიგ-

ურ ყოფაში ჩართულ ადამიანს შეეძლოს მაღალი სულიერი ინტერესებით ცხოვრება. დადგა დიდი მოლოდინის ხანა. შუა საუკუნეებმა საფიქრალად ის გაიხანა და, რითაც ადამიანი სუსტია ამქვეყნად, ხოლო რენესანსმა — რითაც ის ძლიერია. ამ დროს ადამიანმა უარყო ბევრი რამ ადამიანური, თითქოს, იმისთვის, რათა რენესანსის ხანაში ერთბაშად მისცემოდა ყოველივე ამქვეყნიურით ტკობას. თავისუფლება პრინციპებისადმი უკიდურეს მორჩილებაში დაინახეს.

ტაძარი რომ აღიმართება, მისი ფონია ცა და დედამიწა. ტაძარი, თითქოსდა, მათი შემაერთებელია. ფრესკა რომ იხატება, მისი ფონი თავად ეს ტაძარია და ქედელზე საგულისხმებელი ზეციური სივრცე. შერ-



სვეტიცხოველი

ლობაში ადამიანი წარმოდგენილია როგორც მთელი დიდი ისტორიის მონაწილე, სულიერად თანაზიარი მთელი ადამიანობისა, მისი წარსულისა და მომავლისა. გამოხატვის ასეთ პრინციპს აბსტრაქტული მონუმენტალიზმი ქვია. სახეები მონუმენტურია, დიადი და შთამბეჭდავი. ამასთანავე ისინი საქმაოდ ზოგადი და განუცნებელი, ანუ აბსტრაქტული არიან, ამიტომაც ეწოდა ამას აბსტრაქტული მონუმენტალიზმი.

არასდროს ისე არავის არ აფიქრებდა უსაზღვროება და საზღვრული, უსასრულობა და სასრული, როგორც ამ ეპოქაში. გალაკტიონის სიტყვებში — „სულს სჭირია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“ — ის ძველი ფიქრია ჩვენამდე მოღწეული. ადამიანთა სიცოცხლე წარმავალია, წარმავალია მისი მშენება, როგორც ზიაროს ის მარადიულობას? ამაზე ფიქრით იწყებო-

და და მოაგრდებოდა შემოქმედება, იგივე იყო ესთეტიკური ნააზრევის საფუძველი.

#### სიკეთე

როგორც ვთქვით, იმდროინდელ ესთეტიკას უკავშირდებოდა ადამიანის ოთხი უმთავრესი ღირსება: სიკეთე, სიბრძნე, მშვენიერება და სიუვარული. უპირველესი და უმთავრესი მათ შორის სიკეთე იყო.

უველაფრის საფუძველად სიკეთე ითვლებოდა. თვით ადამიანის არსებობა იყო სიკეთე.

უველაზე დიდ ადამიანურ სიკეთედ გამოცხადდა ადამიანის მიერ ადამიანის სიუვარული, სხვისი სიხარულით გახარება. კარგია, როცა ადამიანი სხვას მწუხარებაში თანაუგრძნობს და სურს როგორმე სხვას ჰქირი შეუმსუბუქოს. ეს ადამიანური ვალია და ამას უველა უნდა აღასრულებდეს. მაგრამ გაცილებით მა-



დადი სულიერი უნარია კაცმა გაიხაროს სხვისი ბედ-  
ნიერებით, სხვისი სიკეთით, ესაა ადამიანის სულიე-  
რი მშვენიერის ყველაზე დიდი ნიშანი.

ცხადია, მაშინაც კარგად იცოდნენ, რომ სიკეთე  
ძნელია, სიკეთე იშვიათია. ამიტომაც აღმერთებდნენ  
სიკეთეს. იმდროინდელი მოძღვრება კიდევ უფრო  
სიკეთეს წაივლიდა და შექმნა მეტად თავისებური აზრ-  
სიკეთის განსაზღვრება. ამტკიცებდნენ, რომ ბო-  
როტება საერთოდ არ არსებობსო. მაგრამ რაღაა ის  
ბოროტება, ჩვენ რომ ყოველდღიურად ვხედავთ?  
ესაა სიკეთის ხარისხებით. აი, როგორ უჩვეულოდ  
ახაზუთებდნენ ამას: ამქვეყნად რაც კი არსებობს,  
ყველაფერი წარმოადგინით ერთ სწორ ხაზზე განლა-  
გებულად. მის თავში ყველაზე დიდი სიკეთე იქნება,  
მერე თანდათანობით იკლებს სიკეთე და ბოლოში  
რჩება სულ მცირე სიკეთე. რასაც ჩვენ ბოროტებას  
ვუძახით, სინამდვილეში ის მცირე სიკეთეაო. საქმე  
ისაა, ჩვენ თვითონ სად ვდგავართ სიკეთეთა წიგნა-  
ში. თუ მაღლა ვდგევართ, ყველა ქებასმადგამო სიკე-  
თე ჩვენ ბოროტებად მოგვეჩვენება, ხოლო თუ დაბ-  
ლა ვართ, ჩვენს მაღლა ყოველივე სიკეთედ გამოიჩი-  
ნება, მათგან ბევრი რომ ბოროტებად შეიძლება ჩაით-  
ვალოსო.

ეს მსჯელობა იმისთვისაც მოვიტანეთ, რათა გვეჩი-  
ვენებინა, თუ რაოდენ უტოხა და შორეული იმდროინ-  
დელი მოძღვრებანი. უნდა დავინახოთ მსჯელობის  
თავისებურებანი, თუ როგორი რთული გზებით მიდი-  
ოდნენ სიკეთისა და მშვენიერების კანონზომიერე-  
ბებთან.

**მეშვიდობა**

მშვენიერება ქეშვიდობეცაა. — ახეთი იყო იმ-  
დროინდელი აზრი. დამაზ საგანზე დღეს ჩვენ არ  
ვიტყვი — ქეშვიდობეაო. მაშინ კი მშვენიერება  
ქეშვიდობეად ითვლებოდა და პირადად ნამდვილ,  
ზუსტ და ქეშვიდობე აზრში მშვენიერებას ხედავდნენ.  
ქა ისე მოსწონდათ, როგორც სილამაზე.

მშვენიერი ტაძარი ქეშვიდობის განსახიერებად მი-  
ჩნდება. ეს იმიტომ, რომ იგი აგებულია ზუსტი და  
ღრმა აზრის მიხედვით. მასში ქეშვიდობე აზრია ჩადე-  
ბული და ამ ქეშვიდობეებით გვიხილავს ტაძარიო.

კვლავ მიუყვით წით ნაწარგეს და წარმოვიდგინოთ,  
რომ არსებობს ორგვარი ქეშვიდობე: ერთია ბუნების  
ქეშვიდობე და მეორე — შექმნილი ქეშვიდობე. ბუნების  
ქეშვიდობე ბუნების კანონებია. ესაა ფიზიკის კან-  
ონები, ფიზიკა კანონები ქმნიან ოდნის დარგს,  
რომელსაც ფიზიკა ეწევა. მაგრამ ვარდა ამისა, არსე-  
ბობს კიდევ უფრო მიუწვდომელი, განუყენებელი  
კანონზომიერებანი. ესაა უკვე ფიზიკის იქეთა კანონ-  
ზომიერებანი, ანუ მეტაფიზიკა, იგი შეიცავს საღვთო  
ქეშვიდობებს, რომელიც უმაღლესი ქეშვიდობეაო.  
ასე მსჯელობდნენ მაშინ.

უმაღლესი ქეშვიდობე, ანუ უმაღლესი მშვენიერე-  
ბა, ისეთი შორეულია და იდუმალი, მას გონებით ვე-  
რაფენ გაიგებს, მას ადამიანი გუშინით უნდა მიხედოსო.  
რაოდენ რთულია და ბუნდოვანიც არ უნდა იყოს ეს  
მოძღვრება, მასში იყო ერთი სანიტერესო რამ. ახეთი  
მსჯელობა ადამიანს არწმუნებდა, რომ რაც უნდა  
ბევრი რომ გაიგოს კაცმა ბუნების შესახებ, მის მიღმა  
კვლავ რჩება ბევრი ამოუცნობელი კანონზომიერება

ჩვენ დღეს ამის ბუნების საიდუმლოს ვეძებთ და ვაჭ-  
ბობთ, არახდროს ამოწურება ბუნების მარცხსმარცხს-  
რებათა შესწავლაო. მაშინაც ესმოდათ ესევე მსჯელობა  
ვისებურად.

თუ ქეშვიდობის ძიებას არა აქვს საზღვარი, არც  
მშვენიერების ამოწურვა უნდა შეიძლებოდეს. მშვენი-  
ერება უსაზღვროა და უკიდურაო. ყოველივე ეს ით-  
ხება, რომ არახდროს არ მიგვეჩინა, თითქოსდა,  
საბოლოოდ ამოვიცანით მშვენიერების სიზარსი,  
ყოველთვის უნდა ვეცადოთ მასში კვლავ და კვლავ  
ახალი რამ დავინახოთ. ვინც ამ ესთეტიკურ კანონ-  
ზომიერებას ირწმუნებდა, მისთვის მარალის ცხოველ-  
მყოფელი უნდა ყოფილიყო ინტერესი ხელოვნები-  
სადმი.

**მშვენიერება**

ჩვენ ახლა შუა საუკუნეების ესთეტიკაზე ვსაუბ-  
რობთ და ხშირად ვახსენებთ „მშვენიერებას“. მაგრამ  
უნდა ვაღიაროთ, რომ ეს პირობითია, არაა სულ  
წილად ზუსტი. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების  
ხელოვნება ამაღლებულის ხელოვნებაა. შუა საუკუ-  
ნის ხელოვნანი, მწერლები, მხატვრები თუ ხეოთ-  
მოდირები, — მიზნად ისახავენ არა სილამაზით  
ტკბობის მონიჭებას, არამედ შთაგონების აღძვრას.  
ჩვენ ზოგიერთი რამ უკვე ვთქვით ამის თაობაზე.

შუა საუკუნის ხელოვანი გარეგან მიწიწილადობას  
არ დაეძინებდა. შემთხვევითი როლია, ანდა მხატვრო-  
ბის არცოდნით როდი მოსდით, რომ ფრესკებზე  
სხეული ხშირად არაპროპორციულია, შეგნებულად  
დაგრძელებულია, მკვეთრი და მშლავი ხაზებითაა შე-  
მოფარებული. ტანსაცმელი არ ფარავს ხელოვ-  
ანის მტკუნებსა და ხაზებს. თითები, რომელიც ყო-  
ველთვის საგანგებოდ იხატება, ვედრების მოძრაობ-  
ითაა გამოხატული. ესაა სულის მოძრაობის მანიშნე-  
ბელი. ყველაზე მეტად ზემოქმედია თვალები. მათი  
ხილვა უცნაური შთაგონებით გავსებებს.

კვლავ ფრესკაზე მივბრუნდეთ მშვენიერების, რომ ფრე-  
სკაზე უფრო ნათლად ჩანს ამაღლებულობა. ხეოთ-  
მოდირებაში მეტია სილამაზე, განსაკუთრებით ჩუ-  
ქროთმებში. იმდროინდელ პოეზიასა და საგალობელ-  
შიცაა სილამაზე, რომელიც ატკბობს კაცის აზრსა  
და სმენას, მაგრამ ყველგან მაინც მთავარია შთაგო-  
ნების გრძნობა.

ამიტომაცაა პირობითი, ჩვენ ყოველივე ამას მშვე-  
ნიერებას რომ ვარქმევთ. მაგრამ რატომ მაინც მშვე-  
ნიერებას ვუწოდებთ ამ ხელოვნების მიწიწილადობ-  
ას და არა ამაღლებულს? საქმე ისაა, რომ იმ დროს  
გავრცელებული იყო ეს სიტყვა (ძველქართულად  
„მშვენიერი“). სინამდვილეში კი „მშვენიერი“ უფრო  
ხშირად ამაღლებულს გულისხმობდა.

სანიტერესია ამ მხრივ ნ. ბარათაშვილის ლექსი  
„რად ჰყვებდი კაცსა“. აქ მშვენიერებას სილამაზე  
ქვია, ხოლო ამაღლებულს ჰქვია მშვენიერება. ნ. ბა-  
რათაშვილი ამბობს: „სილამაზე ნიჭია ხორციულები-  
საო“, ხოლო „მშვენიერება ნათელიაო ზეცით მოსუ-  
ლი“.

ასე გრძელდებოდა ძველი ტრადიცია მშვენიერე-  
ბისა და ამაღლებულის შესახებ თვით რომანტიზმის  
ეპოქაშიაც კი.



ყოველგვარი სიყვარული ესთეტიკური გრძნობაა. შუა საუკუნეებში გააერთიანა სხვადასხვაგვარი სიყვარული და ისინი ყოველსომომცველი სიყვარულის სახეებად გამოაცხადა. სიყვარულს მოყვრისა, შვილისა და მშობლისა, სატრფოსი და ზეცისა ერთი საფუძველი ჰქონდა. ყოველთვის აგრებივად არც ერთი სხვა გრძნობა არ მოიკავდა. ესთეტიკის ყოველ სფეროს წვდებოდა სიყვარული. შემოქმედება უსიყვარულიად არა სწამდათ.

სიყვარული რომ არ არსებულყო, არ იქნებოდაო მშვენიერებაც. სიყვარულის გამო ხდება ყოველი სიკეთე.

თუ სიყვარულისთვის ხდება უკეთურობა და დაღატი, ეს სინამდვილეში სიყვარული აღარაა. ესაა ანგარება და სიმდაბლე. ესაა მოჩვენებითი სიყვარული. ადამიანს სიყვარულზე დაო სიწმინდე არ გააჩნია. და თუ იგი ამ სიწმინდეს შებღალავს, შეუძლებელია მისთვის სხვა წმინდა რამ არსებობდეს. მას აღარც სხვისი სიწმინდე სწამს. აირი რიოე სიყოი. მას ბედნარებადლა რჩება უკეთურობით სიამაყე. ასეთია ტრჰუნდოთა რჩენა. ქეშმარტეცაც. ყველაზე მაღალი და მიუწვდომელი სიყვარულით შეიცნობოდა. ქეშმარტება სწამდათ და უყვარდათ.

სწამდათ, რომ მთელი სამყარო სიყვარულითაა გასსკვალული. ბუნება და ადამიანი, ზეცა და დვთაება, — ყოველივე სიყვარულს მოიკავს. მცენარე რომ მზისკენ მიისწრაფვის, ესეც სიყვარულიაო.

სამყარო რომ ერთიანია, რომ არ იშლება და არ ნაწევრდება, ეს სიყვარულის წყალობით ხდება. ადამიანები რომ ყველანი ერთნი ვართ, ამასაც სიყვარული შევავარძნობინებს. ეს კი დიდი ადამიანური მშვენებაა.

ქვეყნის სიყვარული ამოძრავებს. მდინარეები რომ მიედინებიან, ღრუბლები რომ მოძრაობენ, სიცოცხლე რომაა ამქვეყნად, ეს ყველაფერი სიყვარულის ნაყოფიაო.

ვისაც სიყვარული არ ძალუძს, მშვენიერებასაც ვერ შეიგრძნობს. ხოლო ხელოვანი თუ სიყვარულით არაა გამსკვალული, ვერაფერს შექმნის. შემოქმედის შთაგონება სიყვარულია. მაგრამ ადრეულ შუა საუკუნეებში შთაგონებულ სიყვარულად მიჩნურობა არ იგულისხმება. განა აგოიგრაფიაში სადმე ვხვდებით მიჩნურობით შთაგონებულ ავტორებს? შთაგონებელი აქ სხვა სიყვარულია, წმინდა სულიერი სიყვარული, სიყვარული სიყვითსა, ქეშმარტებისა და მშვენიერებისა. თანაც ესენი განყენებულადაა წარმოდგენილი და ყველას სადვით სიყვარული ქვია.

რუსთაველიც შესთხოვს დვთაებას შემოქმედებობათვის „მომეც მიჩნუროთა სურვლილი“. ესეც არაა მხოლოდ ჩვეულებრივი ტრფობა. ესეც უფრო ზოგადია, ზეციური და მრავლისმომცველი სიყვარულია.

იერარქიის ესთეტიკა

მშვენიერება სხვადასხვაგვარია ამქვეყნად, სად მეტია და სად ნაკლები. დღეს არაყინ ცდილობს სილამაზის მეტნაკლებობით დაალაგოს საგნები, რათა ისინი შევადაროთ ერთმანეთს. თუ რომელი რომელზე უფრო ლამაზია. მაგრამ ძველად ეს ყველას ძალ-

ზე აინტერესებდა იმიტომ, რომ რაც უფრო ლამაზია საგანი, ღმერთთან უფრო ახლოს დგას. შვეტილი წარმოდგენით, შეიძლებოდა საგნები დგველაგებინა საფეხურებად თავიანთი სილამაზისდა მიხედვით. მოკლენათა საფეხურებრივ წყობას იერარქია ქვია. ხოლო როცა სილამაზის საფეხურებზე ვსაუბრობთ, ესაა იერარქიის ესთეტიკა. არაადროს ისე არ უმოკლავ გავრცელებული იერარქიის ესთეტიკა, ვაგორც შუა საუკუნეებში. იმდროინდელი ხელოვნება გაუგებარია ამის გარეშე.

ძველთაძველი მოძღვრება იერარქიულ წყობაზე დრომ თან წაიღო. ის დღეს აღარავის სცერა, მაგრამ მაინც გვიხდება მისი გახსენება, რომ წარსულიდან ზოგიერთი რამ გავიგოთ. განა „ატომი“ დღესაც არ იხმარება? ეს სიტყვა ბერძნულია და განუყოფელს ნი ნავს. დღეს ყველამ იცის, რომ ატომი იშლება. მაგრამ ეს სიტყვა მაინც შემოგვრჩა, რაღაც ამგვარია მოძღვრებაში იერარქიაზე.

ამ დროს ფეოდალური წყობილება იყო. ადამიანები თავიანთი წოდებით სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული უფროს-უწროსობისდა მიხედვით. ამას ქვია საზოგადოების იერარქიული ანუ საფეხურებრივი წყობა. გავიხსენოთ „შუშანიის წამება“. ამ დროს ქვეყნის თავში იდგა მეფე, მაშინ მეფე იყო ვახტანგ გორგასალი. იგი არა ჩანს ნაწარმოებში. მაგრამ იგულისხმება. მეფის შემდეგ იდგნენ დიდი ფეოდალები, რომლებსაც იაკობი ცურტაველი „დიდი აზნაურები“ უწოდებს. მათ გვერდით დგანან „ზეპური დედანი“. დიდი აზნაურების შემდეგ მოდიან „აზნაური მცირენი“, შემდეგ კი — უაზონი, ესე იგი გლეხობა. კიდევ უფრო დაბლა დგანან მონები და მსახურები. ფეოდალიზმი იერარქია ასეთია: მეფე — დიდი აზნაურები — მცირე აზნაურები — უაზნოები — მსახურები. მსგავსი იერარქიაა სასულიერო ფენები. რაც „შუშანიის წამების“ მიხედვით ასე წარმოგვიდგება: მთავარებისკოპოსი (გოგე კათალიკოსი) — ეპისკოპოსი — კარის ეპისკოპოსი — ბუცესი — დიაკონი.

როცა ცხოვრება იერარქიულად იყო შედგენილი, მთელ ქვეყანაზე ამ თვლით უყურებდნენ, თითქოსდა მთელი სამყარო უფროს-უწროსობაზე იყო აგებული. თითქოს, საგნებც თავიანთი ღირსებით ან თავიანთი სილამაზით სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ყველაზე დაბლაშდგომად მიანდათ უსულო საგნები: ქვა, წყალი, მცენარე, მაგრამ მათ შორისაც საფეხურებრივ განსხვავებას ხედავდნენ თანაც სულ მარტივი მოტივით: უჭრაყი და უსულო ქვა უფრო მოკლებულია მაღალ თვისებებს, ვიდრე ცოცხალი და მზარდი მცენარეო. ამიტომაც მცენარეში მეტი სილამაზეაო.

წყალი ხომ მოძრაობს და საგნებსაც ამოძრავებს. მაგრამ მაინც მეტი ღირსება მცენარეს ენიჭება, რომელიც ზრდასთან ერთად სასიკეთოდ იცვლება, უფრო მშვენდება და ნაყოფიერი ხდება. იგი ცოცხლობს და ადამიანითაც კვდება. მასთან ერთად კვდება მისი ცოცხალი სილამაზეც. იგი უსულო საგნად იქცევა, კიდევ უფრო მაღლა და უსულო ქვა უფრო მოკლებულია მაღალ თვისებებს, ვიდრე ცხოველთა მაღალი თვისებაა, რომ აქვთ გრძნობა. ამ თვისებით ისინი ადამიანს უახ-



ტ-მოთესუბანი. „სამოთხე“, დასავლეთის კედლის მოხატულობა.

ლოვდებიან. ადამიანში კი უყვლა ღირსებაა, რაც კი ამკვეყნად არსებობს. მასშივეა ბუნების უოველგვარი სილამაზე. რაც მთავარია, მასშია სული და სულიერი სილამაზე, რომელიც არაა მდებარე ბუნებაში, თუმცა ადამიანი თვითონ შიაწერს ბუნებას ამგვარ თვისებას და ამით ალამაზებს მას. სულიერი სილამაზით ანუ ამაღლებულობით ადამიანი ღმერთს უაჯლოვდება. ადამიანზე მაღლა წარმოიდგენდნენ ანგელოზებს. მათ სშირად ლამაზი ქალის სახითა და მოშრიადე ფრთებით ან პატარა ბავშვების სახით ხატავდნენ, ხანაც მათ ვერსკვლავებად წარმოიდგენდნენ. გავიხსენოთ უინწვისის ანგელოსი ან რაფაელის „სიქსტეს მალონის“ პატარა ანგელოსები. ანგელოსთა შორისაც იერარქია იყო. სულ 9 დასი არსებობდა, სამი სამეულით: სერაფიმი, ქერობიმი და საუდარნი. უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი, მთავრობანი, მთავარანგელოსნი და ანგელოზნი. მათ მაღლა იდგა ღმერთი. ამარიგად, ერთიანი იერარქია ასეთი იყო: ქვა, წყალი, ცეცხლი, და პერი. შემდეგ მცენარე და ცხოველი და ბოლოს — ადამიანი. ამის შემდეგ ანგელოსები და ღმერთი.

ადამიანებს შორისაც სიკეთის მიხედვით დიდ სხვაობას ხედავდნენ. სიკეთის აღმავლობის მიხედვით ისინი ასე დაჯგუფდებოდნენ: არაქრისტიანი — ქრისტიანი — ღვთისმოსავი ერისკაცი — სასულიერო პირი — მღვდელმთავრები — წმინდა მამანი — მარტვილები — მოციქულები — ღვთისმშობელი — განკაცებული ქრისტი — ღმერთი.

მთელი სამყაროც იერარქიულად იყო აგებული. ამკვეყნად იმკვეყნამდე მრავალ საფეხურს ხედავდნენ.

ქვეყნის დაბლა, ქვესქნელში ჭოჯობითა, ჭოჯობითი უფსკრულს ჩაღმავალი 9 გარსია. აქ ბოროტი

ადამიანები ხვდებოდნენ. რაც უფრო ბოროტი იყო კაცი, მით უფრო დაბლა აღმონდებოდა. მაღლა, ჩვენნი ცის ზემოთ, ცხრა ცაა. აქედან 7 ცა სამოთხის ცებია. მათი ძველქართული სახელებია: 1. პირანი (მთვარის ცა), 2. ცოჩანი (მერკურის ცა), 3. მელტარი (ვენერას ცა), 4 კოქიმელი (მზის ცა), 5. ქიმქიმელი (მარსის ცა), 6. კიმქიმელი (იუპიტერის ცა) და 7. არბასტრო (სატურნის ცა).

ამ შვიდი ცის შემდეგ იწყებოდა ვარსკვლავთა ცა და კიდევ უფრო მაღლა იყო მეცხრე ცა, სულ მაღლა იდგა „შოიანი ღამე“, ანუ ისეთი ნათელი, საცა ვერაფერს გაარჩევს კაცი და მხოლოდ რაღაც ზებუნებრივსა გრძნობს.

ასეთი იყო სამყაროს აგებულება, რაც აისახებოდა ხელოვნებაში, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ან დანტი ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“, იდროინდელ მხატვრობასა თუ არქიტექტურაში.

რაც უფრო ზემოთ წვდებოდა თვალს, მით უფრო მეტ მშვენიერებას ხედავდა. ზეცა მშვენიერების სამყაროა, ჭოჯობითი უკეთურებისა. ზეცა ნათლის სასუფეველია, ჭოჯობითი უკუნის საუფლო.

ამ ჩვენს სამყაროს, რომელსაც თვალს ხედავს ან გონება წვდება, ერქვა კვეყანა (ბერძნულად კოსმოსი), ხოლო მთელ სამყაროს ეწოდებოდა სოფელი, კაცის ცხოვრებას კი წუთისოფელი ან საწუთრო.

სამყაროს ცენტრში წარმოედგინათ დედამიწა და არა მზე. ამიტომ ასეთ მოძღვრებას გეოცენტრული მოძღვრება ქვია. მხოლოდ გვიან, XVI საუკუნეში, კოპერნიკმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სამყაროს ცენტრში დედამიწა კი არა დგას, არამედ მზე (მელიოსი), რასაც პელიოცენტრული თეორია ეწოდა.

მანამდელი აზრით, სამყაროს ცენტრში იდგა დედა-

მიწა, რომელსაც თავს დაჰანათოდა მზე. მზეს თავისი ერთადერთობით ღმერთს ამსგავსებდნენ, მზე ღმერთის ზატად მიიჩნეოდა. მზე ყველაფერს წყალობას ჰმუნდა. იგი სხივებს უნაწილებდა კაცსაც, ვარდსაც და მწერსაც. ღმერთს ანგელოსები ჰყავდა, რათა მისი ნება-სურვილი ჰქვეყნისთვის ეუწყებინათ. ასეთი იყო ცდომილებიცა და ვარსკვლავებიც, მათზედაც თითქოს აირეკლებოდა ციური განგება და ბედი კაცისა, ამიტომ ვარსკვლავები ანგელოსთა სახეებად მიიჩნეოდა და ცდლობდნენ მათ მოძრაობაში ადამიანის ბედი ამოეცნათ. ასეთ მოძრაობას ჰქვია ასტროლოგია, ანუ მოძღვრება ვარსკვლავებზე.

ფერს. დგებოდა ჟამი დიდი მშვენიერებისა, რასაც მათი შეხვედრა მოასწავებდა.

მოძღვრება ზოდიაქოებზე და, კერძოდ, მზის შესვლა „ლომის“ ეტლში, მრავალ ნაწარმოებში აიხსნა და, მათ შორის, „ვეფხისტყაოსანშიაც“. ტარიელის ყველაზე გავრცელებული მეტაფორა „ვეფხისტყაოსანში“ არის „მზე“ და „ლომი“. ტარიელს რომ ორთავე ესადაგება, ეს გასაგებია, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ თვით ლომსა და მზეს შორისაც კავშირია. „ლომი“ მზის „წილია“ ანუ მისი ზვედრია. ნესტანი ასე წერდა თავის „ლომს“:



ლომი. ქართული ხელნაწერი, 1188 წ.

ვარსკვლავები იდგნენ და მზეს შემხაროდნენ, ცდომილები კი მზესა და მთვარესთან ერთად ციდან ცემაზე გადადიოდნენ. ამიტომ მათ მოხეტიალე მნათობები ეწოდათ. მათი მოძრაობისგან უოვლისმომცველი მუსიკის ხმა გამოდიოდა, თუმცა იგი ადამიანს არ ესმოდა, იმდენად ძლიერი იყო. ყოველ მათგანს მოძრაობის თავისი გზა და სფერო ჰქონდა, რომელთაც ეტლი ანუ ზოდიაქო ერქვა. ზოდიაქო სულ 12 იყო: 1. ღრიანკალი, 2. თხის რქა, 3. მერწყული, 4. თევზი, 5. კურო, 6. მარჩიბი, 7. ლომი, 8. ქალწული, 9. ვერძი, 10. კირჩხიბი, 11. სასწორი, 12. მშვილდოსანი.

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი, განალამცა მას ეახელ, მისი ეტლი არ თუ წბილი. მუნა განხო, მადეე გახო, გამინათლო გული ჩრდელი, თუ სიყოცხლე. მწარე მქონდა, სიკვილიმცა მქონდეს ტბილი“.

მზისა იყო „ლომის“ ზოდიაქო, ანუ ეტლი, ანუ ის ადგილი შორეული ზეცისა, რომელშიაც შესვლისას მზე სრული სიძლიერით აღივსებოდა. იმ ადგილს „ლომი“ შემთხვევით როდი დარქმევია. ლომი, როგორც ზემოთაც ვთქვით, მზის ამქვეყნური სწორფერი იყო. მზე ლომის ზოდიაქოში ივლისში შედიოდა. მანამდე კი ყველა სხვა ზოდიაქოს გაივლიდა, მაგრამ როცა აქ მოაღწევდა, იწყებდა ყველაზე ძლიერ ნათებას. „ლომის“ ზოდიაქოც ეგებებოდა თავის სწორ-

როცა ნესტანს ყველა საამქვეყნო იმედები წაერთვა, იგი ოცნებობს შეხვედეს ტარიელს მზესთან. ამიტომ მოუწოდებს მას ეახლოს მზეს. თანაც ახსენებს, რომ მზეს თავად უჭირს გამლენა ლომ-ტარიელს გარეშე. ასე შემოაქვს აქ ნესტანს ასტროლოგიური წარმოდგენები და თავის ოცნებას გრანდიოზულ კოსმოლოგიურ შინაარსს აძლევს.

იერარქიის ესთეტიკას იმდონიდელო ხელოვნებად და უფრადლებას უთმობდა. რაც უფრო მაღალ საფეხურზე იდგა საგანი თუ ადამიანი, მით უფრო მშვენიერად ითვლებოდა. წმინდანი უფრო ამაღლებულია, ესე იგი ესთეტიკურად უფრო მაღალია, ვიდ-



რე ერისკაცო. მეფის სახეც უფრო ამაღლებულია, ვიდრე დიდებულებისა. ტაძრებში ღირსებით ამაღლებულს ხატავდნენ უფრო მაღლა. გუმბათისაკენ, ან არადა, უფრო ღრმად, საკურთხეველთან, სადაც ტაძარს მეორე ცენტრი იყო. ამ წესს ყველა იცავდა. თუ ეს ასე არაა, რაღაც დარღვევაა. ანდა რაღაც სიზუსტეა და ეს შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს. მაგრამ სიახლეს რომ მივხედეთ, ტრადიცია უნდა გვესმოდეს.

რავლა ტაძარი ჩვენთვის, უპირატესად ყოვლიან, ხელოვნების ძეგლია, უნდა შეგვეძლოს მისი გაგება იერარქიის ესთეტიკის მიხედვითაც. ჩვენში ყველა ტაძარი მოხატული იყო ფრესკებით. ფრესკები კედლებზე წესის მიხედვით იყო განლაგებული. იგი მიუყვებოდა II ცის პირსივს. ეს ნიშნავს, რომ ტაძარს შინაგან სივრცეს წარმოადგენდნენ ისე, თითქოს, კედლებზე II ცაა. როცა კარიბჭეს გადავლახავთ, იწყება პირველი ცა. მასზე წარმოდგენილია ფრესკათა პირველი რიგი. ამის შემდეგ მოდის მეორეც; ცა, ანუ ფრესკათა მეორე რიგი. და ასე, თანდათან, შესასვლელიდან საკურთხევლამდე, წყება-წყებად გამოყოფილი უნდა იყოს II ცა. საკურთხეველში ჩვეულებრივ დახატულია ღვთისმშობელი ან ქრისტე. უველაზე დიდი სიწმინდე ამ ფრესკათა შორის.

მაგრამ ეს ტანი მხოლოდ პორიზონტალურად ანუ კარიბჭიდან საკურთხევლისაკენ რადია დალაგებული, არამედ დალაგებულია ვერტიკალურადაც, დაბლიდან მაღლა. თუ ჩვენ გუმბათის ქვეშ დავდგებით, დაბლა სვეტებზე ვნახავთ ერთ წყება ფრესკებს. შემდეგ მათ მოსდევს მეორე ზოლი, მეორე წყება ფრესკებისა. ისინი ზშირად საგანგებო ხაზებითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. და ასე წყება-წყებად აღის ფრესკები გუმბათისაკენ, რომლიდანაც ქრისტეს სახე დაგვუჩრებს. იგი ყველა ცაზე მაღლა, დაბლა შრეები კი II ცის შეესაბამება. თუმცა შეიძლება ისიც მოხდეს, რომ გუმბათამდე არ იყოს წარმოდგენილი ყველა საფეხური. ანუ ყველა ცა. მაშინ შესაბამის ფრესკებს საღმ გვირდით კედლებზე გადაიტანდნენ. როგორც ვთქვით, რაც უფრო სახელოვანია პიროვნება, მით უფრო მაღლა, ან მით უფრო სიღრმეში, საკურთხევლის სიახლოვეს ხატავდნენ. მაგრამ ყველა ცის გამოსახულებებს მთლიანად წარმოვიდეთ, თუკი ერთმანეთთან შევერთებთ ვერტიკალურ და პორიზონტალურ შრეებს. ისინი ერთმანეთს შეავსებენ და ყველა ცასა და მათ ყველა ბინადარს მთლიანობაში წარმოგვიდგენენ. ცათა მიღმა დარჩება საკურთხევლის თალისა და გუმბათის გამოსახულებანი, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს ან არადა, ერთმანეთს შეერწყვას. გაერთიანდნენ ფრესკები და გაერთიანდნენ ცანი. ცანი დადაკდნენ საფეხურებად. და ერთიანი დიდი ტაძარი გვადიქცა ზედალმავალი მშვენიერების იერარქიად. თვით პორიზონტალური წყებასაც ზეცისკენ მიმართული აღმოჩნდა. თითქოს ამაღლდა პორიზონტიცის გუმბათისაკენ. მუარ, მდუმარე ტაძარში ოცნებათა სწრაფვანი აღიჭრის. ოცნება მიისწრაფვის დაბალი მშვენიერებიდან მაღალი, უკიდვანო ამაღლებულობისკენ.

დაბლაშედად „ცებზე“ ქართველი წმინდანებია, ამის შემდეგ მსოფლიო წმინდანები, მერე ევლისის მამანი, გამოჩინული წმინდანები, წმინდა მხედრები, მსოფლიო ევლისის დიდი მოღვაწენი, ბიბლიური მამათავარნი, მოციქულები და ღვთისმშობელი.

დაბლაშედად „ცებზე“ ფრესკები მოხატულნი არიან უფრო მუქი ფერებით, მაღლა სიწმინდენი მშვენიერებისა და ფერებით უფრო მეტად ნათელი ხდებიან. სულ ზემოთ ზოგჯერ მთლად კაშკაშა ნათელია ხოლმე — ნათლის ამგვარი ზრდა ტაძრის ქერს თითქო კიდევ უფრო ამაღლებს.

სვანეთში, სოფელ იფარაში, დგას ერთი პატარა ეკლესია. ისიც კი მოხატულია ცების იერარქიის მიხედვით. ამ მცირე ტაძრის ქვირ მხატვარს ფრესკით სულ მთლად გაუნათებია და ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ თითქოს აქ რაღაც დიდი სივრცე იყოს.

დაბლა შერი სიბნელეა, მაღლა უფრო მეტი სინათლე. ყველაზე მეტი ნათელი სურათა ისედაც ნათელ გუმბათში, რომლის ზემოთ უკვე ნამდვილი ზეცაა. ტაძარს კაცის თვალთახედვა მიჰყავს სიბნელიდან სინათლისაკენ. რა არის ეს, თუ არა სინათლის საფეხურები? უფრო მეტი და მეტი სინათლისაკენ საფეხურებზე იწვევს ზედალმავალი?

ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ტაძარში სინათლის იერარქიაცაა, ანუ ნათლის იერარქიის ესთეტიკა.

დღეს ჩვენში ბევრმა იცის, რომ ბულგარეთში სოფელ ბაჩკოვში დგას ძველი ქართული ტაძარი. აქ არის პეტროწონის მონასტერი, რომელსაც დღეს ბაჩკოვს მონასტერი ეწოდება (იმიტომ, რომ ახლომდებარე სოფელს ბაჩკოვს ქვირ). პეტროწონი 1088 წელს აუშენებია გრიგოლ ბაკურაიანისძეს. აქ ყველაზე ძველია სანჯალის ეკლესია. იგი რომლისაა, დაბლა სართულია საკურთხევ სანჯალე, მაღლა კარგად მოხატული ნათელი ეკლესიაა. მისი მხატვრია ქართველი კაცი იოანე ქართველიშვილი, რომელსაც ბერძნულად ივერტულუსი ეძახდნენ. ივერტულოსი საინტერესო მხატვარი ყოფილა, რაც გვიჩვენებს ურანგმა და ბულგარელმა ხელოვნებთმცოდნეებმა (ა. გრამბარმა და ე. ბაკალოვამ), რომელთაც მისი შემოქმედება შეისწავლეს.

ეს ეკლესიაც მოხატულია ცათა საფეხურების მიხედვით. ცანი აქ პორიზონტალურადაა განლაგებული — კარებიდან საკურთხევლისაკენ. პორიზონტალსაც ზომის სივრცეებში მიუყვართ, დანაწესში, კარის კედლებზე. შესასვლელიდან მარჯვნივ, დახატული არიან ცნობილი ქართველი მოღვაწენი: ილიარიონ, ექვთიმე და გიორგი ათონელები. შემდეგ დალაგებულია სხვა ფრესკები. საკურთხევლის თალივ კვლავ ვედრების (ანუ დეისუსის) კომპოზიციაა. დაბლა სართულზე კი განკითხვის დღის სცენები და ქტიტორთა პორტრეტები. აქ არის ფრესკა პეტროწონის დამაარსებლის გრიგოლ ბაკურაიანისძისა და მისი ძმის აბასისა. მათ, როგორც აკაურობის ქვირისუფალთ, ხელში მთავარი ტაძრის მკეთი უქირავთ. უფრო გვიანდელი ხანის, XIV საუკუნის ქტიტორი ბულგარეთის მეფე ივანე — ალექსანდრე გამოსახულია ზემოთ, ოღონდ არა თვით ტაძარში, არამედ გარეთ, კარიბჭისწინა კედლებზე. ქტიტორები თითქოს იმ მთავარ ცებზე მოხედვარას ელიან, რომლებიც ეკლესიაშია მოხატული.

ყოველივე ეს რომ შემთხვევითი არაა, ამას ადასტურებს ახტალის ტაძრის მოხატულობა. იგი ძალზე მიაგავს პეტროწონს (ეს ახტალა ამჟამად სომხეთშია, სხვაა გურჯაანის ახტალა და მისი ეკლესია).

ასეთია იერარქიის ესთეტიკა ქართულ ტაძარებში.

(გაგრძელება იქნება)

კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელო საბჭოთა მუსიკაში დამკვირდა 70-იანი წლების დამდეგიდან, როცა შეიქმნა მისი მეორე (1970), მესამე (1973), მეოთხე (1975) სიმფონიები. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს ყანჩელის სტილი, რომელიც, ერთის მხრივ, იწვევს ცხარე კამათს, ხოლო, მეორეს მხრივ, განცვიფრებისა და ალტაცების გრძნობას. თანამედროვე სიმფონიური მუსიკის თვით ყველაზე გამოცდილი მცოდნეც კი ყანჩელის სიმფონიებს, მუსიკალური სახეებისა და მეტყველების განსაკუთრებული წყობის გამო, ვერ დაალაგებს კლასიფიცირებული რუბრიკების თაროზე. კომპოზიციურ ფორმებსა და ჟანრებზე ჩამოყალიბებული წარმოდგენებისაგან განსხვავებით მისი სიმფონიები ერთნაწილიანია, მოძრაობენ ნელა და გვიანციფრებენ შინაგანი სამყაროს მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით. ამ მხრივ, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო თვალსაჩინო ქმნილებაა მიქელანჯელოს ხსოვნისადმი მიძღვნილი მეოთხე სიმფონია.

თომას მანი ამერიკელ პორტრეტისტ უილიამ ერლ სინჯერისადმი მიწერილ ბარათში აღნიშნავდა, რომ „როცა ლაპარაკია ხელოვნებაზე, მის მთლიანობაზე, მის ყოველ სახეობაზე — ფერწერა იქნება ეს თუ მუსიკა, პოეზია ან ქანდაკება — საქმე ეხება არსებითად ერთსა და იმავეს — წესრიგს, ორგანიზაციას, ფორმას, გამომსახველობას, ჰარმონიას, სიახლესა და ცხოველმყოფელობას, სიკოცხლის შეგრძნების გაძლიერებას ისეთი ბუნდოვანი მცნებით, როგორცაა, „მშვენიერება“.

მართლაც, ყოველი მნიშვნელოვანი, ენის მხრივ ახალი ნაწარმოები წარმოქმნის ხოლმე მშვენიერების საიდუმლოებაში წვდომის სურვილს, რაც გვაიძულებს ანალიტიკური საჭრეთლით მისვლას მუსიკალურ ქსოვილთან. ასეთი ანალიზის ობიექტია, პირველ რიგში, ის კანონზომიერებანი, საფუძვლად რომ უდევს „წესრიგს, ორგანიზაციას, ფორმას“.

მეოცე საუკუნის კომპოზიტორები ნოვატორული, უჩვეულო მუსიკალური სტილისა და მუსიკალური ენის სირთულეთა ახსნის მიზნით სავსებით შეგნებულად სთავაზო-

ბდნენ მსმენელებსა და თვით მუსიკოსებსაც კი თავიანთი ნაწარმოებების ანალიზს. მხედველობაში მაქვს ჩვენი დროის გამოჩენილი კომპოზიტორების ბერგის, შონბერგის, მესიანის, ლიუტოსლავსკისა და სხვა მუსიკოსების საკუთარი ნაწარმოებებისა თუ შემოქმედებითი პრინციპების ანალიზი. გ. ყანჩელი კი, რომელსაც არა აქვს ახალი სისტემის შექმნის პრეტენზია, ამჯობინებს დუმბილს,

## გია ყანჩელის მეოთხე სიმფონია


ინა ბარსოვა

მით უფრო, რომ მისი მუსიკის მაორგანიზებელი ძალა უფრო სისადავეშია, ვიდრე სირთულეში. კომპოზიტორის ასეთი პოზიცია, რა თქმა უნდა, ართულებს მისი შემოქმედების გაშიფვრას, მისი ქმნილებების განუმეორებელი ერთიანობის, მათი მაორგანიზებელი საწყისების ამოკითხვას. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები ამ ამოცანის გადაწყვეტას. რა თქმა უნდა, ჩემს მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია არ არის გ. ყანჩელის სახეობრივი სამყაროს ამოხსნის ერთადერთი გზა, მით უფრო, რომ მისი შემოქმედებისადმი ჩემი დამოკიდებულება, შესაძლოა, სუბიექტურიც იყოს.

მეოთხე სიმფონია, ჩემი აზრით, წარმოადგენს მსოფლმხედველობით კოლიზიას. ჩვენს წინაშეა „იდეათა რომანის“ სახესხვაობა. სიმფონიის პრობლემატიკა აქტუალურია, მიუხედავად მიძღვნის რეტროსპექტულობისა. ევროპული კულტურის ერთ-ერთ უმადლეს მწვერვალთან — მიქელანჯელოს უნივერსალურ შემოქმედებასთან შეხებამ კომპოზიტორს უკარნახა თავისებურად გაე-

სათვის კომპოზიტორს არ მიუძღარა მისი სახელობითი საშუალებების უახლესი არსენალისათვის, კერძოდ, ტონალობაში ასიმბლირებული სერიისათვის, სონორული თუ ალელატორული ხერხებისათვის. ნაცვლად ამისა, გ. ყანჩელი დაადგა გამომსახველობითი საშუალებების ტრადიციული იერარქიის გადააზრების გზას. ამ გზაზე ყველაზე რადიკალური გადასინჯვა განიცადა ტრადიციული

გია ყანჩელი



აზრებინა და გადაეწყვიტა ყველა დროის უმთავრესი პრობლემა, ერთის მხრივ, პრობლემა ქმედების, ნებისყოფის, აქტიურობისა, ხოლო, მეორეს მხრივ — სიმშვიდის, შემეცნებისა.

მეოთხე სიმფონიის კონცეფციამ მოსთხოვა კომპოზიტორს ტრადიციული კონფლიქტური სიმფონიის მოდელისაგან განსხვავებული მუსიკალური საშუალებების ძებნა. მის ამოცანებს არ პასუხობდა დრამატული სიმფონიზმის ენა, სონატური ალეგროს ფორმა, თემატური და ტონალური კონტრასტები. მაგრამ საშენი მასალის მოძიების დროს, სიმფონიის თემებისა და მათი ორგანიზები-

გამომსახველობითი სისტემის პოლარულმა საყრდენებმა. ასე მაგალითად, ამ სისტემის უმთავრესი საშუალება — მელოსი და მასთან დაკავშირებული თემატური და ტონალური კონტრასტის პრინციპი მის სიმფონიაში გადავიდა მეორე პლანზე. ამ სისტემის დამხმარე საშუალებები — ფაქტურასთან გამოლიანებული დინამიკა და ტემბრი კი კომპოზიტორმა გამოიყვანა წინა ხაზზე. სწორედ მათ დაწვით როგორც მთლიანობის რეგულირების, ისე კონტრასტისა და კონფლიქტის წარმომქმნელი ფუნქცია, რასაც ადრე ასრულებდა სონატური ალეგროს თემატური ურთიერთობების რთული და მკაცრად ორგა-

ნიზებული მექანიზმი. ეს სულაც არ ნიშნავს მელოდის მნიშვნელობის დამცირებასა და ტემპობის კულტად ქცევას. აქ ლაპარაკია მხოლოდ მუსიკალური მთლიანობის იმ მარეგულირებელი ძალების გადაზრებაზე, რომლებიც ქმნიან არა მარტო „წესრიგს, ორგანიზაციას, ფორმას“, არამედ განაპირობებენ „გამომსახველობას, პარმონიას, სიახლესა და ცხოველმყოფელობას“.

დინამიური სიმძლავრების, კერძოდ კი ფორტისიმოსა და პიანისიმოს პერსონიფიცირება თვისებაა განსაკუთრებული კომპოზიტორული სმენადობისა, რითაც ყანჩელი უხვად არის დაჯილდოებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისთვის ყველაზე მთავარი და არსებითია ისეთი ორი პოლარული სიმბოლო, როგორცაა სიჩუმე და ბგერა. ამ ანტიპოდურ სიმბოლოებს კომპოზიტორი მსოფლმხედველობით მნიშვნელობას ანიჭებს, — სიჩუმე მისთვის გამომხატველია მშვიდი, შემეცნებითი სფეროსი, ან პარმონიული მთლიანობისა, ბგერა კი ქმედი-ობის, აქტიურობისა.

მელოდირი შინაარსისაგან ერთგვარად აბსტრაგირებული პიანისიმოსა და ფორტისიმოს დაყენება სხვა გამომსახველობით საშუალებებზე მალა აღრეც უცდიათ კომპოზიტორებს. გავიხსენოთ, თუნდაც, XV-XVI საუკუნეების საგუნდო მუსიკაში უხვად გამოყენებული მრავალნაირი „ექვა“, რომლის ეფექტები მოგვიანებით შეიქრა ინსტრუმენტულ მუსიკაშიც. გავიხსენოთ უკვე დამოუკიდებელი თემატიზმის მქონე პიანო და ფორტე, აღმოჩენილი ჭიოვანი გაბრიელის მიერ. მოგვიანებით იგივეს განიცდის მანჰეიმის ორკესტრის კაპელმეისტრის იომელის აღმოჩენილი კრეშენდოც, რომელიც მერე უკვე „თემაღ“ იქცევა როსინის უვერტიურების დასკვნით პარტიებში. დიახ, პიანო, ფორტე, კრეშენდო წარმოადგენდნენ იმდროინდელი მუსიკის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას, ქმნიდნენ მელოს—დამხმარე მასალას, რომელსაც ევალუბოდა ქლერადი „ბლოკების“ ახმოვანება. ეენის კლასიკოსებმა და განსაკუთრებით ბეთჰოვენმა სათავე დაუდო დინამიკის ახალ გამომსახველობით ფუნქციას, რაც გამოწვეული იყო მუსიკალური განვითარების ლოგიკით, რიტმული ენერგიით, კონტრასტის ექსპრესიული გაგებით.

მაგრამ პიანისიმო და ფორტისიმო არასო-

დეს ისე აქტიურად არ მონაწილეობდნენ სამყაროს წარმოსახვის, მისი დასურფების პროცესში, როგორც მეოცე - სამეცხმის სუქმანასკნელ მეთოხედში. წარმოების, ტექნიკის, მრავალნაირი ძრავების ბგერებმა და რიტმებმა, — რეაქტიული თვითმფრინავის, ავტომანქანის, ქარხნების, ტრანზისტორების ხმაურმა სამუდამოდ განდევნა ბუნებისა თუ ძველი ქალაქის ხმები, მთელი ძალით შეიქრა ადამიანის ცხოვრებაში და გადაიქცა დოპინგად, ავადმყოფობად, მისი ფსიქიკის გამაღიზიანებლად.

რატმულად თანაზომიერ ბგერას ეჩვევი, ხოლო ბგერა, რომელიც მოკლებულია ამას, გძბავეს, რადგან მოუთმენლად ელოდები მის განმეორებას. ხშირად ვაწყუდებით ბგერას, ასევე მოულოდნელად რომ წარმოიქმნება, ხანგრძლივად არის ჩართული და ირგვლივ ყველაფერს ახშობს, აგრეთვე ბგერას, ასევე მოულოდნელად რომ წყდება და უეცრად გეგმის მასში მანამდე ჩაძირული ფრაზის ნაწყვეტი... ყველაფერი ეს მონაწილეობს ყანჩელის სიმფონიაში, რომელიც შორსაა ისეთი ბგერწერისაგან, რომელსაც მხოლოდ ეფექტური გამომგონებლობა ახასიათებს. ნაცვლად ამისა, ყანჩელის სიმფონიაში ეს ბგერადი მასალა გარდაქმნილია მუსიკის ენად, გარდაქმნილია არა მარტო ფორტესა და პიანოს, კრეშენდოსა და დიმინუენდოს ანტინომიაში, არამედ და, რაც მთავარია, ზოგადადამიანურ ანტინომიაში, რის შედეგადაც ბგერა და სიჩუმე სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს.

გ. ყანჩელს არ იტაცებს გამომსახველობითი საშუალებების ახალი სისტემის გამოგონება ან უკანასკნელ ხანებში დაწინაყრებული რომელიმე სისტემის მიმდევრობა. ამას მოწმობს მეოთხე სიმფონია, რომელიც ტონალურია, დაწერილია დო მაჟორში, რაც ამ მხრივ სიმპტომატურია. და მაინც, მისი მუსიკა უნდა დაბადებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომწიფდა სიმფონიის ის ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინტონაციური სფეროს ფაბულური გავრცობა და გავლა (სკრაბინი, მალერი, შოსტაკოვიჩი), ჰორიზონტალისა და ვერტიკალის უნიფიკაციის შემდეგ (მეოცე საუკუნის რიგი კომპოზიტორებისა), კვარტული და სეკუნდური აკორდების კონსტრუირების, აგრეთვე, სერიული ტექნიკის ათვისების, შონბერგისა და

ვებერის Klangfarbenmelodie-ს შემდეგ, იმის შემდეგ, რაც ცალკეული ინტერვალის როლი გააზრებულ იქნა დამოუკიდებელ „ინტონაციურ მოლეკულად“, კლასტერის ათვისების შემდეგ, მას შემდეგ, რაც სმენა შეეჩვია სიმებიანთა არატემპერირებულ მეოთხედტონიან ელერადობას (ლიუტოსლავსკი, პენდერეცკი) და შეიმეცნა სონორული ეფექტების ფასი, და ბოლოს, მას შემდეგ, რაც ორკესტრის ტემბრულ შკალაში ალექტორული ხერხებიც ჩაიწერა.

ყოველივე ეს ინახება გ. ყანჩელის შემოქმედებით სათათესოში, საიდანაც იგი იყენებს მხოლოდ იმას, რასაც შესწევს ქართული ხალხური მუსიკის ელემენტებთან შერწყმის უნარი. თუმცა ყანჩელს ზოგჯერ უსაყვედურებდნენ ეროვნული სახის ნიველირებას. ეს ტენდენციური ბრალდება გახლავთ. საქმე ისაა, რომ ევროპული მხატვრული ტრადიციების ათვისება იმთავითვე ახასიათებდა მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას, რომელიც შემოქმედებითად იყენებდა ანტიკური ეპოქიდან დღემდე შექმნილ ევროპულ მონაპოვრებს. გარდა ამისა, გ. ყანჩელის სიმფონიის „ახლისა და ცხოველმყოფელის“ შექმნაში მონაწილეობენ ევროპული მუსიკის ის საშუალებები, რომლებიც ახლსაა ქართულ ხალხურ მუსიკასთან.

სიმპტომატურია ყანჩელის დამოკიდებულება მშობლიურ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებასთან, რომლის არსენალიდან იგი ასევე ირჩევს მხოლოდ იმ საშუალებებს, რომლებიც შედიან ევროპულ ტრადიციებთან სინთეზში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კვარტული კილოები, სეკუნდურ-კვარტული თანხმოვანებები, დამახასიათებელი როგორც ქართული ხალხური ისე თანამედროვე ევროპული მუსიკალური აზროვნებისათვის. ეს ინტერვალური სტრუქტურა არსად არ შეიშვლდება, მიუხედავად იმისა, რომ მსჭვალავს სიმფონიის მთელ მუსიკალურ ქსოვილს. გ. ყანჩელი შეგნებულად უარყოფს შტამბად, სტერეოტიპად ქცეულ ხერხებს; როგორცაა ამ სტრუქტურათა თანხმოვანებების პარალელური მოძრაობა. მისი ძიებები ამ მხრივ გადახრილია კილოური კონსტრუქციების უფრო ევროპული ტრადიციებისაკენ, კერძოდ ჰორიზონტალისა და ვერტიკალის უნიფიცირებისაკენ. აღსანიშნავია აგრეთვე ამ სინთეზის სხვა მაგალითებიც: მეოთხე

სიმფონიის ყველაზე გავრცელებულ ტურაა მელოდიური პოლიფონია დონული ბანი მელოდიითურთ, მოძრაობს პარალელური ტერციებითა და სექსტებით და სადაც ხმების რაოდენობა ხშირად იცვლება (3-4-დან ერთამდე) ფრაზის შიგნით. კადენციები და თემები ხშირად იწყება უნისონით. მელოდიურ მინამღერებს აქვთ მოკლე დიაპაზონი, მელოსისა და აკორდული თანხმოვანებების საფუძველია დიატონიკა — კლასტერების სეკუნდური quassi, რომელიც შეიცავს სამიდან შვიდ ხმამდე, თემატიზმი უმეტესწილად ეყრდნობა ხალხური მელოსის ელემენტებს და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიმფონიის სახე, მისი ძირითადი თვისებები დაპროგრამებულია შესავალშივე, რომელიც შედგება ორი თანაბარმნიშვნელოვანი თემატური ელემენტისაგან — ზარების გადაძახილი და ორი სოლიერული ვიოლინოს თემა, რომლებიც იმთავითვე აძლევენ სათავეს უმდიდრეს ასოციაციებს და საფუძველს უყრიან სიმფონიის უმთავრეს ტემბრულსა და რიტმულ იდეებს, მრავალნაირ მოდიფიცირებას რომ განიცდიან სიმფონიის განვითარების მანძილზე. ეს განსაკუთრებით ითქმის ზარების შორეული გადაძახილების რიტმო-ტემბრზე, უმნიშვნელოვანეს როლს რომ ასრულებს სიმფონიის დრამატურგიაში. აქედანვე მომდინარეობენ სიმფონიის თემატური მასალის კონსტრუქციისა და განვითარების ისეთი ძირითადი ელემენტები, როგორცაა თანაზომიერი დარტყმები, რიტმული ნახაზის დაქუცმაცება, რეზულტატივერი რიტმი, რომელიც წარმოადგენს ოთხი უბრალო რიტმული ნახაზის ჯამს... შესავალი, რომელიც დაწერილია ხალხური მუსიკის სუნთქვით, მისი ყოველი ბგერა დატვირთულია კონსტრუქტიული აზრით, გამსჭვალულია იმ მარცვლებით, საიდანაც ეს შესანიშნავი სიმფონიური ნაგებობა აღმოცენდება. დიახ, ყანჩელი შესავალშივე აყალიბებს ჰამარიტი სიმფონიზმის თვისებებს.

მეოთხე სიმფონიის — ამ თვისებური „იდეათა რომანის“ — პერსონაჟებისა და დრამატურგიის როგორც მთლიანობა, ისე ძაბვა მიღწეულია ბგერისა და სიჩუმის ანტინომიით, რომელსაც წარმართავს ერთბაშად და ბოლომდე ამოუცნობი „რომანისეუ-



ლი“ რეესტრა, წარმოქმნილი ორი ურთი-  
ერთსაწინააღმდეგო პრინციპის შეჯახებით.  
ერთი მათგანია — მუსიკალური მასალის  
შეუჩრებელი, გამჭოლი მოძრაობა, რომ-  
ლის არქიტექტონია, ერთის მხრივ, ფაბულურა-  
ტივის სიმფონიური განვითარება, ხოლო, მე-  
ორეს მხრივ, — ხალხური სიმღერების სუი-  
ტური თანმიმდევრობა, რომელიც ეფინება  
სიმფონიის ფაბულურ კონტურებს. მუსიკა-  
ლური მასალის ამ გამჭოლ დინებას ეწინა-  
აღმდეგება, ეჯახება, რთული სისტემა  
რონდოსმაგვარი და სიმღერა-მონამღერების  
ტიპის რეფრენებისა, რომლებიც ასრულე-  
ბენ სიმფონიური ფორმის რეპრიზის როლს.

სიმფონიის გამჭოლ, ფაბულურ სფეროში  
მოქმედებენ ძალები, რომლებიც, პირობი-  
თად რომ ვთქვათ, ქმნიან მუსიკალური თხრო-  
ბის სუბიექტურსა და ობიექტურ პლანებს.  
ამათგან სუბიექტური პლანი დევს ავტორი-  
სეული ცნობიერების სიბრტყეში, სადაც იშ-  
ლბა დაძაბული ინტელექტუალური დრამა,  
რომელშიც ვითარდება არჩევანის, კრეატი-  
ვის სიტუაცია. ამ სიტუაციაში მოქცე-  
ულ მუსიკალურ სახეებში პერსონიფიკირე-  
ბულ, ფორტისიმოსა და პიანისიმოს დინა-  
მიკასთან დაკავშირებულ იდეებსა და სიმბო-  
ლოებს პირობითად ვუწოდოთ Pro და Contra.

მუსიკალური თხრობის ობიექტური პლა-  
ნი წარმოგვიდგება როგორც ამოუწურავი  
ცხოვრებისეული სუბსტანცია, რომელსაც  
განასახიერებს ხალხური მუსიკის მსგავსი მე-  
ლოსი, სულ ერთთავად რომ განიცდის განახ-  
ლებას, მაგრამ მაინც ინარჩუნებს თავის არსს.  
ეს მელოსი თანაარსებობს Pro და Contra-ს  
თემატიზმთან და ქმნის ინტელექტუალური  
დრამის წილს. მუსიკალური ქმედების დროს  
ეს უცვლელი ობიექტური ემოციური სფერო  
წარმოგვიდგება როგორც ნავთსაყუდელი მა-  
ძიებელი სულისა. მასში თავიდანვე, ჯერ  
კიდევ სიმფონიის დასაწყისში, გამოყოფილია  
შინაგანად მნიშვნელოვანი და მყარი მუსი-  
კალური სახე, ანუ ის მესამე ძალა, რომელ-  
მაც უნდა გადაწყვიტოს შინაგანი ბრძოლის  
ბედი. მას პირობითად ვუწოდოთ საწყის-  
თა სათავე. იგი ობიექტური პლანის საფუძ-  
ველია მუსიკალურ-სტრუქტურული თვალ-  
საზრისითაც.

რაც შეეხება სიმფონიის სუბიექტურ სამ-  
ყაროსთან დაკავშირებულ თემატიზმს, იგი  
იბადება არაინდივიდუალიზებული, ცვალებ-

ბადი მელოდიური ნაკადიდან, სიღრმეც თან-  
დათან გამოიკვეთება ორი თემის ნაწილები.  
პირველი თემის ფაქტურას ახასიათებს პარ-  
მონიული წყობა, იგი უახლოვდება ხან ქო-  
რალს, ხან პოპოფონურ მინამღერს, მეორე  
თემა უახლოვდება ზარების გადაძახილთა  
სფეროს. ეს თემები ერთმანეთს ენათესავე-  
ბიან ხალხური წყობით (ორივე ეყრდნობ  
ხალხურ სამხმოვანებას — ბურღონული ბა-  
ნის ფონზე მოძრაობენ პარალელური ტერ-  
ციები).

სიმფონიური კოლიზიის ძირითადი ძა-  
ლები Pro და Contra არ ექვემდებარებიან  
საათობრივ — ემოციურ კლასიფიცირებას.  
მაიხც რა არის არსებითი მუსიკაში Pro  
ან მუსიკაში Contra? რომელი მათგანი  
განასახიერებს ბგერას, რომელი სიჩუმეს?  
მწელია ამის დაზუსტება. დარწმუნებით ვერც  
იმას ვიტყვი, რომელი მათგანი ასრულებს  
ამ ანტიპოზიაში მაღალხეობრივ მიზანს —  
იმპულსური ენერგია, თუ შინაგანი თვით-  
ჩაღრმავება, ვინაიდან ყანჩელის მუსიკაში  
არც ერთი და არც მეორე არ აღიშნება ჩვენ-  
თვის ცნობილი სემანტიკური ნიშნებით, მით  
უფრო, რომ სიმფონიის დრამატურგიულ  
გაშლასთან ერთად ეს ორივე ხაზი თანდათან  
ქრება, უჩინარდება.

აქ დასაშვებია ისეთი კონცეფცია, რომლის  
მიხედვითაც Contra შეიძლება განასახიე-  
რებდეს სიმწედის, შემეცნების სფეროს.  
მაგრამ ასევე დასაშვებია მეორე კონცეფცი-  
აც, რომლის მიხედვითაც ამოება ყოფისა  
შეიძლება გადაილახოს შინაგანი სამყაროს  
ქმედითი ძალების მეშვეობით. ასეა თუ ისე  
Pro და Contra არ ექვემდებარებიან დადები-  
თობისა და უარყოფითობის მცნებებს.

ახლა იავე მივებრუნდეთ ფორტისიმოს  
სფეროს, რომლის მრავალფეროვან ინტო-  
ნაციურ საყრდენებს შორის მნიშვნელოვან  
როლს თამაშობს კლასიკური წარმოშობის  
უმარტივესი უნისონი, რითაც იწყება ხოლმე  
მთავარი პარტიები თუ შესავლები სონატუ-  
რი ალფეროსი. მაგრამ მათგან განსხვავებით  
გ. ყანჩელი უნისონში აქსოვს ღრმა აზრს —  
მინიშნებას ფატუმზე. პირველივე გამოჩენის-  
თანავე ყანჩელისეული უნისონები აცოცხ-  
ლებენ ჩვენს წარმოდგენაში დამკვიდრებულ  
იმ სემანტიკურ ნიშნებს, რომლებიც ყუ-  
რადლებისაკენ მოგვიწოდებენ, რასაც უშუ-  
ალოდ მოსდევს კონტრასტული მელოდიური



ნაგებობა პიანოსი. ამასთან ერთად, ყანჩელის განუმეორებელ უნისონებს ახასიათებთ უცნაური ორაზროვნება — უნისონის თანდათანობითი ქრობის გახანგრძლივებული პროცესი წარმოქმნის დროის დინების შეჩერების შთაბეჭდილებას, რაც წარმოადგენს გ. ყანჩელის შესანიშნავ მონაპოვარს.

რაც შეეხება პიანისიმოს სფეროს, მისი დინამიკისაგან განუყოფელი სიმფონიის მელოსი, თუმცა კომპოზიტორს მელოსის როლი ძალზე თავისებურად აქვს გააზრებული. ასე მაგალითად, ექსპოზიციის დროს განცვიფრებას იწვევს ის სტიქიური თავისუფლება, რომლითაც მელოსი იღვრება tutti-ის იმპულსებიდან, მაგრამ ასევე განსაკვივრებელია მელოსის გაუჩინარება, გაქრობა ხანგრძლივსა და ჩუმი აკორდებში. საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მელოსის ყდერადი ზედაპირიც, რომელიც შეუწყვეტელ ცვალებადობას განიცდის რალაც უჩინარი გარეგანი ძალის ზემოქმედებით. სიმებიანთა ტემბრი ირხევა ხან ჩუმი პულსაციისაგან, ხან უეცრად წამოჭრილი ფიგურაციებისაგან. ეს აკორდები თითქოს ისმენენ და თან პასუხობენ ჩვენამდე მოუღწევველ შორეულ ხმებს, რეაგირებენ უხილავ იმპულსებზე და ამით წარმოქმნიან „მოქმედი მელოსის“ პატარა პატარა კუნძულებს. ასე იქმნება შთაბეჭდილება იმ „სმენადქცეული სიმშვიდისა“, რომელიც ასევე გ. ყანჩელის შესანიშნავ მონაპოვარს წარმოადგენს.

ფეთქებადი უნისონები, შეჩერებული დროის შეგრძნება, რხევადი მელოსის შინაგანი ძალა წარმოქმნის იმ საკვირველ ზემოქმედებას, რომლის ტყვეობაში კომპოზიტორი ამყოფებს მეოთხე სიმფონიის მსმენელს.

სიმფონიის სამი თემატური ხაზი (ერთი დაკავშირებული ფორტისიმოს, ორი — პიანისიმოს სფეროსთან) განიცდის დაძაბულ განვითარებას, ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამ ბრძოლას Pro და Contra-ს იღვა რევისორობს. სიმფონიური დრამატურგიის უნიკალობა იმაში მდგომარეობს, რომ სახეობრივი განვითარების კულმინაციურ მომენტში თემატიზმის სემანტიკური ნიშნები და სიმძლავრეები უპირისპირდებიან ერთმანეთს.

უკვე ტრადიციად ქცეული ფაბულურ-თემატური საწყისების შევჯარება (მალერი, შოსტაკოვიჩი) წარმოქმნის კონფლიქტური დრამატურგიის სიღრმისეულ პლასტს, რომ-

ლის ზედაპირზე გამოსულია ინტონირებული ფორტისიმო-პიანისიმოსი თავისი ძალისა და სიხეობრივი სიმბოლიკით. კულმინაციამდე თვითეული თემატური ხაზი გაივლის რთულ გზას. პიანისიმოს სფეროდან მიმდინარე ორივე ხაზი ვითარდება ხან როგორც ობიექტური პლანი წარმოქმნილი მელოდიური შენაცვლებებით, ხან როგორც სუბიექტური პლანი, აღბეჭდილი მეტრორითული ვარიანტულობით.

ამასთან ერთად, საგრძნობლად იზრდება ფორტისიმოს სფეროში თავმოყრილი მოტივებისა და თემების იმპულსური ენერჯიაც, რომელიც თანდათან იმსკვალება დრამატული დაძაბულობით. შეუჩერებლად იზრდება ამ სახეთა წყობა, პარამონიული დაძაბულობა, ყანჩელ-ასოციაციური დატვირთვა. ფორტისიმოს სფეროდან წარმოქმნილი ეს ხაზი, სათავეს რომ იღებს გაბმული უნისონებიდან და აკორდებიდან გზადაგზა მიდირდება რიტმიზებული აკორდიკით და აღწევს კულმინაციურ ზონაში აღმართულ ორ მწვერვალს. ერთ-ერთია — ფრაგმენტი დემონური ვალსისა, მეორე — აკორდების ჯგუფი ლითონის ინსტრუმენტებში. ეს მეორე მწვერვალი წარმოადგენს პიანისიმოს სფეროდან ქორალური თემის მოდიფიცირებას, მისი მწუხარე — საზეიმო ხმოვანება ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის სიმფონიურ კულმინაციებს მოგვაგონებს...

რა ხდება უშუალოდ კულმინაციურ ზონაში? სიმფონიის ეს უმნიშვნელოვანესი კვანძი წარმოქმნის სამნაწილიან ნაგებობას, სადაც მიმდინარეობს თემატური „პერსონაჟების“ ბრძოლა. აქ ყანჩელი შეგნებულად უარყოფს კონფლიქტური დრამატურგიის ისეთ მნიშვნელოვან ტრადიციულ ხერხს, როგორცაა მოკლე, კონცენტრირებული თემატური ელემენტების მუშაობა (მათი გამოყოფა, დანაწევრება, ახლადწარმოქმნილი ინტონაციების შეპირისპირება). ნაცვლად ამისა, კომპოზიტორი ახდენს მანიპულრებას მთლიანი თემებით. იმიტაციური პოლიფონია ადგილს უთმობს კონტრასტულ პოლიფონიას. მაგრამ განვითარების არც ეს საკმაოდ აპრობირებული ხერხი განაპირობებს კულმინაციის განუმეორებლობას. საქმე ისაა, რომ ერთპიროვნული კონტრასტის წარმოსაქმნელად კომპოზიტორმა გააერთიანა რამდენიმე ძლიერმოქმედი საშუალება მეოცე

საუკუნის სიმფონიური არსენალიდან, რის საფუძველზე შექმნა უჩვეულო დრამატული ეფექტი. კერძოდ კი, მთლიანი თემის სხვადასხვა ელემენტის ტრანსფორმაციები (კილო-პარმონიული, ტემბრული, დინამიკური) დაადო პოლიტონალურსა და პოლიდინამიზმის საშუალებებს. ამ ერთიანობამ წარმოქმნა საორკესტრო პოლიფონიის სტერეოფონური ეფექტი, რომელიც კომპოზიტორმა ჩააყენა დრამატურგიის სამსახურში.

მაგრამ ბოლომდე არც ზემოთქმული ხსნის კულმინაციის მხატვრული ზემოქმედების მიზეზებს. ჩემის აზრით, ესოდენ საინტერესო ინტონაციური ინტრიგის განვითარებაზე, ნებისთი თუ უნებლიეთ, ზემოქმედებს ხედვითი და სმენითი აღქმის ის გამოცდილება, რომელიც წარმოიშვა მეოცე საუკუნეში. მხედველობაში მაქვს კინოს დრამატურგია, რომელმაც წამოქმნა მასალის დაძაბული განვითარების ისეთი სპეციფიკური ხერხი, როგორცაა პარალელური მონტაჟი, რომლის მთავარი ამოცანაა აზრობრივი და დროისმიერი კავშირების გართულება ცალკეულ ეპიზოდებსა თუ მონაკვეთებს შორის. ყანჩელს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც მონტაჟის ცალკეული ხერხები, კერძოდ წაფენა. დასაშვებია ისიც, რომ ბგერით სფეროზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა მრავალტალღოვანი რადიომიმღების ფენომენმაც, კერძოდ კი ეთერში შეუწყვეტელი ხმოვანი ტალღების „ფარულმა პოლიფონიამ“, რომელიც არსებობს ჩვენი აღქმის მიღმა და უმაღლვე რეალიზდება, როგორც კი ჩავრთავთ რადიომიმღების დილაკს.

სიმფონიურმა თემებმა ზენიტს მიაღწიეს კულმინაციურ კოლოზიაში. ინტონაციური ძალების უკიდურესი დაძაბვის შემდეგ, გამოხატულება რომ ჰპოვეს პოლარული თემების ტემბრულ-დინამიკურ შეპირისპირებაში, იწყება ფორტისიმოს მოტივებში ზორცმესხმული ცხოვრებისეული ენერჯის უაუქცევა, მისი განლევა. ფორტისიმოს ზაზი გადადის პიანისიმოს სფეროში, სადაც მისი მელოსი თანდათანობით ქრობის მიუხედავად მაინც არ ჰკარგავს თავის არსს — მუდმივი ცვალებადობის უნარს. ნელ-ნელა უჩინარდება პიანისიმოს თემატური ზაზიც, ისმის მხოლოდ დისკრეტული სტრუქტურის მთლიანობას მოკლებული მისი ტემბრების (ჩე-

ლესტა, ზანზალაკები, არფა) შორეული გამოძახილი.

სიმფონია მთავრდება შესავალმხატვრული იმ მუსიკით, მესამე ძალა — საწყისთა სათავე რომ ვუწოდეთ და ზარების ჩუმი რეკვით, რომლის ფონზე ისმის სოლირებული ვიოლინოს ხმა.

სიმფონიური ფორმის ინდივიდუალობა წარმოქმნის ინსტრუმენტული თემების, ინტონაციური ფაზულის შეუწყვეტელი, გამჭოლი განვითარება და რონდოს მაგვარი რეფრენების რთული ქსოვილი. ამ მრავალფეროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო საკომპოზიტორო პრინციპების ურთიერთქმედება ერთგვარად ართულებს ფორმის აღქმას. შესაძლოა, ვინმემ ეს ახსნას სტრუქტურული სიკბადის ექმარისობით, მაგრამ ფორმის შენიღბვა ავტორის უფლებებში შედის, მით უფრო მაშინ, როცა მუსიკალური ორგანიზაცია ნაწარმოების სახეობრივ-ემოციური შინაარსის გამოხატვას ემსახურება.

მეოთხე სიმფონიის კომპოზიციური პრინციპების მრავალგვაროვნებით გ. ყანჩელი აღწევს თავის მიზანს — გვაძლევს შეუწყვეტელი დაძაბულობით ვადვენით თვალყური ბგერების სამყაროს, უჩვეულო პარმონიული და ტემბრული შენაცვლებების ცვალებად რაჟურსებს. დიახ, გ. ყანჩელის მუსიკის განუმეორებელ არსს, მის განსაცვიფრებელ გამომსახველობასა და სიახლეს სათავე უდევს კოლორისტულ ბგერწერაში, კოლორისტულ ეფექტებში, რომლებიც მსკვალავენ თემატიზმს და ერთდროულად განაპირობებენ მის უწყვეტ გაშლასა და წყვეტლი განვითარებას. ტონალური და ტემბრული შენაცვლებებისა თუ კონტრასტების საშუალებით იქმნება სხვადასხვა ქლადი სიბრტყეები, ამ სიბრტყეების „ჩართვის“, „გამორთვის“, „დაშრეების“ ეფექტები, „კადრ-მიღმა“ განვითარების შთაბეჭდილება.

ყოველივე ეს სრულიად ცვლის დროის შეგრძნებას, რომელიც ხან უცნაურად ნელდება, თითქოს ჩერდებაო, ხან უჩვეულოდ მძაფრდება, მრავალგანზომილებიანი ხდება.

სიმფონია — „წმინდა მუსიკის“ ის ერთადერთი სფეროა, რომელიც იზიდავს გ. ყანჩელს. ამ სფეროში მან აირჩია ყველაზე რთული გზა — გზა დიდი პლანის კონცეციური სიმფონიისა. ამ გზაზე ყანჩელი ეძებს კონტაქტს მომიჯნავე ხელოვნების დარგებ-

თან და მუსიკაში მათი მხატვრული ხერხების  
სიმბოლოებას ახდენს. მეოთხე სიმფონიას  
ემჩნევა, რომ მისი საკომპოზიტორო რესურ-  
სები სათავეს იღებენ თეატრალური დრამა-  
ტურგიიდან, რომანისეული ფაბულიდან, კომ-  
პოზიტორმა მიაგნო მასალის ახალ, კინოს-  
თან ახლოს მყოფ დრამატურგიულ ორგანი-  
ზაციასაც.

თემების მთლიანობა და განსაკუთრებით  
ანტირომია ფორტისიზო-პიანისიზო, მუსიკა-  
ლური კონცეფციის ეს ორი საყრდენი, სიმ-  
ფონიური ძაბვის სათავეა. ამ კონცეფციის  
დაძაბული კონფლიქტურობა გადაწყვეტას  
პოლოზს სიმფონიის შედეგში, სადაც გა-  
ტარებულია თემატურ პირველწყაროსთან  
დაბრუნების იდეა. მაგრამ „დაბრუნებას“ ახ-  
ლავს ასოციაციების იმდენად ფართო წრე,  
რომ ძნელდება მათი მთლიანობაში ამოც-  
ნობა. უბრუნდები თავის თავს, უბრუნდები  
საწყისთა სათავეს და ა. შ. მაგრამ დაბრუნე-  
ბა გარდუვალაია, უბრუნდები მას შემდეგ,  
რაც შეიმეცნე რაღაც მნიშვნელოვანი, იქე-  
ცი იმ სხვად, რომელიც წმიდად იცავს ამ  
ბრძოლაში მოპოვებულ სულისმიერ ფასე-  
ულობებს. დაბრუნების იდეა განასახიერებს  
ეს სინთეზსაც, ურომლისოდაც სიმფონიის  
გერით სამყაროში ვერ გაიხსნებოდა „სიახ-  
ლისთა და ცხოველმყოფელობის“ არსი, ვერ  
დამკვიდრდებოდა „პარმონია“, ვერ გამა-  
ფრდებოდა ცხოვრების შეგარძნება ისეთი  
ბუნდოვანი სიტყვით, როგორცაა „მშვენი-  
ერება“. ღიახ, საქმე გვაქვს უაღრესად  
მთლიან, საფუძვლიანად განცდილ მსოფლ-  
მხედველობასთან. არანაკლებ მნიშვნელოვა-  
ნია ისიც, რომ გ. ყანჭელის სიმფონია წარ-  
მოადგენს ეროვნული და ევროპული კულ-  
ტურების ურთიერთზემოქმედების, მათი  
ორგანული სინთეზის იშვიათ ნიმუშსაც.  
მაგრამ ეს ჩანალი, რთული სისადავით აღ-  
ბეჭდილი ბგერითი სამყარო ერთბაშად როდი  
წარმოიშვა. კომპოზიტორი აყალიბებდა მას  
სიმფონიიდან სიმფონიამდე. მეოთხე სიმფონია  
ქმნის გარდატეხის მომენტს, საიდანაც იბა-  
დება ახალი სისადავე, გამომსახველობითი სა-  
შუალებების ასკეტური სიმკაცრე, რომლის  
ფონზე სიმფონიური კოლიზია განსაკუთრე-  
ბულ სიმწვავეს აღწევს.

გ. ყანჭელი დაუცხრომელი სულის ხელო-  
ვანია, დღენიდავ ეძიებს და ყოველთვის მი-  
ჩაქვეულია მშობლიურ მიწასთან.

ფაღარიკო ფაღინი

# თქვენ გახსოვთ ტოტო?\*

წინ მიდევს კლოუნის მრავალრიცხოვან  
განმარტებათა შორის ერთ-ერთი, რომელიც  
ამ სიტყვას მისცა ჩემმა თანამემამულემ ალ-  
ფრედო ჰანცინიმ „თანამედროვე განმარტე-  
ბით ლექსიკონში“: „Clown“ — ინგლ. მი-  
რითადი მნიშვნელობა: „სოფლელი, უხეში,  
სასაცილო“. შემდეგ კლოუნი უწოდეს ადა-  
მიანს, რომელიც თავისი უაზრო გამოხტომე-  
ბით აცინებს ხალხს. ტერმინი „კლოუნი“  
ჩვენებური „ჯამბაზის“ ტოლფასია“.

მაგრამ სამწუხაროა, რომ აქაც ავტორი გა-  
პოყოფს უცხო სიტყვას, რომელიც თითქოს  
და აკეთილშობილებს თავად ცნებას: „ჯამბა-  
ზი“ გამოდის ბაზრობებზე და საერთოდ, ღია  
ციხს ქვეშ, კლოუნი კი — ცირკსა და ესტრა-  
დაზე. კარგი აკრობატიკი „კლოუნი“ და ე. ი.  
თითქმის არტისტი. ჯამბაზთან გაიგივება მის-  
თვის შეურაცხმყოფელი იქნება. გადატანითი  
მნიშვნელობით სიტყვა „კლოუნი“ ასევე გარ-  
კვეული უპირატესობის შემცველია...“

მაშ ასე, კლოუნი ატარებს ნიშნებს ფან-  
ტასტიკური არსებისა, რომელიც წარმოაჩენს  
ადამიანის პიროვნების ირაციონალურ მხარეა,  
მის ინტინქტურ საწყისს და ზემოდან დამყა-

\* ნაწყვეტები წიგნიდან „ფილის შექნა“.

რებულო წესების წინააღმდეგ ამბოხებისა და პროტესტის იმ მცირე ნაწილს, რომელიც ყოველ ჩვენგანშია. კლოუნი ადამიანის კარიკატურაა, ხაზს რომ უსვამს იმ თვისებებს, რომლებიც ანათესავენ მას ცხოველთან და ბავშვთან, იმასთან, ვინც იცინის და იმასთან, ვისაც იცინიან. იგი სარკეა, რომელშიც ადამიანი თავის გროტესკულ, დამახინჯებულ გამოსახულებას ხედავს. კლოუნი ნამდვილი ჩრდილია. იგი არის და ყოველთვის იქნება. ეს იგივეა, შენ თავს რომ ჰკითხო: „ჩრდილი მოკვდა? შეიძლება, რომ ჩრდილი მოკვდეს?“

ჩრდილს რომ ბოლო მოუღო, საჭიროა მზე, რომელიც ზედ თავზე გადას: მაშინ ჩრდილი გაქრება. ამგვარად, ყოველმხრივ განათლებულ ადამიანს უქრება კარიკატურული, სასაცილო, მახინჯი ნიშნები. ესოდენ სრულყოფილ არსებასთან კლოუნს — ამ მრუდ ჩრდილს — ხელი არა აქვს. რაღა თქმა უნდა, კლოუნი არ გაქრება. უბრალოდ მოხდება მისი ასიმილირება. ერთი სიტყვით, ყოველივე ირაციონალური, ბავშვური, ინსტინქტური აღარ გარდატყდება მის დამამახინჯებელ მზერაში.

განა წმინდა ფრანცისკი თავის თავს ღვთის მასხარას არ უწოდებდა? ლაო-ძი კი ამბობდა: „თუკი სიცოცხლე მიანიჭე რაიმე აზრს, დასცინე კიდევ მას“.

როდესაც ვამბობ: კლოუნი, მხედველობაში მყავს მწითური. ხომ არსებობს კლოუნის ორი სახეობა — თეთრი კლოუნი და მწითური, პირველი — ესაა თავად სინატიფე, გრაცია, ჰარმონია, გონება, ჯანსაღი აზრი, რასაც ზოგიერთი მორალიზატორი იდეალურ, სწორუბოვარ, უდავოდ ღვთაებრივ თვისებად თვლის. და აი, აქ თავს იჩენს ამ თვისების ნეგატიური ასპექტი, ვინაიდან თეთრი კლოუნი იქცევა ღელის, მამის, მასწავლებლის, მშვენიერებსა და საერთოდ, იმის განსახიერებად, „რისი კეთებაც გემართებს“. მწითური უთუოდ მოიზიბლებოდა ამ სრულყოფილებით, ასე დაჟინებით რომ არ მიუთითებდნენ ამ თვისებაზე იგი ხედავს, რომ paillette-ს! მაკდურად ბრწყინავენ, მაგრამ ქედმაღლობა, რომლითაც მათ წარმოადგენენ, მიუწევდომელს ხდის მისთვის ამ ნივთს.

მწითური, რომელიც შეიძლება ბავშვს შევადაროთ, ამბოხდება ამგვარი სრულყოფილების წინააღმდეგ; იგი თვრება, მიწაზე გორავს და მარადიული ამბოხებისაკენ მოუწოდებს.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე პირველი გონების კულტსა (ძალით თავსმოკვეთული ესთეტიზმისაკენ რომ მიისწრაფვოდა) ინსტინქტის, ინსტინქტის თავისუფლებას შორის.

თეთრი კლოუნი და მწითური — ესაა მასწავლებელი და მოწაფე, ღედა და თავხედი ბავშვი, ან სულაც ანგელოზი ცეცხლოვან მახვილით და ცოდვილი.

ერთი სიტყვით, ისინი წარმოადგენენ ადამიანის ორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას — ლტოლვას ამაღლებულისაკენ და ლტოლვას მდაბლისაკენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებით არსებობენ.

სიმწარის ის შერატება, რომელიც გვებადება თეთრ კლოუნსა და მწითურს შორის მუდმივი ომის დროს, აღმოცენდება არა მუსიკიდან ან რაიმე ამის მსგავსიდან, არამედ ჩვენთვის ესოდენ ნათელი ფაქტიდან, რომ არ ძალგვიძს ამ ორი ფიგურის შერეება. რაც უფრო დაახლოვებ მწითურს ვიოლინოზე დაკვრას, მით უფრო დაიწყებს იგი მაიმუნობას თავისი ტრომბონით.

რა მშვენიერი ალფეგორიაა აღზრდისა, რომელიც ემყარება იდეალებულ, აბსტრაქტულ წარმოდგენას ცხოვრებაზე. განა ამასვე არ ამბობს ლაო-ძი: „თუკი სიცოცხლე მიანიჭე რაიმე აზრს (თეთრი კლოუნი), დასცინე კიდევ მას (მწითური)“.

აქ ურიგო არ იქნებოდა მოგვეყვანა მაგალითად ჰარმონიის ჩინური ხალხური სიმბოლოები: ინი-იანი, ანუ ყინვა-მზე, მამაკაცი-ქალი, ერთი სიტყვით, ყველა ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისი; შეიძლებოდა გვესაუბრა ჰეგელსა და დიალექტიკაზე და დაგვემატებინა, რომ მწითური ეს ის ფიგურაა, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ ლუმპენ-პროლეტარიატს, სასწაულთა ეზოს; მწითურები — ქანცაწყვეტილები, ხეობრები, განკიცხულები არიან. მათ აქვთ უნარი ატეხონ ბუნტი, მაგრამ ვერ მოახდენენ რევოლუციას. ხალხი ყოველთვის ნდობით უქექრდა მათ, ალბათ იმიტომ, რომ თავისი ბედკრულობის გამო დიდი ხანია შეეფუა ყოველივე საშინელს.

ფრატელნიმ საციროკო წარმოდგენაში შემოიყვანა მესამე კლოუნი (ე. წ. le contre-pitre): იგი გავდა მწითურს, მაგრამ ისეთ მწითურს, რომელიც მორიგდა თავის პატრონთან. ეს იყო მათხოვარი, რომელიც მოწყალეობას ელოდა, უსაქმური დამსმენი, რომელიც ცდილობს არც მწეადი დასწვას და არც



კადრი ფილმიდან  
„კანონი კანონია“

შამფური და ხელისუფალთა სამყაროსა და გაიძვერათა სამყაროს შორის იმყოფება.

სინამდვილეში თეთრი კლოუნები (გარდა ფრანსუა ფრატელინისა — ამ ჰაეროვანი, გრაციოზული, დახვეწილი თეთრი კლოუნისა, რომელსაც არ შესწევდა უხეშობა და სისასტიკე სუსტის მიმართ) მკაცრი ადამიანები იყვნენ. ამბობენ, რომ სახელგანთქმული თეთრი კლოუნი ანტონე თავის მწითურს — ბების არენის გარეთ სიტყვის ღირსადაც არ თვლიდა. პერსონაჟი თავის დაღს ასვამდა ადამიანს. და პირიქით, „Le clown blanc doit être mauvais.“<sup>3</sup> — ასეთია თამაშის წესი. თეთრი კლოუნი არის კაცი, რომელიც სილებს აწინის. თეთრი კლოუნის მარტო გარეგნობაც კი მოწმობს, რომ იგი არაჩვეულებრივია, მდიდარი და ყოვლისშემძლეა. მოჩვენებასავით თეთრ სახეზე ამპარტავენული გამომეტყველება შეყინვია, პირი მოხატული აქვს სასტიკი, უსიამო, ცივი სწორი ხაზით; თეთრი კლოუნები მუდამ ექიშპებიან ერთმანეთს, ყველაზე მდიდრული კონსტიუმებით ტრაბახობენ (ე. წ. კოსტიუმების ომი). საყოველთაოდ ცნობილ თეთრ კლოუნს ტეოდორს იმდენი

კოსტიუმი ჰქონდა, რამდენი დღეცაა წელიწადში.

მწითური კი პირიქით, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ტიპით, რომელიც არ იცვლის და არც შეუძლია, რომ გამოიცვალოს სამოსელი, — იგი ხომ clochard-ია<sup>4</sup>, ბავშვია, მაწანწალაა და ა. შ.

ბურჟუაზიული ოჯახი თეთრი კლოუნების კავშირია, ბავშვს კი მწითურის ადგილი აქვს მიჩენილი. დედა ამბობს: „არ გააკეთო ესა და ის...“ მოიპატიეებენ მეზობლებს და უბრძანებენ ბავშვს წაიკითხოს ლექსი („აჩვენე ბიძიას და დეიდას, რაც იცი...“ ტიპიური საციკო სიტუაციაა). ბავშვებს ეშინიათ თეთრი კლოუნისა იმიტომ, რომ იგი დამორგუნველი ძალის განსახიერებაა.

და პირიქით, ბავშვი უმალ აიგივეს თავის თავს მწითურთან — და მით უფრო, რაც უფრო ცუდად ეპყრობიან ამ ბატისა და ლეკვის მსგავს არსებას, რომელიც ამსხვრევს თევშებს, გორაობს იატაკზე, კასრიდან წყალს ვილაცას პირდაპირ სახეში შეახსამს, ერთი სიტყვით, აკეთებს ყველაფერს, რისი გაკეთებაც ასე სურს ბავშვს და, რასაც თეთრი კლო-



უნები — უფროსები, დეიდები — უკრძალავენ.

მსახიობის ტიპი, რომელიც მუდამ მატყვევებს და აღმაფრთოვანებს და რომელსაც ყოველთვის უპირატესობას ვანიჭებ, არის მსახიობი-კლოუნი. კლოუნის ნიჭი, რომელიც ჩვეულებრივ, მსახიობებში, ღმერთმა უწყის რა კომპლექსის გამო, იწვევს უნდობლობის გრძნობას, მე მსახიობის ყველაზე ძვირფას თვისებად მიმაჩნია. ალბათ, ეს ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ კიდევ მინდა გავიმეორო: ეს ნიჭი მე მიმაჩნია აქტიორული ტემპერამენტის ყველაზე დახვეწილ და უშუალო გამოვლინებად.

თქვენ გახსოვთ ტოტო? რა საოცარი, რა ამოუჯანობი მოვლენაა! დიდი ხნის წინ, პირველად რომ ვნახე ტოტო, არაფერი ვიცოდი მის შესახებ. არც არაფერი მსმენოდა. უკვე იგრძნობოდა ომის სიახლოვე, მე კი, ქარაფშუტა ახალგაზრდა, ვტკბებოდი ქალაქით, რომელიც, ჩასაბნელებლად ლურჯად შეღებილი ლამპების შუქზე, იდუმალებით იყო სავსე.

ერთხელ ფოსტის უკან მდებარე კინოთეატრში ამოვყავი თავი. ფილმის შემდეგ იქ საესტრადო კონცერტს მართავდნენ. მე იქ, ბუნებრივია, შემიტყუა უზარმაზარმა აფრთხამ შეთმობიანი გიგანტი ქალის გამოსახულებით. თმა კლოდეტ კოლბერივით ჰქონდა დავარცხნილი, თეოდები კი ორ აეროსტატს მიუგავდა. ისიც კი მხსნოვს რა ერქვა, იმბოტ, რომ მხოლოდ სახელიც კი უსაზღვრო ნეტარების მომასწავებელი იყო: ოლიმპია კავალი! როგორ მინდა კიდევ ერთხელ ვნახო იგი. დარბაზში რომ შევედი, ფილმი ახალი დამთავრებული იყო, შუქი აენტოთ და სიგარეტის კვამლში გახვეულ, მოყაყანე დარბაზს ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. ყვიროდნენ, გიყებოვით იცინოდნენ, მეზობლების ცხვირწინ ჰიჯაკებს აფრიალებდნენ. ძლავს მოვასწარი ჩემი ადგილის მონახვა, რომ ვაისმა საცირკო მუსიკა — ეს იყო რაღაც ავის მომასწავებელი, შმაგი ტარანტელა: მოყაყალებულსავეარძლებიანი დარბაზი აწრიალდა, თითქოს ერთიანად შეუღლიტინესო. პარტერი აღელდა, მაყურებლები უფრო მოხერხებულად მოკალათდნენ თავიანთ სკამებზე სანახაობის მოლოდინში. ეს იყო იმ მოვლენის დასაწყისის მაუწყებელი ნიშანი, რომელ-

საც ყველა დიდი ხანია ელოდებოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს კიმიკოფორი მფრინავში იმ მომენტში, როდესაც იგი ასაფრენ ბილიკს წყდება... მაგრამ ტოტო სცენაზე არ გამოჩენილა. სცენა ჯერ კიდევ ცარიელი, უჟაკრიელი იყო. იგი მოულოდნელად გაჩნდა სადღაც დარბაზის სიღრმეში — ყველას თავი, თითქოს ქარმა დაუბერაო, ერთბაშად მიტრიალდა მისკენ. მქუხარე აპლოდისმენტებით, მხიარული, აღფრთოვანებული შემახილებით გაოგნებულმა ძლივს მოვასწარი თვალის შევლება მოუხვენარი პატარა ფიგურისათვის, რომელიც პარტერის მთავარი გასასვლელით სცენისაკენ მოიჩქაროდა. გვეგონებოდათ გორგოლაჭებზე მოგორავსო — მესაფლავესავით შავ ფრაკში გამოწყობილი, ანთებული სანთლით ხელში; ქვაბუნა ქუდის არეების ქვეშ ჩანდა ორი გაოცებული თვალი — ეს იყო დიდი მერცხლის, მედიუმის, ასი წლის ბავშვის, შეშლილ ანგელოზის თვალები. სულ ახლოს ჩამიჭროლა, ზმანებასავით მსუბუქმა და უმალ გაქქრა მაყურებელთა ზვირთებში. ყველანი თავიანთი ადგილებიდან წამოცივდნენ. ეკალმებოდნენ მსახიობს, ხელს იშვერდნენ მისკენ, ცოლობდნენ შეხებოდნენ მას და შეეჩერებინათ... ბოლოს ტოტო კვლავ გამოჩნდა, ამჟამად უკვე მიუწევდომელი, და სცენაზე კატალეპტურ უძრაობაში გაიყინა. თოჯინასავით ირწეოდა მხოლოდ; ამასთან თვალებს რულეტის ბურთულებივით ატრიალებდა. შემდეგ ამ მოწყვნილი ყვავის მსვავსმა კაცმა ჩააქრო სანთელი, ქუდი მოიხადა და მაყურებელს აღდგომის დღესასწაული მიულოცა. თუმცა რომელ აღდგომაზე შეიძლება ლაპარაკი ნოემბრის თვეში. ხმა კი ცოცხლად დამარხული ადამიანისას მიუგავდა, რომელიც შეველას ითხოვდა.

რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ ვნახე ტოტო — მოკლე ინტერვიუ უნდა ამეღო მისგან. იმ დროს რეპორტიორად ვმუშაობდი და ჩემი მასალები კინოესტრადის რუბრიკით იბეჭდებოდა პატარა გაზეთ „ჩინემაგაძინოში“, რომელსაც თავიდან ბოლომდე აკეთებდა მკერავი, ცვარად რეანდა... ინტერვიუს ასალებად ვავეშურე „იულიუს კეისარი“ — უზარმაზარ კინოთეატრში, სადაც უშვებდნენ ფილმებს და მართავდნენ დიდ საესტრადო კონცერტებს. ეს ამბავი კვირას, დღისით მოხდა და როგორც ყოველთვის, კინოთეატ-

რის წინ საკვირაო წარმოდგენების უმარავი მოყვარული ირეოდა; იქ ალბათ შესვენება იყო, თუმცა არა, ხალხი ალბათ სენანის დაწყებას ელოდებოდა. ტოტო სალაროს მოაჯირთან იდგა მარმარილოს კედელს მიყუდებულ, თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადაწეული, როგორც ინტერიერის სამკაულ ფიგურას, ამურს. ყველაფერი კარგად ჰქონდა მორგებული... როდესაც უთხრეს, რომ ჟურნალისტ სურს მისი ნახვა, თავი ასწია და ხელით მანიშნა — მომიახლოვდიო. ვუთხარი, რომ ინტერიუსს ალება მინდა მისგან. ქუთუთობის მსუბუქი მოძრაობით მანიშნა, რომ თანახმა და იქვე მშვილად დასძინა: „დაწერეთ, რომ მიყვარს ქალები და ფული. ხომ ვაიყენ?“ მარათალია, მან წარმოთქვა არა „ქალები“, არამედ რაღაც სხვა სიტყვა ნეაპოლიტანურ დიალექტზე — ადრე ეს სიტყვა არ მსმენია. ამ სიტყვის ძღერადობაში იყო რაღაც საალერსოცა და უხამსიც, ბავშვურიცა და მისტიკურიც. — ეს სიტყვა ისეთი ბგერებისაგან შედგებოდა, რომ შესანიშნავად ქმნიდა რაღაც ნახის, რბილისა და თბილის ხატს. დაბნეულობა რომ შემნიშნა, ტოტო დაინტერესდა: „განა თქვენ არ მოგწონთ?“ — და მხიარულად და გამომცდელად შემომხედა. „კონცერტი თუ ნახეთ?“ — მკითხა ბოლოს იმ ძიას ტონით, რომელმაც ბავშვის გაბედნიერება გადაწყვიტა და კარისკაცს უბრძანა დარბაზში შეევეში. ინტერვალ დაწვეოდა ისე, რომ ის ორი-სამი ფრანსაც კი არ მიხსენებია, ერთმანეთს რომ ვუთხარი: ტექსტი მე თვითონ მოვიგონე და რაღაც ილუსტრაციებიც კი დავურთე. გაზეთი რომ გამოვიდა, უმალ ტოტოს წავუღლე, ამჟამად უკვე „ბრანჯაში“ თუ „პრინჩიპში“ — კარგად აღარც კი მახსოვს, სად იყო კონცერტები. მახსოვს, რომ ასრულებდნენ სიმღერას „მომწონს გრძელწამწამა ქერთიანი ქალები“ თუ რაღაც ამის მსგავსს. ტოტოს რომ ინტერვიუ და ნახატები ვაჩვენე, გაკვირვებულმა შემომხედა: „ნუთუ ეს თქვენ გააკეთეთ?“ ჩანს არ დამიჯერა, მერე მკითხა, კონცერტი თუ ნახეთ და გამაგზავნა პარტერში კიდევ ერთხელ წარმოდგენის საყურებლად.

გაოცება, რომელიც გამოიწვია ტოტომ, იმ გრძნობას მაგონებს, რომელსაც ვანიცდიან ბავშვები უჩვეულო გარდასახვისა თუ ფანტასტიკური ცხოველის — ძირაფის ან პელი-

კანის დანახვისას. ამას ემატებოდა კიდევ მადლიერების გრძნობა იმისთვის, რომ შენს თვალწინ იგი გაუგონარს, უჩვეულად რულს — სრულიად მატერიალიზებულ, რეალურ ცოცხალ არსებად გარდაქმნიდა. ეს გაუგონარად უცნაური სახე, თითქოს თიხისაგან ნაძერწი თავი, გეგონებთ საყრდენიდან იატაკზე გადმოვარდა და მოქანდაკის შემოსვლამდე როგორღაც ნათებადევად ხელახლა შეაკონწიწკა; ეს უძველო, კაუჭუკის პატარა ფიგურა, მხიარული მოჩვენება, რაღაც სხვა განზომილებიდან გადმოსული არსება; ეს ხმა — ღრმა, სასოწარკვეთით აღსავსე, რომელიც თითქოს შორიდან გესმით. მასში ყველაფერი იმდენად მოულოდნელი, უჩვეულო, გაუთვალისწინებელი იყო, რომ ადამიანებში იწვევდა არა მარტო უტყვე გაკვირვებას, არამედ უნებლიედ უღვიძებდა მათ სურვილს სტიქიური ამბოხებისა, განთავისუფლებისა ყოველგვარი სქემებისაგან, წესებისა და ტაბუსაგან, ერთი სიტყვით, ყოველივე იმისაგან, რაც კანონითაა ნაკარნახევი, ლოგიკით შემოწმებული და ნებადართულია.

როგორც ყველა დიდი კლოუნი, ტოტო იყო აბსოლუტური პროტესტის განსახიერება, მაგრამ ყველაზე მეტად გულზე გზვდებოდათ და გაწყინარებდათ კიდევ ის, რომ მასში უმალ შეიცნობდით — ამასთანავე მრავალჯერ გადიდებული სახით (ამით იგი საოცრად ჰგავდა პერსონაჟებს წიგნისა „ალისა სასწაულთა ქვეყანაში“) — იტალიის ინტორასი, იტალიურ ხასიათებს: ჩვენს შიმშილს, სიღატაკეს, უმეტრებს, წვრილბურქუაზიულ კუალიუნტკუიზმს, მორჩილებას, უნდობლობას, პულჩინელას სიმხდალეს. ტოტო რაღაც ნათელი და ხალისიანი სინატიფით განასახიერებდა მარადიულ დიალექტიკურ კავშირს დამცირებასა და მის მიუღებლობას შორის.

ყოველთვის ითვლებოდა და ახლაც ხშირად გაიგონებთ, რომ კინემატოგრაფმა სრულიად ვერ შეძლო ტოტოს ტალანტის გამოყენება და რომ მსახიობს იმეფათად ეძლეოდა მისი გამორჩეული ნიჭის ღირსეული შესაძლებლობები. არა მგონია, რომ ტოტო შეიძლება ყოფილიყო იმაზე უკეთესი და საერთოდ, არა ისეთი, როგორსაც ჩვენ მას ფილმებით ვიცნობთ. ტოტო შეიძლება მხოლოდ ტოტო ყოფილიყო, ისევე, როგორც პულჩინელა — მხოლოდ პულჩინელა. მაშ, კიდევ რაღა მოვთხოვთ? მრავალსაუკუნოვანი შიმშილის,

სილატაკის, ავადმყოფობის რეზულტატი, სე-  
დამენტაციის ხანგრძლივი პროცესის შედე-  
გი, თვალი პატიოსანი, მოელვარე სტალაქ-  
ტიტი—აი, ვინ იყო ტოტო. მან ჩვენამდე მო-  
იტანა რალაც ისეთი, რაც იკარგება რა დროის  
მდინარებაში, ზედროულ ხასიათს იძენს. ამ სა-  
ოცარი მოვლენის ბუნებაში ჩარევა, ცდა მისი  
შეცვლისა, დაძალება იმისა, რაც დაამახინ-  
ჯებს, სხვა სიუჟეტურ ჩარჩოში მისი მოქცე-  
ვა იქნებოდა არამც თუ უაზრო — დამღუპ-  
ველი და მკრეხელურიც კი. მაშ რა არის ეს  
— კრიტიკის სიბეცე? რა თქმა უნდა, არა.  
უბრალოდ ჩვენი (როგორ გამოვთქვა ზუს-  
ტად?) — დასავლური აღზრდა გვაჩვენებს არ  
მივიღოთ საგნები იმ სახით, როგორებიც  
ისინი არიან, არამედ რალაც სხვა პერსპექტი-  
ვაში განვიხილოთ ისინი, შევითვისოთ ჩვენ-  
თვის უცხო, რაფინირებული, ჭკუის საკულე-  
ტი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტოტო —  
ბუნების განსაკუთრებული მოვლენაა, ისეთი-  
ვე, როგორც კატა, ღამურა. იგი დასრულებუ-  
ლი და მთლიანია და მისი გარდაქმნა შეუძლე-  
ბელია. დიდი-დიდი, რაც ძალგვიძს — ესაა  
მისი ფირზე აღბეჭდვა. ფილმში „მასტორნას  
მოგზაურობა“ მინდოდა მეჩვენებინა ტოტო  
სწორედ ისეთი, როგორც ის იყო. დავეუშ-  
ვათ ვიღაც ინსენებს ტოტოს და ისიც ეკ-  
რანზე გამოჩნდება. ტოტოს გამოჩენის გასა-  
მართლებლად მე არასდროს არ მიხედებოდა  
რაიმე სიუჟეტური სვლის მოგონება, იმი-  
ტომ, რომ არავითარი სიუჟეტი ტოტოს არ  
სჭირდებოდა. და განა სჭირდება რამე სი-  
უჟეტი, ამბავი ადამიანს, რომელსაც ყველაფე-  
რი ეს სახეზე აწერია? სიამოვნებით მივუძღ-  
ვნიდი მას პატარა კინოსესს, თავისებურ პორ-  
ტრეტს მოძრაობაში, რათა უკეთ შეიძლებო-  
დეს დანახვა როგორია ის, როგორ არის მოწ-  
ყობილი — შიგნიდან და გარედან — როგო-  
რია მისი ჩონჩხი, რისგან შედგება მისი ყვე-  
ლაზე მგრძობიარე და მოქნილი ნაკვეთები,  
მინდოდა მისი ჩვენება სხვადასხვა პოზაში —  
ფეხზე მდგომი, მჯდომარე, პორიზონტალურ  
და ვერტიკალურ მდგომარეობაში, ჩაცმული  
და შიშველი, რათა თავადაც მენახა და სხე-  
ბისთვისაც მეჩვენებინა, ერთი სიტყვით, გა-  
დამელო ისე, როგორც იღებენ დოკუმენტურ  
ფილმებს ყირაფებზე, უცნაურ ზღვის ცხოვე-  
ლებზე. შეიძლებოდა გამოსულიყო უჩვეულო  
ინტერვაუ — ცდა ამ საოცარი მოვლენის —  
ტოტოს არსის დაკვირვება.

ტოტოს არც ისე ხშირად შევხვედრივარ,  
მაგრამ იგი ყოველთვის მაჭადოვებდა: „ახლო-  
დან რომ ვუყურებდი, თვალს არ ვუჭირებდი.  
ძალიან დიდი ხნის წინ მქონდა ბედნიერება  
მემუშავა მასთან როგორც რეჟისორს. მიმდი-  
ნარეობდა როსელინის ფილმის „სად არის  
თავისუფლება?“ ფინალური სცენების გადა-  
ღება. თუ არ ვცდები, რობერტო მაშინ ავად  
გახდა და პროდიუსერებმა მთხოვეს საქმის  
ბოლომდე მიყვანა. გადასაღები იყო სულ  
რამდენიმე კადრისაგან შემდგარი პატარა სცე-  
ნა: ტოტო ადვოკატ ტალარიკოს ეძგერებოდა  
და კბილებით ყურში ჩააფრინებოდა... მიუ-  
ხედავად ამისა, მაინც უხერხულად ვგრძნობ-  
დი თავს. ისევე მივმართავდი, როგორც ყვე-  
ლა: „თავადო, აქ ჯობს ასე გააკეთოთ...“ ახ-  
ლა, თავადო, თქვენ წინ გამოდიხართ...“ ტო-  
ტომ შემომხედა ნამგალასავით უწყინარი  
თვალეებით და მითხრა: „ხომ შეიძლება უბრა-  
ლოდ ანტონიო დამიძახოთ“. იგი ამ პატივის  
ღირსად მთვლიდა: მე ხომ, რამდენიმე წუთით  
მაინც, მისი რეჟისორი ვიყავი.

კვლავ მაშინ შევხვდი ერთმანეთს, როდე-  
საც იგი საგრძნობლად დაბერდა და მხედვე-  
ლობაც დაუქვეითდა. ერთხელ ტოტო წვეუ-  
ლებაზე მესტუმრა ფრანკა ფალდინისთან“ ერ-  
თად. სხვა მეგობრებმაც მოიყარეს თავი. ტო-  
ტო მშვენიერი პერალდიკური ფრინველივით  
გაფხორილი იჯდა. როცა საუბარში პაუზა  
ჩამოვარდა, იგი შეეცადა განესაზღვრა სად  
ვიმყოფები და როცა ჩათვალა, რომ მომაგ-  
ნო, უცებ მოაბრუნა თავი და წარმოთქვა თა-  
ვისი ბოხი, ხრინწიანი ხმით: „თქვენგან კი  
დიდი რეჟისორი გამოვიდა!“

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის მოგონება-  
ში არის რალაც ჭკუისსასწალებელი, რალაც  
წიგნ „გულის“ მსგავსი. მაშინ „8 1/2“-ის თუ  
რომელიღაცა სხვა ფილმის გახმოვანებაზე  
ვმუშაობდი: შესვენების დროს კინოსტუდია  
„სკალერას“ ბაღში მოვიყარეთ თავი. უეც-  
რად იტალიელ მსახიობს დონცელის მოვკარი  
თვალი, რომელსაც ტოტო მიყავდა მზიან ად-  
გილზე ქვის გალავანთან. ასე მიყავთ ავად-  
მყოფი ან უსინათლო. ტოტოს სახეს თითქმის  
მთლიანად უფარავდა შავი სათვალე, რომელ-  
საც იგი უკვე რამდენიმე წელიწადი არ იშო-  
რებდა. დონცელი მომიახლოვდა და მე ტო-  
ტოს ჯანმრთელობის ამბავი ვკითხე. „იგი ვერ  
გვხედავს, საერთოდ ვერაფერს ხედავს“ —  
ჩუმად მიპასუხა დონცელიმ, შემდეგ ტოტოს

იუბრუნდა და ხმამაღლა უთხრა: „თავადო, ცით ვინ არის აქ? რეჟისორი ფელინი! იგი ოგესალმებათ“. ტოტომ თავი ასწია, სადღაც ავიდა, ცაში იყურებოდა და გახარებული ემს ხელებს ეძებდა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ კი ჩუმად ვიჯექი და შევცქეროდი ას: არასდროს მომჩვენებია იგი ასე უჩვეულო, თითქოს უხორცო, მიუწვდომელ არსებად. უძრავი და უმწეო ღიმილი ჰქონდა, როგორც ყველა უსინათლოს. მაგრამ მალე ტოტოს მიუახლოვდნენ ორნი გადამღები ჯგუფიდან, ორივე მზრიდან ხელი მოჰკიდეს და დაიყვანეს, უფრო სწორად, წაიღეს, ისე როგორც მიაქვთ რელიკვია, წმინდანის გამოსახულება „ჯვრით დიდების სიარულის“ დროს. პროფესიული ცნობისმოყვარეობითა და ჩვეულებრივი ადამიანური თანაგრძნობით შე-

პრობილი, მეც შევეყევი პავლიონში. მივლოდა მენახა, როგორ შეძლებდა მუშაობა ამ მდგომარეობაში — ამის წარმოტეხვა შეუძლებლო. პავლიონში უკვე ყველაფერი მზად არის, ტოტო გამოყავთ გაჩირალდნებული გადასაღები მოედნის შუაგულში, ვილაციის დახმარებით იგი იცვამს თავის ფრაკს, იხურავს ქვაბუნა ქუდს, მის თვალებს კვლავ შავი სათვალე მალავს — სათვალეს იგი ჯერ არ იშორებს. კორბუჩი — თუ არ ვცდები, ეს კორბუჩის ფილმი იყო — განუმარტავს მას გადასაღებ სცენას. მესმის, როგორ ეუბნება იგი ტოტოს: „ასე გააკეთებ, შემდეგ აქეთ წამოხვალ, აქ გაჩერდები, იტყვი შენს ტექსტს, შემდეგ გაიქცევი იქით, სადაც ენცო ტურკო დგას“. ენცო ტურკო ხმას მიაწვდნის: „მე აქა ვარ, ანტო“ — თან ხელებით რაღაცას



კადრი ფილმიდან „შეცდომა არ ითვლება“



ანიშნებს, თუმცა ამას არავითარი აზრი არა აქვს. ყველაფერი რიგზეა. უმატებენ შუქს. მოტორი! სატაკუნო! მხოლოდ ახლა იძრობს ტოტო სათვალეს. და ხდება სასწაული — ტოტოს უეცარი თვალთახელის სასწაული: იგი გვხედავს ჩვენ, ხედავს მის გარშემო საგნებს, პარტნიორებს, იატაკზე ცარცით შემოვლებულ ხაზებს, რომელთა იქით გასვლაც არ შეიძლება. გეგონებათ ორი კი არა, ასი თვალი აქვსო და თითოეული შესანიშნავად ხედავს. ტოტო დახტის, ციბრუტცივით ტრიალებს, მიხერხებულად უქცევს გვერდს ოთახში შემოხერგილ ავეჯს — ერთგვარი მექანიკური ადამიანივით, რომელიც ელვისებური სისწრაფით რეაგირებს ტურკოს, დონცელის, კასტელანის რეპლიკებზე. გადამღები ჭკუფის წვეკრები და გამნათებლები კი სიცილისაგან იხრჩობიან, ტუჩებს იკვნეტენ და სახეზე ხელებს იფარებენ. სდექ! სცენა დასრულდა. იცვლება კადრი. აურზაურში, რომელიც მოსდევს ხოლმე ყოველ დუბლს, ტოტო აურჩარებლად იკეთებს შავ სათვალეს და წინ იშვერს ხელებს, რათა ვინმე მოვიდეს და გაიყვანოს. იგი ფრთხილად მიყავთ, გზად კარნახობენ სად არის კაბელი თუ კიბის საფეხური. იგი კვლავ იქცევა იმ მიუწვდომელ, უხორცო არსებად, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბალში მზეზე თბებოდა, გარდაიქმნება გულისშემძვრელ, ნახ მოჩვენებად, რომელიც უკუნეთ სიბნელეში, მარტოობაში ბრუნდება.

არა მარტო ჩემი ქვეყანა, მთელი მსოფლიო დასახლებულია კლოუნებით. პარიზში ფილმ „კლოუნების“ გადაღებისათვის მზადებისას მე მოვიგონე ერთი ეპიზოდი, რომელიც მერე არ გადავიღეთ: ტაქსით ქალაქში მოგზაურობისას, კლოუნებზე საუბრით გართულნი, ჩვენ მათ პირდაპირ ქუჩებში ვხედავთ...

მაგრამ თუ წამით ჩემ თავსაც წარმოვიდგენ კლოუნად? რა გაეწყობა, მე მწითური ვარ, მაგრამ ამასთანავე თეთრი კლოუნიცა ვარ. ან იქნებ მე სულაც ცირკის დირექტორი ვარ?..

მოდით, გავაგრძელოთ ეს ექსპერიმენტი. გადა — შესანიშნავი მწითურია, პიევენე — პირიქით, თეთრი კლოუნია. მორავია მწითურია, რომელსაც სურს თეთრი კლოუნე გახდეს. უფრო სწორად კი, ის ცირკის დირექტორია — მისიე ლუაიალი, რომელიც ამ ორი

მიდრეკილების გავრთიანებას ცდილობს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის დამკვიდრებლად. პაზოლინი — თეთრი კლოუნია, რომელიც მომხიბლავ ერუდიტებს მიეკუთვნება, ანტონიონი — მწითური, მშვიდების, ჩუმებისა და სეველიანების რიცხვიდან. პიკასო? რაღა თქმა უნდა, მწითურია, ლალი, კანდიერი, კომპლექსების გარეშე: მას ყველაფერი შეუძლია, ის იმათავანია, რომლებიც აუცილებლად იმარჯვებენ თეთრ კლოუნზე. აინშტაინი? — მწითური — მეოცნებე, არააპქეყნიური მწითური; იგი სულ დუმს, მაგრამ უკანასკნელ წუთს უცოდველი სახით იღებს ჯიბიდან იმ თავსატეხის ამოხსნას, რომელიც ცბიერმა თეთრმა კლოუნმა შესთავაზა. ვისკონტი — ძალაუფლებისმოყვარე თეთრი კლოუნი: მარტო მისი დიდებულ კოსტუმიც კი მოწიწების გრძობას იწვევს. პიტლერი თეთრი კლოუნია, მუსოლინი — მწითური, პაჩელი<sup>8</sup> თეთრი კლოუნია, რონკალი<sup>9</sup> — მწითური. ფროიდი თეთრი კლოუნია. იუნიკი — მწითური.

ეს თამაში იმდენად გადამდებია, რომ როცა შენს წინაშეა ადამიანი თეთრი კლოუნების კატეგორიიდან, მის წინ სულ მწითურის თამაში გინდება და პირიქით.

**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> Les paillettes — ბრჭყვიალები (ფრანგ.).
- <sup>2</sup> სასწაულია ეზო — შესასუენების პარიზის „ფსკერი“, ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ მათხოვერბი და ქურდები.
- <sup>3</sup> თეთრი კლოუნი ბოროტი უნდა იყოს (ფრანგ.).
- <sup>4</sup> მათხოვარი (ფრანგ.).
- <sup>5</sup> უვალენტუიზმი (qualunquismo — იტალ.) — ანტიდემოკრატიული ორგანიზაციის „რიგითი ადამიანის შიშობის“ — იდეოლოგია, ეს ორგანიზაცია იტალიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებობდა და გამოირჩეოდა ალერახსნილი სოციალურ-პოლიტიკური დემაგოგიით.
- <sup>6</sup> ფრანკა ფაღლინი — იტალიური თეატრისა და ენოს მსახიობი, ტოტოს მეუღლე.
- <sup>7</sup> „გულ“ — იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის (1848-1909) სენტიმენტალურ-დიდაქტიკური საბავშვო მოთხრობა.
- <sup>8</sup> პაჩელი ეუქენიო — 1939 წლიდან 1958 წლამდე პაპი პიუს XII.
- <sup>9</sup> რონკალი ჯოვანი — 1958 წლიდან 1963 წლამდე პაპი იოანე XXIII.

# „ტაინდი უმჯობესი და უშიშარი“

ნოდარ გურაბანიძე

მიცხრამებინ საუკუნის საქართველოს კულტურული პანორამის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა ვალერიან გუნია იყო. იმ გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც მიზნად ქართული თეატრის, მწერლობის, საერთოდ კულტურული ცხოვრების აღორძინება დაისახეს მიზნად, ვალერიან გუნია ერთ-ერთი პირველთაგანია. იყო, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები თეატრალური ხელოვნების მეშვეობით ხალხში დაენერგა. ქართულმა თეატრმა არ იცის მეორე — ესოდენ მრავალმხრივი მოღვაწე: იგი იყო მსახიობი, რეჟისორი, გამომცემელი, რედაქტორი, მთარგმნელი, დრამატურგი, თეატრის თეორეტიკოსი და მემბრანი. ზოგჯერ გამოჩენილი პიროვნების მრავალმხრივობას ისტორიული ვითარება განაპირობებს. ასე იყო ამჯერადაც. მაგრამ ვალერიან გუნიას მოღვაწეობას განსაცვიფრებლად თანაბარა დონე ახასიათებს, რაც, უეჭველია, მისი მრავალმხრივი ნიჭის დადასტურებაა.

უაღრესი თვითდისციპლინა, შეუპოვრობა, მიზანდასახული შრომა „წერწყმულ“ მტკიცე ახსიათთან, ნიჭთან და გონიერებასთან, ვალერიან გუნიას უაღრესად დიდ ავტორიტეტს უზღვევს.

იგი მეცხრამეტე საუკუნის ქართული თეატრის ლიდერია. ილია ჭავჭავაძის ტიპის

მოღვაწეა, რომელმაც არ იცის კომპრომის საზოგადო საქმეში. მას შეეძლო არა მარტო ნიჭითა და კალმით მდგარიყო ხალხის სამსახურში, არამედ ხმალი ეშიშვლა და მკერდით გადაეღობა გზა ქართული თეატრისა და ქართული კულტურის მტრ-სათვის; თეატრის ანალებმა მისი უშიშარებამ რამოდენიმე ფაქტი შემოგვინახეს, რომელთაგან ერთს, პეტერბურგის თეატრალური პრესაც გამოეხმაურა.

არა მხოლოდ წარსული საქმეების გამო ვისხენებთ ვალერიან გუნიას, როგორც სახელოვან მიცვალებულს: — გასცდა თუ არა ისტორიულ კონტექსტს მასი მოღვაწეობა, მისი ნაზრევი, შეუძლია თუ არა დღევანდელ თეატრს თავის ცოცხალ, პრაქტიკულ შემოქმედებაში რაიმე ფასეული აილოს მისი ცოდნის სისტემიდან — თუ ყველაფერი საგანმანათლებლო ან, უკეთეს შემთხვევაში, ეროვნული გრძნობის განვითარების სფეროში რჩება? — აი, კითხვები, რომლებიც დღეს ადგვეძვრის და რომლებიც პასუხს მოითხოვენ.

რასაკვირველია, იმდენად დიდი ღვაწლი ვალერიან გუნიასი, რომ თვით დროის ჩარჩოებში რომ თავსდებოდეს ყველაფერი ის, რაც მას შეუქმნია და გაუკეთებია საზოგადოებრივ ასპარეზზე და ამით იფარგლებო-



დეს, მადლიერი შთამომავლობა ისედაც მი-  
აგებდა მას ღირსეულ პატივს.

ვიღრე დღევანდელი ქართული თეატრის  
ფრიად თვალსაჩინო წარმატებების სიმადლი-  
დან შევფასებდეთ მის ღვაწლს (თუ გვსურს  
მართლაც მისი სიდიადე შევამოწმოთ), მო-  
დით შევხედოთ მის მიერ გაკეთებულ საქმეს  
მისივე დროის პოზიციებიდან.

რა სჭირდებოდა განახლებულ ქართულ  
თეატრს?

უპირველესად, დემოკრატიული მიმართუ-  
ლების, ეროვნული თვითშეგნების განმტკი-  
ცება. სწორედ ამ მიზნით განაახლეს და  
ააღორძინეს ქართული თეატრი ეროვნულ-  
განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდე-  
რებმა, მაგრამ იმთავითვე, საზოგადოებრივი  
ცხოვრების კონფლიქტები თეატრშიაც წარ-  
მოიშვა. როგორც იყო საზოგადოებრივი  
ცხოვრება, ისეთივე იყო თეატრი, ხოლო სა-  
ზოგადოებრივ ცხოვრებაში მძაფრი კონფ-  
რონტაცია იყო ეროვნულ-განმათავისუფლე-  
ბელ იდეებსა და რეაქციულ, ფეოდალურ-  
მონარქისტულ იდეებს შორის. რასაკვირვე-  
ლია, ვ. გუგუია პირველთა რიგებში იყო:  
„თეატრი ნაყოფია საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების თვითმოქმედებისა და გამარჯვებისა.  
ამიტომ ყოველად შეუძლებელია თეატრის  
ავ-კარგობა, მეტ-ნაკლებობა მჭიდროდ არ  
იყვეს დამოკიდებული თვით საზოგადოების  
ავ-კარგობაზე, მის ცხოველ მოქმედებაზე და  
წინმსვლელობაზე.

ამიტომაც თეატრის საქმე ყველგან, და  
განსაკუთრებით ჩვენიში, ნებაუნებლიედ იმ-  
გვარ კილოს და ფერს იღებს. რაც საზოგა-  
დოებრივ ცხოვრებას ეტყობა“ (ვალერიან  
გუგუია. გამ. „ხელოვნება“ 1953 წ. გვ. 15)  
ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელო-  
ბა ენიჭებოდა თეატრის მიმართულების გან-  
საზღვრას, აქ იგულისხმება როგორც საზო-  
გადოებრივ-პოლიტიკური, ასევე ეთიკურ-  
ესთეტიკური ასპექტები.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხაზი.** ვ.  
გუგუიას აზრით თეატრი თავის მაღალ მი-  
სიას მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ იგი  
თავისი რეპერტუარით ცხოვრების პროგრე-  
სული იდეების განვითარება-განმტკიცებას  
უწყობს ხელს. არ არის საკმარისი ხალხის  
ზნეობრივი განსაქტავებისათვის ბრძოლა,  
უცილობელია მისი აღჭურვა საზოგადოებ-  
რივი ცხოვრების ინტერესით. არ არის საკ-

მარისი ცხოვრებისეული სიმართლის გამო-  
სახვა, აუცილებელია მასში მოქმედების  
დენციის შემჩნევა და მისი წინააღმდეგე-  
ობის წინააღმდეგეობა: „ამთავითვე ჩვენი მსჯელობის საწყისი ასე  
გამოვხატავთ: ყოველი მწერლის ღირსება  
(ვ. გუგუია ქართველ დრამატურგებზე მსჯე-  
ლობს — ნ. გ.) სიმართლის გამოხატულებით  
ფასდება, ხოლო სიმართლეც არის და სი-  
მართლეც. მწერლის ყოველ სურათს უნდა  
უეჭველად რაიმე აზრი და საგანი ჰქონდეს.  
უმნიშვნელო, უაზრო და უსაგნო მართალ  
სურათს ფასი არა აქვს. თუ მწერლის მარ-  
თალ აღწერილობას აკლია საზოგადოებრივი  
ინტერესი, თუ იგი საერთო სენს და ჰირს  
არ მკურნალობს, თუ ცხოვრების უკუღ-  
მართ, უწყესო და მგენებელ მოვლენებს არ  
ებრძვის, ვიმეორებთ, იმგვარი სიმართლე  
უფასურია“ (იქვე, გვ. 29).

**თეატრის ეროვნული მიმართულება.** „მტკი-  
ცედ შემოფარგლულ სურვილთა და შეხე-  
დულებათა“ სისტემაში უპირველესი ადგი-  
ლი — ვ. გუგუიას აზრით, თეატრის ერო-  
ვნული მიმართულების განსაზღვრას მიე-  
კუთვნება. ბუნებრივია, ეროვნულ-განმათა-  
ვისუფლებელ იდეებზე აღზრდილი მოღვა-  
წისათვის, ეს საკითხთა საკითხია. ქართუ-  
ლი ენის, ეროვნულობის, კულტურის, ხალ-  
ხის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება-  
ში თეატრს განსაკუთრებული როლის შეს-  
რულება შეუძლია. მხოლოდ მან, თეატრ-  
მა, სრულიად გარკვეულად უნდა იცოდეს  
თავისი ეროვნული მრწამსი, თავისთავადო-  
ბის მინიჭებული საფუძვლები. „იქნება ზოგი-  
ერთმა გულუბრყვილომ გვეთხრას: ნუთუ ქარ-  
თული თეატრისათვის ეროვნული მიმართუ-  
ლება არ შევიმჩნევიაო. ჩვენ მოკლედ მოვუჭ-  
რით პასუხს: არა. ქართული ენა, ქართულად  
დაწერილი და გადათარგმნილი პიესები, ქარ-  
თული მაცურებელი, ხალხი მაინც კიდევ  
არ ნიშნავს იმ მიმართულებას, რომელიც  
ჩვენ გვჭირდება და რომელიც აუცილებლად  
საჭიროა“ (იქვე, გვ. 17). თითქოს აქ ჩამოთ-  
ვლილია ყველა ის კომპონენტი, რომელიც  
გუგუიანების ეროვნულობას განაპირობებს,  
მაგრამ მას აკლია უმთავრესი: — ეროვნუ-  
ლი შინაარსი, რომელიც გულისხმობს ის-  
ტორიულად ჩამოყალიბებულ ეროვნულ ხა-  
სიათს, ეროვნულ სინამდვილეს და იმ სასი-  
ცოცხლო დვრიტას, რომელზედაც ამოიზრ-  
დება ეროვნული სხეული: „ჩვენი აზრით

ავღაპირველი წადილი ჩვენი თეატრის  
ოთავეთა ის უნდა იყოს, რომ თეატრს,  
ცენას დაეტყოს ნამდვილი ეროვნული ხა-  
ზათი და ამისდაგვარად შესაფერი მიმარ-  
ულება. განსაკუთრებით ყურადღების ღირ-  
ია ეს მიმართულება, რადგან ყოველი საქ-  
ე საზოგადოდ, თუ რომელსამე განსაკუთ-  
ებულ ფერს და სწორად გალარულს მი-  
ართულებას მოკლებულია, მაშინ ყოველად  
მეუღლებელია იმ საქმის სიმაგრე და ძლიე-  
ება“ (იქვე. გვ. 17). „ღედათესლი“ ამ მი-  
ართულებისათ — განაგრძობს ვ. გუნია —  
რის რეპერტუარი, ის რაზედაც უნდა აშე-  
ნოს ეროვნული თეატრის შენობა. ეროვნუ-  
ლი თეატრის პრობლემა მჭიდროდ არის და-  
კავშირებული თანამედროვეობასთან.

**თეატრი და თანამედროვეობა.** ვ. გუნიას  
ზრით თეატრი მხოლოდ მაშინ იქნება თა-  
ნამედროვე, თუ იგი საზოგადოების, ხალხის  
გულისთქმის გამომხატველად გადაიქცა.  
ხალხის ცხოვრების სურათები, მისი მისწ-  
რებები, ოცნება, უკეთესი მომავლისაკენ  
ლტოლვა, თანამედროვეობისა და ხალხურო-  
ბის შერწყმის საფუძვლად უნდა იქცეს თე-  
ატრში. ხალხი აძლევს იმპულსს თეატრს,  
თეატრიც თავის მხრივ სულიერ საზრდოს  
აწვდის ხალხს... „თეატრში უნდა იყოს ისე-  
ი რამე, რაც საზოგადოების გულს ელა-  
მება, რაც მის სულსა და გულს საზრდოს  
აძლევს... თეატრი უნდა გადაიქცეს იმგვარ  
საზოგადოებრივ წყაროდ, საიდანაც ხალხს  
წყურვილის მოკვლა შეუძლია... საზოგადოდ  
ვიტყვი, რომ ყოველ ხალხს ძლიერ უყვარს  
ღვიძლი ცხოვრების და ზნე-ჩვეულების და-  
ნახვა, გამოხატული დრამატულ მწერლობა-  
ში და სცენაზე წარმოდგენილი. ჩვენი ხალ-  
ხიც ემორჩილება ამ ზოგად კანონს... იმისა-  
თვის, რომ ხალხი თეატრს თანაუგრძნობდეს  
და დადიოდეს კიდეც, უეჭველად საჭიროა,  
რომ თვითონ თეატრი იძლეოდეს იმას, რისი  
მოცემაც შეუძლია და, რასაც კანონიერად  
მოითხოვს ხალხი...“ (იქვე. გვ. 24, 25).

**თეატრი და ზნეობის საკითხები.** ხალხის  
„ზნეობრივი ძალ-ღონის გაორკეცებაში“ და  
ამდენად მისი ეროვნული თვითმყოფადობის  
დღეგრძელობაში თეატრს განსაკუთრებით  
უკომპრომისო პოზიციის დაკავება მართებს.  
ვ. გუნია შეუპოვრად ებრძოდა იმგვარ თე-  
ატრს, რომელაც „ართობს, ანაზებს და უალ-  
ერსებს საზოგადოების სამარცხვინო ზნე-ჩვე-

ულებებს“. აქ ჩვენ ადვილად ამოვიცნობთ  
ი. ჭავჭავაძის ცნობილ მოსაზრებებს ხელოვნ-  
ების დანიშნულების თაობაზე, ვიკრიტიკო-  
ბო ბრძოლის ქარცეცხლს, რომელზეც  
თავს დაატეხა „ხელოვნება ხელოვნებისათ-  
ვის“ დამცველთა და გასართობი რეპერტუა-  
რის დამამკვიდრებელთ ქართულ სცენაზე.  
ქართულ თეატრს ი. ჭავჭავაძე და მისი თა-  
ნამოაზრენი, რომელთა შორის ვ. გუნიაც  
იყო, მაღალ საზოგადოებრივ მიზნებს უსა-  
ზავდნენ, არიდებდნენ ვოლგელურ და  
ბალაგანურ სიმსუბუქეს, სიყალბის, უსამარ-  
თლობის, სოციალური და ეროვნული ჩაგვ-  
რის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. მხოლოდ  
იმ თეატრის ჩაყენება შეიძლება მაღალი  
ზნეობის სამსახურში, რომელიც „ბიწიერე-  
ბას, სიბოროტეს, სიმრუდეს სთელავს და  
ჰემირავს“, რომლის „სცენიდან დაღადებს  
ყოველი ნათელ-ცხოველი აზრი, სცენიდან  
იგმირება ბიწიერება, სიბოროტე, სისაძაგ-  
ლე. აქედან გაისმის სიმართლის ქება, ზნეო-  
ბისა და სიყვითის დიდება“ (იქვე. გვ. 92).  
საკმარისია ყურადღების მოდუნება, რეპერ-  
ტუარის შევსება მსუბუქი ჟანრის ნაწარმოე-  
ბებით, რომ ხალხი თანდათან დაჰკარგავს  
მოთხოვნილებას სერიოზულ ხელოვნებაზე,  
დაჰკარგავს კრიტიკიუმს, რადგან თე-  
ატრს, თავისი მოუგერიებელი ზემოქმე-  
დების მეოხებით, შეუძლია ხალხის გემოვ-  
ნებაზე დამლუბველი ზეგავლენაც კი იქო-  
ნიოს. აქედან კი, ერთი ნაბიჯია უზნეობამდე:  
„თეატრი აღმზრდელია ხალხისა, იგი სკო-  
ლაა, ზნეობრივი და გონებრივი მავალითე-  
ბის შთანერგველია და არა დროსგასატარე-  
ბელი ოინბაზობის მოედანი, სადაც უგუნუ-  
რება, ჭკვნა სურვილები და უმეცრება უზე  
საზრდოს პოულობს“. (იქვე. გვ. 19).

...თეატრი და სასცენო ხელოვნება ნაყო-  
ფია ადამიანის მოსვენების წადილისა, შინა-  
გან გრძნობათა დაკმაყოფილების სურვილ-  
ისა. თეატრი ხელს უწყობს და შველის ცხოვ-  
რების კანონს და სადაც საერო კანონების  
ძალა თავდება, იქ იწყება ზნეობრივი კანო-  
ნების მოქმედება ხალხზე და ამ ზნეობრივი  
კანონების სამსჯავრო მხოლოდ თეატრია. თე-  
ატრი სჯის ყოველივეს მრუდეს და უწყსოს  
და იმავე დროს სიბოროტის და სისაძაგლის  
გვერდით გვიჩვენებს სიკეთეს, სრულ ზნეო-  
ბას და ჭეშმარიტებას“ (იქვე. გვ. 91).

**თეატრი — ერის განმანათლებელი.** თეატ-

რის საგანმანათლებლო ფუნქციის წინ წა-  
მოწევა საერთოდაა დამახასიათებელი მე-19  
საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე მოღ-  
ვაწეებელთათვის. ეს ტენდენცია გამოკვეთილი  
იყო როგორც ევროპაში (სადაც ჭერ კიდევ  
ძლიერი იყო ფრანგი განმანათლებლების ზე-  
გავლენა), იცე რუსეთსა და საქართველოში.  
იმ პრობლემათა შორის, რომელსაც განსა-

დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებებს (მათ  
შორის დავასახელებ ლ. ტოლსტოის „წიკტი-  
აღთა სამეფოს“, ნ. გოგოლის „რევიზორს“,  
ა. ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილს“,  
„მგლებსა და ცხვრებს“, სუხუბო-კობილინის  
„კრეჩინსკის ქორწინებას“, ლ. ანდრეევის  
„სატანას“ და სხვ.), დასავლეთ ევროპულ  
დრამატურგიიდან — შექსპირის (სამი პიე



ვალერიან გუნია

კუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვ-  
ნულ-განმანათლებლო პრობლემაში, სა-  
განმანათლებლო პრობლემა ერთ-ერთი უმ-  
თავრესი იყო. უპირველესი მნიშვნელობა  
ზემოქმედების ამ სისტემაში, ცხადია, თე-  
ატრალურ ხელოვნებას ენიჭებოდა. სწორედ  
ამ თვალსაზრისით განიხილავდა ვ. გუნია  
თეატრის მნიშვნელობას, პირადი მაგალითიც  
ფრიად თვალსაჩინო იყო. მან ქართული სცენ-  
ისათვის თარგმნა რუსული კლასიკური

სა), შილერის (სამი პიესა), კ. გოლდონის,  
პიუგოს, მოლიერის, ბომარშეს, იბსენის, პა-  
უბტმანის პიესებს; დაწერა მრავალი საყუ-  
რადღებო გამოკვლევა, კრიტიკული წერი-  
ლი, ესეე, გადმოაქართულა ათეულობით  
პიესა, გამოუშვა „სახალხო კალენდარი“, შექ-  
მნა ორიგინალური დრამატურგია (მისი ის-  
ტორიული დრამა „და-ძმანი“ დიდხანს შე-  
მორჩა რეპერტურს). შეთხზა ოპერის ლიბრ-  
ეტოები (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, დ.

არაყიშვილის „დინარა“, ზ. გოგინაშვილის „ქრისტინე“, გამოჩენილი ქართველი მომღერლებისათვის თარგმნა რომანსები და როსინის „სევილიელი დალაქი“, ჯ. ვერდის „რიგოლეტო“ და ბიხეს „კარმენი“.

აი, რა აზრს ატარებდა იგი ერთ თავის ნარკვევში: ერის განათლება და ცოდნა გამოიხატება არა ერთისა და ორის ან სამის მავალითით, არამედ საერთო სწავლა-განვითარებით. ხალხის დღეგრძელობა მდგომარეობს იმ სავენების საერთოდ სარგებლობაში, რომელიც მხოლოდ ზოგიერთ არჩეულ პირთა საკუთრებას შეადგენს. სცენის უპირატესობა ის არის, რომ მის ზეგავლენაში შეუძლია იყოს ყოველი კაცი, ვისაც ყურთასმენა და თვალთახილვა აქვს...

ყველა ცხოველ-ნათელ ჰუმანურ აზრთა და განზრახულებათა საუფრე, რომლითაც დღეს კაცობრიობა სარგებლობს და თავმომწონეობს, უთეატროდ, თვინიერ დრამატული ხელოვნებისა სრულიად გაუგებარი დარჩებოდა ხალხის უმთავრესი ნაწილისათვის, ე. ი. გაუნათლებელთათვის, მეტადრე მათთვის, რომელნიც მთელ სიცოცხლეს განუწყვეტელ ჯაფასა და დღიური სარჩონსაბადებელის ძებნაში ატარებენ. და, მაშასადამე, შეადგენენ იმ უმრავლესობას, რომელსაც ეწოდება „ხალხი“ (იქვე, გვ. 93).

დღევანდელი მკითხველი ამ ციტატებში ნათლად ამოიკითხავს ვ. გუნიას დემოკრატიულ იდეებს, თეატრის აუდიტორიის გაფართოებისაკენ სწრაფვას.

**თეატრის სივრცე.** ვ. გუნიასათვის თეატრის უპირველესი ღირსება მისი ეროვნული მიმართულებაა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს ეროვნულ კარჩაკეტილობას, ნაციონალურ განკერძოებას, მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ „თეატრის წყალობით ხალხთა შორის ხდება ახლად დაკავშირება, ერთმანეთის გაგება და გაცნობა, საერთო წადილთა და სურვილთა ერთად შედღეობა“ (იქვე, გვ. 91).

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იგი საქმით და კალმით იღვწოდა ამ „საერთო წადილთა“ შედღეობებისათვის. თარგმნიდა რუს და სომეხ დრამატურგებს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსული და უკრაინული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან, წერდა რეცენზიებს თბილისის რუსული და სომხური თეატრების საქმეკაცლებზე. აღ-

სანიშნავია ერთი გარემოება. თავისი ნარკვევის („ქართული თეატრი“ 1879—1889) მესამე თავში („ქართული დრამატურგები“) იგი გ. სუნდუკიანის შემოქმედებას ქართული დრამატურგიის კონტექსტში განიხილავს: „გიორგი ერისთავის და ა. ანტონოვის შემდეგ უეჭველად უნდა მოვიხსენიოთ გ. სუნდუკიანცი. ეს პატრეცემული ავტორი თუმცა ვეკრტომობით სომეხთა და სომხურადვე წერს თავის პიესებს, მაგრამ მის პიესებში გამოყვანილი პირები მეტად მჭიდროდ არიან დამოკიდებულნი და დაახლოებული ჩვენს ცხოვრებასთან, უფრო გადაჭრით ვიტყვი, ჩვენებური ვაჭრების წარმომადგენლები არიან. ამას გარდა გ. სუნდუკიანის პიესები ქართული სცენის აღორძინებასთან ძლიერ დაკავშირებულნი არიან. ქართული დასი პირველი წარმოდგენიდან დღევანდლამდე თამაშობს გ. სუნდუკიანის პიესებს. ამ მოსაზრების გამო გ. სუნდუკიანცი ერთ საუკეთესო დრამატურგად უნდა ჩაითვალოს ქართულ მწერლობაშიც. რადგან სუნდუკიანცმა დიდი და შეუფერხებელი გავლენა იქონია ჩვენს ახალ დრამატულ მწერლობაზე.

...გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის შემდეგ გ. სუნდუკიანცმა შემატა ქართულ რეპერტუარს უტყუარი ხელოვნური კომედიები, პირდაპირი ცხოვრებიდან ამოგლეჯილი მოქმედი პირობი, მართებული ხასიათები და ტიპები; სუნდუკიანცი თავის პიესებში ეხება თბილისის ცხოვრებას, აქაურ ვაჭრებს, იგი აშკარად გვიჩვენებს მათ ნაკლოვანებებს, ზნე-ჩვეულების სიღარიბეს. მათ ფუჭ ყოფა-ცხოვრებას და ყოველივე ამას ხატავს საოცარი ხელოვნებით... ამიტომაც, თუ მართლა დრამატურგს სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაშინ სუნდუკიანცი უსრობა დიდად სასარგებლო იყო სომეხი და ქართული საზოგადოებისთვის“ (იქვე, გვ. 32).

**თეატრის ესთეტიკური ბუნება.** მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული თეატრი რუსული რეალისტური სკოლის ზეგავლენას განიცდიდა, განსაკუთრებით რელიეფური იყო მცირე თეატრის ისტორიულ ნადაგ-ზე გადმონერგვის ტენდენცია. ეს ისტორიული კანონზომიერება იყო აღორძინებული ქართული თეატრის განვითარებისათვის. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ

იგი ისტორიული კატაკლიზმების გამო თვით-  
მყოფადი, ეროვნული სახის განვითარების  
ტრადიციას მოწყვეტილი აღმოჩნდა. ამას  
გარდა, თავისთავად, მცირე თეატრის ესთე-  
ტიკური პოზიცია დიდი რუსი დემოკრატე-  
ბის ესთეტიკური ნაზრების საფუძველზე  
იყო აღმოცენებული. ამგვარად, მთელი ვი-  
თარების გათვალისწინებით, მცირე თეატრის  
სკოლის გავლენა არა მხოლოდ ისტორიული  
კანონზომიერება იყო, არამედ კანონზომიერ-  
ი აუცილებლობაც. ცხადია, ვ. გუნიას თე-  
ატრალურ ნაზრებში, ისევე როგორც მისი  
უფროსი კოლეგის დიდი ვასო აბაშიძის შე-  
ხედულებებში, აშკარად სკვივის რეალისტ-  
ტური რუსული თეატრის ესთეტიკის გამო-  
ძახილი. მაგრამ საოცარი ისაა, რომ ქართუ-  
ლი თეატრის ამ ორი გამორჩენილი მოღვა-  
წის ნაწერებში, ჩვენ მრავლად შეგვიძლია  
შევნიშნოთ ახალი დროის თეატრის კონტუ-  
რები, რომლის საფუძველები, შემდგომ, კ.  
სტანისლავსკის „სისტემაში“ ჩამოყალიბდა.  
თეატრი, მსახიობის უპირველესი მოვალე-  
ობაა — ვ. გუნიას აზრით — „მართალი,  
უტყუარი, უმეტნაკლებო გამოსახულება  
ადამიანის ბუნებისა“, მათ უნდა შექმნან  
არა ილუზიური სამყარო, არამედ ცხოვრე-  
ბასთან უადრესად მიახლოებული „მართლ-  
წარმოდგენა“. მაგრამ ეს „მართლწარმოდგე-  
ნა“ — ცხოვრების რეალური სინამდვილის  
სწორი ასახვა — როგორც ზემოთ ვნახეთ —  
ვ. გუნიას ინერტულ ასახვად მიაჩნია თუ  
მასში ნათლად არ არის გამოკვეთილი შინაგა-  
ნი ტენდენცია, ანუ, როგორც დღეს ჩვენ  
ვითყვით, მსახიობისა და თეატრის პოზი-  
ცია. ვ. გუნიას უფრო რეალისტური-ფსიქო-  
ლოგიური თეატრისაკენ იხრება: მისი აზრით  
მსახიობის დიდი ნიჭის დამადასტურებელია  
„გამსჭვალვა და ჩაძრომა ადამიანის სულის  
ულრმეს უფსკრულში, გამოცნობა მისი ხა-  
სიათისა, გამორკვევა მისი იდუმალი, თვალ-  
შეუპყნველი სულის მოძრაობის მიზეზე-  
ბისა და დახლართულ მდგომარეობათა  
გრძნობა ოდნავ დასანახი გულის ცახცახისა,  
შევგება სიტყვაში მიმაღული აზრის“. იგი  
უფრო შორს მიდის, უარყოფს „მიბაძვის  
თეატრს“. სხვა კომპონენტთა შორის წინა  
პლანზე აყენებს ინტელექტუალურ, აზრობ-  
რივ მომენტს, რომელიც გამონაგონით, თე-  
ატრალური გამონაგონითაა გაციკროვნებუ-  
ლი. სასცენო შემოქმედებას უნდა ახლდესო

„ყველაფრის განმჭვრეტი გონება... უნდა და  
ფიზიკური ფანტაზია, (სწრაფი) მოსახრება,  
მაღალი გრძნობიერება და კეთილშეშობა“  
აქმაყოფილებს იმდროინდელი ქართული  
თეატრის ვითარება, გრძნობს რუსტინას,  
ცოცხალი შემოქმედების, დროის შესაფერი  
იდეებისა და ფორმების ძიების აუცილებ-  
ლობას: „სულიერი თეატრი“ (გრძნობა-გო-  
ნებისა) ვერ მხოლოდ ოცნებაში თუ არსე-  
ბობსო, ხოლო „თეატრი გარეგნობისა“ —  
არსებითი მოვლენათა.

„ჩვენ თეატრს ძველი წესწყობილება მო-  
ბეზრდა და ახალს რასმეს მოვლის... საზო-  
გადოებაშიც ხშირად ისმის საყვედური  
ძველისადმი და ნატვრა რაღაც ახლისა,  
რომელიც ვერ-ვერობით არც მნატვრელებს  
გამოურკვევიათ... და არც საკვირველია —  
ევ ახალი ვერ რუსეთშია არ არის საქმოდ  
გამორკვეული და განმარტებული, მაგრამ შე-  
დარებით იქ უფრო მეტია შეგნებული ამ  
ახალი თეატრის აზრი და საგანი. საქმარისია  
მოვიხსენიოთ მოსკოვის სამხატვრო-სალი-  
ტერატურო თეატრი და მისი საქმის დაყენე-  
ბა. ამ ახალ თეატრთან ახალი რეპერტუა-  
რიც შემოდის... სხვათაირი ხასიათის პიე-  
სებს სწერენ. სრულებით არ გვანან ძველ-  
ბურ, ჩვეულებრივ პიესებს... ეს ჩანაწერი  
1905 წელსაა გაკეთებული („ფიქრები და  
შენიშვნები“). აღსანიშნავია, რომ თავის  
თეორიულ წერილებში ვ. გუნია გამუდმე-  
ბით ცდილობს წინ წამოსწიოს ანალიტიკუ-  
რი გონების პრიმიტივი განსჯის, ღრმად გააზ-  
რების აუცილებლობა. ეს სრულიად ახალი  
მომენტია მე-19 საუკუნის თეატრალურ ეს-  
თეტიკაში და ვ. გუნიას შორსმჭვრეტელობა-  
ზე მეტყველებს. თვით იგი, თავისი მსახი-  
ობური შემოქმედებით, ამ ესთეტიკის კონკ-  
რეტულად განასახიერებდა. აკაკი წერეთელ-  
მა მას „კჷუა-მეცადინეობით გაართისტებუ-  
ლი“ უწოდა. იმდროინდელი რეცენზენტების  
ყურადღების გარეშე არ დარჩენილა მისი  
ეს თავისებურება. მის მიმართ ხშირად ხმა-  
რობენ ამგვარ გამოთქმებს: „დახელოვნებუ-  
ლი და კეკიანი არტიტი“. „ყველაზე უფრო  
აზროვანი და ხელოვანი მოთამაშე“. ვრცელი  
იყო მისი რეპერტუარი, რომელიც მოიცავე-  
და ურთულეს კლასიკურ სახეებს — ოტე-  
ლოს, მეფე ლირს, კარლოსს, ოიდიპოსს, შე-  
სანიშნავი იყო რუსულ პიესებში (სკალაზუ-  
ბი, ოსიპი, მედვედევი), მაგრამ თანამედრო-

ვეთა მოწმობით შეუდარებელი ოთარ-ბეგი იყო. შალვა დადიანის და ნინო ჩხეიძის მოგონებანი გვიდასტურებენ თუ რა აღჩაყვებული ყოფილა „დალატის“ ავტორი სუმბათაშვილი-იუჟინი — თვის საუკეთესო ოთარ მცირე თეატრის სცენაზე, ვ. გუნიას თამაშით („მე შენგან უნდა ვსწავლობდე ოთარის თამაშს“).

შესანიშნავი ვაჟკაცური გარეგნობა. ძლიერი გრძნობების გამოხატვის ნიჭი, გამოკვეთილი „გაწონასწორებული“ პლასტიკა, „სასცენოდ მომადლებული ხმა“ (ა. წერეთელი), მისი „გრძნობით გაყვნილი ხმა მდიდარია სულიერი ვითარების ამა თუ იმ მიმოხრის გამოსახატავად. მალალ ფარდებიდან დაწყებული დაბალ ფარდამდე ამ მსახიობს შეუძლიან იუმორიც და ტრაგიზმიც თანასწორი ძლიერებით აღბეჭდოს“ („ივერია“) — ყოველივე ეს — გამრავლებული დიდ ერუდიციან და თანმიმდევრულ შრომაზე მეტად თვალსაჩინო იყო მთელი მეცხრამეტე საუკუნის თეატრალურ პანორამაში. თითქოს პარადოქსია: მთელი მისი ფსიქო-ფიზიკური ბუნება იმისთვის იყო მოწოდებული, რომ მას გამირულ-რომანტიკული რეპერტუარი შეექმნა და ამგვარი თეატრის ადვოკატი ყოფილიყო, იგი კი უსწრებდა თავის დროს, „სჯობნიდა“ თავის თავს და „სულიერი თეატრისაკენ“ მიისწრაფოდა, სადაც გრძნობისა და გონების პარმონია იქნებოდა მიღწეული. აქაც, ისევე როგორც მთელ მის მოღვაწეობაში და ნააზრევში, ნათლად ჩანს, თუ რა ახლოსაა იგი ჩვენს დღევანდლობასთან. დღევანდელი ქართული თეატრის ძიებებთან. რომელნიც უკავშირდებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პოზიციას, თეატრის ესთეტიკურ და ეთიკურ შინაარსს, მის ეროვნულსა და ინტერნაციონალურ ბუნებას, ერთი სიტყვით, იმას რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

სხვა გამოჩენილ ქართველ თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად ვალერიან გუნიათ თავისი მხრებით მოიტანა ქართული თეატრის დამზარებელი შენობა განახლებული საქართველოს ახალი თაობისათვის და ამ ეროვნული სხეულის გამრთელება უკვე სწორედ ამ ახალი თაობის საქმე იყო, თაობისა, რომელსაც სიყვარულით და იმედით შესცქეროდა ჭეშმარიტად სახალხო არტისტი — ვალერიან გუნია, „წინიდი უმწიკლო და უშიშარი“.

# მეიერჰოლდი ლაკარაკობს\*

მცდარი აზრია, თითქოს, თანამედროვე რეჟისორს ცნება „ამპლუა“ არ სჭირდებოდეს, საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ ამ ცნებით. აი, თუ გნებავთ ერთი პარადოქსიც: მე უნდა ვიცოდე, ვინაა ჩემს თეატრში „არაზოი“, რომ მას არ მივცე „არაზოების“ როლი. მრავალჯგონე შემინიშნავს, თუ რა საინტერესოდ წამოსდგება ჩვენს წინაშე მსახიობი, როცა იგი ერთგვარად ებრძვის თავის პირდაპირ მონაცემებს. ის მონაცემები ხომ მაინც მასთან დარჩება, მაგრამ ისინი თითქოს აკომპანირებას გაუწევენ მისგან შექმნილ სახეს. გმირი ქალების შემსრულებელი პროვინციელი მსახიობი კატერინას როლში — ამაზე მოსაწყენი რა უნდა იყოს. კომისარეფცეია: გმირი ქალებს თამაშობდა, თუმცა სულაც არ იყო „გმირი“ და სწორედ ამით იყო მშვენიერი. სამშობლოდ, მსახიობის ბუნება ისეთია, რომ თუ როლს თავისი პირდაპირი ამაღლით იღებს, საერთოდ არ მუშაობს მასზე. ჭკონია, ხმა ან გარეგნული მონაცემები გამოყვანს ფონსო. მსახიობს რომ მუშაობის ცეცხლი წაუ-

\* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 3 1982.

კიდო, მას ზოგჯერ შეგნებულად უნდა დაუსახო პარადოქსული ამოცანა, რომლის გადაჭრისთვისაც მას მოუხდება თავისით თქვას უარი თავის „ნორმებზე“. ჩემს პრაქტიკაში როლების განაწილების ასეთი მეთოდს უოველთვის კარგი ნაყოფი მოჰქონდა. არ მიყვარს დათვლული მოდელამატორე ფერდინანდები, დულუნახმიანი კატერინები და მოსხაპახებუე ხლესტაკოვები!

მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორ ფიზიკურ რაკურსში დამდგარი მსახიობი ტექსტსაც სწორად წარმოთქვამს. მაგრამ სწორი რაკურსის არჩევაც ცნობიერების, შემოქმედებითი აზრის აქტია. რაკურსი შეიძლება იყოს მცდარი, მიახლოებითი, ახლო, თითქმის სწორა, შემთხვევითი, ზუსტი და ასე შემდეგ. არჩევის დიაპაზონი უზარმაზარია. მაგრამ როგორც მწერალი ეძებს ზუსტ სიტყვას, ასევე ვეძებ მე უზუსტეს რაკურსს.

მაწანსცენა — ეს სულაც არ გახლავთ სტატიური დაქუფება, ეს — პროცესია; დროის შემოქმედებაა სივრცეზე. პლასტიკური საწყისის გარდა, მასში არის დროითი, ესე იგი, რიტმული და მუსიკალური საწყისიც.

როცა ხილს უფურებთ, თქვენ თითქოს ზედვთ ლითონით აღბეჭდილ ნახტომს, ესე იგი პროცესს, და არა სტატიკას. დამაბულობა, რომელიც გამოხატულია ხილში, — აი, რა არის შთავარი და არა ის ორნამენტი, რომლითაც მორთულია მისი შთავარი.

სხვა რიგის შედარებებს თუ გამოვიყენებთ, კიდევ შემოიძლია ვთქვა, რომ თუ მსახიობის თამაში მელოდიაა, მიწანსცენები — მარმონია.

რეჟისორს არ უნდა ეშინოდეს რეპეტიციებზე მსახიობებთან კონფლიქტისა, ხელჩართული ბრძოლისაყ. რეჟისორის პოზიციის ს-მაგრე ისაა, რომ მან,

მსახიობისგან განსხვავებით, უოველთვის იცნს (სულაცოდეს) როგორია სპექტაკლის ზვალინდელი დღეიგი გათანაგულია მთლიანით, ამიტომ ჩნს მსახიობიერია მსახიობზე. ჩხუბი და შეტაკებები ნუ გაშინებთ!

ძალზე ცუდა ამბავია, რეჟისორი წინასწარი გეგმით თვალდამინდული თუ მუშაობს და არა აქვს უნარი იმით სარგებლობისა, რაც, ზოგჯერ რომელიმე შემთხვევითობამ შეიძლება სავსებით გაუთვალისწინებელი უფექტი გვიკარნახოს და ამით სარგებლობა უნდა შეგვეძლოს. ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა, რამდენიც გნებავთ, იმდენი უოფილა. მოვიტან ორ მაგალითს ჩვენს უთანასკნელ სპექტაკლებზე მუშაობიდან. ერთ-ერთ გენერალურ რეპეტიციაზე („კალი კამელიებით“) პირველი მოქმედების მეორე სცენაში მსახიობებმა შემთხვევით ისე მალლა დაიწყეს საკარნავალო სერპანტინის სროლა, რომ იგი უთან არ დაბრუნდა, ტროსზე ჩამოეკიდა და ეს ისე მოულოდნელად ლამაზი იყო, რომ დამსწრეთა შორის აღტაცების ტალღამ გადაიბინა. მკაცრად თუ ვიტყვით, ეს იყო „ზედმეტობა“, მაგრამ მან მშვენიერი შტრიხი გვარქუა. გასტონის როლის შემსრულებელმა ისარგებლა ამით, ჩემგან მიუთითებლად ზელი წავალო სერპანტინის ლენტის ბოლოს და მარგარიტასთან სცენაში დაბნეულად დაიწყო მისი დახვევა. ისდა დამრჩენოდა მხოლოდ მომწონებინა ეს და რამდენადმე გამვეითარებინა, გამედრმავებინა. „რესტორნის“ სცენის (სპექტაკლი „შესვლა“) რეპეტიციაზე ასეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევითობა იყო კულისებს უთან, კონსტრუქციებს მმართავი, რეპეტიციისგან თავისუფალი ერთ-ერთი მსახიობის ბრახუნით ჩამოხტომა იატაკზე. ეს ბრახუნი რიტმულად ისე დაემთხვა ვ. ა. შებალინის საცეკვაო მუსიკაში ლიუფტპაუზას, რომ მე ვიკრქენი ჩემს მიერ ჩაფიქრებული ჰუგო ნუნახის სვლა სცენის სიღრმადან წინ და მარჯვნივ უნდა შემეცვალა და სვერდლინს დავუდგი ცეკვა, რომელიც სპექტაკლში მისი შესრულებით უოველთვის ოვაციებს იწვევს.



3. მეიერჰოლდი

„ვაი ჭკუისაგან“-ის პირველ რედაქციაში მრავალი შეცდომა დავუშვი. თუმცა, რაც მართალია, მართალია, ამაში დიდად დამეხმარა მხატვარი შესტაკოვი. სპექტაკლში ცრუ ავადმისმმა შეიქმნა. ცალკეულ ეპიზოდები არაპროპრიულად გაიზარდა და ერთმანეთს ის ემბეზოდნენ. 1935 წელს მე გავაკეთე ახალი რედაქცია, რომელშიც ზოგიერთი ჩემი შეცდომა გავასწორე. გადაკეთება მსახიობთა მიერ შექმნილ სახეებს თითქმის არ შეხებია (გარკვეულ დახვეწას თუ არ ჩავთვლით). ამ მხრივ ჩვენ 1928 წელსაც სწორ გზაზე ვიდექით. ამ სპექტაკლში დაშვებული შეცდომებისათვის პასუხს მხოლოდ მე და შესტაკოვი ვაგებთ, მსახიობებს კი ოდნავადაც არ ვაძანაშაულებ.

რეჟისორს უნდა შეეძლოს სწორად წაკითხვა პიესისა, რომელსაც ის დგამს, მაგრამ ეს ცოცხა — უნდა შეეძლოს თავის წარმოსახვაში ააგოს ის, რასაც მე ჩემთვის „პიესის შორეუ სართულს“ ვეძიებ. რაც გინდა, ის თქვი, მაგრამ პიესა თეატრისთვის მხოლოდ მასალაა. მე შემოძლია პიესა ისე წაკითხვით, რომ მასში ასოც კი არ შევცვალო. მაგრამ მხოლოდ რეჟისორული და მსახიობური აქტებებით ავტორის სულის საწინააღმდეგო სული გამოვიყვანო. ამიტომ ავტორის ჩანაფიქრის შენარჩუნებისა და ზორცქმსმისთვის ბრძოლა პიესის სიტყვებისა და ასოებს სთვის ბრძოლა არაა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში იყო შემთხვევები, როცა ცენზურა რეპერტუარით ხსნიდა პიესებს, რომლებსაც კოლეჯისს არავითარი შიში არ გამოუწვევია და დადგმის ნებართვა მიუღია. მაგრამ მოჩლოვის ტიპის მსახიობებს — მხატვრებს თავიანთ შესრულებაში შექმნიდათ ის, რაც ტექსტის გარეთ იყო: იგულისხმება მიმიკური თამაში, პაუზები, დაუყოვნებელი, ექსტრემი, რაკურსები, ნაირნაირი აქტებები, დარბაზი ამას მშვენივრად ხვდებოდა და რეაგირებდა სათანადო იყო. სწორედ ეს იყო ის, რასაც მე „პიესის შორეუ სართულს“ ვუწოდებ. და მაშინ ეს იყო შემთხვევითობა, ნახევრად იმპროვიზაციულია, რადგან რეჟისორული ხელოვნება არ არსებობდა. ასეთ სპექტაკლებს რომ ნახლობდნენ, ცენზორები თავში ხელს იტაცებდნენ და ადრე ნებადართული პიესა წარმოადგენის შემდეგ იკრძალებოდა. ამ შემთხვევაში, მათ თეატრის ბუნება უფრო ენსობდა, ვიდრე ზოგიერთ ჩვენს კრიტიკოსს. ვინც ჭერ კიდევ ტექსტის ასოებსა ჩაბლაუტებულ.

თანამედროვე რეჟისორი უნდა იცნობდეს არა მარტო აქტიორული ემოციის ზემოქმედების სწორ ხას — გამოვლდა რამის შუქზე და ბრწყინვალედ წაკითხვა მოწოდოვი, — ის უნდა იცნობდეს სახეობრივი ასოციაციების რთულ და გვერდით სვლებსაც.

რეჟისორი დროს ისე უნდა გრძნობდეს, რომ ამასთვის გიბიდან საათის ამოღება არ სპირდებოდეს. სპექტაკლი დანაშაისა და სტატკოსს, აგრეთვე განხვევულ დინამიკათა მონაცვლეობაა. აი, რამომა, რომ რეჟისორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსებად რიტმული ნიჭიერება მიამჩნია. სცენური დროის მჭაფრად განცდის გარეშე კარგი სპექტაკლს დადგმა შეუძლებელია.

როცა მე „ტუის“ ტექსტი ეპრობებდალ დავერე, ვკრდნენ — კინოს ბაძვსო და არაქის გასტერბოა, რომ „ბორის გოდუნოვი“ და შექსპირის შრქქმს შეველა პიესა ასეთ აგებულო.

ილინსკის თამაში „ტუეში“ მ. პ. სადოვსკის დიდი ტრადიციების უყვალა შე თანმიმდევრული გაგრძელებაა. ან როლის შესრულების სადოვსკისეული ტრადიციებიდან მოდის ეს გრანოზოს ტონი, სიმსუბუქე, სასწრაფე. ეს ხაზი თვითონ სადოვსკიმ ენაწერი თეატრის მცოდნე ა. ნ. ოსტროვსკისაგან აიტაცა. მაგრამ ილინსკი თანამედროვე მსახიობა. ის ჩაბინის გავლენის გარეშე არ დარჩენილა. ოსტროვსკი-სადოვსკის ტრადიციისა და ჩაბინის გავლენის ნაერთი — აი, ილინსკის მიერ შექმნილი სახის გენეალოგია.

ახლა „ტუეში“ ზოგი რამ მოუხეშო, პრიმიტიული სწორხაზოვნული, ხაზგასმულად ტენდენციური გვიკენება. მაგრამ ერთმანეთს შეადარეთ 1924 წლის გავთვის, მაშინდელი „კროკოდლის“ და „უდმერ პოს“ ქაღალდით დევანდელი გავთვისა და „კროკოდლის ქაღალდს. ოციანი წლების რაბფაკოველებიც ასევე არ მკავდნენ ოცდაათიანი წლების უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს. ჩვენი „ტუე“ მთლანად იმდროინდელი მაჟურებლისთვის, ეს იგი, ოციანი წლების შუახანების მაჟურებლისთვის იყო გამ.წუნული. და არაა გასაკვირი, რომ სპექტაკლი რადაც-რადაცუებით მოძველდა. შეიძლება გავგაოცოს იმან, რომ იგი შედარებით ნაკლებად მოძველდა და უწინდებურად იწყვეს მაჟურებელთა დარბაზის მქუხარე ოცავენებს. მაგრამ ეს უკვე სხვა რამით აახსნება: იმით, რომ მაშინდელ თანადროულობაზე გამიზნვის გარდა, სპექტაკლი აღბეჭდილია საუკეთესო თეატრალურ ემოქთა ტრადიციების შესწავლის გავლენით. მოდით, მოკვლოთ სპექტაკლს უყვალური, რაც „დღობრივი კირ-ვარამიდან“ მოდიოდა და დაღეს მაჟურებლისთვის უკვე გაუგებარია. ჩემი დაკვირებით, ამ აოხე მტერ წლის განმავლობაში მრავალჯგის გადაკეთებით სპექტაკლი სულ უფრო და უფრო ნაკლებ სატრული და სულ უფრო და უფრო რომანტიკული ხდება. ეს თითქმის ევოლუციურად მოხდა და, ეტყობა, სავესებით კანონზომიერადაც (ჩაწერილია 1936 წელს).

პრემიერა სპექტაკლისა „ქალი კამელიებით“, საშინლად ვეღვაჟ. იღვლებ, აბა, რა იქნება: სპექტაკლი გაერთალურ რეპეტიციას თითქმის სუთ საათს გვერდელდა. დემონსტრატორები მზად იყვნენ ცოცხლად შევექამეთ. რადაც-რადაცუები მე სახელდახელოდ შევამიკრე, მაგრამ სპექტაკლი მაინც გრძელი იყო და, რაც უველაზე მეტად ართულებდა საქმეს, ეს მის სპეციფიკას არ შეესატყვისებოდა. მისი ზომიგადასული შემეიტება დაეწინაგავსებოდა ტოლსტოის დიადი რომანიდან გაკეთებულ ამერიკულ კოპონებს, ამ ბელეტრისტულ კონსერვებს. მაჟურებელთან შეხვედრას უდიდესი მღელვარებით ველოდი. მოისურვებს კი იგი, რომ გულისხმობით უსმინოს ჩემს აუჩქარებელ საუბარს? და მე პრემიერაზე გულაჩუყებისგან ცრემლი ვერ შევკავე („ცრემლი“ აქ რიტორიკული იღვთი არ გგონოთ, ეს ფაქტია), როცა დავინახე, რომ მაჟურებელი სპექტაკლს თვიადან ბოლომდე გულისხმობით უყურებდა და უხმებდა. შემდეგ კი ასეთი ახსარი მომივიდა: მოჩქარე მაჟურებელთა თეატრის მტერია.

მწარე წამალს ჩვენ ვუღაპავთ, გემრიელი კერძით — პირს ნება-ნება ვიტკბარუნებთ. მაყურებელია მომთმენლობით ბოროტად არ უნდა ვისარგებლოთ, მაგრამ არც ის ვარგა, რომ იმ მაყურებელს ნებას დავეყვით, ვისაც, ვინც სცალია“. თუ თეატრს არ უნდა უფუძლია, რომ მაყურებელს ეს „არ მცალია“ დაეაწყოს, აქვს კი აზრი ასეთი თეატრის არსებობას?

რევისორი უნდა იცნობდეს ყველა სფეროს, რომლებსაც შეიცავს თეატრალური ხელოვნება. მე მინახავს ედვარდ გორდონ კრეგი რეპეტიციულ და უოკელისთვის მხიბლავდა ის, რომ იგი არასოდეს არ უყვინის: „მომცითი ცისფერი შუქი“, არამედ ზუსტად უთითებს: „ჩართეთ მესამე და მეოთხე ნათურები!“ მას დურგალიანაც შეეძლო პრაქტიკული საუბარი, თუმცა, შესაძლოა, თავისი ხელით უბრალოდ სკამიც კი არ გაუყუბებია. საათობით უნდა იქნებ გამნათებელთა რბობაში, თუ გინდა იმის უფლება მოიპოვო, რომ თვალში გიყურონ. როცა მეკრავი შეეკრიბა კოსტუმებს მოიტანს, რევისორმა არ უნდა დაიწყოს ლულულა: „აქ განიერია, აქ კიდევ ვიწროა“, არამედ უნდა თქვას და გაათავოს: „აი, ეს ნაყრი გამოარღვიეთ და აი, აქ მავთული გაატარეთ“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არ დაგინუებენ ზარმაცი თანამშრომლები იმის მტკიცებას, ვადასაკეთებელი აქ არაფერიაო, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ და თქვენც მათი ლიტონი სიტყვის დაჯერება არ მოგიხდებათ. სტანდალაცი სტენური კოსტუმების ბუნების გასაგებად პაროში სწავლობდა ჭრა-კერვას.

რევისორი მოვალეა ყველაფრის დადგმა შეეძლოს. მას არა აქვს უფლება ჰგავდეს იმ ექიმებს, რომლებიც მხოლოდ ბავშვთა, ან ვენერული ავადმყოფობების არიან დასპეციალებულნი, ან მხოლოდ ყელ-ყურ-ცხვირს მეურნალობენ. რევისორი, რომელიც მხოლოდ ტრაგედიების დადგმის პრეტენზიას აცხადებს და კომედიას ან ვოდევილს ვერ დგამს, აუცილებლად ჩაუვლავდება, იმიტომ, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებაში მალაღობა და მდაბალი, გემლი და სიხარული, ნათელი და ბნელი ყოველთვის ეკვრის-გვერდ დგას.

თქვენ ვერ წარმოიდგინთ, ჩემს თვალწინ როგორ შეიცვალა მაყურებელთა დარბაზის აღმქმელობითი უნარი. მაყურებელი სცენებისა და შუქის სწრაფ მონაცვლეობას „ბალანსირაჟშიც“ კი ვერ ეგუბებოდა, „ტყის“ ერთ-ერთი სცენა კი (სკამების სროლით), რომელიც დღეს მქუხარ ტაშს იწყებს, საუყურის დასაწყისში, უბრალოდ, გაუგებრობას იწვევდა.

მე ძალზე დიდ გულუბრუნებლობად მიმაჩნია კამათი, რომელიც ჭერ ისევ გრძელდება თეატრალური ეურნალების ფურცლებზე: ვინ არის სპექტაკლის შემქმნელი წამყვანი ფიგურა — რევისორი თუ დრამატურგო? ჩემის აზრით, წამყვანია აზრი, ვისაც არ უნდა ეთუფლებს იგი. დღუმივარტის (ავტორი-რევისორი), ორი წევრიდან ვისი აზრიც უფრო მნიშვნელოვანი, აქტიური, მწვევე იქნება, მოცემულ შემთხვევაში „წამყვანიც“ ისაა. ფაიკსა და, თუ გნებავთ, ერდმანთან უსთიერთობაში „წამყვანი“ მე გახლდით, მაიაკოს-კასთან ურთიერთობაში კი, ვულაბილადა უნდა მოვახსენოთ, სხვაგვარი ვითარება იყო... მაგრამ აქ მე ვერ ვხედავ ვერაფერს ისეთს, რაც — პირველ შემთხვე-

ვაში — დრამატურგს, ხოლო — მეორე შემთხვევაში — რევისორს — საწყენად შეიძლება დურგან.

მე ფართო დიპლომის მსახიობი ვარ, რომელიც უნდა შეეძლოს უბოძი კომიკურ როლებსაც და ტრაგიკულსაც, მგონი, ქალების როლებსაც კი. მაქვს მუსიკალური და ქორეოგრაფიული განათლება. ამას გარდა, ცნაველობი იურიდიული მეცნიერებებს, ვიბედობი გახუთებში და ვთარგმნიდი უცხო ენებიდან. ჩემს თავს ვთვლი ლიტერატორად და პედაგოგად. და ყველაფერი ეს გამოხდა რევისორაში. კიდევ სხვა რომელიმე სპეციალობები რომ ვიცოდე, ისინიც გამოხდადგობდა. რევისორმა ბევრი რამ უნდა იცოდეს. არსებობს გამოთქმა: „ვიწრო სპეციალობა“. რევისორა ამქვეყნად ყველაზე ფართო სპეციალობაა.

მაყურებლის შთაბეჭდილება უფრო მდიდარი მაშინაა, როცა იგი ქვეცნობიერია. ზოგიერთ ჩემს ხერხს მე თვითონ ვუმალავ მაყურებელს. ილინსკი — პრისკინის სვლები „საერთო ხაცხოვრების“ სცენაში („ბალინჯო“) თითქმის მთელ სცენაზე დაქიმილი სიმია, ისინი ქმნიან აუცილებელ დაძაბულობას, მაგრამ მე სულაც არ მინდა, რომ მაყურებელმა ეს შეამჩნიოს.

ამას წინათ ვნახე ერთი სპექტაკლი, რომელშიც რევისორმა საქმის ცოდნით ააგო მიზანსცენები, მხატვარმა შესანიშნავი დეკორაციები გააკეთა, ბრწყინვალე მსახიობი თამაშობდნენ და პიესაც არ იყო ურგო, მაგრამ მაყურებლები თანამგრძობლური სიცილით რეაგირებდნენ ბრიყვი პერსონაჟის ყველა რეპლიკაზე, რომლის როლსაც აღმაშფოთებლად მცდარად თამაშობდა კარგი მსახიობი და გულგრილად ისმენდნენ დადებითი პერსონაჟების მონოლოგებს. და მე ვუთხარი ჩემს თავს: ასეთი რევისორი თეატრიდან უნდა გაავადო იგი უნიჭობის განსახიერება და ყველაზე საშიში სულელია, მტერზე უარესი რომა! თქვენ გინდათ მითხოთ, რომელი იყო ის სპექტაკლი? ვითომ, ცოტაა ასეთი სპექტაკლები?

ძალზე მათყობებს ერთი რამ — მაყურებელი ხომ არ შევარჩევთ უაზროდ, სულელური საბაბით სიცილს — სიცილს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. მეტისმეტად ბევრს ხომ არ იციან ახლა ჩვენს თეატრებში? ხომ არ დადგება ხვალ ისეთი მომენტი, როცა მაყურებლებში, თუ მათ გასაკინებლად არავითარ რისკს არ დავერიდებით და ამით წვახლდნენ, ულათოთ ხორხოციან სამარისებური სიწმითე შეხვდებიან დახვეწულ, რთულ, ჭკვიანურ პიესას? სწორედ ამიტომაც, რომ მე გაცხარებთი ვესმის თავს დრამატურგ X-ს. შესაძლოა, იგი ნიჭიერი კაცი იყოს, მაგრამ იგი აქტიურად მონაწილეობს უკუყო სიცილით მაყურებლების გაუფუქებაში. თუნდაც მხოლოდ ამის გამო მძულს მე იგი მთელი ჩემი არსებით!

თუ თქვენ პიესის კითხვა დაიწყეთ, ნუ შეისვენებთ, და თუ მაინც შესვენება მოგიხდათ, ისევ თავიდან დაიწყეთ კითხვა. შემწინდელი მაქვს, რომ პიესას მაშინ აუთავს სათანადოდ, როცა მას თავიდან ბოლომდე შეუსვენებლად, ერთი ამოსუნთქვით კითხვობ.

სცენაზე შემთხვევით არაფერი ხდება. ერთ სპექტაკლში მე დავინახე ერთ პერსონაჟს — მამაკაცს გავლისას შემთხვევით როგორ გაუვარდა ცხვირისახოცი

და სცენაზე დარჩენილმა მეორე პერსონაჟმა — ქალმა როგორ აიღო იგი. თითქოს არაფერიც არ მომხდარა — დიდი ამბავი! მაგრამ, ვხედავ, მაყურებლები უკვე რაღაცას ეჩორჩულებიან ერთმანეთს. მათ, ეშმაკმა იცის, რა არ იფიქრეს ამ პერსონაჟების ურთიერთდა-მოკიდებულებაზე და ელიან, რომ მათ შორის მალე რაღაც უნდა მოხდეს...

ძველი სუფლიორები გენერალურ რეპეტიციაზე ყოველთვის აღნიშნავდნენ თავიანთი ეგზეგლარებზე, თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელებულიყო ესა თუ ის მოქმედება: ვთქვათ, პირველი მოქმედება — 34 წუთს, მეორე — 43 წუთს, მესამე — 25 წუთს... მე შინა-ხავს ეს ჩანაწინებები პიესების ძველ სასუფლიორო ეგზეგლარებზე და დიდხანს ვერ გამეგო, რატომ აკე-თებდნენ ამას, ვიდრე ძველმა თეატრალებმა არ ამიხ-სნეს. გამოირკვა, რომ კარგი, გამოცდილი სუფლიორი მოვალე იყო გაეკონტროლებინა რამდენ ხანს მიდიოდა სპექტაკლი, დღეს ჩვენ ვლასპარაკობ ქრონომეტრებზე და ფოქრობთ, რომ ამერიკა აღმოვაჩინეთ, ეს კი ძველად უკვე კეთდებოდა. სუფლიორი სპექტაკლის შემდეგ მოვალე იყო მოესხენებინა, ვისთვისაც ჭერ არს: სპექ-ტაკლი დღეს ამდენ და ამდენ ხანს მიდიოდა, რადგან ეს და ეს ამა და ამ სცენაში მისთვის დადგენილ დროში ვერ ჩაეტია... ან სცენარისთვის ესა და ეს დააკვირათ და ა. შ... ეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იყო, მოქმედების გაკიანურებით ან დაჩქარებით ჩვენ შეიტკობდა სპექტაკლი წვაახლინით. სწრაფად ითამაშეთ მტკობლინი და ვოდეთილი შეგრჩნებათ ხელთ. მდო-რედ ითამაშეთ „მეზობელი კაცი და მეზობელი ქალი“ და თქვენ მოგჩვენებთ, რომ ეს ლეონიდა ანდრეევის პიესა არაა.

რეჟისორს უნდა შეეძლოს შედეგის გულითთვის ზოგჯერ იუმორის. როცა შე აღექსანდრეს თეატრში „მახანარ ტატარის“ ვდგამდი, იქ მქონდა დიდი მახ-სობრივი სცენა, რომელსაც სულ მუდამ მიფუჭებდნენ სანიის მიერ აღზრდილი სტატიტები, რომლებიც იმაზე მეტად იღებდნენ თავს, ვიდრე მათ ეცინებო-დათ. ისინი თავს არ იზოგავდნენ: ყოველი მათგანი ცდილობდა მოეჩადოლებინა შეცამეტე ან შეთქვსმეტე რიგში მჭადარი, კონტრამარკით შემოსული ნაცნობი ქა-ლიშვილი და მე ამას ვერაფერი მოვუხერხებ. მაშინ მასის ყველა წევრი ვიძულე ხელი ჩაეკეთათ ერთმა-ნეთისთვის. უკვე აღარ მახსოვს, რითი დაუხსაბუთე მათ ამის აუცილებლობა (ეს იყო „სტრუნიკების“ ბრბო), მაგრამ, როგორც კი მათ ხელი ჩაჰკიდეს ერთ-მანეთს, უკვე აღარ მოვუწოდებდი ზომიერებისკენ, პირიქით, იქით ვუჩიოდი: „უფრო ენერგიულად! უფრო ცოცხლად!“-მეთქი, ჩემთვის კი გულში მდღე-მებოდა. მე რომ მათთვის კატეგორიულად მებრძანე-ბინა: „ჩუმიდა, თავი შეიკავეთ!“-მეთქი, მორჩა, ვერა-ფერს შევასმენდი...

მე არ მიყვარს პიესაზე მუშაობის დაწყება პირვე-ლი მოქმედებიდან, მე მომწონს, მსგავსად ზოგიერთი ფრანგი დრამატურგისა, რომლებიც მუშაობას ბო-ლოდან იწყებდნენ, ჭერ კულმინაციურ მომენტს ქმნიდ-ნენ, მაგრამ თავიდან აქაც ჭერ ყველაზე ძნელ ეპიზო-დებს ამუშავებდნენ, ხოლო უფრო იოლ ეპიზოდებს ბოლოსთვის იტოვებდნენ. ჩემი ნამუშევრების უმეტე-სი ნაწილი სწორედ ასე მაქვს შექმნილი.

ერთ პერიოდში პიესას პატარა-პატარა ნაკვეთებზე ვდგამდი და ყოველ მათგანს დიდხანს ვხევედი. შემ-დეგ შევამჩნიე, რომ ამისგან სპექტაკლი უფრო და-არაპროპორციულად იბერება. ახლა ისევ ისე ვმუშა-ობ, როგორც დიდი ხნის წინათ ვმუშაობდი: ვცდილობ-ორი-სამი მთავარი კულმინაციური სცენა გადაწყვიტო-ტო და შვად დავდგა ყველა დანარჩენი, სწრაფად გავიზიზიო ყველა მოქმედება ერთმანეთის მიყოლე-ბით, როცა ყველას ერთმანეთზე მიყოლებით გაირ-ბედ, უფრო სწრაფად იკვთებთ მთლიანობა. მე არ ვიციან ვაფერის მუშაობის ტექნიკას, მაგრამ დარ-წმუნებული ვარ, რომ ეს არ იყო მოზაიკური მუშა-ობა პატარა ნაკვეთებზე — ასე რომ ყოველიყო, მისი „უდასასრულო მელოდია“ ვერ შეიქმნებოდა. სპექტაკლის მთლიანობას ყველაზე იოლად მისი დინა-მიკით შევადგინო მთავრით.

ჩემგან წინასწარ, ესე იგი არა რეპეტიციაზე, მო-ფიქრებელი გადაწყვეტათავან საუყეთესო რაც იყო, ყოველთვის არა საწერ მაგიდასთან, არამედ როგორც იტყვიან, ხალხში, ხმაურში, მოძრაობაში მომიფიქრე-როცა, ერთის შეხედვით, არც ფიქრობ შენს სამუშაო-ზე, არ უნდა დავიფიქრო, რომ მხატვარი განწყვეტ-ლივ მუშაობს. ამაზე შესანიშნავად წერს მაიაკოვსკი თავის პატარა წიგნში „როგორ ვაკეთოთ ლექსები“, რომელშიც მთელი მისი გამოცდილება მოქცეული. როცა რეჟისურაზე წერას დავპირებ, ვცეცები ასევე ბევრისმომცეცელად და მოკლედ დავწერო.

თუკი ერთხანს კიდევ ვცოცხლებ, შევეცდები თე-ატრის საშუალებით გადავწყვიტო ის ამოცანა, რასაც ლიტერატურაში „შინაგან მონოლოგს“ ეძახიან. საა-მისოდ მაქვს მე რაღაც-რაღაცეები ხელის ჩასაქიდი. არა, ჭერ ისეთი არაფრის თქმა არ შემიძლია... შესა-ფერისი პიესაც არა მაქვს! ინსტენტივები კი ყოველ-თვის პალატივია!

პიესის დადგმისას ყველაზე ძნელი როლები განა-წილებია. როცა მე როლების განაწილება მიხდება, რამდენიმე დამე ვერ ვიძინებ და თითქმის ცუდად ვხდები. მაგრამ თუ ამ საქმეს აშკარა კომპრომისების გარეშე ვაპართვი თავი, დანარჩენი უკვე საიმედო საქმედ მესახება.

თეატრს ახალი ტექნიკა დრამატურგმა უყარნახა. მტკობლინს „ტრეტატილის სკიკადლი“ აქვს მოქ-მედებები, რომლებიც ათი-თხუთმეტი წუთი გრძელ-დება, მოქმედება კი შუა საუკუნეების ციხე-კოშკში ხდება. მაგრამ ციხე-კოშკის დეკორაციების ასახვად თვით მოქმედებებზე ორჯერ უფრო ხანგრძლივი ანტ-რაქტები უნდა გაკეთებულიყო, ეს კი აბსურდია. ნებ-სით თუ უნებლად, საჭირო გახდა „პირობითი ციხე-კოშკის“ გამოგონება.

იხსენის პიესები წუნარ, მშვიდ პიესებად მხოლოდ ცუდ რეჟისორებს ეჩვენებოდათ. უფრო უფრადლებით წაიკობთ იხინი და მათში დიდ მოძრაობას ნახათ.

მთელი ცხოვრება ვცნებობდი ბერძნული ტრაგე-დია დამედგა ლენინგრადში, ყაზანის ტატარისწინა მოე-დანზე, თვით საბერნეთშიც კი არ არის ასეთი მოხერ-ხებული — და, მტკობი ვიკოვლი, დედაუფროც კი — ადგილი: დახურული კოლონადები, რომლებიც ორი

ერთი რკალავენ შუა მოედანს, დიდი ქვაბული სვეტებს შორის, რომელიც შემსრულებლებს გამოხვამდე საფარად გამოადგება.

ერთი ტაძის (ვთქვათ, მხატვი) თეატრებში სექტაქლის პრემიერა მისი ცხოვრების უმაღლეს წერტილს — ხანგრძლივი რეპეტიციების ციკლის დასასრულს წარმოადგენს. ჩვენთან კი პრემიერა მხოლოდ საფუბურია: ის მომენტია, როცა სექტაქლის შექმნის პროცესში შემოდის მყურებელი, სექტაქლის უმაღლესი წერტილი, მისი ცხოვრების უმაღლესი წერტილი კი გერ კიდევ შორსაა.

თანამედროვე თეატრში შუქის გამოყენება მუსიკის გამოყენებასავით მნიშვნელოვანი საქმეა. მსახიობისა და მოედნის განათების წინადა ტექნიკური ამოცანის გარდა, შეხამება (როგორც ჩვენთან იყო სექტაქლში „ქალი კამელიები“) ცისფერი და უვიცილი ფერებისა საშუალებას გვაძლევს ცალკეული ემოციური ტალღების შექმნით ხაზი გავუსვათ ცალკეულ ფრაზებს, — ემოციური ტალღები ხან მკვეთრად გამოპუოფენ ამ თუ იმ ტექსტს, ხან კი ჩქმალავენ მას. მყურებელი ამას აღიქვამს ქვეცნობიერად, მაგრამ თეატრალური, თანდათან, როცა გარკვეულად იჩვევან ახეთ ვითარებას, ისევე იწყებენ განათების პარტიტურას „კითხვას“, როგორც მუსიკისმცოდნენი კითხვლობენ მუსიკის პარტიტურას. მის სექტაქლში განათებაზე მუშაობის დროს შუქ-ჩრდილების იმპრესიონისტურა თამაში კი არა, განათების პარტიტურის შექმნა მანინტრებებს.

მე რეპეტაციების დროს ხანგრძლივი კითხვის, ანუ, როგორც იტყვიან, „შავილის პერიოდის“ მტერი ვარ, როცა აქტორები თვალით გადარბიან ტექსტს, ისინი, უნებლად, იწყებენ დეკლამირებას, როგორც ეს ჩვეულო ტექსტის მკითხველებს. მე ჩქარა უნდა გამოვტაცო მსახიობებს ხელიდან როლების რეჟელები და ამიტომ ერთი სული მაქვს, ვიდრე მანანსცენებზე გადავიდეთ. მტებსაც ვიტყვოდი — მირჩევნა თუნდაც სულდღობის კარნახით ილაპარაკონ მსახიობებმა, ვიდრე როლი თვალბობი, ჩუმად იკითხონ.

რეჟისორი დრამატურგიც უნდა იყოს, მსახიობიც, მხატვარიც, მუსიკოსიც, მონტიორაც, მკერავიც.

არსებობს რეჟისორული ხერხები, რომლებიც მაშინვე კი არ მოქმედებენ — როგორც მოქმედებდა სავალაღი, რომლითაც მედიჩი წამლადა თავის მტრებს, არამედ გარკვეულ დროს შემდეგ, სათანადო, აღმრიდნევე შერჩეულ მომენტში. ასეუ ხერხებს მაყურებელი შეიძლება მაშინ ამჩნევს, როცა სექტაქლი მთავრდება ან საერთოდ ვერ ამჩნევს — ეს კი კიდევ უფროეა.

თეატრალურმა წარმოდგენამ არც „გუშინ“ იცის და არც „ხვალ“. თეატრი დღევანდელი დღის ხელოვნებაა, აი, ამ საათის, ამ წუთის, ამ წამის ხელოვნება... „გუშინდელი დღე“ — თქმულებებია, ლეგენდებია, პიენის ტექსტებია, „ხვალინდელი დღე“ — მხატვრის ოცნება, პოეტისა და მუსიკოსის შეუძლია თვითნათი ნამუშევრები მომავალს მკითხველისა და მყურებლისთვის შექმნან. ბარატონსკი ოცნებობდა შთამომავალთ: შორის მის მომავალ მეგობარზე, აქტორისთვის ასე-

თი ოცნებები უაზრობაა: მისი შემოქმედება მხოლოდ მანამ არსებობს, სანამ ის სუნთქავს, სანამ მისი ხმა ვიბრირებს. სანამ თამაშის დროს დაქრულია მისი კუნთები, სანამ მას, სუნთქვაშეკრული, მყურებელთა დარბაზი უსმენს. სწორედ ამიტომ, თეატრი თანამედროვეობის იდეალური ხელოვნებაა, როდესაც თეატრი თანადროულობით სუნთქავს, მას შეუძლია თავისი ეპოქის, დღევანდლობის დიადი თეატრი გახდეს, თუნდაც შექსპირს ან პუშკინს თამაშობდეს. თეატრი, რომელიც თანადროულობით არ სუნთქავს, — ანაქრონიზია, თუნდაც იგი დღევანდელი გაზეთის მიხედვით ინსცენირებულ პიესებს დგამდეს.

როცა მე ჩაპლინზე ვფიქრობ, ყოველთვის გამოცხადებული ვრჩები იმით, რომ მისი არც ერთი ფილმი არაა მხატვრულად ნეიტრალური. ეს ფილმები სულაც არ ჰგავს წარსული დროის სახელგანთქმულ გასტროლირთა იმ სექტაქლებს, რომლებიც პირველი მსახიობის გენიალური თამაშის გვერდით ვადაღებული იყო სხვათა სანახევროდ ხალტურული შესრულება ჩაპლინი — მსახიობი დიადია, მაგრამ გაიხსენეთ თუნდაც უჩაღანა — გაზეთის გამოდევნები „დიდი ქალაქის ჩირაღდენების“ თავსა და ბოლოში, ან აშუღვტინაან მოკრივე და თქვენ გაიგებთ, რა დიდი რეჟისორია იგი. მისგან შეიძლება ისწავლოთ ის, თუ რა მსუბუქად, ვითომ სხვათა შორისაა გაკეთებული ყოველივე ეს.

ყოველი ავტორი განსხვავებულად უნდა დადგა — არა მარტო სექტაქლის სტილისტიკის, არამედ სარეპეტიციო მეთოდის თვალსაზრისითაც. როცა ჩვენ მაიაკოვსკის ვეითობობით მისი პერსონაჟების ბიოგრაფიაზე, იგი ბრახობდა, ვეიფეროდა და ჯობს გვიკუთნებდა, მისი პიესები მუშაობის ერთ მეთოდს მოითხოვენ, ოღუშინი — მეორეს, ერდმანისა — მესამეს. ამაში მქმედელი უნდა ვყოფი, თორემ უყვლა ჩვენი ავტორი დამსჯავებდა ერთ, ჩვენთვის გამორჩეულად საყვარელ ავტორს, არის თეატრი, სადაც ეს ყოველთვის ასეც ხდება... მაგრამ — სჯობია გავჩუმდე, აუტკივარ თავს არ ავიტკივებ! პოდა, ასეა, რაც ამ ქვეყანას ვუყურებ, სულ მოღმეიყაშა ვარ ჩართული. ზონიჭრდა! მუშაობა მიწდა და არა კამათი!

თუ მე სექტაქლში სუფლიორის დასმა დამჭირდებოდა, მას ჩიორში ან კულინებს ექით არ დავშალავდი, სპეციალურ პულსს დავუდგამდი ორკესტრის წინ, იჯდებოდა ის იქ, სათვლიანია, პეპელაბანტანი, იცხებოდა გაჩამებული გულსპირიანი პერანგი, ხელში ეკავებოდა პიესის გეგმპლარის სქელი ფოლიანტი. სადაა ლოგია — ჩვენ არ ვშალავთ დარიფორს და ის ამით არაგის აწუხებს, არაგის არაფრით ხელს არ უშლის, სუფლიორს კი ვშალავთ. მყურებელი სიამოვნებით ხელდა ნებისმიერ ტექნიკურ პირობობას. მაგრამ საქირა არაა იგი გერცხვინებოდეს და ამიტომ ნიღბავდ.

სიმბოლისტების ხელოვნების ზოგადი ხერხი ჩვენს კინოში გაცოცხლდა. ეს ჩანს ეივრეტინის უყვლა ფილმში. დოვენკოს ვაშლები მის შესანიშნავ „მიწაში“ უბრალო ვაშლები კი არა, გარკვეული სიმბოლურა სახეებია, როგორც ზღოის ფანარი და აფთიაქის ბარა.

აღქმისადაც თეატრში მუშაობის დროს მე ეშმა-  
კობა ვიხმარე და, ვისწავლე, ძველი წაიღის, ვოქვათ,  
იურევისთანა მსახიობთა შორის როგორ გამეჩინა  
მომხრებში. ისინი კიბებებსა და საფეხურებზე გიჟდებოდნენ,  
აღერ „ჰამლეტიში“, „ოტლოშიც“ უკველთ-  
ვის იყო საფეხურები, რომლებზეც ოტლოს შეეძლო  
დაგორება და თავის მოკლა. ოღონდ საფეხურისა და  
სვეტები დაგდგა და იურევი შხად იყო შენი გულის-  
თვის ტყვიისთვის შეეშვირა შუბლი.

სექტაკლის მთავარი იდეის ულტრაიისფერი სხივე-  
ბი თვალთ არ უნდა ჩანდეს და მკითხველს ისე უნდა  
მსჭვალავდეს, რომ იგი ამას ვერც გრძობდეს.

როცა სელვინსკიმ „არშის სარდალი“ მოგვიტანა,  
თეატრების სცენა უკვე მოვლელი ჰქონდა საშოკალა-  
ქო ომის თემაზე შექმნილ მრავალ პიესას და თითქმის  
ყველა უკვე ვინ იცის, მერამდენე ვარაყია იყო  
„ლიუბოვ იაროვასი“. მაგრამ ჩვენ არაფერში გვეჭირ-  
დებოდა კლასობრივი ბრძოლის გავლენით ოჯახის  
რღვევის თემაზე დაწერილი პიესის შესამე ვარაყია:  
ჩვენ გვინდოდა ამ გასაოცარ და გმირულ ეპოქაში უფ-  
რო ღრმად ჩაწვდომა. „არშის სარდალი“ რომ მი-  
ვიღე, ზეიმი დამიღდა: ვფიქრობდი, რომ რეპერტუა-  
რული კარისიდან გამოვიდოდი. თანაც, ისე, რომ  
უფრო პრომისო დაგარებოდი იმ ავტორებს მიმართ,  
რომლებიც უკველაზე ნაყლები წინააღმდეგობის ხაზს  
ავითარებდნენ. მე მაშინ — ისევე, როგორც ახლაც,  
— ვდელიობდი თეატრში მომუშაოდა ძლიერი პოეტ-  
ბი, რომლებიც სცენაზე თავიანთი პიესებით ეპოქის  
დიდ პრობლემებს მოიტანდნენ. სელვინსკიმ თავის  
პიესაში დასვა თითქმის ფილოსოფიური პრობლემა  
(მგავსად იბსენისა — მხედველობაში მაქვს მისი  
შენახუნვეი პიესა „ბრძოლა ტახტისათვის“) იმის თა-  
ობაზე, თუ ვინ აქვს ბელადობის უფლება. და მე ამან  
გამბატავა. მე უკველთვის ვოცნებობდი გამოჩენილიყუ-  
ნენ ახალი დრამატურგები, რომლებიც პროლეტა-  
რიატს მიიჩნევდნენ დიდი, რთული ხელოვნებისთვის  
მომზადებულ კლასად, საწინააღმდეგოდ იმ ავტორე-  
ბისა, რომლებიც ამ კლასის ოდნეს დაბალ დონეზე  
მიიჩნევდნენ და ამიტომ თვითონვე ეშუებოდნენ დაბ-  
ლა.

მე როგორღაც მკითხეს: „სულგრძელი რქადადგმუ-  
ლი ქმარი“ ბიომექანიკიდან ამოიზარდა თუ, პი-  
რიქით, ბიომექანიკა ამოიზარდა სექტაკლიდან? ერთ-  
თი და მეორეც... „სულგრძელა რქადადგმული ქმარ-  
ი“ ჩვენი პრაქტიკა იყო, რომელიც სასწავლო მე-  
ცადინეობების პარალელურად მიმდინარებოდა. ის  
იმისთვის გვეჭირდებოდა, რომ ჩვენი მეცადინეობები  
არ გადაქცეულიყო თავისებურ სქოლასტიკად, წმინდა  
ტეატრეზიულ ტრენინგად, ან ვეტიკულურ ვარაყიბად.  
ბიომექანიკა რომ ექმნიდა, მე ცდელიობდი აქტიორუ-  
ლი ახალგაზრდობა განმეორებინა აისედორა დუნკანის  
დამტკბარი ფეხშევილურობისა და გოლიეიოვსკისებუ-  
რი პლასტიკური მანქანა-გარეხისაგან, „რქადადგმულმა  
ქმარმა“ უკვლას უჩვენა, რომ ბიომექანიკა აქტიორუ-  
ლი ოსტატობის „არითმეტიკა“ კი არა, უკვე „აღგებ-  
რათა“. როდესმე „უშაღლეს მათემატიკამდე“ ავალო-  
მეთქი, ვფიქრობდი. მისი საწყისი „აუბუსსა“ და „რე-  
ვიზორშია“.

ჩემი სექტაკლებიდან, რომლებიც მსურებელთა  
ვერ მივიღა, განსაკუთრებით მენაენა „ოინელი“ ვაგ-  
ნერის მუსიკითა და იაკულოვს მხატვრული კონსერ-  
რეპეტიციაც მე თითქმის დავაშავარე 1921 წელს, მაგ-  
რამ სცენაზე ვერ წარმოვადგინე, რადგან ჩემმა მტრე-  
ბმა რუსების თეატრი დახურეს. ამას წინათ მე და  
იუნენსტეინი ვიკონებდით „რეივის“.

ზავშთა თამაშები ასე დამაჭერებელი იმიტომაა, რომ  
ზავშთი თამაშისას რაღაც გასაკების ილუსტრირებს  
კი არ ახდენენ, ხალვად ბაძვენ.

თანამედროვე ღირიორებმა იციან, რომ მუსიკას  
მხოლოდ ნოტები კი არა, ის თითქმის მოუხელთებელი  
ლლუფტაუზებიც ქმნიან, რომლებიც ნოტებს შორი-  
საა. თეატრში ესაა კვეტესტი ანუ, ასეც შეიძლება  
თქვეს — ტეტესტშორისი. შტრიდრიმ ერთხელ მოთხ-  
რათა: ცული ღირიორი იმას ვიკიწვენებს, რაც პარტი-  
ტურაშია, კარგი კი — იმას, რასაც პარტიტუ-  
რა აძლევს მასი თავისუფალი მხატვრული ნება-  
სურვილის დაქმუფილებისათვისო. ანუ, შეიძლება:  
ერთი-ორი, სამი და ასეც შეიძლება: ერთი, ორი-სამი,  
ღროითი ნაკვეთი იგივეა, სტრუქტურა კი სხვაგვარია:  
იგი სხვა მეტრულ რიტმს იძლევა. რიტმი — ესაა მეტ-  
რიდან ამოვარდნის და ისეც მასში მოქცევის უნარი.  
ღირიორის ხელოვნებაში ესაა რიტმული თავისუფ-  
ლება მეტრულ ნაკვეთში, ღირიორის ხელოვნება რიტ-  
მებს შორის არსებულ სიცარიელეთა დაფუძების  
უნარშია. ამის ცოდნა რეისორისთვისაც აუცილებე-  
ლია.

აიღეთ რომელიმე ეპიზოდი, სადაც ასეთი მონაც-  
ვლობაა: დილაობა — 12 წუთი, მინოლოგია — 1 წუ-  
თი, ტროი — 6 წუთი, ანსამბლი „ტუტო“ — 5 წუთი  
და ა. შ. გამოდის თანხარდობა: 12:1:6:5 და მოცემუ-  
ლი სცენის კომპოზიცია ამით განისაზღვრება. თვალი  
უნდა მივადევნოთ, რომ ეს თანხარდობა მკაცრად  
იქნეს დაცული, მაგრამ ეს ზღულავს მსახიობთან მუშა-  
ობის იმპორვიზაციულ მომენტს. სწორედ ეს მუშაობი  
ღროითი სტამბლურობა აძლევს კარგ მსახიობებს  
იმით ტეობის სასუალებას, რაც მათა ხელოვნების  
ბუნებას წარმოადგენს. 12 წუთის ფარგლებში მს  
ქედვეა სცენის ვარიებისა და ნიუსისარების, თამაშის  
ახალი ხერხების ცდის, ახალი დეტალების ძიების სა-  
შუალება. მთელის კომოზიციის და „ექსიმპროვიზოს“  
ეს შეფარდებაა სწორედ ფორმულა ჩვენი სკოლის  
სექტაკლსა.

„გაერული იხვი“ იმიტომ მიყვარს, რომ ის იბსენის  
უკვლავზე ნაყლებ სასაუბრო პიესაა.

თუ პიესაზე დიდხანს ვფიქრობ, სწრაფადაც ვდგამ.

მე მსახიობობისთვის თავის მინებება მაშინ გადაწყ-  
ვეტიტ, როცა კომისარევესკაას მონაწილეობით „პე-  
ლესისა და მელისანდას“ დადგმისას. რომელშიც არ-  
კელს ვთამაშობდი, დავრწმუნდი, თუ რა ძნელია ერთ-  
ღროულად დადგმაცა და თამაშიც. ა, კიღევ რატომ  
მიმჩინა ჩაალინი გენიოსად.

თეატრალური კონსტრუქციონის მამამთავარი იყო  
მხატვარი ი. ბონდი, რომელმაც ჩერ კიღევ ამ სატყვის  
წარმოშობამდე ტენიშესკის სასწავლებელში ჩემთან  
ერთად დადგა ბლოკის „უცნობი ასული“.



როცა მსახიობი სცენაზე გამოდის, შინაგანად ის ყოველთვის რაღაცნაირად ისწრაფვის სიმეტრიული კეთილდღეობისაკენ, სცენის აბსოლუტური ცენტრისკენ, ესე იგი, იმ ადგილისკენ, საიდანაც მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც ერთნაირად ჩანს და ერთნაირად იხმის მისი ხმაც, ძველი იარუსიანი თეატრების სცენა — კოლოფზე ამას მოწინააღმდეგე ფრონტალურ აგებამდე მიუყვართ და მასურბეულსაც უწინდება განცდა კომპოზიციური წონასწორობისა, ანუ, როგორც მე ვამბობ ხლამე, კომპოზიციური კეთილდღეობისა. მაგრამ პიესას ეს ყოველთვის როდი სჭირდება. ზოგჯერ აღუფრთხილებია მსახიობი შემოაბრუნო, რაღაცნაირად დიდგორმარბეულად დააქემო, დაარღვიო ჩვეულებრივი კუთხე ხედვისა, გადაადგილო პიესის წარმოსახული ცენტრი. მაშინ მასურბეულიც არხენად არ იქნება გაშლართული სავარძელში, არამედ შეწრაფდება. მარინტო თავის თეატრში სპექტაკლის დაწყების წინ ზოგიერთ სკამზე სინდტიქიანს ასხამდა. მავანი და მავანი საგდომს ეწებებოდა (წარმოიდგინეთ, ქალი ახალ კაბაში), სკანდალი უკვე ატეხილი იყო და ეს სპექტაკლიც ასეთ აფორიაქებულ ატმოსფეროში იწყებოდა. მე მინდა მასურბეულთა მშფოთარე განწყობლება არა სინდტიქიანის, არამედ სხვა, ესე იგი, კომპოზიციური საშუალებებით შევქმნა. მსახიობი, რომელიც დარბაზისკენ ანფასში დგას, მტანჯულად ყოველთვის პაუსას იტყვის. თავს ისე გრძნობს, თითქმის ესტრადეზეა. ამიტომ მე ყოველთვის ვეძებ მტკვეულ რაჟურსებს, რომლებიც მას ამ პოზიციას შეაცვლევიანებენ. თუ ხელში არ დაიჭირ სპექტაკლს, რომელიც დიდხანს გრძელდება, მსახიობები ყოველთვის თანთადაც ცვლიან მოწინააღმდეგის ისე, რომ ტრადიციული ანფასში მოექცებიან. ამიტომ, როცა ასე მიყვარს სპექტაკლების კულისებიდან ყურება: აქედან ყველაფერი უფრო მტკვეულსახიერია.

მიწანსცენები ნოტებია, რომლებითაც მასურბეული თითქოს მელოდიას კეთხულობს.

ვიდრე მე ვმუშაობდი სპექტაკლზე „ქალი კამელიონით“, გაუთავებლად მტანჯავდა ფიქრი იბსენის ფსიქოლოგიურ ოსტატობაზე. მაგალითად. არმანის მამისა და მარგარიტას სცენას იგი უფრო უძაქოდ დაწერდა. იგი ამ სცენას გაკვეთდა მარგარიტას და მისი რომელიმე მეგობარი ქალის სხვა სცენით, რომლითაც ჩვენ შევიტყობდით, თუ რა ექვევით იყო შეპყრობილი მარგარიტა, ამ ექვევზე კი იგი არმანის მამას ვერ ესაუბრებდა. მაშინ მათი სცენის მეორე ნახევარიც უფრო მძაფრი, უფრო დრამატული იქნებოდა. რამდენჯერმე ხედავ ამიჯვრად კიდევ... მაგრამ „არა... ვუბნებოდი ჩემს თავს... სდები რასაც ეძებ, მოცემულ მასალაში ეძებ, სხვა რა გსვ გაქვს“. სწორედ ამ სპექტაკლზე მუშაობის შემდეგ დავიწყე ოცნება იბსენის „მოჩვენებების“ დადგმაზე და მის მაღალ ზელოვნებასთან ზიარებით ტკობაზე.

თეატრში სამეთაურო კომპოზიციურად ადგილს აუცილებლად სპექტაკლის ის მონაწილე იკავებს, რომელიც ყველაზე უფრო კულტურულია, ვინც იცის, რა უნდა და ვისაც შეუძლია წინამძღოლობა: ეს ზოგჯერ — ავტორია, ზოგჯერ — რეჟისორი, ზოგჯერ — მსახიობი, ზოგჯერ — მხატვარი.

მე მაინცდამაინც არ მჭერა, რომ დროადრო შემთხვევით იბადებთან შექსპირისნაირი გენიოსები, სხვა,

ნაკლებილბლიან ეპოქებში კი ისინი არ იბადებთან. მე ვფიქრობ, რომ დიდი დრამატურგი იქ იბადებთან ზღადავ არის დიდი მკითხველი. მე, როცა მკითხველს ვხედავ ვეუღლ ტიან „დიდს“ ვეძახი, სულაც არა მყავს მხედველობაში ეპოქის გამოჩენილ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ან რამეც განსაკუთრებულად მაღალი საერთო დონე. ვის შეეპარება ექვი, რომ 1812—1825 წლების რუსი ადამიანების თაობა შესანიშნავი თაობა იყო, მაგრამ ეს თაობა დიდი მასურბელების თაობა ვერ გახდა. მათ თეატრი არ სჭირდებოდათ, იგივე ითქმის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დღეებზე. შესაძლოა, ახლაც ასეთი ვითარება იყოს. კარგს იხამენ, წინეჩვეულებათა ისტორიკოსები თუ აკვირსნიან, რატომ, რომ ზოგიერთ ეპოქაში ადამიანებს თეატრი მათრევით სჭირდებათ. აი, სწორედ მათ ვუწოდებ მე დიდ მასურბელებს. ისინი შექსპირის ეპოქაში განდნენ და თავიანთი ყოვლადკაც წარმოშვის დიდი დრამატურგი. შექსპირის წვალდაკლე წამოვიდნენ და სოკობსავით მომრავლდნენ სხვა შესანიშნავი დრამატურგებიც. ასეთი მასურბელები ერთხელ რუსეთშიც გამოჩნდნენ გასული საუკუნის მიწურულსა და უშუალოდ რევოლუციის შემდეგ. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამ მასურბელებმა დრამატურგიის ნაცვლად ჩვენ, რუსიორები შეგვექმნეს, რაც, ისტორიულ პერსპექტივაში, შესაძლოა, ერთი და იგივე იყოს. შემდეგ რატომღაც (მაინც, რატომ?) დიდი მასურბელების თაობა გაქრა. მე ზნობად ვიციკირები მასურბელებთა დარბაზში და იქ ვილაც მოხარხარე-მობორსოცე ან სანტიმენტალურ ტიპებს ვხედავ. დააკვირდით, ახლა თეატრში ყველანი წყვილებად დადიან. ეს მასურბელების წახდენის თეატრში ნაშანი. ჩვენ ახლავსწრების წლებში თეატრში ჯგუფებად ან მარტოკანი დაველიოდით, მაგრამ როცა თეატრში მხოლოდ წყვილებად დადიან, ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრი საციგურაო მიედნასა თუ ქალაქის ბაღის მსგავს რაღაცად ქცეულა.

სახით მასურბელებისკენ მიბრუნება ვოდევილისთვის ტრადიციულია, მაგრამ საქირთა ეს მიბრუნებებმრავალნაირი სახისა იყოს, ეს სწორბაზოვნად არ უნდა ვაკეთო. ზოგჯერ ესნა პირდაპირი, დაუფარავი მიბრუნება დარბაზისკენ, ზოგჯერ — ეს ოდნავ შესამჩნევი აქცენტია: თავის დაქვევა, ჩაღიმება. მაგრამ არ შეიძლება ვოდევილი თამაშით, თითქოს რაღაც „მეოთხე კედლის“ სპექტაკლს თამაშობდით, შემდეგ კი უტებ, მაიპარად, რამის შუქზე გამშქრებელი კულეტების სათქმელად. საქირთა ეს ტრადიციული ფინალი — კულეტები რამის შუქზე წინასწარ შეაზნადით მასურბელებისკენ გამოწნული მრავალნაირი, მაგრამ არა ნაძალადევი აქცენტებით. ვოდევილი ყოველთვის სინეტიკულადაა აგებული. ამიტომ ვოდევილი ყოველგვარი ასიმეტრია დაუშვებელია. აი, ჩვენ „ოთხელში“ ორჯერ ვიმეორებთ ვალსს და მასურბელებს ექმნება შეგრძნება კომპოზიციური წონასწორობისა, ესნა, ასე ვთქვათ, მუხიკალური აღქმა ვოდევილური სტრუქტურისა.

(დასასრული იქნება)

თარგმანი ჯუშუბარ თითქმირიამ

# რეჟისორი თეატრიდან ნაჰილა\*

სცენური სიტყვა, დიალოგი, რაც არსია თეატრისა, ნიშნების თეატრში, ფაქტიურად, იკარგება. ორთაბრძოლა — დიალოგი, თუ შეიძლება ვთქვათ, გადაშენდა თეატრიდან, რელიქტად იქცა. ჩვენ პარტერს უფრო ველაპარაკებით, ვიდრე პარტნიორებს. და დიალოგის დროსაც კი, როცა ერთმანეთის გვერდგვერდ ვდგავართ, მაშინაც კი მაყურებელთა დარბაზში ვიყურებით, როგორც ეს ცუდ ოპერებშია. იქ, ოპერაში, ეს რალაციით მაინც გასაგებია, — იქ მომღერლები დირიჟორს უყურებენ.

და, რამდენადაც, თეატრალური ხელოვნების ეს ორი მხარე წმინდა სახით არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, მათ შორის საზღვარი თანდათან იშლება, ერთი მეორეში ითქვიფება, ისე, რომ ხან ერთი მხარე გადასწონის, ხან მეორე, ოღონდ, სამწუხაროდ, ხშირად, აქტიორული თეატრი რჩება ზარალში და ჩვენ თანდათანობით ვეჩვევით საშუალო სამემსრულებლო დონეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია ხდება, ხოლო ის, რაც ჩვეულებრივი ამბავია, ნორმა ხდება. მსახიობი თავის სასიცოცხლო სივრცეს სხვა პროფესიის ხელოვანს უთმობს, თვითონ კი თანამობინადრის ან დამხმარე მუშის როლითაც კმაყოფილდება.

კარგია, როცა თვით რეჟისორს უყვარს აქტიორის თეატრი და არ შეუძლია უიმიობა. ასეთ შემთხვევაში იქმნება ეფროსის, იაკოვლევის, დუროვის და სხვათა „ქორწინება“ ან ტოვსტონოვოვის, ლებედევის, ბასილაშვილის, სტრეფელჩიკის და სხვათა „ცხენის ამბავი“, ეს სპექტაკლი კი ერთთავად რეჟისორულ ნიშნებზეა დამყარებული, ოღონდ, მას-

ში წინა პლანზე პროცესია, „ნიშანი“ კი შემდეგ მოდის.

და რა საშინელებაა, როცა მხოლოდ ლამაზი ნიშნები რჩებათ ხელში. ლიუბიმოვის „ოსტატი და მარგარიტა“ — ძალზე საინტერესო ნიშნებია, მაგრამ ოსტატი სადღა? ავტორი, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ განაგებს თავისი ქმნილების ბედს თეატრში, არადა, რეჟისორულ თეატრს როგორ უაერვიოთ სჭირდება მსახიობები, რომელთაც მაყურებლის შეძრწუნება ძალუძთ. ამგვარი შერწყმის, შეხამების რა მშვენიერი მაგალითია „განთიადი კი აქ წყნარი იცის“ ტაგანკის თეატრში.

იმ უზვირო სპექტაკლში კი, ზემოთ რომ მოგახსენეთ, რეჟისორმა ნიღბების სახით განალაგა ნიშნები, ნიშნები — მიმართულების მაჩვენებლები, აი, გზისპირებზე რომაა აღმართული (მაგრამ ხომ არსებობს, აგრეთვე, ნიშნები-სახეები, გავიხსენოთ: „გიგანტური ნაბიჯები“ მეიერჰოლდის „ტყეში“, „ნიღბი ბაირალი“ — „რღვევაში“ და „პოლონში“ — ახმეტელის „ყაჩაღებში“. ესენი ნიშნები — სახეებია და არა ნიშნები — სქემები). ის, რისი თქმაც უზვირო სპექტაკლის რეჟისორს სურდა, ძალზე სწორსაზოვანი, პრიმიტიული რალაც გამოვიდა, ნიშან-სქემებმა შთანთქა მსახიობი, ხოლო ეს ჩვენი სენი — აქტიორული ხელოვნებისადმი ინტერესის დაკარგვა და მხოლოდ ნიშნებით გატაცება შეიძლება შევადაროთ ბრტყელ, მრავალფეროვანი საპლაკატო კომპოზიციებს, რომლებიც (სურათი-სქემები), სამწუხაროდ, თავზესაყვრელადაა გამოყენილი ვერნისავეებზე. ეს, თითქოს, მუშაობის მხოლოდ დასაწყისი უნდა იყოს და არა ზეშთაგონება. და დღეს თვით მსახიობებსაც კი, თითქოს, გაქრობიათ სურვილი შინაგან განცდებზე გადაიტანონ გულისყური, ისინი უფრო იმით არიან გატაცებული, რომ მხოლოდღა მიგვანიშნონ ის, რისი ღრმად, საფუ-

გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 10-12, 1981, № 1-3, 1982.



ძვლიანად დამუშავება და პროცესში ჩვენება უნდა შექმნოს. კინოში, ამ მხრივ, რიგ შემთხვევაში, უკეთესი ვითარებაა.

რეჟისორის რჩევას უკვე ყურს აღარ ვუვადებთ და მსახიობში არ ვკვდებით, მაგრამ ის, მსახიობი, ისე მალა აგვყავს თავს ზემოთ, რომ სუნ-თქვა უჭირს. ზოგჯერ, უბრალოდ, ნაბიჯის გადადგმას არ ვანებებთ, სცენური და მუსიკალური მეტაფორების ხლართში ვახვეთ და ბეჩავს განძრევის საშუალებას არ ვაძლევთ, რომ წაიშუშაოს და ზოგჯერ მაინც დაუკრას თავის ინსტრუმენტზე.

რეჟისორული ხელოვნების ასეთი აქტიური ვითარების შედეგად მოულოდნელად წარმოიშვა ახალი, ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემები აქტიორული ხელოვნებისა. და თუ მსახიობებს რაიმე მიზეზით არ უნდათ განცემის ატეხა, თუ ისინი თითქოს თავისი სურვილით ხელს მალა სწევენ და ჩვენს ხელოვნებას ტყვედ ბარდებიან, თავად ჩვენ ვართ მოვალენი ზედმეტი პანიკის გარეშე გავაძახებოთ ყურადღება ამ საკითხზე. ნათქვამი უღრო ვასაგები რომ იყოს, კითხვას ასე დავსვამდ: რატომაა, რომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამდენი ნიჭიერი მსახიობი გვყავს, მაგრამ ნამდვილი ვირტუოზები თითზე შეიძლება ჩამოვთვალოთ? პირადად მე მხოლოდ რამდენიმე უნივერსალური, ვირტუოზი მსახიობის დასახელებას შევძლებდი.

შესაძლოა, ეს იმის გამო მოხდა, რომ ჩვენ, რეჟისორები, დიდხანს ვარწმუნებდით მსახიობებს და, ბოლოსდაბოლოს, დაეარწმუნეთ კიდევ ისინი, რომ შთავარია ანსამბლი, კოლექტივი და არცაა საყალბელო ვარსკვლავები გვყავდეს. იქნებ, მაინც საჭირო იყოს ანსამბლებში დიდი მსახიობების გამოკვეთით წარმოჩინება? ზოგჯერ გვეჩვენება, რომ რაკი ყველამ ისწავლა სცენაზე, ასე თუ ისე, თავისუფლად თავის დაქტრა, დიდ, საერთო ფონზე წინწამონეული მსახიობების პრობლემა არცაა დგას. დღეს, თითქოს, ყველა ცხოვრებისეულად, სიმართ-

ლით თამაშობს, მაგრამ უნდა ითქვას ერთფეროვანი, არასინტერესოა მათი თამაშები. უფერული ნაკადია. ხშირად ვიჭერ თავს იმაზე, რომ სპექტაკლის დროს თვალს ვადევნებ, თუ როგორ გვთავაზობს რეჟისორი თავის მეტაფორებს და არა იმას, როგორ თამაშობენ როლებს, როგორ წარმოიშობა და ვითარდება პროცესი, როგორ იქმნება სცენაზე ცხოვრების ატმოსფერო, განწყობილება, როგორ წარმოიქმნება განცდა და რაში გადაიზრდება იგი? ამიტომ ასე ადვილი გახდა თეატრში მსახიობების შეცვლა, ეს კი იგოვეა, რაც მედიცინაში ედრი (POE) — ორგანიზმის საგანგაშო მდგომარეობა. ნინათ როლების კარგად შესრულებულთა შეცვლა უფრო ჭირდა. მახსოვს, რა ჭირის დღე გვაგდა, როცა მსახიობს ვავალბედით შეცვალა მეორე მსახიობი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით სპექტაკლში ვერ ღებულობდა მონაწილეობას. მართალია, თეატრში იყო რამდენიმე კაცი, რომლებსაც „სასწრაფო დახმარებას“ ვუძახდით, — ისინი ერთი-ორი რეპეტიციის შემდეგ ვისაც გინდათ, იმას შეცვლიდნენ. რასაკვირველია, მხოლოდ ტექსტის გახუთებას და მიზანსცენების



დამახსოვრებას ასწრებდნენ და ულიმამოდაც თამაშობდნენ, მაგრამ წარმოდგენა არ იშლებოდა. რეჟისორები ასეთ მსახიობებს, ჩვეულებრივ, პირდებოდნენ, რომ შედეგში, როცა საამისო დრო გვექნება, როლზე საფუძვლიანად ვიმუშავებთო, მაგრამ ამისთვის დროს ვერასოდეს პოულობდნენ და, სიძარღვე რომ ითქვას, მაინცდამაინც არც ესახლისებოდათ. პოდა, შერჩებოდნენ ეს საწყლები სანახევროდ მომზადებულ როლებს, თამაშობდნენ ულიმამოდ, უინტერესოდ, როლაცის მიბაძვით, გადაძლერებით. დღეს, უმეტეს შემთხვევაში, მსახიობების შეცვლა ძნელი საქმე არაა და სპექტაკლებს ამით თითქმის არაფერი აკლდება. და ყოველივე ამის გამო, ზოგიერთი გამოხატულების გარდა, ბევრი ჩვენი, ბუნებით ძალზე ნიჭიერი თავისი შესაძლებლობების ნახევარსაც კი ვერ ვიყენებთ, ყველა „რეჟისორში კვდება“.

პროცესსა და ნიშნებს შორის წონასწორობის დამყარება, ალბათ, შესაძლებელი იქნება, თუ ჩვენ თეატრში მსახიობის ხელოვნების კულტს დავამკვიდრებთ, როცა მსახიობის ირგვლივ კეთილმისყოფელ კლიმატს შევქმნით და მის შემოქმედებას ყურადღების ცენტრში მოვაქცევთ.

ფსიქოლოგიური შრეების სიღრმეში წვდომის, განცდათა (საინარკვეთლება, სევდა, მელანქო-



ლა, ექვიანობა და ა. შ.) გამოფრვის, დანახვის, მიგნებისა და სხვისთვის შეგრძნობინების უნარი იშვიათი ნიჭია, ყოველივე ამის მიღწევა ძნელი, მაგრამ საინტერესო, ძალზე საინტერესო საქმეა. მთავარია მოვლენების ზედპირზე არ იტივტივო, სიღრმეში უნდა ჩახვიდე, იქიდან უნდა დაინახო სამყარო და დაინახო მყურეულებს. რაც უფრო ღრმად ჩანვები განცდათა, პროცესების არსს, მით უფრო საინტერესო გამოვა თხრობა. ნიჭიერი რეჟისორის ნამუშევარში ბევრი რამ დანერგულია მითხრობილი, ბევრი ისეთი დეტალია დანახული, ბევრი ისეთი რამაა მოხაზული, რისი ერთბაშად შეგრძნევაც შეუძლებელია. ნამდვილი მწერალიც ასეა — იგი საგნებისა და მოვლენების, განცდათა და განწყობილებათა არსს გამოხატავს, ჩვენ კი ძალზე ხშირად ვუყურებთ სპექტაკლებს, რომლებშიც განცდები და გრძნობები მხოლოდ მინიშნებულა: აქ, ჩემო ბატონო, სასონარკვეთილება უნდა იყოს, აქ — სიხარული, აქ — მწუხარება და ა. შ. კი, მაგრამ მიიჩნეო-გორია ეს სასონარკვეთილება, ეს სიხარული, ეს მწუხარება? მათი ჩვენების ნაცვლად, წარმოსახვევ ადა-მიანურ განცდათა სქემებს, რომლებიც მეხსიერებაში არ გრჩება, რომლებიც არ გალულებს, გულში არ გვდებდა. ყველაფერი ბოლომდე გაუხსნელი, ბოლომდე უთქმელი, ბოლომდე გამოუხატავი რჩება. შესაძლოა, ისინი თავშესაქცევად ვარგოდეს, მაგრამ ადამიანის სულსა და ფსიქიკაში კვალს ვერ ტოვებენ. ჩვენ ყველამ იქითკენ უნდა ვუბიძგოთ მსახიობს, რომ მან ღრმად მოხნას მინა და მხოლოდ მსუბუქად არ გაჯაუტაროს მის სახნისით. ღრმად და არა ზედპირულად! მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იტლერებს ხმამალა რეჟისორული მეტაფორა! დაე, ნურცერთი ჩვენთავანი ნუ მოკედება სხვაში, დაე, ყველანი საღსალამათი დავრჩეთ და შევადგინოთ მთლიანი ანსამბლი, ორკესტრი ვარსკვლავებისა — მსახიობებისა, რომელსაც თავაკობს ოსტატო რეჟისორი.

როგორ შეიძლება მთლიანად, ბოლომდე გამოვიყნოთ არტისტი? ადამიანი ხომ, მიუხედავად მისი გარკვეული სისუსტეებისა, მაინც უმშვენიერესი არსებაა არსებათა შორის. ადამიანის სხეულს, მის ფესტს, პლასტიკას რა შეედრება? როგორი პარმონიაა ხანებისა, როგორი მიზანსწრაფული შერწყმვაა მოცულობებისა, როგორი განუმეორებელი გრძნობაა პროპორციისა! როგორი სასწაულებრივი ქმნილებაა ადამიანის სხეულის მექანიკა! დააკვირდით მის ნაკეთებს, მის სიარულს, მისი თითების, ხელების მოძრაობას — ფენომენალურია! ადამიანი მშვენიერია, მაგრამ ჩვენ გადავეჩვიეთ მისით აღტაცებას. ადამიანი ბუნების საოცრებაა. და ხალხი ხომ, ბოლოსდაბოლოს, ამ საოცრების სანახავად დადის თეატრში — როგორ განიცდის იგი ჭირსა და ლხინს, როგორ მღერის, როგორ ტირის, როგორ საუბრობს. საუბარი კი მხოლოდ სიტყვების სწორად წარმოთქმა არაა. საუბარი მოსმენასა და ლაპარაკს ნიშნავს. ყველაზე ძნელია სცენაზე პარტნიორისთვის მოსმენის სწავლა. ჩვენ ხომ ძალზე ხშირად ვხედავთ, ვითომ როგორ უს-



მენს მსახიობი პარტნიორს, მაგრამ არ ესმის რას ლაპარაკობს იგი. უსმენს და არ ესმის, იმიტომ, რომ უსმენდე — ეს ნიშნავს, რომ პასუხს ამზადებდე — როგორც ამას ს. ვოლკონსკი წერდა. მე ყოველთვის ვისწრაფვი მივალნით იმას, რომ მყურებელი იმ მსახიობს უყურებდეს, რომელიც უსმენს და არა იმას, რომელიც ლაპარაკობს, დუმილის, მოსმენის დროს შიამბეჭდვად მოქმედება და გრძნობა-განცდების უტყუარად გადმოცემა ხომ აქტიორული ოსტატობის უმაღლესი კლასის გამოხატულებაა. მსახიობების უმრავლესობა კი, ვიდრე პარტნიორი ლაპარაკობს, „თავისთვისაა“, არ უსმენს მას. მაგრამ როცა მსახიობი პარტნიორს სწორად უსმენს, მას დრო აქვს იმისთვის, რომ მოამზადოს პასუხი — არა მარტო ის, რა თქვას, არამედ ისიც, თუ როგორ თქვას. პასუხი ამ ნუთს, იმპროვიზაციულად იბადება, იმისდამიხევეით, თუ როგორ თქვა თავისი სიტყვები პარტნიორმა, სწორი დიალოგის დროს დაბადებული სიტყვები ძალიან ჰგავს პინგ-პონგის ბურთს — იგი მინაზე არ უნდა დეარდეს, მსახიობი ყოველთვის მზად უნდა იყოს, რომ სწორი რეაქცია გააკეთოს პარტნიორის ფესტსა და სიტყვაზე, საჭიროებისამებრ, კორექტურა გაუკეთოს თავის მოქმედებას და მკაფიოდ გამოკვეთილი ურთიერთობა გამოხატოს იმის მიმართ, რაც სცენაზე ამ ნუთს ხდება. დამოკიდებულა კი მვლავნდება ფსიქოლოგიური ფესტი, მიმიკით, თვალებით, მსახიობის მთელი არსებით. ფესტი ხომ გრძნობათა ენაა, იგი გვეხმარება გამოხატოთ ჩვენი ბუნებრივი შინაგანი რეაქცია იმაზე, რასაც პარტნიორი ლაპარაკობს ან აკეთებს. ფსიქოლოგიური ფესტი ჩვენს ლაპარაკს სიცოცხლეს ანიჭებს. სიტყვა უფესტოდ არ არსებობს.

ფ. რაბლე უყვება, თუ როგორ ჩავიდა მეფე თორდატი წერილის იმპერატორობის დროს რომში, სადაც იგი დიდი ზემოთ მიიღეს, რათა სენატისა





და რომელი ხალხის სამუდამო მეგობრად გაეხადათ იგი. რაც კი ქალაქში ღირსშესანიშნაობა იყო, ყველაფერი აჩვენეს. გაცილებს დროს იმპერატორმა უძვირფასესი საჩუქარი მიართვა სტუმარს, ამასთანავე, შესთავაზა, აერჩია, რაც ყველაზე მეტად მოეწონა მას რომში, თანაც, უზუნაესი ხელი-საფულის სიტყვა მისცა, რასაც მთხოვე, გიბოძებო. მეფე თირიდატმა იიხივა მხოლოდ ერთი მსახიობი, რომელიც თეატრში ენახა, — მართალია, არ ესმოდა, რას ამბობდა იგი, მაგრამ მისი ნიშნებითა და ფესტივალაციით ყველაფერს მიხვდა. სტუმარმა თავისი თხოვნა ასე დაასაბუთა: ჩემს საშფოთლო-ლოში შემოდიან სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხები და მათთვის მოსასმენად, მათთან სალაპარაკოდ აურაცხელი თარჯიმანი შჭირდება, ამ მსახიობს კი მარტოს შეუძლია ყველასთვის პასუხის გაცემა, რადგან იგი ფესტივალთა ნათლად გამოხატავს ყველაფერს, იგი, თითქმის, თითუბით ლაპარაკობსო.

დღევანდელ სცენაზე საინინალმდეგო ვითარება შეინიშნება, მსახიობების ფესტები, ხშირად, სიტყვებს ზურგში მისჩანიალებენ. ფესტი სწორი და ბუნებრივია მაშინ, როცა ის იბადება არა განსჯით, გონებით, არამედ სხეულის უშუალო რეაქციით იმ აზრებსა და განცდებს, რომლებიც ჯერ ფორმულირებული არაა სიტყვებით. პარტნიორები სიტყვებითა და ფესტებით ურთიერთობენ. ცხოვრებაში ეს ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ხდება. ნაცნობს რომ მიესალმობთ და იმან საღმითვე არ გიპასუხობთ, ხომ ცუდ დღეში ჩავარდებით. სცენაზე ასეთი რამ ნამდაუნუმ ხდება, მაგრამ ჩვენ ეს რატომღაც არ გვაშფოთებს, რატომ? შევეჩვიეთ და იმიტომ. ყოველივე ამაში უნდა გავერკვეთ, უნდა გავიხივრდებანთ ის აზრი, რომ თეატრი — ესაა სცენური ყოფიერების წრფელი სიმართლე, ესაა მსახიობთა მიერ შექმნილი სახეებისა და მალაღმბატურული რეჟისორული ნიშან-სახეების სცენური ორთაბრძოლა. მხოლოდ ამ ელემენტების პარმიონული შერწყმა ქმნის ნამდვილ სცენურ ფასეულობას.



როცა ადამიანი მაგალითებისთვის წარამარა წარსულს უბრუნდება და ირგვლივ ვერაფერს ხედავს, ეს სიბერის ნიშანია. მაგრამ მე არ შემიძლია ვასო გოძიაშვილი არ მოვიგონო. მე არ ვაპირებ მისი შემოქმედებითი პორტრეტის შექმნას, მე მხოლოდ გაიხსენებ მასთან რამდენიმე შეხვედრას.

მატარებელი ემგზავრბოდი. ოთხკაციან კუპეში საშინი ერთმანეთს ვიცნობდით, კარგ გუნებაზე ვიყავით და ენატრობდით უცხო ვინმე არ მოგვემატებოდა. მთელი დღე-ღამე მართლაც არავინ შემოსულა. მაგრამ, მეორე დღეს, ღამის ორ საათზე ზესტაფონის ახლოს, ძილში ჩამესმა, როგორი ხმაურითა და ბრახუნით გაიღო კუპე, მერე ზედა შუქი აანთეს. კილაც კაცი შემოვიდა, გამცილებლები ხელბარვის შემოტანაში დაეხმარნენ, შემდეგ ბაქანზე ჩავიდნენ და ჩვენი ახალი თანამგზავრი მატარებლის გასვლაზედ კარგა დიდხანს ხმაშალდა ელაპარაკებოდა მთ ღია ფანჯრდან, შემდეგ, როცა მატარებელი დაიწერა, დიდხანს უჯვადანა გამცილებელს, როგორ თუ ქვედა ადგილი არა გაქვსო, მაგრამ თანდათან ყველა დამშვიდდა და ისევ ჩავიძინეთ.

დილით გამეღვიძა და ღამით შემომატებული მშფოთვარე თანამგზავრი ჩემი საყვარელი მსახიობი ვასო გოძიაშვილი არ ვიცანი? საუბარი გავაპიბით. გულთანად ხუმრობდა და მალე მთელი ვაგონის ხალხმა ჩვენს კუპესთან მოიყარა თავი. ყველას აინტერესებდა ამ უნიჭიერესი ადამიანის ყურება და მოსმენა და ისიც გულუხვად აფრქვევდა თავის იუმორს, გონებაბახვილურად ლაპარაკობდა ცხოვრებასა და ხელოვნებაზე.

ფანჯარასთან ვიდექით და ვტკებოდით ჩვენს თვალნი მშიქროლავი მშენიერი, უკიდვანო პანორამით. ვასო შეუსვენებლად ლაპარაკობდა თავის იუმორზე, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაიწყო და საქართველოს ყველა კუთხეში ვაგრძელდა, რადგან ყველან უნდოდათ თავიანთ საყვარელ ხელოვანს მოფერებოდნენ. ეს იყო უჩვეული ცილი თეატრული დღესასწაულებისა, რომელთა ცენტრშიც იდგა უკვე სწიერი, მაგრამ კვლავინდებურად მხნე და მომხიბვლელი, ქეშმარიტად არტისტული სულის ადამიანი.

ის იყო სახალხო არტისტი ამ ცნების სრული მნიშვნელობით. დროთა განმავლობაში ამ ნოდებამ, ბევრ შემთხვევაში რატომღაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ ვასო გოძიაშვილი ნამდვილად რომ სახალხო არტისტი იყო: ის უყვარდათ, მასთან ზეხვედრა სწყუროდათ, ყველას სურდა მოესმინა რას და როგორ ლაპარაკობდა იგი, ქუჩაში ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ... მას რაიონიდან რაიონში იწვევდნენ, დაჰყავდათ თვითმფრინავით, მანქანით, ეტლით, დაჰყავდათ ხელით და ყველაფერ ამას იგი დებულობდა როგორც ქეშმარიტი არტისტი: ღირსებისა და კმაყოფილების გრძნობით. ფანჯარასთან მიმდგარი ვასო მეუბნებოდა, თუ როგორ უყვარდა ეს მინა, ეს ადამიანები, ეს შთები, ეს ციხე-კოშკები, ეს ქალაქები და სოფლები, ყველაფერი, რასაც მოიცავს დიდი ცნება — საქართველო. მიამბობდა თავის ახალგაზრდობაზე, იმაზე თუ სად, ვისთან და როგორ უთამაშინა და იქვე მიიყენებდა, როგორ თამაშობდა და ამისგან

თეთონაც დიდ სიამოვნებას გრძობდა და სხვებს  
ნომ ატკობდა და ატკობდა. ვასო გოძიაშვილი  
თხემით ტერფამდე მსახიობი იყო, მსახიობი —  
ცხოვრებაშიც და სცენაზეც. მას ვერასოდეს ნახავ-  
დით დაუდევრად ჩაცმულს, გვეგონებოდათ, რომ იგი  
ყოველ წუთს სცენაზე გასვლას, მაყურებელთან პი-  
რისპირ შეხვედრას ელოდებოდა. მე ყოველთვის მე-  
ჩვენებოდა, რომ განვებამ ისურვა, იგი ყოფილიყო  
მემკვიდრე და გამგრძელებელი საუკუნის დასა-  
წყისის აქტიორული თეატრისა, რომელშიც ბრწყინ-  
ავდნენ ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გა-  
ბუნია და სხვა კორიფეები.

არსებობს არაჩვეულებრივი, მაღალი არტისტიზ-  
მი, რომელიც, ძალზე რეალურ ცხოვრებისეულო-  
ბასთან ერთად, აღბეჭდილია დახვეწილი, ნატიფი  
ოსტატობითაც. ვასო გოძიაშვილი იყო დახვეწილი  
სიტყვის, დახვეწილი ვესტის, არაჩვეულებრივი ნარ-  
მოსახვის მსახიობი, საოცრად პლასტიკური (თან-  
დაყოლილი პლასტიკა!), რომელსაც შეეძლო განცდა-  
თა სტიქიაში მთელი არსებით გადაშვებულობით  
ისე, რომ ფორმის მოქნილობა არ დაეკარგა. ასეთ  
რამეს იშვიათად ნახავ ადამიანს.

ასეთი რამ, აი, ამასწინათ ტელევიზიით ვნახე



ეპატორინე მაქსიმოვას მონაწილეობით გადაღებულ  
ფილმებში „გალათია“ და „ძველი ტანგო“. ამას  
ვერ ისწავლი: უმადლესი ტექნიკა აქ უმადლეს არ-  
ტისტიზმსაა შერწყმული, ასეთი მსახიობები ერთის  
ნახვით უყვარდებოდათ.

ვასო გოძიაშვილის ყურება და მოსმენა არ მოგ-  
ბერდებოდათ, გინდოდათ ეს პროცესი დიდხანს,  
დიდხანს გაგრძელებულიყო. დაბეჭდვით ვიტყვი,  
რომ იგი არასოდეს არ ამოფარებოდა რეჟისორის  
ნიშანს, მას ყოველთვის სოლისტობა წყურვდა.

ერთხელ მასთან ძველი ვოდევილის რეპეტიციას  
გავდიოდი, მას კი, ვინ ვინ, რამდენი ვოდევილი  
უთამაშია. სულ იმას ამბობდა, ძველი ვოდევილები  
თანამედროვე ყაიდაზე უნდა კითამაშოთ, ძველებუ-  
რი თამაშის გაქორება საჭირო არააო, თუმცა,  
არასოდეს განუმარტავს, რას გულისხმობდა თანა-  
მედროვე თამაშში (ამ შემთხვევაში). ვასო ის არ-  
ტისტი იყო, რომელზეც ჟან დიულენი აუცილებ-  
ლად იტყოდა, რომ იგი „იმყოფება“ სცენაზე და,  
თითქოს, არც არაფერს გამოსახავს. თუმცა, იგი  
ყველაფერს გამოსახავს ამ სიტყვის კარგი გაგებით.  
მას ჰქონდა განსაკვივრებელი უნარი, რომ უკიდუ-  
რესად თეატრალური სურათითაც კი დაერწმუნებინა  
მაყურებელი, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ისე შეიძლე-  
ბოდა მომხდარიყო, როგორც მის ნათამაშე სცენაში  
ხდებოდა.



მასსოვს, პიესის სიუჟეტით მას უნდა ეთამაშა როლი  
კაცისა, რომელსაც, თითქოსდა, მკვდარი შვილის სარ-  
ძლო გამოეცხადა და ახლა გულგადაქანებული, და-  
ფუთებული ბრუნდებოდა შინ, მაგრამ დაბნეულო-  
ბის, აღელვებისა და კიდევ — შიშის გამო თავის  
ოთახს ვერ აგნებდა. იგი იმპროვიზატორობდა, ში-  
გადაშიგ თავის სიტყვებსაც ურთავდა, რაც მის ში-  
ნაგან მონოლოგს წარმოადგენდა, სამ კიბეს შო-  
რის გაიხლართა, ადიოდა, ჩამოდიოდა, ისევ ადი-  
ოდა და ჩამოდიოდა და სულ ერთსა და იმავეს გა-  
იბახობდა: „ვახ, ეს რა ამბავია ჩემს თავს, სახლის-  
თვის წერი მიმიგნია, ვახ?“ იგი ამ სცენას სამი-  
ოთხი წუთი თამაშობდა, თამაშობდა ბრწყინვალედ,  
ძალზე სასაცილოდ, ტრაგიკულობამდე სერიოზუ-  
ლად, საოცარი განცდით, მთელი გტაცებით. სიხა-  
რულით ვუყურებდი, ნიჭიერი მსახიობი ტექსტიდან  
ტექსტამდე პაუზას რა სიამოვნების მომნიჭებელი  
იმპროვიზაციული თამაშით ავსებდა! ამითაც იჩენ-  
და თავს მისი დიდი ტალანტი, თავისი საქციელით,  
მოქმედებით, სახის ძერწვის უნარით. ხელოვნების  
თვალსაზრისითაც და, ისეც, უბრალოდ, ადამიანუ-  
რად ძალზე საინტერესო იყო ვასო გოძიაშვილის-  
თანა უნიკალური თეატრალური მოვლენისთვის  
თვალყურის დევნება. ვასო დიდებული იყო სცენა-  
ზეც და ესტრადაზეც. მე შემიძლო საათობით მეს-  
მინა მისთვის და მაყურებინა, როგორ გამოდიოდა  
სცენაზე, როგორ ლაპარაკობდა, როგორ მღერო-  
და, როგორ უკრავდა თავს მაყურებელს, როგორ  
იზიდავდა, ხიბლავდა მას, როგორ კითხულობდა  
„ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოპემას“, საია-  
თნოვას და სხვ. ყველაფერი ეს ახლობელი იყო  
მისთვის, იცოდა ყოველივე ამის ეშხი და გემო და  
როცა მათ კითხულობდა, თვითონაც ნეტარებდა.

დღემდე არ შემიძლია დავივინყო როგორ ევედ-  
რებოდა მისი ლუარსაბი ღმერთს, რომ მემკვიდრე  
ეგობებინა მისთვის. არ შემიძლია დავივინყო მისი  
რომანსები, რომლებსაც მთელი ეშხით მღეროდა





კ. მარჯანიშვილის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“. ანდა, ნამდვილად ბრწყინვალე, არაჩვეულებრივად პლასტიკური, დავით აღმაშენებლის კარის მასხარა — როგორ შემოდიოდა იგი მტრებისგან ოკუპირებულ თბილისში და როგორ ესიყვარულებოდა მას! ან კიდევ: მისი ავტიკა სპექტაკლში „რაკ ვინახავს, ველარ ნახავს“, რომელი ერთი დავასახელო! ყველას ვერც ჩამოთვლი.

...მოსკოვში რამდენიმე დღე ვიცხოვრეთ ერთ ნომერში.

— თქვენ აღიარებული რეჟისორი ხართ, — მეუბნებოდა იგი, — მაგრამ ახლა საზოგადო მოღვაწე უნდა გახდეთ. არტისტი საზოგადო მოღვაწე უნდა იყოს. ჩვენს ხალხს ასე სჭირდება. ჩვენი არტისტები ყოველთვის თავიანთი ქვეყნის პატრიოტთა წინა რიგებში იყვენ, თავიანთ საქმეს მშვიდობიანობის დროს სცენაზე თამაშით აკეთებდნენ, ომის დროს იარაღით ხელში ებრძოდნენ მტერს. ქართული სცენის მსახური შეიძლება საშუალო მსახიობი, საშუალო რეჟისორი იყოს, მაგრამ საზოგადო მოღვაწე უნდა იყოს — მოვალე! თქვენ კი საშუალო რეჟისორი არა ხართ. მე არ გეპირფერებთ. მე თქვენ როლს არა ვთხოვთ, იმდენი როლი მაქვს ნათამაშევი, რომ თვენე გადამდის. მთავარია საზოგადო მოღვაწე იყოთ.

შემდეგ, ცოტა დალია და მითხრა: მარჯანიშვილის თეატრში დიურენმატის „მილიონერი ქალის ვიზიტს“ ტყუილად მოკიდე ხელიო. დიურენმატი და ბრუხტი ქართული თეატრისთვის უცხონი არიან, ქართველი მსახიობის ბუნება ადამიანის ხასიათისა და განცდების გადმოცემის რეალისტურ ხელოვნებაშიაო. აქტიორობა მისიაა, რომელიც საეკლესიო რიტუალებსა და დღესასწაულებზე უარის თქმის შემდეგ ადამიანებს კიდევ უფრო მეტად სჭირდებათო.

რამდენიმე დღე დაყვავით მაშინ მოსკოვში, მაგრამ საღამომობით თითქმის ფეხმოუცვლელად ვიჯექი ნომერში ვასო გომიშვილთან ერთად და ესაუბრობდით თეატრზე. იგი, როგორც ყველა ხანდაზმული ადამიანი, ვიღაცაზე და რაღაცაზე ნანწყინი იყო, სპექტაკლებზე სიარული არ უნდოდა, არავის ხედებოდა, ხშირად რეკავდა თბილისში და იგებდა შვილიშვილები როგორ უყავდა. ძალზე მტკივნეულად, დაუფარავად, დრამატულად განიცდიდა მეუღლის გარდაცვალებასა და მარტოობას.

გაკრძელება იქნება

ტექსტში ჩართულია მ. თუმანიშვილის ნახატები.

მოქმედი პირები:

ლუბოვ ანდრეევნა — რანევესკია — მემულე ქალი  
 ანა — მისი ქალიშვილი, 17 წლის  
 ვარა — მისი ნაშვილები, 24 წლის  
 ლეონიდ ანდრეევჩი გავევი — რანევესკიას ძმა  
 ერმოლაი ალექსეევიჩ ლოპახინი — ეპარქი  
 ტროფიმოვი — სტუდენტი  
 სიმეონოვი-პიშჩიკი — მემულე  
 შარლოტა ივანოვნა — გუვერნანტი ქალი  
 ეპიხოლოვი — კანტორის მოსამსახურე  
 დუნიაშა — შინამოსამსახურე  
 ფირსი — ლაქია, 87 წლის  
 იაშა — ახალგაზრდა ლაქია  
 გამელელი  
 სადგურის უფროსი  
 ფოსტის მოხელე  
 სტუმრები, მსახურები  
 მოქმედება ლ. ა. რანევესკიას მამულში ხდება

პირველი მოქმედება

დიდფაჩრებიანი ოთახი, რომელიც ოდესღაც ბაგევისთვის იყო განკუთვნილი. ერთ კარს ანას ოთახში გაუყვართ. თენდება. სივარდე ამოვა. მისია. ბაღში იღუბლები ჰყვავიან, თუმცა ჯერ კიდევ სციკვია. ოთახის ფაჩრები ჩაქვტილია.

შემოდან დუნიაშა და ლოპახინი. დუნიაშას ხელში ანთებული სანთელი უჭირავს, ლოპახინს — წიგნი.

ლოპახინი. — ძლივს ედირსა მატარებელს ჩამოსვლა. რომელი საათია?

დუნიაშა. — შალე ორი გახდება. (სანთელს ჩაქრობს) თენდება უკვე.

ლოპახინი. მატარებელს, სულ ნაკლები, ორი საათი დააგვიანდა. (ათქნარებს და იზმორება) მეც კი სულელი ვარ: განგებ ადრე ჩამოვედი, თქვენებს რომ დახვედროდი და ჩამინებო! თანაც ხელს, სავარძელში! საწყენია, ღმერთმანი... ვერ გამაღვიძე?

დუნიაშა. — მე ვითქვრე, წახვედით. (მიაცურადებს) მგონი მოდიან.

ლოპახინი. (ისიც უსმენს) — ჯერ სადაა! ბარგი უნდა მიიღონ... ოთახი რამე... (ბაუზა) შენმა ქალბატონმა საზღვარგაეთ ზეთი წელი გაატარა? ნეტა როგორია ახლა? კარგი ქალი კი იყო — უბრალო. გულსხმირი... მახსოვს, ბავშვობაში, — თხოუმეტი წლის ვიქნებოდი მაშინ, — განსვენებულმა მამაჩემმა, — მას ამ სოფელში სავაქრო ჰქონდა, — გამარტყა და ცხვირიდან სისხლა წამოშადინა... მაშინ რაღაც საქმეზე მოვედიო აქ და მამა ნახვამი იყო... ჰოდა, ლუბოვ ანდრეევნამ, ისე კარგად მახსოვს, სულ ახალგაზრდა იყო, გა-

# საბჭოთა ხელოვნება

№ 4 1982

## აღუბლის ბაღი

კომედიის ოთხ მოქმედებად

მხდარი, ტანწერწეტა, — პირსაბანთან მიმოყვანა, — ამ ოთახში იმ დროს ბავშვების ოთახი იყო, — და „ნუ ტირი, გლეხის ბიჭო, — მითხრა, — ქორწინებამდე გაგივლისო!“... (პაუზა) „გლეხის ბიჭო!“... მამაჩემი მართლაც გლეხი იყო, მუჟიკი, მე კი ახლა თეთრი ჟილეტი შაცვია და უფითელი ბათინკებით დავიარები! კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო ერთი კია, მდიდარი ვარ და ფული ბევრი მაქვს, თორე ისე, კაცმა რომ თქვას, სუფთა წულის მუჟიკი ვარ.. (წიგნს გადაფურცლავს) აი, ახლაც... წიგნს ვკითხულობდი და ვერაფერი გავიგე, კითხვის დროს ჩამძინებია... (პაუზა)

დუნიაშა, ძაღლები მთელ ღამეს ფხიზლობდნენ, ეტყობა, ბატონების ჩამოსვლას გრძნობდნენ.

ლოპახინი, დღეს სხვანაირი მიჩვენებები, დუნიაშა, რა მოგდის?

დუნიაშა, ხელები მიკანკალებს, ღამის არი, გული წამივიდეს!

ლოპახინი, მეტისმეტად აზიზი გახდი, გოგო! ბარონსახვით იცვამ, თმასაც სხვანაირად ივარცხნი... ეგრე არ შეიძლება, შენი ადგილი უნდა იცოდე. შემოდის ეპიზოდოვი თაიგულით ხელში. პიჯაკი და მაკრად გაპრიალეზული, საშინლად ჭრაკუნა ჩექმები აცვია. შემოსვლისთანავე წაიბორძიკებს და თაიგული ზელიდან გაუვარდება).

ეპიზოდოვი, (თაიგულის ასაღებად დაიხრება) —

აი, მებაღემ გამომატანა, სასადილო ოთახში დადგიოთ. (თაიგულს დუნიაშას გადასცემს)  
ლოპახინი (კარისკენ მიმავალ დუნიაშას მიამხებებს) — ბურაბიც გამოიყოლე, უფლი გამიშრა!

დუნიაშა, კი, ბატონო (გადის).

ეპიზოდოვი, მაგარი სუსხია გარეთ, სამი გრადუსი მაინც იქნება. აღუბლები კი თეთრად გადაქანტილანს... არა, გეთყავა, რაც გინდა თქვათ და აქაურ კლიმატს მოწონების ღირსად ვერ ჩავთვლი! ჩვენს შავს არ შეუძლია, ასე ვთქვათ, ზუსტად შეესატყვისებოდეს... აი, ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ დავსძინო: სამი დღის წინათ ჩექმები შევიძინე და ისეთი ჭრაკუნე გააქვთ, არ ვიცი, რა ექნას... მასწავლეთ, რით გავსოხო!

ლოპახინი, თავი გამანებე!

ეპიზოდოვი, მარცხიანი კაცი ვარ საერთოდ. უოველდღე რაღაც უბედურება უნდა შემემთხვას... თუმცა, მე ამას აღარ ვჩივი და მელიმება კიდევ. (შემოდის დუნიაშა, ლოპახინს ბურახს მიართმევს) წავედი მე... (სკამს დაეჯახება და წააქცევს) აი, ზედავთ! რა გითხარით? (თითქო გაუხარდება კიდევ) მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, მაგრამ ხომ დარწმუნდით, რა ვითარებაა? სხვათა შორის, ეა შესანიშნავიცაა. (გადის).

დუნიაშა, იცით, ერმოლოი პლეკსეინი, ეპიზოდოვმა ხელი მოხოვა.

ლოპახინი, მერე?



დუნიაშია. არ ვიცი, რა ვქნა. წყნარი კაცი ჩანს, მაგრამ დაპარაკს რომ დაიწყებს, ვერაფერს გაუგებ. თითქმის დალაგებულად ამბობს, ვრძნობიერადაც, მაგრამ ვერ მიხვდები, რისი თქმა უნდა... მე პირადად მომწონს ეგ კაცი, მას კი გავიყუებით ვუყვარვარ. ბედკრულია, თარხინია, სულ რაღაც ენართება — ჩვენიმბა მტესახელად „ბედოვლათი“ შეიარქვეს!

ლოპახინი (მიყურადებს) — მგონი მოდიან...  
დუნიაშია. (აწრიალდება) — მოდიან?... ღმერთო, რა მომდის... ცომა ოფლმა დამახსია!

ლოპახინი, პო, მოდიან. წავიდეთ, მივეგებოთ...  
ნება თუ მივინებს შენი ქალბატონი, ხუთი წელია არ ვუნახივარ.

დუნიაშია. (საშინლად ღელავს) — მუხლები მიკანკალებს... ვაიშე... წავიქცვი!

(გარედან მოახლოებული ეტლის ქვარული იმისი. ლოპახინი და დუნიაშია სწრაფად გადიან. ერთხანს სცენა ცარიელია. კედლებს იქით ალიაქოთი ძლიერდება, შემდეგ სცენას აჩქარებული ნაბიჯით ფრისი გადაქრის: იგი ჯოხს ეყრდნობა, ძველებური ღორევა აცვია და წოწოლა შლიაა ახერხავს. გაუგებრად რაღაცას ბურტყუნებს... სცენის მიღმა ხმაური მატულობს. ვიღაც წამოიძახებს: „აქეთ მობრძანდით, ბატონებო, აქეთ!“ ოთახში შემოდის სამგზავროდ ჩაცმული ლუბოვ ანდრევიჩი, ანა და შარლოტა ივანიშვილი, რომელსაც პატარა ფინია უკავია ხელში. მათ მოყვება თევზიანი, პალტოში გამოწყობილი ვარა. შემდეგ გამოჩნდება ბაევი, სიმეონოვა-პიშჩიკი, ლოპახინი და ბარგიტი დატვირთული დუნიაშია ქოლგით ხელში).

აქ გავიაროთ, დედა... გახსნის ეს ოთახი?  
ლუბოვ ანდრევიჩი. (გახანგრძლივებული, თვალცრემლიანი) — როგორ არა, შეილო, ბავშვების ოთახია!

ვარა. რა სიცივეა, ხელები გამეყინა! (ლუბოვ ანდრევიჩის) თქვენი თეთრი და ცისფერი ოთახები კი ისევ ისეა!

ლუბოვ ანდრევიჩი (ანას) — ბავშვების ოთახია, საყვარელი შენაინიშვინი ოთახია, პატარაობისას აქ მძინო ხოლმე... (ტირის) ჩემი თავი ახლაც პატარა მგონია... (გადააკოცინს ძმას, ვარას, შემდეგ ისევ ძმას მოეხვევა) ჩვენი ვარაც სულ არ შეცვლილა, ისევ ისეთია, მოლოზნის გავსი.. დუნიაშია ვიცინავს. (დუნიაშიას კოცნის).

ბაევი. მატარებელმა ორი საათით დაიგვიანა. საქმევა ეს?

შარლოტა. (პიშჩიკს) — ჩემი ფინია ნიგოზსაც ქაშს.

პიშჩიკი (გავიკრებივით) — უფურე შენი (ყველანი, ანასა და დუნიაშიას გარდა, გადიან)

დუნიაშია. დავბრუნდეთ თქვენს ლოდინში... (ანას პალტოს გახდის, ქუდს ჩამოართმევს)

ანა. ოთხი დამე არ მძინებია... ისე გავიყინე, ტანში მურჩიალებს.

დუნიაშია. თქვენ რომ წახვედით, დიდმარხვა იყო, თოვლა, ახლა კი... ჩემო საყვარელო, ჩემო ლამაზო! (იკინის, კოცნის) იცით, როგორ მომენატრეთ?! გული გადაშლია თქვენს ლოდინში... მოიცა... ახლავ გეტყვით, ერთი წუთიც არ შემძლია მოვთმინო...!

ანა (უინტერესოდ) — ისევ რაღაც იქნება...  
დუნიაშია. კანტორის მოსამსახურე ხელი მოხოვა!

ანა. შენ ხომ სულ მაგაზე ფიქრობ (თმებს ისწორებს) სარკები შემომეფანტა გზაში... (ძალზე დალილია, ფეხზე ძლივს დგას).

დუნიაშია. არ ვიცი, რა ვუპასუხო... ისე? ვუყვარვარ, ისე...

ანა. (თავისი ოთახის კარს მისწერება სიყვარულით) — ჩემი ოთახი! ჩემი ფანჯრები! თითქოს არც მოვცილებივარ აქაურობას... ო, ნეტავ დაძინება შემეძლოს! მატარებელში თვალი არ მომიხუტავს. სულ მოუსვენრად ვიყავი...

დუნიაშია. გუშინწინ ტროფიმოვი ჩამობრძანდნენ...  
ანა. (გაუხარდება) პეტია?

დუნიაშია. დიახ. აბანოში ძინავთ, იქვე ცხოვრობენ... თქვენები არ მინდა შევაწუხო... (თავის ჯიბის საათს დახედავს) გავაღვიძებდი, მაგრამ ვარვარა მიხალგონამ მიბრძანა, ხელი არ ახლო, ეძინოსო. (შემოდის ვარა. ქამარზე გასაღებების აცმა ჰკიდია).

ვარა. (დუნიაშიას) — უკავ მოხარზე, სწრაფად! დედოკმ უკავ მოითხოვა.

დუნიაშია. ამ წუთში. (გადის)

ვარა. მადლობა ღმერთს, ჩამოხვედით, ისევ შენს სახლში ხარ! (ეკალირება) ჩემი ანგელოზი ჩამოვიდა, ჩემი კარგი, ღამაში გოგო!

ანა. იგი, როგორ გავწავალდი!

ვარა. წარმომიდგენია.

ანა. ვნების კვირას გამოვემგზავრეთ... მაშინ კიდევ ციოდა. შარლოტას გზაში ენა არ გაუჩრებია, ყბედობდა, თან ფოკუსებს გვაჩვენებდა... რა ჰიოდა ამკიდე?

ვარა. მარტო როგორ გაგიშვებდი. საყვარელო, ჩვიდმეტი წლისა ხარ!

ანა. პარიზში ჩავდივით და იქაც სიცივეა, თოვს...მე ფრანგულიანი, მოგახსენება, მწურაღად ვარ... დედა მეხუთე სართულზე ცხოვრობს. მივედი და ვიღაც ფრანგები დამხედნენ: რამდენიმე ქალი, მოხუცი პადრე წიგნი... ოთახი თამბაქოს კვამლითაა გაუღვნილი, ძალზე მოუწონებელია. შემეცოდა დედაჩემი! ისე შემეცოდა, გულში ჩავიყარა და დიდხანს არ ვეშვებოდი... დედაც სულ შეაღვრებოდა და ტიროდა...

ვარა. (ცრემლი მოადგება) — ნუ იტყვი, ნუ!

ანა. ის ავარაკი, შეტონის ახლო რომ მქონდა, გაუყიდა. არაფერი დარჩენია საწყალს... მეც უკაპიოდ ჩავედი, ძლივს მივადწიე პარიზამდე... დედა კი საქმის ბიბიურში არ არის სადილად დავსხებივით და ყველაზე შვირფასი კერძებს თხოვლობს, ფეხის ქირად ლაქიას მანეთიანზე ნაკლებს არ აძლევს! შარლოტაც იმას ბაძავს, იაშაც გათამაბებულა... მოკლდე, საშინელებაა იაშა ახლადღვანს ლაქია, ისიც ჩამოვიყვანეთ.

ვარა. ენაზე ის არაშადა!

ანა. რას შვრებით, პროცენტები გადაიხადეთ?

ვარა. მეტი არაა ჩვენი მტერი!

ანა. ღმერთო ჩემო...  
ვარა. აკვირტოში მამულს გავვიყიდანი.  
ანა. ღმერთო ჩემო...



ლოპახინი. (კარში თავს შემოყოფს და დაიხმუჭლებს) — მუ-უ-უ! (მიმიკლებს).

ვაჩა. (ატარდება) — უპ, შენი... თავში ჩაგაფარებდი! (მუშტს მოუღერებს).

ანა. (ცაბას მოეხვევა, ჩემად) — ხელი არ უთხოვია? (ცაბა თავს გაიჭნევს) ხომ გიყვართ ერთმანეთი, რაღას უდით?

ვაჩა. მე მგონი, არაფერი გამოგვივა. ეგ კაცი საქმეს გადაუოლილია, ყურადღებას არ მამკაცებს... რას იხამ? ღმერთმა კარგად ამყოფოს, ოღონდ მომცილდეს და ნულარ დაშენახვება! შიელი ქვეყანა ჩვენს ქორწინებაზე ლაპარაკობს, სინამდვილეში კი... ასე მგონია, სიზმარში ვიყო... (ცილოს შეიკვლის) შენი ქინძისთავი პატარა ფუტკარს მკავს!

ანა. (ნაღვლიანად) — დედამ მიყიდა. (თავის ოთახში გადის და ბავშვივით ენამოჩნევიტ ლაპარაკობს) იცი, პარიზში პერბურთით ვიფრინე!

ვაჩა. ჩემო საყვარელო! როგორ გამახარე, რომ ჩამოხვედი! (შემოდის დენიაშა პატარა ჩაიდნით ხელში და ყვავის მოშხადებას შეუდგება)

ვაჩა. (ანას ოთახის კარში დგას) — აი, დავდივარ, შიელი დღე ვფუსფუსებ, ოჯახს ვუვლი, და სულ შენზე ფიქრობ... რა კარგი იქნებოდა, ვინმე მდიადარ კაცს რომ გაჰყოლოდი მეც მოვიხვენებდი. სადმე უღაბნოში წვდილობდი ლეთის სადიდებლად. მერე კივეში, მოსკოვში... სულ ვივლიდი და ვივლიდი, უყვლა სალოცავს მოვივლიდი... ო, რა დიდებული იქნებოდა!

ანა. ჩიტები გალობენ... რომელი საათია?

ვაჩა. სამი სრულდება. დაიძინე, საყვარელო! (ანას ოთახში შედის) ო, რა დიდებული იქნებოდა! (შემოდის იაშა, ხელში პლედის და სამგზავრო ჩანთა უკავია)

იაშა. (ზრდილობიანად) — აქ შეიძლება გავიარო?

დენიაშა. ძნელი საცნობი გახდით, იაშა. უცხოეთი მოგხლომათ.

იაშა. მამ... თქვენ ვინ ხართ?

დენიაშა. აქედან რომ გაემგზავრეთ, ამხელა ვიყავი... (ხელით აჩვენებს) დენიაშა, ფედორ კოხოლოვის ქალიშვილი... გახსოვთ?

იაშა. უაუერ შენ, რა პუტკუნა ყოფილხარ?! (მიმოხედავს და წილზე ხელს შემოხვევს. დენიაშა შეპკიელებს, ხელიდან ლამაპი გაუვარდება. იაშა სწრაფად გადის).

ვაჩა. (კარში გამოჩნდება, უკმაყოფილო სახით) — რა მოხდა?

დენიაშა. ლამაპი გამოიტყდა.

ვაჩა. ეგ კარგი ნიშანია.

ანა. (თავის ოთახიდან გამოდის) — დედა უნდა გავფრთხილოთ, პეტია ტროფიმოვი აქ ყოფილა...  
ვაჩა. მე უკვე დავუბარე, არ გააღვიძებენ.

ანა. (ჩაფიქრებული) — ექვსი წლის წინათ მამა გარდაიცვალა... მერე ჩემი ძმა გრიშა მდინარეში დაიხრჩო... შეიღო წლის ბავშვი იყო, ლამაზი და გონიერი... დედაჩემმა მწუხარებას ვერ გაუძლო, მიატოვა აქურობა და გაიქცა... (შემკრთალი) ო, როგორ მესმის მისი მდგომარეობა! (პაუზა) პეტია ტროფიმოვი ჩემი ძმის მასწავლებელი იყო... ნეტა არ გაახსენოს...

(შემოდის ფირსი, თეთრი კილტუ და პიკი აცეცა)

ფირსი. ქალბატონი აქ ისახულებს. გამოსიძინებმანებს იკეთებს) ყავა მზად არი? (დენიაშას, გვაკრად) შენ, ეი! ნაღები?

დენიაშა. დამიღვა თვალი! (სწრაფად გადის)

ფირსი. (ყავის ჩაიდანთან ფუსფუსებს) დედულაია თავისთვის, ბურტყუნით) პარიზიდან ჩამოსულან... დიდი ბატონიც თავის დროზე პარიზში იყო... ეტლით ჩამობრძანდა... (იციინს)

ვაჩა. რა გაციენებს, ფირს?

ფირსი. რა ბრძანეთ? (სიხარულით) ჩემი ქალბატონი ჩამოსულა-შოქოი, ვინცაღელ იმას! ახლა შეიძლება მოვკვდე კიდეც... (სიხარულისგან ატირდება).

(შემოდის ლუბოვ ანდრეევნა, გაევი და პიშიჩი. პიშიჩის მუდის უსახელებო ახალბი და შარვალი აცეცა. გაევი შემოსვლისთანავე ხელებით და ტანით ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს ბილიარდს თამაშობდეს)

ლუბოვ ანდრეევნა. როგორ არი? მოიცა, გავიხსენო... დუაღეტოთ შუაში!

გაევი. კუთხეში ვჭრი... მე და შენ, ჩემო დო, ოდებლაც ამ ოთახში გვეძინა. ახლა კი, წარმოიდგინე, ორმოცდათხუთმეცხა გავხდი.

ლოპახინი. რას იხამ, დრო გადის.

გაევი. (ვერ გაიგონებს) — ვისაო?

ლოპახინი. დრო გადის-მეთქი!

გაევი. ამ ოთახში ახლაც ბავშვთა საცვლების სუნი ტრიალებს!

ანა. წავად, დავიძინებ... დამე მშვიდობისა, დედა! (კოცნის)

ლუბოვ ანდრეევნა. დამე მშვიდობისა, შვილო, გენაცვალოს დედაშენი! (ხელებს უკოცნის) გიხარიათ თუ რომ ხარ? მე პირადად გონს ვერ მოვსულვარ!

ანა. ნახვამდის, ძია!

გაევი. (სახეს და ხელებს უკოცნის) — ღმერთი შეგწვიოს, ჩემო კარგო! ვერ წარმოიდგენ, დედაშენს როგორ გავხარ! (დას) ამის ასაკში ზუსტად ასეთივე იყავი!

(ანა ხელს ჩამოართმევს ლოპახინს, პიშიჩის, გადის და კარს გაიხურავს).

ლუბოვ ანდრეევნა. ძალზე დაღლილია.

პიშიჩი. აბა, იმხელა გზა გამოიარეთ!

ვაჩა. (ლოპახინს და პიშიჩის) — თქვენ რაღას აპირებთ, ბატონებო? სამი საათი გახდა, სინდისიც კარგი საქონელია!

ლუბოვ ანდრეევნა (გაევიცნება) — ისევ ისეთი ხარ, ვარინკა! (მოეხვევა და კოცნის) ცოტაც გვატალე, უკავს დავლევ და ყველანი დავიშლებით. (ქდება. ფირსი ფეხქვეშ პატარა ბალიშს დაუდებს) გამადლობთ, ჩემო მოხუციო! (კოცნის)

ვაჩა. გავხედო ერთი, მარგი თუ გადმოტივითეს. (გადის)

ლუბოვ ანდრეევნა. ნუთუ ეს მართლა მე ვარ? (იციინს) ნეტა რას ვუზივარ? ისეთი სურვილი მაქვს ახლა წამოვხტე, ვირბინო, ხელები ვიქნავ... (სახეზე ხელებს აიფარავს) მითხაროთ, გეთაყვა, იქნებ მძინავს? ღმერთია მოწმე, გაგიფიბით მიყვარს ჩემი სამშობლო. მატარებელში ისე



ვლელავდი, ფანჯრისკენ ერთხელაც არ გამიხედია, სულ ვტიროდი და ვტიროდი... (ტრემლი მოურევია) უკვა მიანც დასაღვვია, მადლობელი ვარ შენი, ფირს! გმადლობთ, ჩემო კეთილი! ისე მიხარია, ცოცხალს რომ გხედავ!

**ფირსი.** გუშინწინ.  
**ლუბოვ ანდრეევნა.** რაო?  
**გაევი.** ყურთ აკლია.

**ლოპახინი (ლუბოვ ანდრეევნას) —** ლუბოვ ანდრეევნა! ხუთ საათზე ხარკოვში უნდა გავემგზავრო. ძალზე მწყინს, რომ ზეირიანად ვერც შეგხედეთ. ვერც დაგელაპარაკეთ... ისევ ისეთი ღამააო კი ხართ!

**პიშჩიკი (მიმოდ სუნთქავს) —** რას ამბობ, რას?! უფრო გაღამაზებულა! პარიზულ უაიდაზე აცვი... ემ, ჩემი თავი რა ვთქვი!

**ლოპახინი.** აი, თქვენი ძმა სულ ხეპრესა და მუჟიკს შეძახის, თუმცა ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ილაპარაკოს რამდენიც უნდა... შე კ მხოლოდ ის მინდა, ძველებურად გჭროდეთ ჩემი და თქვენი საკვირველი, გულსნამაჩუყებელი თვალები ისეთივე ნდობით შემომპყურებდნენ, როგორც ადრე მიუყურებდნენ... ღმერთო მოწყალეო! მაშინვე თქვენი შაპისა და ცხონებული მამათქვენის უმა იყო, მაგრამ თქვენ პირად, დიას, თქვენ, — იმდენი სიკეთე გაგიკეთებიათ ჩემთვის, რომ ყველაფერი დავიჭყუე და ღვიძლი ნათესავით მიყვარხართ! ნათესავი რომელია, საყუთარ თავზე უფრო მეტად მიყვარხართ!

**ლუბოვ ანდრეევნა.** არ შემძლია ერთ ადგილზე ჯდობა, არა! (წამოხტება და აღმკვებულად დის) ამ სიხარულს ალბათ ვერ გადავიტან! მო, იციანთ, იციანთ, სულელი ვარ, დიას, სულელი... ჩემი მშობლიური კარადა! (კარადას კოცნის) ჩემი პატარა მაგდა...

**გაევი.** შენს არყოფნაში ძიძა გარდაიცვალა.  
**ლუბოვ ანდრეევნა.** ვიცო, შემატუბონებს... ღმერთო! შეწყევალოს, საცოდავო.

**გაევი.** ბრუციანი ანასტასც მოკვდა. პეტროშმა კი მიმატოვა და ახლა ქალაქშია, პრისტავთან ცხოვრობს. (ჯიბიდან კოლოფს ამოიღებს და შაქარყინულს პირში ჩაიღებს. წუწნის).

**პიშჩიკი.** ჩემი ქალიშვილი, დევიკა... ისიც მოკითხვას გაითვლით.

**ლოპახინი.** რაღაც სასიამოვნო მინდა გითხრათ, (საათს დახედავს) თუმცა, ჩემი წასვლის დრო ახლოვდება, ვერ მოვასწრებ... მიანც ვეცდები, (პაუზა) თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ ალუბლის ბალი ვალდებში იყოლება და ოცდაორ ავჯისტოს საჭარო ვაჭრობაა დანიშნული. მაგრამ ამაზე ნუ იფარდებთ, ძვირფასო! არჩინად იყავით და შევიდოდ დიდიხნით! გამოსავალი არი. ჩემი პროექტი ასეთია... გთხოვთ, უკრადლებით მოისმინათ... თქვენი მამული ქალაქიდან სულ ოციოდე ვერსითაა დაშორებული, თან მოხერხებულ ადგილზეა, გვერდით რკინიგზა ჩაუდის... თუ თქვენ ალუბლის ბალს და მდინარის მიმდებარე მიწას საავარაკო უზენბად დაუყოთ და მოავარაკებებს მიაქირავებთ, წელიწადში, სულ ცოტა, ოცდახუთი ათასი შემოსავალი გექნებათ.

**გაევი.** შაპატით, მაგრამ... ეს სისულელია!  
**ლუბოვ ანდრეევნა.** კარგად ამეჩვენეთ ვაკე რას ამბობთ.

**ლოპახინი.** მოავარაკენი, ყოველ წელიწადს, დესტინაში არანაკლებ 25 მანეთს მოგცემენ და თქვენი გადაწყვეტილება ახლავე რომ გააცხადოთ, დარწმუნებებით ვარ, შემოდგომამდე მიწის ერთი მტკაველიც არ დაგრჩებათ გაუქირავებელი, სულ დიდაცებენ... ერთი სიტყვით, მომოდოცავს, თქვენ გადარჩენილი ხართ!... ადგილმდებარეობა შესანიშნავია, მდინარე წყალუხვია... მართალია, აქაურობა ცოტა უნდა მოწესრიგდეს... ძველი ნაგებობები, მაგალითად, უნდა დაინგრეს, ეს სახლიც ასაფხვია, არაფრად ვარგა... ალუბლის ბალიც უნდა გაიჩინოს...

**ლუბოვ ანდრეევნა.** რაო?... შაპატით, მაგრამ თქვენ არაფერი გესმით. მთელ ჩვენს მარტოში საინტერესო და გამორჩეული რამ თუ არსებობს — ეს ჩვენი ალუბლის ბალია!

**ლოპახინი.** საინტერესო და გამორჩეული თქვენი ბალი მარტო იმითაა, რომ დილია, ალუბალი კი მოსავალს ორ წელიწადში ერთხელ იძლევა, თან კაცმა არ იცო, სად წაიღო, არავინ ყიდულობს!

**გაევი.** ეს ბალი თვით „ენციკლოპედორ ლექსიკონში“ მოხსენებული!

